ვალერიან ალბუთაშვილი

სათვლავის საიდუმლო

რომანი • მოთხრობები

ვალერიან ალბუთაშვილი

სათვლავის საიდუმლო

რომანი
მოთხრობები

თბილისი
2000

რედაქტორი ალექსი ჭინჭარაული
ტექნიკური რედაქტორი ბაღათერ არაბული
მხატვარი გოგი ნერეთელი

რედაქტორისაგან

არც ამ წიგნის ავტორი ბრძანდება აღიარებული ქართველი მწერალი და არც მისი რედაქტორი გახლავთ ჭიპმოჭრილი ლიტერატურ-კრიტიკოსი, მაგრამ მკითხველისაგან ერთიცა და მეორეც უმნიშვნელო და უნებლიე შეცდომისა თუ ნაკლის შენდობას ითხოვენ, ხოლო საქმიან და სამართლიან შენიშვნებს გაგებითა და მადლიერებით შეხვდებიან. მე უფლებამოსილად ვთვლი თავს, რომ ჩემგანაც ახლახან გაცნობილი ბატონი ვალერიან ალბუთაშვილი წარვუდგინო ქართველ საზოგადოებას, როგორც თავის ხალხსა და ქვეყანაზე შეყვარებული, მისი წარსულისა და აწმყოს ღირსეულად დამფასებელი, მისი ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლი მწერალი, ვისთვისაც უცხოა ქედმაღლობა-ამბიციურობა და ვისაც ყოველთვის ახსოვს ძველების შეგონება: „კარგი ვარ!"— ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა, — კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი — არც თავის დედასა".

წიგნის პირუთვნელი მსაჯული კარგი მკითხველია. მიმაჩნია, რომ ამ წიგნს ჩემგან ქება და მკითხველის ნაქეზება არ სჭირდება. კარგი მკითხველი წიგნს ჯერ ჭაშნიკს გაუსინჯავს, ხოლო ჭაშნიკი, როგორც წინაპრები გვასწავლიან, უტყუარი რამ არის: „ესე მხოლოდ მრავალთა დიდთა საქმეთაგან დავწერეთ მიმყოვნებისთუის ჟამისა, ხოლო გემოის ხილვად ღმერთშემოსილისა მის კაცისათუის კმა არს, ვითარცა მდინარისა დიდისაი ტაკუკითა ერთითა იხილვების, თუ რაი გემოი აქუს" („ცხოვრებაი და მოქალაქობაი იოვანე ზედაძნელისაი").

ვალერიან ალბუთაშვილის ამ პირველ წიგნში ოთხი მოთხრობა და ერთი რომანი დაიბეჭდა. მათში მკითხველი იპოვის მძიმე ტრაგიზმით დაღდასმულ უიღბლო სიყვარულსაც და ამაღლებული ადამიანური ღირსებებით გამარჯვებულ სიყვარულსაც, ზიზღსა და სულმდაბლობასაც, უტყუარ ქართულ ეთნოგრაფიულ რეალიებსაც, ქარ-

თველი კაცის ნამუსის ქუდის რნმენასაც და ცხოველთა სამყაროს შინაურ თუ ველურ წარმომადგენლებსა ც.

რამდენიმე მაგალითი აეტორის მწერლური ოსტატობის დასახასიათებლად: „როცა მოკლედ დაჭრილ ყურებს მოვუსრესდი და მივუალერსებდი, ჯავრიას მუდამ ზავთიანი და ჭინჭარივით მსუსხავი გამოხედვა უცხრებოდა და ნახევრად მინაბულ თვალებში ალერსიანი შუქი უბრწყინავდა. სამაგიეროდ საზარელი შესახედავი იყო იგი გაავების დროს, როცა ცერისსისხო ეშვებს გამოაჩენდა, ბალანს აიშლიდა და თვალებს ნაკვერჩხლებივით ააელვარებდა“(„ჯავრია“). ჯავრია მის ცხოვრებაში ამართლებს ამ დახასიათებას.

„სახელოსნოს ნინ, დაბალ ტაბურეტზე, შავ ქულაჯაში გამოწყობილი ერთი თეთრწვერა, მადლიანი სახის მოხუცი იჯდა“(„ნაბდის ქუდი“). შემდეგ ირკვევა, რომ ამ მოხუცს არა მარტო სახე აქვს მადლიანი, არამედ საერთოდ არის მადლიანი ქართველი ხელოსანი, მაგრამ ზემომოყვანილი ფრაზის შესიტყვებაში („მადლიანი სახე“) ამ კაცის კეთილშობილება უკვე გამოცხადებული იყო.

„საუცხოო ზაფხულის დილა იყო. ვერცხლისფრად მოვარაყებულ მდინარეზე თეთრი, გამჭვირვალე ნისლი იყო გაწოლილი, რომელიც ვიწრო ხეობიდან შეუმჩნევლად მიიწევდა მაღლა და ტყიანი ფერდობების ჩამუქებულ სილურჯეში უჩინარდებოდა.

მთის ქედიდან გადმომდგარი მნათობი მწველი ამბორით ლოკავდა ბალახებზე აცრემლებულ ცვარ-ნამს და მდინარის ვერცხლისქოჩრიან ტალღებზე ოქროს ღერებად იმსხვრეოდა.

ყოველი მხრიდან ფრთოსანთა საამური გალობა და ჭიკჭიკი ისმოდა, რომელსაც არაგვის ტალღების ნაზი ტყლაშუნი ეხმატკბილებოდა.

უღრუბლო, მტრედისფერი ცარგვალი, რომელიც გარს შემოჯარული მთების განიერ მხრებამდე ჩამონეულიყო, ოქროსფრად ისარკებოდა, თითქოს ამომავალ მნათობს ყვითელი ატლასის პრიალა ფიანდაზს უმზადებდა დასაბრძანებლად“(„საფლავის საიდუმლო“).

პეიზაჟის მხატვრულად აღწერის სხვა მაგალითებსაც უხვად შეხვდებით წიგნში.

ისიც სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ავტორი მარჯვედ იყენებს სიტყვათნარმოების წესებს და კარგად იმორჩილებს ქართულ სიტყვას: მასთან ნახავთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისათვის“ უცნობ საჭირო სიტყვებს, კომპოზიტებს თუ შესიტყვებებს. აი, ზოგი მათგანი: ბედგამწარებული, ლიბომორღვეული, სახურავჩაქცეული, ყნოსვაგამახვილებული, შევარდისფერებული, ცერისსისხო, ძალამოჭარბებული...

ამოიბუხუნებს (ძაღლი), ვერცხლისქოჩრიანი (ტალღები), მხრებგაბმული (მთები), ნაღველნარევი (ღიმილი), სიცოცხლემოუთავებელი (მოხუცი), ცხოვრების კალომოლეწილი (კაცი)...

ძალიან მომწონს სალიტერატურო ქართულში შემოტანილი სიტყვა ძმისნულო. ამ საალერსო ფორმით უფროსი მთიელები მიმართავენ ახალგაზრდა ვაჟებს. „ძმისნულო“ აშკარად სჯობია ამავე შინაარსით გამოყენებულ „შვილო“-ს თუნდაც იმით, რომ ამას არცთუ მთლად საალერსო შინაარსის ვარიანტები აქვს (შვილოსა, შვილოსან, შვილონიავ). „ძმისნულო“-ს უპირატესობა იმითაც მტკიცდება, რომ უმცროსები უფროსი ასაკის ახლობელ თუ უცხო მამაკაცს „ბიძია“-ს ეძახიან.

ვ.ალბუთაშვილი საჭიროებისდაკვალად ზომიერად იყენებს დიალექტურ სიტყვა-ფორმებს. მე მგონია, რომ დღევანდელი სალიტერატურო ქართული უფრო შემწყნარებლურად უნდა ეპყრობოდეს დიალექტურ ლექსიკას, — დღევანდელ პირობებში ენისათვის ზიანის მომტანი დიალექტური სიტყვები კი არა, უცხო სიტყვების მოძალებაა. მავანთა და მავანთა სახელდახელოდ ნასწავლი უცხო სიტყვებით კეკლუცობა-კოკობზიკობაა.

ისღა დამრჩენია, ბატონ ვალერიანს მივულოცო პირველი წიგნი და წარმატებები ვუსურვო მწერლობის მძიმე, მაგრამ საპატიო გზაზე.

ალ.ჭინჭარაული

საფლავის საიდუმლო

რომანი

გველისთავიანი დაშნა

თოთია ლიქოკელის სახლის ბანზე სახელდახელოდ გაწყობილ ტაბლას ხუთი-ექვსი მამაკაცი შემოსჯდომოდა და ხმადაბლა საუბრობდა. თვალის ერთი შევლებაც საკმარისი იყო დარწმუნებულიყავით, რომ ისინი აქ დროს გასატარებლად და მოსალხენად არ უნდა მოსულიყვნენ, რადგან მხიარული განწყობილების ნაცვლად მათ დაღვრემილ სახეებზე და ფიქრიან გამოხედვაში უფრო შინაგან სულიერ ღელვასა და გამოუცნობ წუხილს ამოიკითხავდა კაცი.

სუფრაზე მსხდომნი საუბარსა და ქცევაშიც კი ერთგვარ ზომიერებას, სიდარბაისლეს და თავშეკავებულობას იჩენდნენ. არავინ აძალებდა ერთიმეორეს არც სასმელის დალევას, როგორც ეს სხვა შემთხვევებში ხდება ხოლმე, თუ, რა თქმა უნდა, მასპინძელს არ მივიღებთ მხედველობაში, რომელიც, ხევსურული სტუმარ-მასპინძლობის წესის თანახმად, თავს მოვალედ თვლიდა დაუთრობელი არავინ გაეშვა ოჯახიდან.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ ეს ხალხი ერთ საერთო საწუხარსა და მათთვის მეტად მძიმე გადასაწყვეტ საკითხს შეეკრიბა ერთად თოთია ლიქოკელის ოჯახში. ესენი ყველანი მისი მეზობლები და ბიძაშვილები იყვნენ, რომლებიც აქ იმისთვის მოსულიყვნენ, რომ საკუთარი ყურით მოესმინათ „მთავრობის კაცების" ნალაპარაკევი ხევსურეთის ბარში გადასახლებაზე. ამ ამბავზე რამდენი ხანი იყო, რაც ათასგვარი ჭორი და მითქმა-მოთქმა დადიოდა ხალხში. ნამდვილი ამბავი კი არავინ იცოდა. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო ის განწყობილება და ინტერესი, რომლითაც აქ მსხდომნი მასპინძლის მოსვლას მოელოდნენ.

— თოთია ხვარ მასულ? — უკვე მერამდენედ კითხულობს სუფრის თავში მჯდომი, ოთხმოც წელს გადაცილებული,

უსინათლო პაპა აბულეთი, რომელსაც თეთრი წვერი მკერდზე ტალღებად დაჰფენია და ყალივნით ხელში დარბაისლური სიდინჯით ყურს უგდებს თანამესუფრეების საუბარს.

თავის დროზე ბუდე ხევსურეთში[1] პირველ კაცად აღიარებული, მაგრამ ახლა უკვე თვალდავსებული და ხევსურთა საერთო სანუხარით გულდამძიმებული პაპა აბულეთი ზის მათ ოჯახში შეკრებილ მოგვარე ლიქოკელებთან, რომლებიც ახლაც დიდი მოწიწებით ეპყრობიან მოხუცს და პირველ სიტყვასაც მაინც მისგან ელიან.

— თოთიას მასვლამდინ უნდო დაჯვიცადათ! — ამბობს იგი და დანარჩენებიც მოთმინებით ელოდებიან თოთიას გამოჩენას.

ახლად შელამებული იქნებოდა, როცა ჭალიდან ამომავალ ბილიკს სამი მგზავრი დაადგა და პირდაპირ ლიქოკელების სახლისაკენ წამოვიდა.

ბანზე მსხდომებმა ორი ცხენოსანი მხედრიდან ერთ-ერთ მათგანში თოთია შეიცნეს, ხოლო მეორე მხედარი და ტანმაღალი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კი ვერაფრით დაადგინეს, ვინ უნდა ყოფილიყო.

— ვინ მახყავ თოთიას ნეტარ? — დაინტერესდნენ ბანზე მყოფები.

როგორც კი მგზავრები სახლს მოუახლოვდნენ, ერთი ახალგაზრდა ფეხზე წამოიჭრა და აღტაცებულს აღმოხდა:

— მამუკა!.. მამუკა ჩამოსულა!

(მამუკა თოთიას უმცროსი ძმა იყო, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო გაწვეული).

— მამუკა?! — გაოცებით წამოიძახეს დანარჩენებმაც და ფეხზე წამოიშალნენ. ადგილზე გაუნძრევლად მარტო პაპა აბულეთი დარჩა.

---

1. ბუდე ხევსურეთში — პირაქეთა ხევსურეთში

— რომელ მამუკა? — იკითხა მოხუცმა და დავსილი თვალები სივრცეს გაუშტერა.

— ჩენი მამუკა ჩამოსულა ჯარიდან, პაპავ, ჩვენი მამუკა! — უპასუხა ისევ იმ ახალგაზრდამ, რომელმაც მამუკა პირველად იცნო.

მოხუცს ლოცვასავით რაღაც აღმოხდა, ნაოჭებით დაღარული სახე გაუცისკროვნდა და დაშრეტილი თვალებიდან ცრემლებმა დაუწყო გადმოდენა.

თუმცა თავი გულმაგარ კაცად მიაჩნდა, მაგრამ ვერც მამუკას მამა გიგია ლიქოკელი მოერია სისუსტეს, მოულოდნელად დაბრუნებული შვილი ეზოში შემოსული რომ დაინახა.

დედა ხათუთა და თოთიას მეუღლე მზექალა, რომლებიც ვახშმის თადარიგს შესდგომოდნენ, მოულოდნელმა სიხარულმა იმდენად დაამუნჯა, რომ ამბავიც ვერა ჰკითხეს ახალმოსულს ხეირიანად. ან ვინ დააცალა ამბის კითხვა ქალებს. გახარებულმა ლიქოკელებმა ხვევნა-კოცნითა და ათასგვარი კითხვებით კინაღამ სული ამოხადეს მამუკას. თან გაოცებას და აღტაცებას ვერ მალავდნენ, მის ახოვან მხარ-ბეჭს რომ შეჰყურებდნენ.

მამუკა ამ სამ წელიწადში მართლაც დამშვენებულიყო, დავაჟკაცებულიყო. სიმაღლით თოთიას ტოლს არ უდებდა უკვე. ოღონდ ეგ იყო, მასავით სრული და ძვალმსხვილი ვერ იყო.

ხორბლისფერი სახე საოცრად მეტყველი, თაფლისფერი თვალებით ჰქონდა გაშუქებული, რომელსაც შუბლზე ლამაზად გადახაზული წარბები ამშვენებდა, ხოლო ხშირი, ნაბლისფერი თმა და ახლად აკოკრილი ულვაშები კი ვაჟკაცურ იერს უმატებდა მის ლაზათიან პირისახეს.

და, აი, სამი წლის დაცილების შემდეგ იდგა იგი ახლა ახლობელ ადამიანებს შორის და უხვად უნაწილებდა მათ თა-

ვის ალალ ღიმილს, თან ხარბი მზერით ათვალიერებდა მშობლიურ სახლსა და ეზო-კარმიდამოს.

ვინ იცის, რამდენჯერ დასიზმრებია მას ეს სიპით ნაშენი, ბანიანი სახლი, სადაც თავისი ბავშვობა და ყრმობა გაატარა. რამდენჯერ უნატრია მის ჭერქვეშ თუნდაც ერთი ღამის გათენება, ამ ხალხთან შეხვედრა, ახლა ყველას ერთად რომ მოეყარა თავი მათ ოჯახში.

მაინც რა უსაშველოდ გაიჭიმა ეს სამი წელიწადი! ასე ეგონა, სიცოცხლის ნახევარი სხვაგან გაატარა. თუმცა ოცნებით მაინც ამ კუთხეში ტრიალებდა. ერთი წუთით არ მოშორებია მასზე ფიქრი. არც ამ ხალხთან გაუწყვეტია კავშირი. თავის ნაცნობ-მეგობრებსა და ახლობლებს ყოველდღე ესაუბრებოდა იქიდან.

განსაკუთრებით პირველ ხანებში გაუჭირდა მამუკას. რაღაც უხილავი ძალა თუ დაუძლეველი სურვილი დღენიადაგ უკან ეწეოდა, თავისკენ ეძახდა ეს გოლიათი მთები, ცას მიბჯენილი, ღრუბლებში თავშერგული საჯიხვეები.

არაფერს დაიშურებდა, თუნდაც ერთი წუთით შეევლო თვალი მათთვის, ერთი საღამო მაინც გაეტარებინა ამ გრანდიოზული მთების საოცარ წიაღში, ამ დამატყვევებელ და იდუმალებით გულჩახვეულ სიჩუმეში.

დიახ, ყველაფრის ნახვა ენატრებოდა. აქ კი ისევ ისე დახვდა ყველაფერი, როგორც ჯარში წასვლამდე დატოვა. არაფერი შეცვლილიყო თითქმის. მხოლოდ ერთი საწყენი ამბავი, რაც თოთიასაგან გაიგო დღეს, ეს ხევსურეთის ბარში გადასახლების ცნობა იყო. ამაზე ფიქრობდა მთელი გზა, სანამ სახლამდე მოვიდოდა. ვერაფრით შეგუებოდა იმ აზრს, რომ ერთი წლის შემდეგ ხევსურეთი უნდა დაცარიელებულიყო. ამისი უბრალოდ წარმოდგენაც კი თავზარს სცემდა, წონასწორობიდან გამოჰყავდა.

თავის ოჯახში თავმოყრილი ხალხი რომ დაინახა, მიხვდა, რომ ისინიც „ამ საწყენ ამბავს" შეეკრიბა ერთად, სიმართლის გაგება აინტერესებდა ყველას.

მიხვდა ამას თოთია ლიქოკელიც და სტუმრები ოჯახში შეიწვია.

— შევიდეთ, ხალხო, სახლში, ზოგი იქ ვილაპარაკოთ! მარტო სტუმართან არის სირცხვილი! იცნობდეთ, ჩემი ძმადნაფიცია — სამუკა ოჩიაური, არხოტიდან! — წარუდგინა ოჩიაური თოთიამ იქ- მყოფებს.

— შენი ძმადნაფიცი დღეის ამას იქით ჩვენიც ძმა იქნების! — ერთხმად წარმოსთქვეს ლიქოკელებმა და თავის დაბლა დაკვრით ხელი ჩამოართვეს სტუმარს.

როგორც კი ოდნავ თავი გაითავისუფლა, მამუკამ პაპა აბულეთი მოიკითხა. უთხრეს, მაღლა გაშლილ ტაბლასთან დავტოვეთო. ერთი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ მამუკა საყვარელ მოხუცს გულში იკრავდა და თან ალერსიანად ეკითხებოდა:

— როგორა ხარ, ლომო, როგორ? ძალიან ხომ არ დამიბერდი?..

— მამუკავ, შვილო! მაგვიხვედი მშვიდობით! — ხმა აუთრთოლდა აღელვებულ პაპა აბულეთს და თავისი სისუსტე რომ დაემალა, თვალებში მომდგარი ცრემლები მალულად შეიწმინდა. შემდეგ აკანკალებული ხელები სახეზე და თავკისერზე მოუთათუნა, გულმოდგინედ მოუჩხრიკა სახის თითოეული ნაკვთი თავის ნაშიერს. გულმკერდი და მხარბეჭიც მოუსინჯა საგანგებოდ. თითქოს მის სიმაგრეს და სიგრძე-სიგანეს ამოწმებსო.

სახეზე შეეტყო, რომ „შემოწმებით" კმაყოფილი დარჩა. ბოლოს სთხოვა მამუკას, ფეხზე ამაყენე, მინდა ვნახო ერთი, რა სიმაღლის ვაჟკაცი ჩამოხვედიო.

როცა პაპა აბულეთმა თავისი გოლიათური ტანი გაჭირვებით ფეხზე დააყენა და წელში გასწორდა, მამუკას კინაღამ მთელი თავით ასცდა, მიუხედავად იმისა, რომ წელთა სიმრავლეს იგი ბეჭებში საკმაოდ მოეხარა.

— რაო, პაპავ, ვერ ასა მამუკა ჯიშზე გამოსული? — იხუმრა ბანზე შემობრუნებული სტუმრებიდან ვილაცამ, როცა ეს ორი გოლიათი ერთიმეორეზე გადახვეული დაინახა.

— ჯიშზე უნდა იყვას, შვილო, გამასულ, თორე უჯიშო კაც კი არ, საქონიც არ ვარგ! — დინჯად უპასუხა პაპა აბულეთმა მოსაუბრეს.

— ყოველწლიურად ასე თითო მტკავლობით თუ იმატა კაცმა სიმაღლეში, ჯიშზე წასვლა კი არა, მე მგონავ, ეს გადაჯიშება უფრო ას! — ხუმრობით თქვა ტანდაბალმა ხირჩლამ, რომელიც მამუკასთან შედარებით ერთი ციდა ჩანდა. — რა ვიცი, ხალხო, ჯარში და რუსეთში მეაც ვიყავ, მაგრამ სიმაღლე არ მამმატებივ. ან სად იყვ მამუკა იმისთანა ადგილას, რას ასმევდეს ან რას აჭმევდეს ნეტარ, რო ესეთ ჩამავიდ?!...

ხირჩლას ხუმრობამ საერთო სიცილი გამოიწვია და ყველა კარგ გუნებაზე დააყენა.

— ხალხო, შევიდეთ სახლში! მანამდე ვახშამიც მოვა! — ერთხელ კიდევ შეიპატიჟა სტუმრები თოთიამ.

ჭერხოში შესულებმა როცა ყველამ თავისი ადგილი დაიკავა, ჩამოვარდნილი სიჩუმე გიგია ლიქოკელმა დაარღვია.

— გვიამბე, შვილო, რა ამბავი მოიტანე ბარისახოდან. რა ნახე, რა მოისმინე? ეს ხალხი აქ ამის გასაგოდ ას მასულ!

— ვერ მოგიტანეთ სასიხარულო ამბავი, მამაჩემო! — დინჯად დაიწყო თოთიამ. შემდეგ მცირე პაუზა გააკეთა და დასძინა:

— ხევსურეთის გადასახლების საქმე გადაწყვეტილიას!..

მძიმე დუმილი ჩამოწვა. იმედის მცირე ნაპერწკალი, რომელიც ვილაცას შეიძლება კიდევ უღვიოდა გულში, ჩაიფერფლა. თითქოს წინ მიცვალებული უსვენიათო, ისე დამუნჯებულებივით ისხდნენ ერთხანს ეს ადამიანები და სასოწარკვეთილი თვალებით შეჰყურებდნენ თოთიას, ვისმა სიტყვებმაც თითქოს ის უკანასკნელი გულის ძარღვიც ჩაუწყვიტა, რომელიც ამ მიწა-წყალთან და მშობლიურ მთებთან იყო მიბმული. ადვილი არ იყო აქ დაბადებული ხალხისათვის ბარის მიწა-წყალზე ცხოვრების თავიდან დაწყება. იქ ახალი საფლავების გათხრა თუ ახალი აკვნების დარწევა. ძნელი იყო იმიტომ, რომ აქ, ამ მიწაში მათი მამების თუ პაპების ძვლები იყო ჩაფლული, რომელსაც ასევე მიხედვა და პატრონობა სჭირდებოდა. ვის უნდა მიეხედა ამ მიწა-წყლისათვის, ვისთვის უნდა დაეტოვებინათ იგი?.. მათ ნინაპრებსაც ხომ შეეძლოთ სხვაგვარი მოქცევა, სხვაგან წასვლა და თავიანთი ცხოვრების უკეთ მოწყობა? რა თქმა უნდა, შეეძლოთ. არავინ იმათ არ აკავებდა, მაგრამ არ წავიდნენ. აქ დარჩნენ და თავის ჯილაგსა და მოდგმას ეს მიწა შეუნახეს! ასე რომ არ მომხდარიყო, ამ ულამაზეს კუთხეს აქამდე უცხო ტომისა და თესლის გადამთიელები დაეპატრონებოდნენ.

ყველაფერი ეს ამ ხალხმა განა აქამდე არ იცოდა? ძალიან კარგადაც იცოდა და არც არავინ აპირებდა აქედან ფეხის მოცვლას. მაგრამ ვინ ეკითხებოდა ხალხს, ვინ უწევდა მათ სურვილებს ანგარიშს? მათი ბედი, როგორც თოთიას სიტყვებიდან ჩანდა, უკვე გადაწყვეტილი იყო იქ, „ზევით“

— ანკი ხევსურეთის გადასახლების ამბავი ტყუილი ასავ, იმას ლაპარაკობდეს? — დაარღვია კარგა ხანს ჩამოვარდნილი სიჩუმე გიგია ლიქოკელმა.

— ხალხი ათას რამეს ლაპარაკობდა, მამაჩემო! სიმართლე, ხო ხედავთ, სხვა გამოვიდა! — უპასუხა თოთიამ.

— რაო, რა თქვეს მაინც?

— თბილისიდან იყვნენ ჩამოსულები, ჩვენი რაიკომიდანაც მოჰყვა რამდენიმე კაცი. ჰოდა, იმათ ილაპარაკეს...

— მთავარ თუ იყვ ჩამასულ? — უადგილოდ გააწყვეტინა სიტყვა თოთიას ხანში შესულმა, თითქმის წვერ-ულვაშგათეთრებულმა ბეწინა ლიქოკელმა.

— იყო.

— მერე, მერე მოგვიყევი! — მოუთმენლად შესძახეს თოთიას აქეთ-იქიდან.

— ჰოდა, იმათ ილაპარაკეს, რო ცხოვრება წინ წავიდა, მთა კი ჩამორჩა და ხალხი სიბნელეში ცხოვრობსო. ხევსურები ახალი ცხოვრების სიკეთით ვერ სარგებლობენო... გზა და სინათლე არა აქვთო, სკოლები არა აქვთო და სხვა კიდევ ბევრი...

— ეგ მართალი უთქომ! — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა ხირჩლამ.

— რა უთქომ მართალი? — შეედავნენ ზოგიერთები.

— ის, რომ არაფერი არ გვაქვს და მართლა სიბნელეში ვცხოვრობთ!..

— მერედა ვინ უშლის მთავრობას, გაგვიკეთოს გზაც, სინათლეც, აგვიშენოს სკოლები?

— სანამ აგვიშენებენ, მანამდე რა ვუყვა ყმაწვილებს? — არ იხევდა უკან ხირჩლა. — უფროსი ვაჟი — გოგიტა შარშანვე იყო სკოლაში მისაყვანი. წელს და მომავალ წელსაც ახლა სხვები მიხყვებიან კიდევ! რა ვუყვა ახლა მე იმათ? უსწავლელები დავტოვო?..

—პირიქითიდან[1] თუ მახყავ ბალღები ბარისახოში, შენ

---

1 პირიქითიდან — იგულისხმება პირიქითა ხევსურეთი.

როგორ ვერ მიიყვანან? აქვე არ არის ბარისახოს სკოლა-ინ-ტერნატი? — შეედავა ხირჩლას უცოლშვილო მიხეილ ლი-ქოკელი, რომელიც ასაკით სტუმრებიდან ყველაზე ახალ-გაზრდა იყო.

— სად წავიყვანო, კაცო, თითისტოლა ყმანვილები? ვინ მოუვლის იქ იმათ?

— ეგრე არ უვლიან სხვებისას, რაღაც შენებს არ მოუვ-ლიან? — არ უთმობდა მიხეილიც.

— ზოგიერთები თუ წავიდნენ ბარში, ვერ ცხოვრობენ არა კარგად? — შეუბრუნა სიტყვა ხირჩლამ. — თავის თავს თვითონვე დაღნატრიან. ამწინაზე ბაღათერა იყო ამოსული ბარიდან, იმან ილაპარაკა: მანდ ან აქამდე რას ვეჯექ, შე-შის, თივის და ნავთ-მარილის თრევით წელი მქონდა მონყ-ვეტილიო. აქ კი მანქანა კარებზე მომდის, სკოლა და მაღა-ზია გვერდზე მაქვს, არაფერზე შეწუხება არ მინდაო. იჯექ ეხლა აქ და იწყვიტე წელიო.

— აი, სწორედ ბაღათერასნაირები და, როგორც ვხედავ, შენნაირები აფუჭებენ საქმეს, ჩემო ხირჩლა! — ჩაერთო სა-უბარში თოთია. — ყველა რო წავიდეს, აქ ვილამ უნდა იც-ხოვროს, გეკითხები! უპატრონო ეკლესიას ეშმა[1] დაჰპატ-რონდავ, არ გაგიგონივა შენ? ასე დაგვემართება ჩვენც!..

— შენ არა გითქომა იქ? — ჰკითხა გიგიამ შვილს.

— მე იქაც ის ვთქვი, რასაც ეხლა ხირჩლას ვეუბნები. ძა-ლიან კარგია მთავრობა რო ასე ყურადღებას გვაქცევს, მაგ-რამ ვინც ამ გეგმას ადგენდა, იმას რატო აღარ ფიქრობდა, რო ამით მთას, მთელ ხევსურეთს დავკარგავთო. — ვუთხა-რი. აგე რას ამბობს ხირჩლა ბაღათერაზე. დაბრუნდება კი-დევ ის ხევსურეთში? არ დაბრუნდება!.. დაბრუნებას ვინ იტყვის, ის იმასაც კი ნანობს, რაც აქამდე აქ იცხოვრა. ბა-

1. ეშმა — ეშმაკი

ღათერაზე ადრე სხვები წავიდნენ კიდევ. ასე გავნახევრდით და ბევრგან სოფლების მაგიერ ნასოფლარებიღა დაგვრჩა!

ეხლა ჩვენ ხევსურების ბარში ჩასახლება კი არა, მათი აქ, მთაში დამკვიდრება უფრო გვჭირდებისავ, ვთქვი მე იქ.

— სწორ გითქომ! — კმაყოფილებით ჩაიბუბუნა პაპა აბულეთმა და მზერა იქით მიაპყრო, სადაც თოთია იჯდა. — ჩვენ კაც ბარ ადგილს ვერ ჰგუობს!

— რა თქვეს, სად გვიპირებენ გადასახლებას? — იკითხა ბეწინამ.

— წითელწყაროს, გარდაბნისა და ნაწილობრივ დუშეთის რაიონის ბარის სოფლებშია ნათქომი.

— მაგ ადგილებში ნავალი ვარ მეაც.[1] — მცირე ფიქრის შემდეგ თქვა ბეწინამ. — ისეთ მინდვრებიას ტიალ, თვალ არ გასწვდების! მასავალ ხო იცის და იცის, მაგრამ სიცხეი ოხერ!.. ჩვენ ხალხს ძალიან გაუჭირდების იქ!..

— ხევსურეთის ყველა სოფელს მაუწევსა აყრა, თუ როგორ იქნებ ნეტარ? — იკითხა აქამდე ჩუმად მჯდომმა დათვიამ, რომელიც თავისი ზორბა ტანით, ტორებივით წინ დაწყობილი ხელებით და წვერგაუპარსავი, ბანჯგვლიანი, უზომოდ დიდი თავით მართლაც რაღაცით ჰგავდა თავის ტყიურ სეხნიას.

— ეგ, ჩემო დათვია, არავინ იცის. შეიძლება ამ კუთხის სოფლებს ხელიც არ ახლონ, შეიძლება ერთი კვამლიც[2] არ დატოვონ...

ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც მზექალამ სტუმრებს ვახშამი მიართვა და დაწყებული ლაპარაკი შეაწყვეტინა.

ხის ხონჩებზე ახლად ამოყრილმა ხინკალმა, თოთიას მიერ ძმის ჩამოსვლისთვის საგანგებოდ გამოხდილმა ჟიპიტა-

---

1 მეაც — მეც.
2 კვამლი — კომლი, მოსახლე.

ურმა და სვიანმა ლუდმა ყველას საუცხოო გუნება-განწყობილება დაუბრუნა და ნელანდელი საწუხარი ერთი წუთით თითქოს გადაავიწყა კიდეც. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, იქ მყოფთა სახეებზე თავისთავად გაქრა სევდისა და დაღვრემილობის ჩრდილი და მის ნაცვლად ღიმილის შუქმა დაივანა.

ხარობდა ოჯახი მამუკას ჩამოსვლით და არ შეიძლებოდა ეს სიხარული სხვებსაც არ გადასდებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც თოთიას ძმადნაფიცმა ოჩიაურმა მოილხინა, რომელიც შესანიშნავი მოკაფიავე და ფანდურზე მომღერალი აღმოჩნდა.

რაღა სადღეგრძელო არ დაილია სუფრაზე — ოჯახის ფუძის ანგელოზიდან და მთა-ბარის სალოცავებიდან დაწყებული, წინაპართა და დაღუპული ახლობლების ხსოვნით დამთავრებული. მოიგონეს ხევსურეთში მომხდარი ბევრი საგმირო ამბავი, თქვეს იმ მამაცი „ვოჟების" შესანდობარი, რაზედაც პაპა აბულეთმა მწარე სინანულით ჩაილაპარაკა:

— ეჰ, აღარ ას დღეს ვაშკაცობა და სირცხვილ-ნამუს, უფროს-უმცროსობა, ერთსხვის გატანა და დანდობა! უწინ საკარგყმო თას წინნინ შასვიან![1]

— სწორიას, სწორი! — ერთხმად დაუმოწმეს მოხუცს აქეთ-იქიდან.

— აბა, მაგონებულზე ეს თას შამისვი, ბიძაისავ! — შეახსენა ოჯახის უფროსმა ოჩიაურს და სავსე თასი ახლოს მიუცურა.

— არა, ჯერ ლექსი გვიმღეროს, ლექსი! — წამოიძახა კარგად შეზარხოშებულმა, სახეწამოჭარხლებულმა მიხეილმა და იქვე მიყუდებულ ფანდურს მისწვდა.

---

1 შასვიან — დალევდნენ.

— თუ იმღერებს, მაგას რა სჯობ! — კვერი დაუკრა გიგია ლიქოკელმაც და თან მესუფრეებს გადახედა, თითქოს მათგანაც დასტურის მიღება უნდაო.

— ჰო! ჰო! გვიმღერე, გვიმღერე! — ახმაურდნენ შექეიფებული ლიქოკელები და ამღვრეული მზერა არხოტიონს მიაპყრეს.

ოჩიაურს დიდი თავპატიჟი აღარ დაუწყია, მიხეილს ფანდური ჩამოართვა, სიმებს ჩამოჰკრა, თვალები მინაბა და ტკბილი, ხავერდოვანი ხმით შემოსძახა:

დაჯვე და უნდა ვიამბა ამბავი ხევსურეთისა;
წინათ კარგი დრო ყოფილა, დაწესებული ღმერთისა, —
სკამები თავში სასხდომი ყოფილა უფროსებისა;
ყოფილა სახელ-სირცხვილი, ახლა კი იკარგებისა.
მე კი წინა დროს მივღნატრი, სანატრელია ჩვენთვისა.
წინათ ყოფილა ბიჭობა, დროება კარგი ყმებისა;
თურმე მისციან კაი ყმას ყანწები ჯიხვის რქებისა,
თან თქვიან სამდღეგძელოი კარგი ყმის გამარჯვებისა!..

— ჰაი, დედასა!.. ეგრ იყვ უწინ, ეგრ! — აღტაცებით წამოიძახა ხანში შესულმა ბეწინა ლიქოკელმა, რომელიც მართლაც იმ „კარგი და სანატრელი დროს“ ცოცხალი მოწმე იყო პაპა აბულეთთან ერთად.

ოჩიაურმა ერთი წუთით გაწყვეტილი სიმღერა კვლავ გააგრძელა:

„შენც გაგიმარჯოს!“ — უთხრიან, მნახველი ჭიუხებისა,
სოფლისად გამასადეგო, გულის ყინვარო მტრებისა![1]
ეხლა სად არის ის დროი, ნაქონი წინაჟმებისა;
ეხლა მისია სახელი, ვინც მაგრა დაითვრებისა!

თვის ზომას გადასცილდების, ბოზობ-ქურდობას შვრებისა.

---

1 მტრების გულის ბოღმავ, მტრის გამჯავრებელო.

ბოზობ-ქურდობის მოქმედი ჯარზე სათავეს ჯდებისა;
ხელში აიღებს ჩონგურსა, სულ თავში გადახდებისა;
ყურს არას უგდებს უფროსსა, მარტო თავის ჭკვას ხყვებისა;
რო იყოს ქეიფობაი, ჯარი ვერ დარიგდებისა.
ზოგ სამამაცოდ შადგების, ხანჯარას ეზიდებისა.
თუ საით ნახვენ ქალები, ჩხუბობს, არ გაჩერდებისა;
მეშველში ზიდილს დაიწყებს, დაჭერა გაჭიდებისა,
დაიწყებს ტრაბახობასა: „ჩემფერ არ გაიზრდებისა!"
ბნელა კუთხეში დაჯდების, იქიდან იცქირებისა;
ქალებს რო მოეწონება, დიდ რამედ ეფასებისა...

— ჰა, ჰაა, ჰააა! — მორღვეული კედელივით დაიგრუხუნა ახლა დათვიამ და თავისი ვეება სხეულით მოშლილ ძრავასავით ათუხთუხდა.

— რა მართლად ას ნათქვამ, ჰა! — რამდენიას ეგეთ! ჰაა, ჰა�ა, ჰაააა! — ველარ იკავებდა ხარხარს დათვია.

— დააცადე კაცს! დაამთავრებინე სიმღერა! — შეუწყრა „ათუხთუხებულ" დათვიას ხირჩლა. თუმცა სხვებთან ერთად თვითონაც გულიანად იცინოდა.

როცა სიცილი ოდნავ ჩაცხრა, არხოტიონმა ფანდურს კვლავ ჩამოჰკრა და უფრო ომახიანად დასძახა:

ყურს კი არ უგდებს კაი ყმა, სხვა რამე აგონდებისა,
ვინტოვკა არშავიანი, ტყვია რო ძვალზე სქდებისა.
შორიდან დაველებული გალავანს გადახტებისა,
ზედ გადაივლის მკვდარზედა, გული არ გაუსქდებისა.
ტელეფონივით წავალის მთელ სოფლებს ეფინებისა,
გაუხარდების ბევრასა, ბევრას ქვეც ეწყინებისა.
რა არის ზოგის სიკვდილი, სოფელს არ გასცილდებისა;
გაიგონ, არ ეწყინება, კიდევაც ემადლებისა.
რას არგებს ქალაჩუნასა მარტო ტირილი დედისა.

კარგს კი შანდობას ეტყვიან, დიდხანს არ ავიწყდებისა.
იტყვიან შესანდობარსა, რადგანაც ეკვეხებისა.
მაგის მეტს აღარ ვიამბობ, ეგ თქვენი გამარჯვებისა!

შეწყდა სიმღერა. ოჩიაურმა ფანდური გვერდზე გადადო, თასი აიღო და მოკლედ დაილოცა:

— ეს თას საკარგყმოი და თქვენი გამარჯვებისა და დღეგრძელობისაც იყვას, სტუმრებო!.. თქვენც ჯვარი დაგწერასთ, მასპინძელო! ღმერთმა თქვენ თავ ნუ გამამართვას. სრუ მუდამ ლხინზე გვადინნას[1] თქვენს სახლში! კლოვ[2] მამუკაის ქორწილში მაგვიყვანნას!..

მასპინძელმა ქუდმოხდით ასევე მოკლედ უპასუხა:

— აგრემც ჭირს მაგპარავ, არხოტიონო! მადლობელნი ორთ.[3] ღმერთმა იმთვენ შაგვაძლებივას, რო თქვენ პატივისცემა, თქვენ მახედულობა ლხინზე გადავიხადათ!

— აი, გადღეგრძელას ღმერთმ, გაცოცხლას!

— ენა-პირ შაგარჩინას ღმერთმ!

— სრუ მუდამ კარგი გაუბნას და გამღერას! ამ სახლში ლხინზე გატარას! — დალოცეს თოთიას ბიძაშვილებმაც არხოტიონი.

მცირე დუმილის შემდეგ პაპა აბულეთმა იმ მხარეს მიაპყრო დავსილი თვალები, სადაც ოჩიაური ეგულებოდა და იკითხა:

— ვის ნათქომიას ეგ ლექს, არხოტიონო?

— იდუკას ეძახდეს, პაპავ, მუცოში ცხოვრობდა.

— რაგვარ იყვ, ვის შვილ?

— ჭინჭარაული იყო, გიგუჩის შვილი.

— ვიცნობდი მე გიგუჩ ჭინჭარაულს, შვილიც კარგ ჰყოლივ! — მცირე ფიქრის შემდეგ თქვა მოხუცმა.

---

1 გვადინნას — გვატაროს, მოგვიყვანოს.
2 კლოვ — შემდეგში, შემდგომ.
3 ორთ — ვართ.

— იდუკა სადღა წავიდა მუცოდან? — შეეკითხა ძმადნაფიცს თოთია.

— იდუკა ცოცხალი აღარ ას. ქისტებმა მოკლეს ოცდახუთი წლის ვაშკაცი!

— უჰ, რა ჯეილი მამკვდარა! ცოდვა არ იყო ემაგ ლექსის მათქვამის სიკვდილი?!.

— მართლაც ბრალი ას ეგეთაის სიკვდილ!.. შაიწყალას, შაუნდნას! — სინანულით ჩაილაპარაკა პაპა აბულეთმა და თასი ოდნავ მოსვა.

იდუკას შესანდობარი სხვებმაც დალიეს.

— არხოტიონო! გვიმღერე კიდევ, აი, ესე გეხვეწები! — ყელი გამოუწია ხირჩლამ ოჩიაურს ცოტა ხნის შემდეგ.

— რა ვიცი, აბა, რა გიმღეროთ თქვენი მოსაწონი?

— ხევსურეთის აყრაზე[1] არავის რა აქვა ნათქვამ?

— როგორ არა! ერთი კარგი ლექსი გამამიგზავნა ამ წინაზე ჩემმა ძმადნაფიცმა კობა შეთეკაურმა. თუ არ დამავიწყდა, გიმღერებთ ამ ლექსს! — თქვა ოჩიაურმა და ფანდური ისევ აიღო.

— აბა, აბა! გვიმღერე, გვიმღერე! — თითქმის ერთხმად წამოიძახეს ლიქოკელემა და ახალი სიმღერის მოლოდინში ისე გაინაბნენ, რომ ამ საერთო სიჩუმეში სასაცილოდაც კი გაისმა დათვიას როყიო ხმა:

— სიჩუმე იყვას!.. ხელ არავინ შაუშალათ!..

ოჩიაურმა დაბალი, გულში ჩამწვდომი ხმით თითქოს ფანდურს ჩაამღერა:

გადმოგიტანე, დაგიკარ, ჩონგურო, სამლარიანო!
მინდა გიამბო სიმართლე, დრონი რაც მოგვაცდიანო.
ხევსურეთს წასვლა[2] გვიხნია, მოგვენატრებით, მთიანო!

---

1 აყრა — იგულისხმება გადასახლება.
2 წასვლა — იგულისხმება გადასახლება.

გვიშველეთ, ჩვენო ხატებო, გიორგივ ცეცხლის ხმლიანო!

ასტეხეთ ქარი — ნიავი, გზა-ხიდ რო გაატიალო.
დაიბრუნენით საყმონი, თქვენ კარზე ქუჩდებიანო,
ქება-დიდებას გიძღვნიან, ქუდ-მუხლით გიდგებიანო.
გმირ მამა-პაპათ ჭირიმე, ძვლები არ გვეთმობიანო.
საფლავში სიპის კუბონი ოქროსას გვირჩევნიანო!
ტკბილი ხარ, როგორ გაგწირო, სამშობლო, ოხერ-ტიალო!
ზამთარში თეთრად ნაფერო, ზაფხულში ყვავილიანო!..
ატირდეს მონადირენი, ჭიუხებს შორდებიანო.
ჯიხვნი, ყინულში ნაზარდნი, მთით ბარად ჩამოდიანო.
გაწირეს სალი კლდეები, მწვანილზე ლაღობდიანო.
შურთხი გალობას დაიწყებს, მთავ, გასუქდები, ტიალო!
ოხ, შენაც ოხრად დარჩები, ვინტოვკავ, არშავიანო!
ბევრი გაგწირავს პატრონი, თვალთ ცრემლი ერევიანო;
ლამაზ ქალივით გულს გიხვევს: „მშვიდობით ფოლადიანო!“
პატრონის დატოვებულნო, დაიჟანგებით, ტყვიანო.
ბევრს ღგონავ ხევსურის შვილსა, ვალნი მეც შემრჩებიანო.
თუ წავლენ ხევსურთ შვილები, სხვა რჯულზე დადგებიანო;
ვინც არის ბოროტიანი, ფიქრნი თან წახყვებიანო;
დაგიბრიყვებენ დუშმანნი, შენ სკამზე დასხდებიანო.
დრო მოვა, ისევ გაჭექებს, ვინტოვკავ არშავიანო!
ბევრისად გამასადეგო, ბევრისად ღალატიანო.
ამაგის მალექსებელსა სახელად კობა მქვიანო,
ნეტა დღე-წერა მაცოდინ, სადა-რა შამჭამთ, ჭიანო!
დამთავრდა სიმღერა და დუმილი ამჯერადაც არავის

დაურღვევია. როგორც ჩანდა, ლიქოკელებზე მოსმენილმა ლექსმა მძიმე შთაბეჭდილება დატოვა და ცოტა ხნით მივიწყებული სევდა და ტკივილები ისევ აუშალა. იმათ ღრმად დაღარულ შუბლის ნაოჭებში, სახის კუშტად შეკრულ, დაძაბულ ნაკვთებში და აწ უკვე ცივად გამომზირალ გამოხედვაში აშკარად შეიმჩნეოდა რაღაც შინაგანი ძრწოლა, უძირო სევდა თუ ღრმა სინანულით გამოწვეული ტკივილი, რომელიც გამოუვალ შიშსა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა ამ ხალხს.

დიახ, ამ ადამიანებმა არხოტიონის სიმღერის დროს ერთხელ კიდევ ნათლად წარმოიდგინეს თავისი აწენილი სახლკარი, მიტოვებული საფლავები და გული მწარედ შეეკუმშათ. გახსნილ ჭრილობასავით ემწვავათ ყოველივე ამის წარმოდგენა. მოსახდენი დღეს იქნებოდა თუ ხვალ, მაინც უნდა მომხდარიყო. ეს უკვე გადაწყვეტილი იყო და აღარაფრის შეცვლა და შველა არ შეიძლებოდა. აი, ამ შიშს დაემუნჯებინა ეს ხალხი ახლა და მწარედ ჩაეფიქრებინა.

სწორედ ამ სამარისებურ სიჩუმეში, როცა ოთახში მყოფთ ერთიმეორის სუნთქვა და გულის ფეთქვაც კი ესმოდათ, გარედან საშინელ გრგვინვასავით შემოიჭრა ვილაცის ხმა:

— ჰაი, თოთიავ, თოთიააავ!..

ძახილს სოფლის ძაღლების გაავებული ყეფა და გნიასი მოჰყვა. ოთახში მყოფნი შეკრთნენ და მიაყურეს.

— ვინ უნდა იძახდეს ამ დროს, ნეტარ? — ჩაილაპარაკა თოთიამ.

— ვინ ას, რომელ იძახს მანდ? — გაეპასუხა ამ დროს გარედან თოთიას ცოლი.

— თოთია სად ას? — მოისმა უცნობი მამაკაცის ხმა.

— შინ ას. წამოდი! რომელი ხარ?..

— საქმეზე ვარ მოსული, მეჩქარება! პატარა ხანს გამავიდეს თოთია გარეთ!

მზექალა სახლში შებრუნდა ქმრის დასაძახებლად.

— რაო, ვინ იძახის? — ჰკითხა კარებში გაჩერებულ ცოლს თოთიამ.

— უცხოიას ვიღაც.

თოთიამ სტუმრებს ბოდიში მოუხადა და ოთახიდან გავიდა.

წყნარი, მთვარიანი ღამე იყო, ღრუბლიანი. თითქმის ბნელოდა. მხოლოდ დროდადრო, როცა ღრუბლებში შემალული მნათობი მორცხვი ქალწულივით გამოაჩენდა ხოლმე ლიმონისფერ ლოყას, მაშინ თუ განათდებოდა არემარე მკრთალი შუქით, ისიც მცირე ხნით.

როცა თოთია გარეთ გამოვიდა, მთვარემ ოდნავ გამოიჭვრიტა ღრუბლებიდან და მაშინ დაინახა, რომ სახლის მოშორებით, ცაცხვის ქვეშ, ვიღაცის ლანდი იდგა.

— რომელი ხარ? მოდი, რა შორიდან იძახი? — გასძახა თოთიამ ლანდს.

მაგრამ უცნობმა რატომღაც დუმილი და ხის ჩრდილში ყოფნა ამჯობინა, რამაც თოთია ერთი წუთით დააეჭვა კიდეც. მაგრამ უცნობი სტუმრის შესაგებებლად მაინც გასწია ცაცხვის ხისაკენ. ამ დროს ლანდიც ამოძრავდა, რამდენიმე ნაბიჯით წინ გამოვიდა და ცივი, ხრინწიანი ხმით იკითხა:

— შენა ხარ, თოთიავ?

— ჰო, მე ვარ. შენ რომელი ხარ, კაცო, ხმაზე რო ვერა გცნობ?

პასუხად უცნობმა რაღაც ღმუილისმაგვარი ხმით ამოიხრიალა:

— მიქელ გაბრიელი ვარ. შენი სულთამხუთავი!..

იმავე წამს გაისმა ჩუმი გმინვის, ხრიალისა თუ ბრაგვა-

ნისმაგვარი ხმა. ერთიმეორეზე გადაჭდობილი ორივე ლანდი მიწაზე გაგორდა და მცირე გაბრძოლების შემდეგ ფერდობზე გადაეშვა. გამწარებული ბრდღვინვა და ყრუ ხრიალი ერთხანს კიდევ მოისმოდა ქვემოდან. შემდეგ ისიც შეწყდა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმა ლანდმა ფერდობზე ამობობღება დაიწყო და ცაცხვის ხისაკენ წამოვიდა. წეღანდელი შებრძოლების ადგილას ერთხანს იბორიალა, წელში ოდნავ მოხრილი, ხელების ფათურით ჩანდა, რომ რაღაცას ეძებდა, მაგრამ რაკი ვერაფერი იპოვა, ბურტყუნით სიბნელეში გაუჩინარდა.

სახლში მყოფები კარგა ხანს ელოდნენ თოთიას შემოსვლას, მაგრამ, რაკი საეჭვოდ შეაგვიანდა, გიგია თავის უმცროს შვილს მიუბრუნდა და უთხრა:

— სად ას, აბა, ის კაცი ამდენი ხანი? თუ რამე სალაპარაკოი აქვ, წამოვიდ#ან და აქ იბნან!

მამუკა გარეთ გამოვიდა. ბანზე დადგა და მიაყურა,მაგრამ რაკი არავითარი ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, თოთიას გასძახა. პასუხად ძაღლების ღავღავმა გააყრუა ხეობა.

შემდეგ მამუკამ სახლის ირგვლივ მიიარ-მოიარა, ყველგან მოათვალიერა, მაგრამ ამაოდ.

ავი წინათგრძნობით გულშეძრულმა და შეფიქრიანებულმა მამუკამ ერთხელ კიდევ გასძახა სიბნელეს:

— თოთიაააა, ჰაი, თოთიااااა!..

არც ამჯერად გამოჰპასუხებია ვინმე.

შეშფოთებული შემობრუნდა უკან. ოთახში შევიდა და აღელვებულმა ამცნო იქ მყოფთ:

— არ არის, გაქრა კაცი!

— როგორ თუ არ ას! მაშ, სად წავიდა?! — გაოცებულმა წამოიძახეს სუყველამ ერთხმად და ფეხზე წამოიშალნენ.

— გარეთ არ არის! — თქვა მამუკამ.

— იქნებ სადმე წაიყვანა იმ მოსულმა? — გამოთქვა თავისი ვარაუდი ოჩიაურმა.

— უთქმელად სხვაკან არ წავიდოდა. ეხლა რა სხვაკან წასვლის დროიას? — უარყო ოჩიაურის მოსაზრება გიგია ლიქოკელმა.

— არა, აქ სხვა რაღაცაშია საქმე! გავიდეთ, ხალხო, მოვძებნოთ! — დაიბუბუნა დათვიამ და კარებისკენ გაემართა.

— ცოტა ხანს კიდევ მოვუცადოთ, დათვიავ, თუ არ გამოჩნდა, მერე მოვძებნოთ! — თავშეკავებული სიმშვიდით თქვა მასპინძელმა.

— რაღას მოვუცადოთ, იქნებ როგორ ას საქმე?..

— დათვია სწორეს ამბობს, კაცს მოძებნა უნდა! — მხარი დაუჭირეს დათვიას ხირჩლამ და მიხეილმა.

— რაღაც არ მამწონს ეს ამბავი! — ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა პაპა აბულეთმა და ყალივნის კვამლი ღრმად ჩაისუნთქა.

— მოსისხლე ხვარავინ ხყვანდა თოთიას? — იკითხა არხოტიონმა.

— არა, შვილო! კაცის „თავსისხლი" რო ვისმე გვემართას, შენც გეცოდინებოდა ეგ! — უპასუხა თოთიას ძმადნაფიცს მასპინძელმა. — მაგრამ რა გაიგების, არეულიას ქვეყანა და ნდობაც აღარავისა შაიძლების!

— უიარაღო მაინც არ უნდა გასულიყო. რა იცი, ვინ გეძახის, ვის რა მტრობა უდევს გულში! — გამოთქვა თავის მხრივ ეჭვი ხირჩლამ და შემდეგ მამუკას მიუბრუნდა — ჩვენ ჯეილები გავიდეთ, უფროსები დარჩნენ აქ!..

— მამუკა შვილო! რაკი არ იშლით, ფარან წაიტან,[1] სიბნელეიას მაინც!

---

1 წაიტან — წაიღე.

ოთახში გიგია, ბეწინა და პაპა აბულეთი დარჩნენ.

გარეთ გასულები პირველ რიგში ისევ ცაცხვის ხესთან შეგროვდნენ და იქიდან დაუწყეს ძახილი თოთიას. მაგრამ გაღმა-გამოღმიდან მეზობლის დედაკაცების გამოპასუხების მეტი ვერაფერი გაიგონეს.

— ვინ რას იძაااااახს? — დაიწყეს კივილი ქალებმა ჯერ ზევიდან დათვიას, ხოლო შემდეგ გაღმა ხირჩლასა და ბეწინას სახლიდან.

— თოთია ხვარას მანდ, თოთიااااა? — ქუხილივით დაიარა დათვიას ხმამ ხეობაში.

— არ ას, ااარ! — იყო ქალების პასუხი.

აწრიალებულმა ლიქოკელებმა აღარ იცოდნენ რა ეღონათ. რა გზას დასდგომოდნენ. ან სად ეძებათ ასე უცბად და უკვალოდ გამქრალი მასპინძელი. შეშფოთებულები ერთიმეორეს შიშით შეჰყურებდნენ და ყველას ერთი აზრი უტრიალებდა თავში: თოთიას თავს რაღაც უბედურება იყო დატეხილი.

ამ მდგომარეობაში რომ იყვნენ, უცებ მამუკამ ერთ ადგილას ფარანი დაბლა მიწაზე მიანათა და დაკვირვებით დაუწყო ყურება. შემდეგ ბალახზე მოუსვა ხელი და სინათლესთან ახლოს მიიტანა. ფარნის შუქზე ყველამ დაინახა, რომ მამუკას ხელი სისხლში ჰქონდა მოსვრილი.

გაფითრებულმა მამუკამ მწარედ ამოიგმინა და სისხლიან ხელს გაოგნებული დააშტერდა.

— სისხლი?!... საიდან მოვიდა აქ ეს სისხლი?.. ნუთუ თოთიას... — აღარ დაამთავრა სათქმელი და თვალებში ელვა გაეკლაკნა.

— უბედურებაა, ძმებო, ნამდვილად თოთიას თავს, რაღაც უბედურებაა! — სასოწარკვეთილმა წამოიძახა მან შემდეგ და ფარნის შუქზე სისხლიან ნაკვალევს გაჰყვა.

ყველანი ფერდობს დაუყვნენ და ოციოდე მეტრის დაშორებით, გადათელილ შამბში, მამაკაცის გვამს წააწყდნენ. სიბნელის გამო პირველად ვერ გაარჩიეს, ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ დროს, თითქოს განგებ, შავად პირშეკრულმა ღრუბლებმა მკერდი გადაიხსნეს და სავსე მთვარემ იქაურობა ისეთნაირად გაანათა, რომ თავზარდაცემულ ლიქოკელებს ვერაგული მკვლელობის საზარელი სურათი წარმოუდგა თვალწინ: თავისივე სისხლის გუბეში პირქვე დამხობილი თოთია უსულოდ ეგდო ბალახებში და მარცხენა ბეჭის ქვემოთ, ზურგიდან, ფოლადის ეშვივით ამოჩრილი სისხლიანი დაშნის წვერი მოუჩანდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მკერდში ჩარტყმულ მახვილს მისთვის შიგ გულში გაევლო და იმავე წუთს სიცოცხლე მოესპო.

— ვაიმე, ძმაო!

— ძმაო თოთია! — თითქმის ერთდროულად ამოიკვნესეს მოკლულის ძმამა და მისმა ძმადნაფიცმა. ორივემ ცხედართან ჩაიკეცა.

როცა გვამი გულაღმა გადმოაბრუნეს, იქ მყოფნი კიდევ ერთმა მოულოდნელობამ შეაძრწუნა: სისხლიანი ჭრილობიდან ცალთვალა, შავ ასპიტს ამოეყო თავი, რომელიც ისე ჩანდა, თითქოს გაღებული პირით და მწვანედ მოლაპლაპე ცალი თვალით ახალი მსხვერპლის დაგესვლას აპირებდა.

უხსენებელის დანახვაზე ყველამ იარაღზე მოისვა ხელი და უკან დაიხია.

— ამ წყეულს აქ რა უნდა?! — წამოიძახა არხოტიონმა და ხანჯალს სანახევროდ ამოსწია ქარქაშიდან, რომ ქვეწარმავლისათვის თავი წაეცალა.

— მოიცა ერთ წუთს! — თქვა მამუკამ და ფარანი ახლოს მიანათა.

— დაშნის ტარი ყოფილა! — როგორღაც შეცვლილი ხმით წარმოსთქვა მან.

— დაშნის ტარი?! — ერთხმად წამოიძახეს გაოცებულმა ლიქოკელებმა.

— აი, დასწყევლოს გუდანის ჯვარმა![1] მე ის წყეული მეგონა! — ვერ დამალა თავისი განცვიფრება არხოტიონმა და დაშნის ტარს უფრო ახლოდან დააკვირდა.

შავი რქისაგან დიდი ხელოვნებით და საოცარი ოსტატობით გამოკვეთილი ქვეწარმავლის თავი შავი ლაკით იყო დაფარული. ლირწი კანის ბზინვა, დასაგესლად გაღებული პირი, ავად მოკიაფე, მომნუსხავი მზერა, რომელიც მძივის მარცვლისხელა მომწვანო შუშის ნატეხიდან აშუქებდა, უცაბედი ელდისა და ძრწოლის შიშს იწვევდა. მეორე თვალის ადგილას კი ცარიელი ფოსო იყო დარჩენილი, საიდანაც, როგორც ჩანდა, შუშა ადრევე უნდა ყოფილიყო ამოვარდნილი.

მამუკამ რამდენჯერმე სცადა დაშნის მკერდიდან ამოძრობა, მაგრამ იგი იმდენად ღრმად იყო შიგ ჩამჯდარი, რომ ხელის მოსაკიდებელი ადგილიც აღარ ჰქონდა დარჩენილი. აშკარა იყო, რომ მკვლელმა ან იმდენად ძლიერად და შეუბრალებლად ჩასცხო თოთიას მახვილი, რომ მისი ტარიც შიგ ჩააყოლა, ანდა, რაც უფრო სავარაუდო იყო, შებრძოლებისას იარაღის ტარი ხელიდან გაეშვა და თოთია წაქცევის დროს მას ზედ დაეგო.

ლიქოკელებმა, როგორც იყო, დიდი სიფრთხილით ამოიღეს გვამიდან ეს მეტად უცნაური იარაღი და კარგა ხანს ათვალიერებდნენ მას კრიჭაშეკრულები.

მტანჯველი კითხვები, რომელიც ამ წუთში თითოეულ მათგანს უტრიალებდა თავში და გონებას უფორიაქებდა,

---

1 გუდანის ჯვარი — ხევსურების მთავარი სალოცავი

გავარვარებული რკინის მარწუხივით შანთავდა მათ გულს და მწუხარებას უორკეცებდა, რადგან ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ ორ ადამიანს შეეძლო: თვითონ მკვლელს, რომელიც არ იცოდნენ ვინ იყო, და მოკლულს, რომელიც ახლა მათ წინ საუკუნოდ დადუმებული და თვალებგაყინული ესვენა.

აქ მყოფთაგან არავინ უწყოდა:

— ვინ იყო თოთიას მკვლელი?

— რა იყო ამ ვერაგული და მუხანათური მკვლელობის მიზეზი?

— ვისთან ჰქონდა თოთიას ისეთი მტრობა, რომელიც უცილობლად სისხლის დაღვრით უნდა დამთავრებულიყო?..

აი, ამდაგვარი აზრები და საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ეჭვები ღრღნიდა ლიქოკელების გულს, მაგრამ შურისძიების ჟინით დაბნელებულ მათ გონებას ამჟამად არათუ რაიმე სერიოზული დასკვნის გაკეთება, ნორმალური აზროვნების უნარიც კი წართმეოდათ. მათ მწუხარებას სირცხვილისა და საკუთარი უმწეობის განცდა უფრო ახელებდა ახლა, რადგან ერთად შეკრებილი ამდენი ძმა-ბიძაშვილებისა და ნათესავების თვალწინ ვიღაცა ნაძირალამ ისე გამოასალმა წუთისოფელს მათი ახლობელი და საყვარელი ადამიანი, რომ ისიც არ იცოდნენ, ვისზე ეძიათ შური. აქ დაღვრილი სისხლის სანაცვლოდ ვისი სისხლით ჩამოერეცხათ ოჯახისა და მთელი საგვარეულოს სირცხვილი. სწორედ ეს უმწეობა სტანჯავდა თითოეულს. ამიტომ ჩაექინდრათ თავები უსიტყვოდ. ამიტომ ხვდებოდნენ სიკვდილის ზეიმს ისინი ასე დახრილი თვალებით და ქარქაშში ჩაგებული ხანჯლებით.

ბოლოს მამუკამ ცხედართან ჩაიჩოქა. გვამი ჯერ კიდევ

თბილი იყო და ცოცხალივით იწვა. ასე ეგონებოდა ადამიანს, ბალახში ზურგზე ამობრუნებული ცას შეჰყურებს და ისვენებსო. ღიად დარჩენილ თვალებს თითქოს სიცოცხლე შერჩენოდა. გადიდებული გუგების სიღრმეში ჩაძირული მთვარის მიბნედილი ციალი და სუსტი თრთოლვა ადამიანს აკრთობდა. შეკრთა მამუკაც, როცა მიცვალებულის ცივ მზერაში სინათლის ეს უცნაური ციმციმი და თამაში დალანდა. თავისდაუნებურად ქუთუთოებზე ჩამოუსვა ხელი და გაშლილი ხელები მკერდზე დაუკრიფა. შემდეგ ფეხზე წამოდგა და სთხოვა ბიძაშვილებს, გვამი სახლში გადაესვენებინათ.

გულდამძიმებულმა ლიქოკელებმა თოთიას ცხედარი ფრთხილად ასწიეს და ნელი სვლით სახლისაკენ გაემართნენ.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ იქიდან სასოწარკვეთილმა კივილმა და გოდებამ ერთხელ კიდევ შეძრა ლიქოკის ხეობის საყდრული მყუდროება.

ფიცი

გასვენების დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ლიქოკელების ოჯახში. სახელოვანი ვაჟკაცის ტრაგიკული მკვლელობის ამბავი მთელ ხევსურეთს მისწვდა და მის საგლოვად და ოჯახის „ჭირის საწყენად" ახლო-მახლო სოფლებიდან კი არა მარტო, პირიქითა ხევსურეთიდან და ბარის სოფლებიდანაც კი მოდიოდნან ნათესავები და ახლობელ-მეგობრები.

ხმითმოტირლებისა და დედროვანის მოთქმა მთელ ხეობას აზანზარებდა.

ეზოში ჯგუფ-ჯგუფად მდგომი დაღვრემილი და თავჩა-

ქინდრული მამაკაცები აღშფოთებას ვერ მალავდნენ ამ ვერაგული მკვლელობისა და „თემსოფლის იმედის“ მოულოდნელი სიკვდილის გამო. ხმამაღლა გამოხატავდნენ თავის სინანულსა და გულისწყრომას. დიდი და პატარა თოთიას ვაჟკაცობაზე, სიკეთესა და პატიოსნებაზე ლაპარაკობდა. აქ მყოფნი ახალმოსულებს უკვე მერამდენედ უყვებოდნენ ამ უცნაური და გაუგონარი მკვლელობის ამბავს, მაგრამ ვერც მკვლელის ვინაობას და ვერც მკვლელობის ნამდვილ მიზეზს ვერავინ ასახელებდა. არადა, ყველას აინტერესებდა გაეგო:

— ვინ დაუბნელა თოთიას ამე მუხანათურად მზე?

— რა პირობებში და ვითარებაში მოხდა მკვლელობა? რა იყო ამისი მიზეზი?

— რატომ მოკლა თოთია ბოროტმოქმედმა მაინცდამაინც თავის სახლში? ნუთუ ვერ შეარჩია სხვა ადგილი შურისძიებისათვის?

— მკვლელი შინაური იყო თუ უცხო? თუ იგი ამ კუთხის კაცი იყო, მაშინ მასთან თოთიას მტრობა ხომ ცნობილი იქნებოდა ყველასათვის?

— რა მიზეზით დატოვა მკვლელმა თოთიას მკერდში ჩასობილი დაშნა? ასეთი საცნაური იარაღით რატომ აყენებდა ცხელ კვალზე მომისხლეებს?

— რატომ აირჩია ბოროტმოქმედმა მკვლელობის ასეთი ვარიანტი? ხომ შეიძლებოდა მტრის უფრო იოლი გზით თავიდან მოცილება? რა გარემოებით უნდა ახსნილიყო მისი ამდაგვარ რისკზე წასვლა? ხომ არ იყო გამორიცხული, რომ ასეთი წინდაუხედაობის მსხვერპლი თვითონვე გამხდარიყო?

— რით უნდა ახსნილიყო მკვლელის ასეთი აჩქარება?..

აი, ასეთი კითხვები აწვალებდა ყველას. ამაზე იყო ჩუმი

ბჭობა იქ შეკრებილთა შორის, რაზედაც თითოეული თავის ვარაუდს გამოთქვამდა.

— უმიზეზოდ თოთიას სისხლს არავინ დაღვრიდა! — თქვა თავჩაკიდებით ერთმა ხანში შესულმა ხევსურმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და მოსაუბრეების ლაპარაკს ყურს უგდებდა.

ყველამ მას მიაპყრო მზერა, იქნებ მკვლელობასთან დაკავშირებით ახალი რაიმე იცოდესო.

— ამ ხნის კაცი ვარ და ასეთი რამ ანდრეზადაც არ გაგონილა ხევსურეთში! — თქვა მეორემ.

— მართლაც რა ლომივით ვაჟ წაგვგვარ სიკვდილმ! — დანანებით ჩაილაპარაკა ჯოხზე ჩამოყუდებულმა თეთრწვერა მოხუცმა.

— დაუნდობელი ას, ბიძავ, სიკვდილი! შიგით არჩევა იცის ტიალმა! — თავი დაუქნია მოხუცს მის გვერდზე მდგომმა „სახენაჭრევიანმა“ კაცმა. — ტყუილად კი არ ას ნათქვამ:

მესისხლეს ღგევხარ, სიკვდილო,
შავკრა გცოდნია გზისაო.
ადვილად დამორჩილება
ლომივით ვაშკაცისაო!
შესვლაში ჩუმად მავალო,
გავლით გამტეხო ხმისაო.
ან რატო ხვდება კარგებსა
ნაპერწკალ შენი მხრისაო!..

— ეგრ, ას, ეგრ! — თანხმობის ნიშნად ჩაიუბნა მოხუცმა და მწარედ ჩაფიქრდა.

— ცხონებულ თოთიას არათუ ვისიმე მტრობა და სისხლი, უბრალო წყენაც კი არავისი გაჰყოლია თან. ვინ რას ემართლებოდა?! — ჩაერთო საუბარში ხახმატელი აბიკა

ალუდაური, რომელიც თოთიას დედის მხრიდან ენათესავებოდა.

— უმტროდ და უწყინრად სისხლ არ დაიღვრებოდ! — იმავე კილოთი თქვა ხანში შესულმა.

— მაინც ვის უნდა ემტრო თოთიასთვის? — იკითხა აბიკამ.

— ეს არ ვიცი, ვის უნდა ემტრო, მაგრამ ის კი გაგონილი მაქვ, თოთიამ ვილაც ქურდკანტალას ბარისახოელ თათარა არაბულისად მაპარულ ცხენ-საქონ რო დააყრევი[1] გზაზე... იქნებ ესიც იყვ მიზეზ და სულ იმან...

აღარ დაამთავრა სათქმელი მოსაუბრემ.

მომხდარი ამბავი სხვებმაც გაიხსენეს და ბევრმა ეს შემთხვევა მკვლელობის სარწმუნო მიზეზად მიიჩნია. მათი აზრით, მომხდარი ფაქტი მართლაც საგულისხმო და ანგარიშგასაწევი იყო, რადგან იგი მკვლელობის მიზეზი თუ არა, მასთან რაღაც კავშირში მაინც უნდა ყოფილიყო. საფუძვლიან ეჭვს მხოლოდ ის ბადებდა, რომ ასეთი პიროვნების ასავალ-დასავალი აქამდის ვერავინ გაიგო. არც მნახველი გამოჩნდა. ამას გარდა, თუ ის ვილაცა მართლაც თოთიას მკვლელი იყო, რატომ არ იძია შური აქამდე? რას ელოდებოდა ეს სამი წელიწადი?

არა, აქ უფრო სხვა რაღაცაში უნდა ყოფილიყო საქმე, რასაც „ჭირის მწყენთა" გონება ვერ მივწსდომოდა. ამიტომ მკვლელის ვინაობა ყველასათვის კვლავინდებურად თავსატეხ გამოცანად რჩებოდა.

უცებ ეზოში მყოფთა ყურადღება თავზე ხილაბანდწაკრული მხედრების გამოჩენამ მიიპყრო, რომლებმაც მუცლებზე სარტყელშემოკრული და ძუაგამოკვანძული უბელო ცხენები შემოიყვანეს ეზოში და ერთ მხარეს ჩაამწკრივეს. რო-

---

1 დააყრევი — წაართვა, დაატოვებინა.

გორც ნათქვამი იყო, ოჯახს მიცვალებულის პატივსაცემად ცხენ-დოღვი უნდა გაემართა.

ამ დროს მიცვალებულიც გამოასვენეს გარეთ და ეზოში დაასვენეს. ხმით მოტირლებმა ხმლები ჩამოიყუდეს წინ[1] და ისეთი ჟრუანტელმომგვრელი ხმით დაიტირეს, რომ მათმა სულისშემძვრელმა სიტყვებმა მამაკაცებსაც კი აუჩუყა გული.

წინგარდის ბოძთან მიყრდნობილმა მამუკამაც ვეღარ შეიმაგრა თავი და ბავშვივით აზლუქუნდა.

— ვერც ეხლა გაიგ, როგორიას ძმის სიკვდილი? — მოესმა მას უცებ ზურგიდან დამცინავი ხმა.

მამუკა ტყვიანაკრავივით შემობრუნდა უკან და გაშრა: ორიოდე ნაბიჯზე მამამისი გიგია ლიქოკელი იდგა, რომელიც შვილს კუშტად შეკრული შუბლითა და ცივი, გამომშრალი თვალებით უმზერდა.

გიგიამ შვილს ხელი მოჰკიდა, ცალკე გაიყვანა და მკაცრად უთხრა:

— სიკვდილს გატეხა არ არგებს!.. მკვდარს აღარა მიეწევის!.. ნათქვამიას, რო კა მკვდარსავ, კა ზედამრჩო უნდავ. კა ზედამრჩო კი იმას ხქვიან, რო დუშმანთ გულისად არ გახდას, არ გაბეჩავდას, მკვდარსაც კარგად მაუარასა და ცოცხალთაც კარგად ინახევდას!.. კაცნ სიკვდილისად არიან გაჩენილნი. ზოგ მალე მაკვდების, ზოგ გვიან... რამთვენ იხოცების ჩვენზე კარგი ხალხი. თუ სიკვდილს რა ეშველებოდ, ისეებ აშველებდეს, რომლებსაც ბევრ შაუძლავ! მეაც დამეხოცნეს შენს ძმაზე კარგ ძმებ. ბევრმა სხვამ დაკარგა ძმაცა და შვილიც, მაგრამ ტირილით თვალები არავის დაუთხრავ. არ უნდა დაგავიწყდას, რო ხევსური ხარ, ლიქოკე-

---

1 ხმით მოტირალი მკვდარ მამაკაცს, ხევსურული წესის მიხედვით, ხმალზე ნიკაპდაყრდნობილი დასტირის.

ლების ჩამომავალი და ისე უნდა მაიქცე, როგორც ეს ჩვენს ოჯახსა და შენს ძმას ეკადრების!.. სისუსტე არავინ შაგამჩნიას!.. ეხლა მთავარ შენ ტირილი კი არ ას, შენი ძმის საფირლად მასულ მაკეთე-ნათესავების ცრემლების დაფასებაიას მთავარ! ვინ მაგვხედ, ვინ გვცა პატივ ან მკვდარს, ან ცოცხალს! წადი ახლა და კარგად დაიხსონ, რაც გითხარ!

მამის სიტყვებმა მამუკას, როგორც წისქვილის ღარიდან გადაგდებული წყალი, ისე უცებ გადაუწურა ცრემლიცა და გულიც გაუმაგრა. მტკიცე ნაბიჯით წინ წავიდა და იქვე შორიახლო თავჩაღუნულ, ხანჯლებზე ხელებჩამოწყობილ ბიძაშვილებს ამოუდგა გვერდით.

ვილაცამ ფაფარაჭრელებული და ძუაგამოკვანძული სულის ცხენი მოიყვანა და კუბოს შორიახლო გააჩერა. ხუცესმა სულის ცხენი აკურთხა, რის შემდეგ ჭირის პატრონმა მხედრები დალოცა და ბოლოს თავის ახლო ბიძაშვილს, ხირჩლა ლიქოკელს მიუბრუნდა:

— ხირჩლავ, მათრახებს შენ ჩაიბარებ! ბოლო ტაბლაზე რო მიხვალთ, საითაც ძალს იქთ,[1] ეს მათრახები მაშინ მიეც მხედრებს. ვინც თავის მათრახს თავის ხელით არ მაიტანს, იმას დოღვ არ მიეცემის!

ეხლა კი წადით! ხელ მაგემართასთ! — ერთხელ კიდევ დალოცა ოჯახის უფროსმა მხედრები და გაისტუმრა.

ეზოში თანდათან მატულობდა დედროვანთა ზარი და გოდება. მამუკამ აცრემლებულ ქალ-რძალს გადახედა და წამით დედაზე შეაჩერა მზერა. ზვიადი და უტეხი იერით იდგა კუბოს თავთან შვილმკვდარი დედა. მის შორიახლოს მდგომარე თოთიას მეუღლე — მზექალასაც შეენარჩუნებინა გარეგნული სიმშვიდე, იდგა „უდარდელი“ სახით და

---

1 ძალს იქთ — საიდანაც ფაქტიურად იწყება მხედრების დოღვში შეჯიბრება (ახლებურად — სტარტზე).

აშკარად თვალს არიდებდა ცხედარს. მხოლოდ რძალ-დედამთილს არ მოსდიოდა ცრემლი ამდენ მოჭირისუფლე დიაცებში. ხევსურთა მკაცრი ჩვეულება მათ შვილისა და ქმრის ცრემლებით დატირების უფლებას არ აძლევდა — ხალხი სირცხვილად ჩაუთვლიდა გულჩვილობას. არადა რამდენი შინაგანი ძალა და სულიერი სიმტკიცე სჭირდებოდა სიკვდილთან ასე ჯიუტად შეკერპებულ ცოლსა და დედას, რომ თვალებზე მომდგარი ცრემლები შეეკავებინა, გულიდან ამოხეთქილი გოდება და ტკივილი არ გამოეხატა ხმამაღლა, სისუსტე არავის შეემჩნია.

„სიკვდილს გატეხა არ არგებს!“ — გაახსენდა მამის წეღანდელი ნათქვამი მამუკას. აკი ვერც დედამისი დააჩოქა, ვერ დააბეჩავა სიკვდილის ელდამ! უტირლად და გამშრალი თვალებით რომელი დედა დადგებოდა შვილის ცხედართან. რომელი დედა გამოიჩენდა ასეთ გულქვაობას?

„სიკვდილს ასე ღიმილგადაფენილი სახით ალბათ მარტო ხევსური ქალები დასცინიან!“ — ფიქრობს თავის გულში მამუკა და თან დედას არ აშორებს თვალს, რომელიც ისე უშფოთველად და წარბშეუხრელად დგას, თითქოს აქ სეირის საყურებლად იყოს მოსული.

ხათუთამ კუბოსთან მომდგარ მოზარე ქალებს გადახედა და მბრძანებლური კილოთი მიმართა:

— გეყოფათ, დიაცებო, გლოვა! უკენობის სიტყვა[1] მეაც მათქმევიეთ შვილისად!

მოტირლებმა უკან დაიხიეს. ერთი წუთით ტირილი შეწყვიტეს და გზა დედას დაუთმეს.

ხათუთა გვერდიდან ჩამოუდგა კუბოს და შვილის ცვილისფრად განათებულ სახეს დააცქერდა. ერთხანს ასე მდუმარედ, კოპებშეკრული იდგა შვილის სახეზე თვალმი-

1 უკენობის სიტყვა — ბოლო სიტყვა (ამ შემთხვევაში გამოსათხოვარი სიტყვა).

ციებული, მერე ცხედრისკენ ოდნავ დაიხარა და წყრომით უთხრა:

— თოთია შვილო! ეხლა ძილის დრო არ ას! ხედავა, რამდენ სტუმრებ მოგვივიდა?.. მანდ ასე ლამაზად რო ჩაწოლილხარ, განა მაკეთე-ნათესავებს ეგრე ხვდებიან?!. ადე, შამაიპატიჟე, სახლში! ნუ გეფიქრების, მზექალა სუყველას კარგად უმასპინძლებს!

მერე იქვე მდგომ რძალს შეუბღვირა:

— შენ მაინც რამე უთხარ, ქალო! მარტო სოფლისგან ას სირცხვილ, ეს ხალხ ამდენ ხანს ფეხზე რო გავაჩერეთ!

ისევ ცხედარს დახედა.

— რატომ ხმას არა მცემ, შვილო? ანკი მე და შენ კარგი დედაშვილობა გვქონდა? ანკი აქამდე ერთმანეთის წყენა არ გვქონია? ეხლა რა დაგემართა? ძმამ რაღა დაგიშავა, რად გააყარე მხარი? იმას მაინც დაელაპარაკე! — და თვალებით ხალხში მამუკას დაუწყო ძებნა.

დედის სიტყვებზე მოზარეთა გოდებამ ტანზე ეკალი დაყარა იქ მყოფთ.

— ძმა ძმითავ, სახლ ქვითავ — ნათქვამ რო ას, ვერა გიშველ შენმა ძმამ, ხო ხედავ, მაგრამ დასანანებ იმით ხარ, რო უიარაღოს დაგიბ̣ნელეს სამზეო და ცდის ხანი არ მოგცეს, თორე ამ მხარ-ბეჭის პატრონს მტერ რახელ[1] მოგერეოდ? — და ხელი შვილის გულმკერდზე მორგვებივით დაწყობილ მკლავებს გადაუსვა. მერე ცხედრის გულზე დადებულ, სისხლშემხმარ დაშნას დააშტერდა. ზიზღჩამდგარი თვალებით კარგა ხანს უყურებდა იარაღს, ჩანდა რაღაც გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია, სუსხიანი მზერა მოტირალი ქალების თავზე გააატარა და მამუკას მიაპყრო.

---

1 რახელ — როგორ.

— მამუკა, შვილო! მოაშორე თოთიას ეს ცოდვიანი დაშნა! თან ნუ ჩაატან სამარეში! მტერმა ის შენ მკვდარ ძმას კი არა, თქვენ, ცოცხალ ლიქოკელებს დაგიტოვათ! — ირონიული ღიმილით წარმოსთქვა მან და თავჩაქინდრულ ლიქოკელებს ნიშნის მოგებით გადახედა.

მერე ისევ განაგრძო:

— ხო ხედავთ, შვილი ხმას აღარა მცემს! დედა-შვილობიდან გამეყარა! თუ ეგრე ას, აღარც მე მინდა მასთან ლაპარაკი!.. თქვენ თუ ვის რა გაქვთ კიდევ სათქმელ, უთხარით! — პირქუში სახით წარმოსთქვა ქალმა და ისევ კუბოს თავთან გაჩერდა.

მამუკამ წინ ჩამომდგარი მოტირლები მორიდებულად გვერდზე მიაყენა, ძმის ცხედარს ზედ დაემხო და ჩუმი, მოგუდული ხმით ამოიღმუვლა:

— თოთია, ძმაო! ვინც არ უნდა იყოს შენი მკვლელი, ვფიცავ, ქვესკნელშიც რომ ჩაძვრეს, იქაც მოვნახავ და მწარედ ვაზღვევინებ შენს სისხლს, იცოდე!

შემდეგ წამოიწია, მიცვალებულის მკერდზე დადებულ დაშნას დასწვდა, თვალები უსაზღვრო მძულვარებით აღევსო და კბილების ღრჭიალით გააგრძელა:

— ამ დაშნამ მკვლელის მზეც უნდა დააბნელოს! სანამ მუხანათი სამზეოზე დადის, მანამდე ვერც მე აქ და ალბათ საფლავში ვერც შენ მოისვენებ, ძმაო! — თქვა ეს და იქვე მდგომ ახლობლებს ანიშნა, კუბო აეწიათ.

ხმით მოტირლებისა და ქალ-რძალის გულისშემძვრელმა გოდებამ ერთხელ კიდევ შეაჟრჟოლა სოფელი.

შეხვედრა

ახალი გათენებული იყო, როცა მამუკამ ცხენით არაგვი გამოტოპა და სანამ ბარისახოში ავიდოდა, გადაწყვიტა დაღლილი პირუტყვი ცოტა ხნით მაინც დაესვენებინა. მსუბუქად ჩამოხტა უნაგირიდან, ცხენს პირიდან ლაგამი წამოჰყარა, მოსართავები მოუფონა და იქვე ჭალაში დააბა.

საუცხოო ზაფხულის დილა იყო. ვერცხლისფრად მოვარაყებულ მდინარეზე თეთრი, გამჭვირვალე ნისლი იყო გაწოლილი, რომელიც ვიწრო ხეობიდან შეუმჩნევლად მაღლა მიიწევდა და ტყიანი ფერდობების ჩამუქებულ სილურჯეში უჩინარდებოდა.

მთის ქედიდან გადმომდგარი მნათობი მწველი ამბორით ლოკავდა ბალახებზე აცრემლებულ ცვარ-ნამს და მდინარის ვერცხლისქოჩრიან ტალღებზე ოქროს ღერებად იმსხვრეოდა.

ყოველი მხრიდან ფრთოსანთა საამური გალობა და ჭიკჭიკი ისმოდა, რომელსაც არაგვის ტალღების ნაზი ტყლაშუნი ეხმატკბილებოდა.

უღრუბლო, მტრედისფერი ცარგვალი, რომელიც გარს შემოჯარული მთების განიერ მხრებამდე ჩამოწოლილიყო, ოქროსფრად ისარკებოდა, თითქოს ამომავალ მნათობს ყვითელი ატლასის პრიალა ფიანდაზს უმზადებდა დასაბრძანებლად.

ბუნების ამ უჩვეულო სილამაზით მოხიბლული მამუკა მდინარის ნაპირზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა. საფიქრალი კი იმდენი ჰქონდა, რომ არც კი იცოდა, საიდან დაეწყო. აგერ ერთი კვირა იქნებოდა, რაც ვერაგულად მოკლული ძმის სისხლი სამაგიეროს გადახდას ითხოვდა, მაგრამ ვისზე ეძია შური მამუკას, ვისზე მიეტანა ეჭვი, რომ არ იცო-

და?.. თუმცა ხალხი ათასნაირ ვარაუდს გამოთქვამდა, მაგრამ დანამდვილებით სიმართლის თქმა არავის შეეძლო.

არც არავინ დაშნის მნახველი აღმოჩნდა.

„შეუძლებელი იყო ასეთი იარაღი აქამდე არავის შეემჩნია — განაგრძობდა ფიქრს მამუკა და თან პიჯაკის შიგნითა ჯიბიდან ამოღებულ, ახალ ქარქაშში ჩასმულ უცნაურ დაშნას ისეთი ყურადღებით ათვალიერებდა, თითქოს ახლა პირველად ხედავსო. — ხევსურებს ოდითგანვე ორ რამეზე მიგვირბოდა თვალი — ცხენზე და იარაღზე! ჰოდა, ეს დაშნა აქაურისა რომ ყოფილიყო, ვილაც ხომ მაინც ამოიცნობდა უთუოდ! მაგრამ იქნებ ამოიცნეს კიდეც და სიმართლე დამალეს? რადგან რაზე უნდა გადაიკიდოს ვილაცამ უცხო მტრად და აუტკივარი თავი ძალად აიტკიოს?.. დღეს კვირა დღეა და ბევრი ნაცნობ-უცნობი მოიყრის თავს ბარისახოში"...

აღარ დაამთავრა საფიქრალი მამუკამ და ნამოდგა.

არაგვის ნაპირს გაჰყვა. მცირე მანძილი რომ გაიარა, განმარტოებით მდგარ ერთ არყის ხეს წაადგა, რომელიც თითქოს თეთრ საქორწინო კაბაში მორთულ ქალწულსავით ასვეტილიყო განმარტოებით. ბუნების უცნაური მუსიკითა და არაგვის ტალღებით ტაშით გულაძგერებული ტანკენარი არყი მთელი ტანით თრთოდა და ჩუმი შრიალით თითქოს რაღაცას ჩურჩულებდა.

მონუსხულივით ერთ ადგილზე გაქვავებული მამუკა დიდხანს შეჰყურებდა ღიმილით ხეს, მერე მიუახლოვდა, თეთრ, გლუვ კანზე ხელი გადაუსვა და აღტაცებულს აღმოხდა:

— ეს რამხელა გაზრდილხარ, არაგვის დედოფალო, ამ სამ წელიწადში?! როგორ გალამაზებულხარ!..

გარშემო შემოუარა და ღიმილით მიაჩერდა არყის ქერქ-

ზე ადრე მისი ხელით ამოკვეთილ ასოებს: მ+მ. მამუკა + მზია! — გაშიფრა თავის გულში, შემდეგ ხეს ხელები შემოხვია, ლოყით ზედ მიეხუტა და ჩურჩულით ჰკითხა:

— ჩვენი პატარა დედოფალი სადღა არის, კარგო?.. აღარ მოსულა შენთან, რაც მე წავედი? თუ მოდიოდა და მიმალავ?.. შენ ხომ ჩვენი მესაიდუმლე იყავი, ჩვენი სასიყვარულო ფიცის, პირველი ამბორის მოწმე?.. რატომ არაფერს მეუბნები? რად გაჩუმებულხარ?.. რატომ არ მომიყვები, რას გელაპარაკებოდა ჩემზე? ნუთუ დავავიწყდით, აღარც მე ვახსენდები და აღარც შენ? რაღაც არა მჯერა!..

გახსოვს, ჯარში წასვლის წინა საღამოს შენს ჩრდილქვეშ შეფარებულები როგორ ვეფიცებოდით ერთიმეორეს ერთგულებას? „როცა უშენობა მომენატრება, ჩვენს არყთან მოვალ და აქედან დაგელაპარაკები, რომ გულიდან ჯავრი გადამეყაროსო“, გახსოვს, რომ მეუბნებოდა?.. ნუთუ დაავიწყდა თავისი დაპირება?

თუმცა ტყუილად ვადანაშაულებ! თავის წერილებში შენზეც ხშირად მწერდა. ბოლო წერილიც შენი თანდასწრებით, აქედან დაწერილი გამომიგზავნა. თუ არა გჯერა, ის წერილი ახლაც ჯიბეში მიდევს, წაგიკითხავ და თვითონვე დარწმუნდები.

მამუკამ ჯიბეში ჩაიყო ხელი, იქიდან მზიას წერილი ამოიღო, ჩამოჯდა, ზურგი არყს მიაყრდნო და ჩუმი ხმით დაიწყო კითხვა:

„მამუკა, საყვარელო! არ ვიცი, ჩემი წერილი ჩამოგისწრებს თუ არა, მაგრამ გულმა აღარ მომითმინა, რომ არ მომეწერა. მატყობინებ მაისში ჩამოვალო. ნეტავი მოვესწრები კი ამ დროს?.. რაღაც ისეთი წინათგრძნობა გამიჩნდა, თითქოს ჩვენ ერთმანეთს ველარასოდეს შევხვდებით, ველარა გნახავ. ამიტომ მეშინია, ძალიან მეშინია, მამუკა!

სიზმარშიც კი ისეთ რამეებს ვხედავ, თითქოს დაგეძებ და ველარ გპოულობ. ზოგჯერ ბნელსა და ღრმა უფსკრულში ვვარდები. შენ კი მაღლა რჩები. გინდა მომეხმარო, მაგრამ ვერაფერს მშველი... რამდენჯერმე დამესიზმრა ასე. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ, რაც უფრო ახლოვდება შენი გათავისუფლების დრო, მით უფრო მოუსვენრობა მიპყრობს, მით უფრო ველარ აუტანია უშენობა გულს! მოუთმენლად ველი იმ სანატრელ წუთს, როცა საბოლოოდ გათავისუფლებული ჩამოხვალ და ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით...

ამ ზაფხულს მინდა უმაღლესში შევიტანო საბუთები. ეცადე ჩამომისწრო. იქნებ შენც მოგიხერხდებოდა თბილისში წამოსვლა და მაშინ ხომ ერთად ვიქნებოდით, სულ ერთად!

კინაღამ დამავიწყდა მომეწერა, რომ ამ ერთი თვის წინათ სახლი ვიყიდეთ ბარისახოში. მართალია, ჯერ ძირითადად გუდანში ვცხოვრობთ, მაგრამ, სანამ შენ ჩამოხვალ, ალბათ გადმოვსახლდებით კიდეც.

მამუკა, გახსოვს ჩვენი არყი ჭალაში, არაგვის პირზე? ამ წერილს იქიდან გწერ.რაც ბარისახოში სახლი ვიყიდეთ, ჩვენს „მესაიდუმლეს" ხშირად ვნახულობ ხოლმე და მე და ის შენზე ჭორაობას ვიწყებთ. უფრო სწორად, მე ველაპარაკები და ის კიდევ სულგანაბული ყურს მიგდებს. ხანდახან მას ისეთ რამეებსაც კი ვეუბნები, რასაც შენ ვერ გიმხელ და მარტო ჩვენ ორმა ვიცით. ვერ გეტყვი, მეთანხმება თუ არა, მაგრამ ერთთავად სულ კი რაღაცას ჩურჩულებს, ხანდახან მხოლოდ ნიავის შემობერვაზე თუ შეარხევს ხოლმე ძლიერ მხრებს თანხმობისა თუ უარყოფის ნიშნად და მთელი ტანით კანკალს იწყებს.

ძვირფასო! ძალიან მინდა ბევრი რამე მოგწერო, მაგრამ

ამ პატარა ბარათში ყველაფერს ხომ ვერ დავტევ?.. დანარჩენი სათქმელი შენს ჩამოსვლამდე გადავდოთ.

წერილს ამაზე მეტს აღარ გამოგიგზავნი. მოუთმენლად ველი შენს ჩამოსვლას. გ.....

შენი მზია".

მამუკამ წერილი ისევ ჯიბეში ჩაიდო. არყს ახედა და მასთან წელანდელი განყვეტილი საუბარი კვლავ გააგრძელა:

— აი, ხომ ხედავ, რამდენ რამეს იწერება მზია შენზე, არც ეხლა დაიჯერებ, რომ ორივეს გვიყვარხარ? მეც ხომ შევასრულე პირობა და გნახე. არ იფიქრო, რომ დამავიწყდი! იქ რომ ვიყავი, რუსეთში, იქაც ხშირად გიგონებდი, რამდენჯერმე სიზმარშიც კი გნახე. მზიას რომ შევხვდები, აუცილებლად მოვალთ შენთან! იცი რამდენი რამე გვაქვს ერთმანეთთან სათქმელი?..

მე მინდა, რომ ჩვენს საუბარს შენც მოუსმინო!

გახსოვს, ერთხელ მზია არაგვში რომ ჩავარდა და დახრჩობას ძლივს გადარჩა? გეხსომება, აბა, როგორ არ გეხსომება! მაშინ შენც ცოტა ახალგაზრდა იყავი, მაგრამ დავიწყებით, მე მგონი, არ დაგავიწყდებოდა!

ბიოლოგიის მასწავლებელმა იმ დღეს მერვე და მეცხრეკლასელები სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად წამოგვიყვანა არაგვის ჭალაში. მზია მაშინ მერვე კლასში იყო, მე — მეცხრეში. იმ დროს ბარისახოს სკოლა-ინტერნატში იმისთანა ჯეირანივით გოგო მეორე არ დადიოდა. ამიტომ მასზე ბევრს ეჭირა თვალი და რაღა დაგიმალო, მეც ბევრი უძილო ღამე გამითენებია მასზე ფიქრით.

ჰოდა, იმ დღეს ყვავილების კრეფით გართული მზია ისე ახლოს მოვიდა მდინარის პირზე, რომ ტალღებისაგან საყ-

რდენგამოლოკილი ნაპირი უცებ მოსკდა, ჩაინგრა და ისიც თან ჩაიყოლა წყალში. კიდევ კარგი, იქვე ახლოს ვიყავი და სანამ ტალღები შორს გაიტაცებდნენ, ნაპირზევე ვტაცე ხელი და წყლიდან ამოვიყვანე.

აი, სწორედ ამ შემთხვევამ გადაასკვნა ჩვენი ბედი და სიცოცხლე ერთიმეორესთან სამუდამოდ...

დანარჩენი ხომ შენც იცი, როგორც იყო.

რომ იცოდე, როგორ მომენატრა მისი ნახვა, კარგო! ნეტავი ისევ ისეთი ლამაზია, როგორც ამ სურათშია, თუ შეიცვალა? — და მამუკამ ჯიბიდან სურათი ამოიღო. — ეს სურათი მზიამ შარშან გამომიგზავნა. იგი მუდამ თან დამაქვს ჯიბით. როცა ძალიან მომენატრება, ამოვიღებ და ვუყურებ. გინდა შენც გიჩვენო?.. მაგრამ მაგ სიმაღლიდან აქ ვერ დაინახავ. არა უშავს, ისე აგიწერ, ვიცი შენც გაინტერესებს...

რითი დავიწყო, არ ვიცი... ჰო, კარგი, თვალებიდან დავიწყოთ!

დიდრონი, ზღვასავით ლურჯი, ოდნავ გაოცებული თვალები, გრძელი წამწამებით დაჩრდილული. თეთრად გადატკიცინებული შუბლი. თოლიას მხრებივით ოდნავ მოღუნული, ლამაზად გადახაზული, შავი წარბები. სწორნაკვთოვანი ცხვირი. ოდნავ გაბუტული, შუაზე გაპობილი, ძოწისფერი ტუჩები. მარგალიტის მარცვლებივით ჩამძივული, თეთრი კბილები. ქათქათა ყელი. დაბლა ჩანჩქერივით გადმოკიდებული და მხრებზე ტალღებად დაფენილი კვერცხისგულისფერი კულულები. ფერიასავით თხელი კაბა, თავისი თვალების ფერი...

ასეთი კაბა ჩემს დროს არ ჩაუცვამს. არც შენთან მოსულა ამ კაბით, კარგო?.. რატომ ხმას არა მცემ?

ჰო, კარგი, კარგი! დიდი ხანი არ მინახიხარ, ამიტომ მოგაბეზრე თავი ამდენი ლაპარაკით!

წავედი ახლა. აგერ მზე ცაზე სადამდე ამოწეულა უკვე, დამიგვიანდება! — თქვა მამუკამ და წამოდგა.

უკან გამობრუნდა. მძიმე ნაბიჯებით მიუყვებოდა არაგვის პირს. ბავშვობისდროინდელი მოგონებები ჭილყვავებივით წამოიშალნენ მის გონებაში და ერთიმეორეში აირივნენ.

ბარისახოში გაატარა მან თავისი სიყმაწვილე და ჭაბუკობა. აქვე დაამთავრა სკოლა-ინტერნატი. აქ გაიფურჩქნა მისი პირველი სიყვარულის კოკორიც. ამიტომ ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავდა, მისთვის ნაცნობი და მშობლიური იყო. თითოეული ბუჩქი და ხეც კი რაღაცას აგონებდა, თავისი წარსულისაკენ ახედებდა, სადაც გონების თვალით ერთ სახეს ჭვრეტდა, გულისჯიბეში სათუთად შენახულ სახეს.

შემოსეული ფიქრებიდან რომ თავი დაეღწია, მამუკა ლურჯას უნაგირზე მოევლო, ცხენს მათრახი გადაჰკრა და მალე უკან მოიტოვა არაგვის ხმაურიანი ჭალა. ბარისახოსაკენ ამომავალ ბილიკს შეუდგა.

ბარისახოში, პირაქეთა ხევსურეთის ამ ერთადერთ სამეურნეო და ადმინისტრაციულ ცენტრში, კვირადღეობით თავს იყრიდნენ არა მარტო ადგილობრივი და ახლო-მახლო სოფლების მკვიდრნი, არამედ შორეული სოფლებიდანაც ხშირად ჩამოდიოდნენ აქ ცხენებითა და ჯორებით. ზოგი ნავთ-მარილის, ზოგი საოჯახო ნივთების შესაძენად. მოდიოდა ზოგი პირად საქმეზე, ზოგი საფიხვნოდ, ზოგიც უსაქმოდ, მხოლოდ ყელის გასასვლელებლად და დროს გასატარებლად.

ამიტომ არაგვის ვიწრო ხეობაში, მთის ფერდობზე შეფენილი, ზვიადი მთებით გარშემორტყმული ეს პატარა დასახლება როგორღაც გამოცოცხლებული და ახმაურებული

ეგებებოდა ხოლმე კვირა დღეს და სულ სხვაგვარი ცხოვრებით ცხოვრობდა.

ასე იყო იმ დღესაც, როცა მამუკამ შარაგზა გადაჭრა და სოფელში აუხვია. ადმინისტრაციული შენობების გასწვრივ, ოდნავ შეფერდებულ მოედანზე, საკმაოდ ბლომად ხალხს მოეყარა თავი. ფერად ღილ-მძივებით მოქარგულ სადიაცოებში გამოწყობილი ხევსური დედაკაცების ერთი ჯგუფი ლობის ძირას მიმსხდარიყო, ჭრელ-ჭრელი ხურჯინები მოედგათ წინ და ხმადაბალი მასლაათით თავს იქცევდნენ.

იქვე ახლოს, ხის ჩრდილქვეშ, მწვანე მოლზე, ხანში შესულ მამაკაცებს გაეშალათ სახელდახელო სუფრა და ჟიპიტაურს შეექცეოდნენ. ცოტა მოშორებით კი ხევსური ახალგაზრდები შეჯგუფებულიყვნენ, რომლებსაც ძუაგამოკვანძული და მოვერცხლილი აღკაზმულობით მორთული ბედაურები ლობის მარგილებზე გამოებათ და რაღაცაზე სერიოზულად ბაასობდნენ.

მამუკამ მარჯვნივ აუხვია და ზევითკენ გასწია, სადაც მისი დეიდაშვილი თათარა არაბული ცხოვრობდა. დილით ჯერ მისი ნახვა ჰქონდა განზრახული.

ასიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, რომ გზაზე ზევიდან მომავალმა მხედარმა, როგორც კი გაუსწორდა მამუკას, აღტაცებულმა წამოიძახა:

— მამუკა, ბიჭო!

— გელა! — სიხარულით აღმოხდა მამუკასაც, ცხენიდან ჩამოხტა და გელას სიყვარულით გადაეხვია.

გელა მზიას ძმა იყო, მისი ტყუპისცალი.

მისალმებისა და ერთიმეორის მოკითხვის შემდეგ, გელამ მამუკა მხრების სიგანეზე გასწია, ოდნავ შეაჯანჯღარა და ღიმილით უთხრა:

— ეს რამხელა გაზრდილხარ, ბიჭო! კინაღამ ვეღარ გიცანი!

— შენც დავაჟკაცებულხარ, გელა! ამ დილაადრიან საით გაგიწევია?

— მე და მზია გუშინ ჩამოვედით გუდანიდან. თბილისში უნდოდა წასვლა. საბუთების შეგროვებას აპირებს ინსტიტუტში შესატანად.

— აკი სახლი ვიყიდეთ ბარისახოშიო, მოიწერა მზიამ. ისევ გუდანში ცხოვრობთ?

— იქ დედაჩემი და მამიდა სამძიმარა ცხოვრობენ ჯერ-ჯერობით. ჩვენ ძირითადად აქა ვართ. ალბათ შემოდგომამზე გადმოვსახლდებით მთლიანად.

— მზია ახლა აქ არის? — ვეღარ დამალა მღელვარება მამუკამ და სახეზე სიწითლე მოაწვა.

გელას არ გამოჰპარვია მამუკას სახის მოძრაობა, რადგან იცოდა, რომ მასა და მზიას ერთიმეორე უყვარდათ. თავის გულში თანაუგრძნობდა კიდეც. ამიტომ ვითომ არაფერი შეემჩნიოს, მშვიდი ხმით უპასუხა:

— მზია სულ ათი-თხუთმეტი წუთის წინ თბილისში გავისტუმრე. ჩვენი ნათესავი იყო ჩამოსული მანქანით და იმას გავაყოლე.

— უჰ, ნეტავი მომესწრო! როგორ მინდოდა მისი ნახვა!

— იმასაც ძალიან მოენატრე. სულ შენს ხსენებაში იყო...

გელამ უცებ შეწყვიტა საუბარი, სახე დაეღრუბლა, ღრმა თანაგრძნობით მამუკა ისევ მკერდზე მიიკრა და მიუსამძიმრა:

— მონაწილე ვარ შენი მწუხარების, ძმაო! გავიგე დიდი უბედურება დაგატყდათ თავს! თბილისში ვიყავი წასული იმ დროს, თორემ დაკრძალვას აუცილებლად დავესწრებოდი.

— ჰო, ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი!

— შენ რომ ჩამოსულხარ ჯარიდან, იმ საღამოს მომხდარა მკვლელობა?

— ჰო.

— ნუთუ არაფრის შველა შეიძლებოდა?

— არაფრის. ჩვენ რომ ვნახეთ, თოთია უკვე მკვდარი იყო.

— კაცის ასე ვერაგულად და მუხანათურად მოკვლა რა ვაჟკაცობაა. ამას ხევსური არ იზამდა!

— ეჰ, ჩემო გელა! სადღაა ახლა ვაჟკაცობა ან ხევსურობა? ამაზე უარესიც ხდება დღეს...

გელას უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, როცა უცებ მათი ყურადღება ქვევით ხალხის ჩოჩქოლმა და ვიღაც ხევსური ახალგაზრდის ყვირილმა მიიქცია, რომელიც უბელო ცხენზე გადამჯდარი ხალხს აღელვებული რაღაცას ხმამაღლა უყვებოდა. თან ქვევითკენ ხელს იშვერდა.

გელამ და მამუკამ საუბარი შეწყვიტეს და ქვევითკენ დაეშვნენ.

— რა მოხდა? სად გარბის ეს ხალხი? — ჰკითხა გზაზე შეხვედრილ ბიჭს გელამ.

— იქ, ქვევით მანქანა გადაბრუნებულა!

— რა მანქანა გადაბრუნებულა?..

— რა ვიცი, ავარია მოხდა და ხალხს შველა უნდაო, მოიტანა ამბავი ვეფხვიამ. — თქვა ბიჭმა და მოკურცხლა.

— ვაითუ მზიას თავს რამე უბედურებაა დატეხილი! — შიშნარევად წამოიძახა გელამ, ცხენის უნაგირს მოევლო და თავდაღმართზე ჭენებით დაეშვა.

მოსალოდნელი უბედურებით გულშეძრული და აფორიაქებული მამუკაც უკან მიჰყვა.

* * *

გელას შიში გამართლდა. როგორც კი სოფელს გასცდნენ, ისა და მამუკა ერთ-ერთ მოსახვევში სამშენებლო მასალით დატვირთულ, გვერდზე გადაწოლილ სატვირთო მანქანას და არაგვისპირზე გადაჩეხილ „ვილისს“ წაადგნენ. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ რამდენიმე წუთის წინ აქ საშინელი ტრაგედია დატრიალებულიყო.

სატვირთო მანქანის მძღოლი, რომელიც მთლად სისხლში იყო მოსვრილი, კაბინიდან გადმოსვლას ლამობდა, მაგრამ საშინელი ტკივილებით სახეშეშლილი გატოკებასაც ვერ ახერხებდა.

ბიჭებმა ფრთხილად გადმოიყვანეს იგი მანქანიდან და იქვე, გზის პირზე, ბალახებზე დააწვინეს.

— მე არა მიშავს, იმათ მიხედეთ იქ, იმათ! — ამოიგმინა მძღოლმა და ხელი ქვევითკენ გაიშვირა.

წუთის დაკარგვა მართლაც არ შეიძლებოდა. და, როცა გელამ და მამუკამ ფერდობი ჩაირბინეს, ამაზრზენი სურათის მოწმენი გახდნენ: თითქმის შუაზე გაჭეჭყილი „ვილისი“ გულაღმა ამოტრიალებულიყო და მძღოლის თავგაჩეჩქილი გვამიც ქვეშ მოეყოლა.

მზია მანქანაში არ ჩანდა. იგი გზიდან ცოტა მოშორებით ფერდობზე იპოვეს გრძნობადაკარგული, რომელიც გადაბრუნებული მანქანიდან გადმოვარდნილიყო და რაღაც სასწაულით ცოცხალი გადარჩენილიყო. გატეხილი თავიდან გადმონაჟონ სისხლს მისი ოქროსფერი კულულები წითლად შეეღება და თეთრ კაბაზე ისე ჩანდა, თითქოს ვიღაცას მკერდზე ყაყაჩოს ყვავილები დაუბნევიაო.

გაფითრებული გელა გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა დას, მაჯა გაუსინჯა და როცა მისი მისუსტებული გულის-

ცემა და მძიმე სუნთქვა იგრძნო, შვებით ამოისუნთქა.

— ცოცხალია? — შიშნარევი ხმით იკითხა ერთ ადგილზე გახევებულმა მამუკამ. გელამ თავი დაუქნია და დაძაბული მზერა დის გაფითრებულ სახეს მიაშტერა, შემდეგ ცრემლმორეულმა ჩურჩულით წარმოსთქვა:

— მზია, დაიკო! აბა, ერთი წუთით თვალი გაახილე და დამელაპარაკე! მე ვარ, გელა, გესმის?.. ღმერთო, ეს რა ჩავიდინე! რატომ გამოგიშვი მარტო?! იქნებ ამ უბედურებას ასცდებოდი!..

— ჩავალ, მდინარიდან წყალს ამოვიტან, იქნებ მოვასულიეროთ! — წამოიძახა ცოტათი იმედმოცემულმა მამუკამ და ქვევითკენ დაეშვა.

როცა გელამ დას სისხლი მოუბანა, გრილმა სისველემ იგი მცირე ხნით გრძნობაზე მოიყვანა, ნელ-ნელა თვალი გაახილა და გაჭირვებით, თითქმის დამარცვლით ამოიკვნესა:

-გე...ლა, ძმაოოოოო!..

მერე დანისლული მზერა მეორე მხარეს გადაიტანა და მუხლის თავებზე დაჩოქილ მამუკას მიაპყრო. სახეზე მღელვარება დაეტყო. თვალები გაუფართოვდა და რაღაც უცნაური შუქით გაუნათდა. გაღიმება სცადა, მაგრამ მწარე სინანულისა თუ საკუთარი უმწეობის განცდამ თვალები კვლავ ცრემლებით დაუბინდა.

— მამუკა! — ჩურჩულით შეატოკა ტუჩები მან და წამოწევა სცადა, მაგრამ აუტანელ ტკივილებს ვეღარ გაუძლო, თავი გვერდზე გადააგდო და კვლავ გრძნობა დაკარგა.

— სასწრაფოდ უნდა ვიღონოთ რამე. საავადმყოფოში მოუნდება გადაყვანა! — წარმოსთქვა აღელვებულმა გელამ და ფეხზე წამოდგა. — მაგრამ ასე ხელში აყვანილს ხომ ვერ წავიყვანთ?..

— ტირიფებისაგან სახელდახელო საკაცის გაკეთება შეიძლება, იმაზე დავაწვინოთ!

— რით მოვჭრათ, იარაღიც რომ არაფერი გაგვაჩნია?

— საკაცის ხეები ამ დაშნითაც მოიჭრება! — თქვა მამუკამ და უბის ჯიბეში ჩაყუდებული დაშნა ამოიღო.

დაშნის დანახვაზე განცვიფრებისაგან გელას თვალები ლამის ბუდიდან გადმოსცვივდა.

— მიჩვენე ერთი წუთით! — მოუთმენლად წამოიძახა მან და მამუკას დაშნა გამოართვა. დაკვირვებით შეათვალიერა. მერე ღიმილით შეეკითხა:

— შენ ეს ჩემი დაშნა საიდან ჩაგივარდა ხელში?!

მამუკა გაფითრდა. თვალთ დაუბნელდა. პირველად ეგონა, რომ ყურმა მოატყუა. ამიტომ გაოგნებულმა იკითხა:

— რა სთქვი? ვისია ეს დაშნა?..

— ჩემია! რატომ გაიკვირვე?

— იქნებ გეშლება! ნამდვილად შენია? — თითქმის წამოიყვირა სახტად დარჩენილმა მამუკამ და გელა ეჭვიანად შეათვალიერა.

— რას ამბობ, მამუკა! — ისევ ღიმილით უთხრა გელამ. — როგორ, ჩემს დაშნას ველარა ვცნობ?!

— საიდან შენი, გამაგებინე!

— ახლა ამ ლაპარაკის დრო არ არის, მამუკა, სასწრაფოდ მზიას უნდა მიხედვა! — თქვა და გატრიალდა, რომ საკაცისათვის ხეები დაეჭრა. მაგრამ იქ წასვლა აღარ დასჭირვებია, რადგან, ბედად, სასწრაფო დახმარების მანქანამ მოუსწრო (როგორც ჩანდა, მომხდარი შემთხვევა ვილაცამ შეატყობინა საავადმყოფოში).

გულწასული მზია საავადმყოფოში გადაიყვანეს და პირველი დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ გასინჯვის შემდეგ ექიმმა გელას ვერაფერი უთხრა სანუგეშო. მისი დიაგნო-

ზით, ავადმყოფს მარჯვენა ნეკნის ძვლები ჰქონდა დამტვრეული, ხოლო მწვავე ჩხვლეტები, გაუყუჩებელი ტკივილები, წნევის ხშირი ცვალებადობა, სისხლიანი ნახველი იმისი მიმანიშნებელი იყო, რომ შინაგანი ორგანოები მძიმედ უნდა ჰქონოდა დაზიანებული და დაუყოვნებლივ ქირურგიულ ჩარევას მოითხოვდა, მაგრამ ავადმყოფის საერთო მდგომარეობა იმდენად უიმედო ჩანდა, რომ მისი ადგილიდან დაძვრა უკვე სერიოზულ რისკთან იყო დაკავშირებული.

მოულოდნელი მწუხარებით გაოგნებულმა და თავზარდაცემულმა გელამ აღარ იცოდა, რა ეღონა. გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო: თბილისიდან გამოცდილი სპეციალისტები უნდა ჩამოეყაანა სასწრაფოდ აქ, ადგილზე. თუმცა ექიმი ამ გადაწყვეტილებასაც უკვე ზედმეტად და უიმედოდ თვლიდა. ამის მიუხედავად, გელამ მაინც გადაწყვიტა თბილისში სასწრაფოდ გამგზავრება.

არანაკლებ აღელვებული და დაბნეული იყო მამუკაც, რომელსაც გულს უთუთქავდა, ერთი მხრივ, მზიას უიმედო მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ, ღრმა საგონებელში აგდებდა გელასთან წეღანდელი საუბარი, რის მიხედვითაც, თუ დაშნა მართლა გელას ეკუთვნოდა, მის წინაშე ახლა მომავალი ცოლისძმა კი არა, მოსისხლე იდგა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას ამიერიდან სამუდამოდ უნდა ამოერეცხა გულიდან მზიას სიყვარული და საბოლოოდ დაევიწყებინა მისი სახელი. მაგრამ შეძლებდა კი იგი ამის გაკეთებას? ანდა მზიას გული შეურიგდებოდა კი მამუკას დაკარგვას? არა! ეს ორივეს ფიზიკურ და სულიერ შესაძლებლობებს აღემატებოდა.

ამიტომ მტანჯველი ფიქრებითა და ეჭვებით აფორიაქებული მამუკა ერთ ადგილს ვერ პოულობდა. ან კი როგორ უნდა დანყნარებულიყო იმის შემდეგ, რაც წეღან გელასა-

გან მოისმინა. თუ დაშნის პატრონი გელა იყო, მაშინ თოთიას მკვლელიც ის უნდა ყოფილიყო! მაგრამ რა ჰქონდა გელას თოთიასთან სამტრო?.. ესეც არ იყოს, მართლა მკვლელიც რომ ყოფილიყო, როგორ იტყოდა, რომ დაშნა ჩემიაო?!

„ან ის ღიმილი და უდარდელი კილო რას ნიშნავდა? — ფიქრობდა თავის გულში მამუკა. — ნუთუ გელამ არ იცოდა, რომ თოთიას ამ დაშნით დაუბნელეს მზე?.. დაუჯერებელია! არადა, საიდან არის ეს იარაღი მისი?“

ასეთი ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრები ტვინს უბურღავდნენ მამუკას იქამდე, სანამ თვალებში ცრემლჩამდგარი გელა უსიტყვოდ არ გამოემშვიდობა თავის დას და ფეხაკრეფით არ გამოვიდა პალატიდან.

— აბა, შენ იცი, მამუკა, როგორ უპატრონებ მზიას ჩემს ჩამოსვლამდე! — თქვა გელამ და წასასვლელად გაბრუნდა, მაგრამ მამუკამ გააჩერა.

— გელა, ვიცი, რომ ახლა ამისი ლაპარაკის არც დრო არის და არც ადგილი, მაგრამ, ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია იმისი ცოდნა, რაც წეღან გკითხე.

— რისი ცოდნა? — თავიდან ვერ გაიგო გელამ, რას ეკითხებოდა მამუკა.

— საიდან არის ეს დაშნა შენი?

— ჰოო, დაშნაზე მეკითხები? ეს იარაღი ორი კვირის უკან ერთმა ჩემმა ყაზბეგელმა ძმადნაფიცმა ჩამომიტანა საჩუქრად. სწორედ იმ ხანებში მგელიკაც ჩამოვიდა და, რაკი იარაღი ძალიან მოეწონა, ავდექი და მე კიდევ იმას ვაჩუქე.

— რომელი მგელიკა? — მოუთმენლად იკითხა მამუკამ.

— რომელი და ჩვენი მგელიკა, ჩემი ძმა!

— კი, მაგრამ მგელიკა ხომ ციხეშია, როგორც მზიამ მოიწერა?..

— ეს ორი კვირა იქნება, რაც ციხიდან დაბრუნდა.

— მგელიკა რაც ციხიდან ჩამოვიდა, მუდმივად სახლში იყო? არსად არ წასულა?

— წასული იყო, მგონი, ერთი-ორი დღით.

— რა თქვა, სად ვიყავიო?

— ბარისახოში ვილაცის ნახვა მინდოდაო, ასე გვითხრა მაშინ. რატომ მეკითხები?

— ამ ხნის მანძილზე თუ შეგინიშნავს, დაშნა მუდმივად თანა ჰქონდა?

— ერთი კვირა იქნება, რაც მითხრა — დამეკარგაო.

— და შენ დაუჯერე, ეს რომ გითხრა?

— მართალი უთქვამს, რაკი იარაღი შენ იპოვე.

— პოვნით მართლაც ვიპოვე, ოღონდ ჩემი ძმის მკერდში ჩარჭობილი!

— რაო?! — წამოიყვირა გაფითრებულმა გელამ.

— დიახ! ეს დაშნა თოთიას გულში ჰქონდა გაყრილი!

— ღმერთო ჩემო, ეს რა მითხარი? ნუთუ ამ დიდ ცოდვაში მგელიკას უდგას ფეხი? არა, ამას ვერ დავიჯერებ! არა! არა! ეს შეუძლებელია! — ჰაერში ხელები გაასავსავა გელამ.

— შენ გინდა თუ არ გინდა, ფაქტია, რომ მკვლელობა ამ იარაღით მოხდა, რასაც ვერც მგელიკა უარყოფს.

გელა ერთი წუთით ჩაფიქრდა.

— მაგრამ ეს მთლად იმას არ ნიშნავს, რომ იგი მკვლელია.

— რა გაქვს მხედველობაში!

— ჯერ ერთი ის, რომ იგი შენ ძმას არ იცნობდა და უცნობი ადამიანის უმიზეზოდ მოკვლა, ისიც საკუთარ სახლში, დაუჯერებელია.

მეორეც — ხომ შეიძლებოდა ეს ბოროტმოქმედება მისი იარაღით სხვას ჩაედინა?..

ხომ ასეთი რამეც არ არის გამორიცხული?

გელას სიტყვებმა მამუკა ერთი წუთით ჩააფიქრა და შეეცადა ცივი გონებით უფრო საღად განესაჯა ნათქვამი.

— გამორიცხული არ არის. — თქვა მან ბოლოს. — მაგრამ რატომ გითხრა, დაშნა დამეკარგაო?..

— ეს შეიძლება შეგნებულად დამალა. იქნებ მართლა სხვას ათხოვა თავისი დაშნა და დანაშაულიც სხვამ ისე ჩაიდინა, რომ მგელიკამ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

— თუ გახსოვს, როდის იყო წასული ბარისახოში?

— ერთი კვირის წინ! — მცირე ჩაფიქრების შემდეგ თქვა გელამ.

— ე.ი. დაახლოებით იმ დღეებში, როცა თოთია დაიღუპა! — როგორღაც ნერვიულად ჩაილაპარაკა მამუკამ, თითქოს დანაშაულის კიდევ ერთი საბუთის აღმოჩენამ გააღიზიანაო. თუმცა ეს ნაწილობრივ მაინც ასე იყო, რადგან მგელიკამ მარტო თოთიას სიცოცხლე კი არ შეინირა მხოლოდ, ამ ასპიტისთავიანი დაშნით მისი სიყვარულიც მოკლა და საბოლოოდ დაასამარა.

„ღმერთო, რა დაგიშავე იმისთანა, რომ ძმის სიკვდილი არ მაკმარე! ნუთუ აუცილებელი იყო, ამ სისხლს ჩვენი სიყვარულიც შეწირვოდა მსხვერპლად?!“ — ბოღმამორეული ფიქრობდა მამუკა და სიმწრით გული ეკუმშებოდა. გულს არ უნდოდა დაეჯერებინა გელას ძმის დანაშაული, მაგრამ ყველა ფაქტი მგელიკას სისხლიან კვალს მიჰყვებოდა.

ჯერ ერთი, რომ მკვლელობა მისი იარაღით იყო ჩადენილი, მეორეც, იგი იმ დროს წავიდა ბარისახოში „ვიღაცის სანახავად“, როცა თოთია მოკლეს.

მესამე ის, რომ დაშნაც სწორედ მკვლელობის შემდეგ „იკარგება“.

მხოლოდ ერთი რამ ვერ გაეგო მამუკას: რატომ ჩაიდინა მგელიკამ ისეთი ვერაგობა ადამიანთან, ვისთანაც პირადი

მტრობა არ ჰქონდა. ამიტომ რჩებოდა ეს მკვლელობა მისთვის ამოუცნობ საიდუმლოებად.

— სად არის ახლა მგელიკა? — იკითხა მცირე ფიქრის შემდეგ მამუკამ.

— პირიქითა ხევსურეთში წავიდა.

— აი კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ იგი თოთიას მკვლელია!

— როგორ? — ვერ გაიგო გელამ მამუკას სიტყვების აზრი.

— ისე, რომ აქედან თავის გარიდებით დანაშაულის კვალს ფარავს, აქაოდა მკვლელობა მე არ დამბრალდესო! მაგრამ პირიქითა ხევსურეთში კი არა, ქისტეთშიც რომ გადაიმალოს, სულერთია, ჩემს შურისძიებას ვერსად გაექცევა.

— აჩქარებულ და შეუმოწმებელ შურისძიებას ხშირად ახალი ცოდვა მოსდევს! — თქვა თითქოსდა მამუკას დასამშვიდებლად გელამ და გასასვლელისაკენ გაემართა.

* * *

გელას წასვლის შემდეგ მზიას მდგომარეობა კიდევ უფრო გაუერსდა. კარგა ხანს იყო შოკირებულ მდგომარეობაში, სანამ დამაყუჩებელმა საშუალებებმა დროებით არ მოუხსნა ტკივილები და ერთგვარად არ დააწყნარა.

გულდამძიმებული მამუკა კრიჭაშეკრული მისჩერებოდა მზიას გაფერმკრთალებულ სახეს, რომლის ნახვასაც იგი ასე გულისფანცქალით მოელოდა. მასზე ფიქრით რამდენი უძილო ღამე გაუტარებია ამ სამ წელიწადში! სანამ ჩამოვიდოდა, რანაირ გეგმებს არ აწყობდა. როგორ სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი მათი შეხვედრა! სინამდვი-

ლეში კი რა მწარედ დასცინოდა თურმე ბედი, რომელმაც ერთი ხელის მოსმით ყინულის კოშკებივით დაამსხვრია მისი ოცნებები. ულმობელ ბედისწერას თურმე განგების წიგნში სულ სხვაგვარად ჰქონდა ჩაწერილი. ისე კი არა, როგორც მათ უნდოდათ, აი, ახლა რომ მოხდა, ისე!..

მამუკა ცხადად გრძნობდა, რომ ამაოდ დარაჯობდა მზიას სანახევროდ დალეულ სიცოცხეს, რადგან მისი სასთუმლის მეორე მხარეს სიკვდილის უხილავი ლანდი იყო უკვე ატუზული და თავის დროს უცდიდა. ეს დრო კი ცოტაღა იყო დარჩენილი, ძალიან ცოტა!

მამუკას ახლა საკუთარი უმწეობა უფრო სტანჯავდა, რადგან არც მზიას შველა შეეძლო და არც იმ უხილავ ძალასთან შებრძოლება, რომელსაც მისთვის საყვარელი ადამიანის სიცოცხლე უნდა წაერთმია. ამ სიცოცხლის გამოსახსნელად იგი მზად იყო თვით ჯოჯოხეთის ტარტაროზებსაც კი გადასდგომოდა წინ და, თუ საჭირო იქნებოდა, საკუთარი სიცოცხლეც გაეწირა, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზევით ძალა არ იყო. ისიც, უნდოდა თუ არ უნდოდა, განგებას უნდა დამორჩილებოდა.

„ღმერთო, რა დაგიშავა ამ უმანკო არსებამ ისეთი, რომ შენგანვე ბოძებულ სიცოცხლეს ასე ნაადრევად ართმევ?! რატომ შეგშურდა ჩვენთვის ეს ხანმოკლე ბედნიერება?! ნუთუ ეს მსხვერპლი საჭირო იყო შენთვის?!. ჩვენი შეუღლება და ერთად ცხოვრება მაინც ხომ არ მოხდებოდა, რადგან ჩვენს სიყვარულს სასიცოცხლო ძარღვი ამ დაშნამ გადაუჭრა. ჩვენ ხომ ახლა მოსისხლეები ვართ!.. მოსისხლის დის ცოლად წაყვანა კი სად გაგონილა?“

ამ ფიქრებში იყო გართული მამუკა, როცა მზიამ თვალები გაახილა და გაოცებულმა დაუწყო მას ყურება.

— მამუკა, შენა ხარ?

— მე ვარ, ძვირფასო! — ნაზად უპასუხა მამუკამ და სკამი საწოლთან უფრო ახლოს მიაჩოჩა. — ხომ უკეთა ხარ ახლა?..

— სად ვარ?

— საავადმყოფოში.

ავადმყოფმა ცოტა ხანს იყუჩა, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, ხმადაბლა გააგრძელა:

— შენ აქ როგორ მოხვდი?.. ჰო, მე ხომ იქ... ოჰ, ღმერთო ჩემო, კოშმარული სიზმარივით... კარგად აღარ მახსოვს...

— კარგი, დანყნარდი! შენთვის ახლა ბევრი ლაპარაკი არ შეიძლება! — დაამშვიდა მამუკამ, როცა სახეზე აღელვება დაატყო.

ავადმყოფი დადუმდა. ოღონდ დაძაბული მზერა არ მოუცილებია მამუკასათვის. შემდეგ თვალები ცრემლებით აევსო და ჩუმად აქვითინდა.

მამუკა ნაზად ეფერებოდა. აწყნარებდა აღელვებულ მზიას, თან ცხვირსახოცით ცრემლებს უმშრალებდა.

კარგა დრო გავიდა, სანამ ავადმყოფი დამშვიდდებოდა.

— მამუკა!.. რომ იცოდე, როგორ მომენატრე!.. როგორ დამღალა შენმა მოლოდინმა. და, აი, სად შევხვდით ერთმანეთს!

— მეც ძალიან მომენატრე და მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ! შენზე და შენთან შეხვედრაზე ვფიქრობდი მთელი ამდენი ხნის მანძილზე!.. ახლა ხომ ერთადა ვართ, გული არ გაიტეხო! ყველაფერი კარგად იქნება!

მზიამ გაღიმება სცადა და სვენებ-სვენებით გააგრძელა ლაპარაკი.

— ეჰ, რაღა არ გავიტეხო! ჩემი სიცოცხლე ... ჩამქრალია, მამუკა!..

— ჩუ, ნუ ლაპარაკობ ასე, მზია! ამაზე უარესადაც ყოფი-

ლან, მაგრამ იმედი ასე არავის გადაუწყვეტია! აი, გელა ჩამოვა და...

— სად არის გელა? — ხმაში აღელვება დაეტყო მზიას.

— თბილისში.

— თბილისში? რა უნდოდა თბილისში?..

მამუკამ კითხვა უპასუხოდ დატოვა. ავადმყოფმა ფიქრი დაძაბა.

— ალექსი როგორ არის?

— ვინ ალექსი?

— შოფერი... ჩვენი ნათესავი... მე რომ თბილისში უნდა წავეყვანე!..

— ჰოო, არა უშავს. ცოტათია დაშავებული. თბილისში წაიყვანა გელამ. — იცრუა მამუკამ.

ავადმყოფმა სული მოითქვა. ეტყობა ძალიან უჭირდა ლაპარაკი. ჭირის ოფლს ასხამდა დროდადრო.

— ახლა დამშვიდდი. ზედმეტი ლაპარაკი გაწყენს! — გაიფრთხილა მამუკამ და სველი ტილოთი შუბლზე ოფლის წვეთები შეუმშრალა.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მზიამ ისევ დაიწყო მისუსტებული ხმით საუბარი.

— იცი, მამუკა, გუშინ ჩვენი არყის ხე ვინახულე... არაგვის ჭალაში...

— მეც ვინახულე ამ დილით. — თქვა მამუკამ.

— მართლა? — გაეხარდა მზიას. — მერე არ გითხრა, რომ შენთან მოკითხვა დავაბარე?

— კი, როგორ არა!

— იცი, მამუკა! — წამოიწყო ავადმყოფმა ხელახლა და კარგა ხანს გაჩუმდა.

— რა იყო, ჩემო სიცოცხლევ?

— როცა მოვკვდები... იმ არყის ხის ქვეშ დამმარხეთ...

მამუკა მთელი არსებით შეძრა მზიას ნათქვამმა. არ ეგონა, თუ მისი სიტყვები ასე იმოქმედებდა. თვალებზე ცრემლები მოაწვა და ძლივს ამოიღო ხმა.

— აბა, რას ამბობ, მზია!..

— ჰო, ეს ჩემი ანდერძია და თხოვნაც... ვიცი, დიდხანს აღარ ვიცოცხლებ...

გელასაც ასე გადაეცი.

— გელა დღესვე დაბრუნდება თბილისიდან...

— შეიძლება მე ცოცხალს ველარ... ველარ ჩამომისწროს და სიტყვა მომეცი, რომ ჩემს თხოვნას აუცილებლად შეასრულებთ.

— მზია, ძვირფასო, გაჩუმდი, ნუ ლაპარაკობ ასე! — შეევედრა მამუკა როგორღაც უჩვეულოდ აღგზნებულსა და თვალებგანათებულ მზიას.

— ჩემი სურვილია, მამუკა, რომ სადაც ჩვენი... ჩვენი სიყვარული დაიბადა, იქვე დაიმარხოს... ასე უფრო არ დამივიწყებ!..

— არც ისე დაგივიწყებ, ჩემო სულისდგმავ! თუმცა რას ვამბობ, რომელ სიკვდილზე და დავიწყებაზეა ლაპარაკი!.. შენ უნდა იცოცხლო, ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლო, მზია!.. ჩვენ ერთად უნდა ვიცოცხლოთ... გესმის რასაც გეუბნები, ერთად!..

— არა, მამუკა! ჩვენი გზები აქ იყრება უკვე! — გაჭირვებით და ტუჩების კვნეტით წარმოთქვა ავადმყოფმა. როგორც ჩანდა, იგი მხოლოდ არაადამიანური ნებისყოფის დაძაბვით ახერხებდა ჯოჯოხეთური ტკივილების შეკავებას, რათა თავისი სათქმელი ბოლომდე ეთქვა.

— მაგრამ მე მინდა, რომ ჩვენი წმინდა სიყვარულის სიმბოლოდ და ნიშნად საფლავი მაინც დარჩეს... ხომ ხშირად მოხვალ ჩემს საფლავზე?..

— სიკვდილზე და საფლავზე ნუღარ ლაპარაკობ, თუ

გიყვარვარ! — შეევედრა ერთხელ კიდევ მამუკა.

— შემომფიცე, რომ ჩემს საფლავს არ დაკარგავ! — ჯიუტად მოითხოვა მზიამ.

— ვფიცავ, ჩემო სიცოცხლევ, ვფიცავ!

— ახლა კი შემიძლია... დამშვიდებით მოვკვდე!.. როცა საფლავი არ იკარგება... მაშინ... მაშინ ადამიანებში სიყვარულიც ცოცხლობს! - თქვა ეს, თავი ოდნავ წამოწია ბალიშიდან, მაგრამ უცაბედად ხველა აუვარდა, რასაც პირიდან სისხლის ღებინებაც მოჰყვა და ავადმყოფმა იმავე წუთს გონება დაკარგა.

აღელვებული მამუკა პალატიდან გავარდა და ექიმი შემოიყვანა, რომელმაც, როგორც კი დახედა ავადმყოფს და მაჯა გაუსინჯა, უიმედოდ გაიქნია თავი.

— როგორ არის, ექიმო, საქმე? — ჰკითხა შეშფოთებულმა მამუკამ.

— დიდად ვწუხვარ, მაგრამ მე უკვე არაფრით შველა აღარ შემიძლია!

— იქნებ, დამატებითი საშუალებები გვეცადა მაინც... სანამ გელა ჩამოვიდოდა.

— სამწუხაროდ, მაჯა აღარ ისინჯება, გული თითქმის გაჩერებული აქვს. ამდენად, ყოველგვარი მკურნალობა ზედმეტია უკვე.

— მაშ, დამთავრდა ყველაფერი?! — ამოიგმინა მამუკამ და უაზრო მზერა მოავლო იქ მყოფებს.

პალატაში ჩუმი ქვითინი გაისმა. მამუკამ თავი ასწია, უნდოდა დაენახა ვინ ტიროდა, მაგრამ ვერ გაარჩია. თითქოს საცრიდან უყურებდა. თეთრხალათიანი ადამიანების სილუეტები ქანდაკებებივით გაქვავებულიყვნენ კედლის გასწვრივ, რომელთაც უფორმო, მოწითალო სახეები დაბლა ჩამოექინდრათ. ბოლოს ისინიც გაფერმკრთალდნენ,

ტალახისფერ მასად შენივთდნენ და კედლის სითეთრეში გაიცრიცნენ.

თავრეტდასხმულმა მამუკამ მზიას საწოლთან დაიჩოქა. მისი ნაზი ხელი ფრთხილად ჩაიდო ხელის გულში და შიშნარევი მღელვარებით სახეზე დააშტერდა. აქამდე თუ კიდევ პატარა იმედის ნაპერწკალი უღვივოდა გულში, ახლა ნათლად დარწმუნდა ექიმის სიტყვების სიმართლეში: მზიას სიცოცხლე ჩაწეული პატრუქივით ნელ-ნელა ქრებოდა და მისი გადარჩენა არათუ ექიმსა და წამალს, სასწაულსაც აღარ შეეძლო.

მამუკა ცხადად გრძნობდა, როგორ ცივდებოდა მზიას პატარა ხელი მის თითებში. როგორ წვეთ-წვეთობით იშრიტებოდა სიცოცხლის წყარო მისი ლამაზი სხეულიდან, მაგრამ არაფრით შველა არ შეეძლო. ოჰ, რას არ გაიღებდა იგი ახლა ამ სიცოცხლის გადასარჩენად, რას არ დათმობდა, მაგრამ სიკვდილი, აბა, რაღა სიკვდილი იქნებოდა, ადამიანთა ნება-სურვილზე რომ ეთამაშა?.. აკი არც დათმო და საქმე ბოლომდე მიიყვანა კიდეც!.. მამუკამ იგი მზიას გაციებული გუგებითა და გაყინული თითებით იგრძნო. იგრძნო და გულის ერთი სასიცოცხლო ძარღვი ჩასწყდა კიდევ. ეს უკვე მეორე სიკვდილი იყო ერთ კვირაში, რომელმაც მისი სიცოცხლის ნახევარი თან გაიყოლა. ეს უკვე მეორე საყვარელ ადამიანს უხუჭავდა იგი თვალებს!

დაზაფრული და კრიჭაშეკრული მამუკა უსულო არსებასავით გაქვავებულიყო სკამზე და თვალგაშტერებული მისჩერებოდა მზიას უსიცოცხლო სახეს. სახეს კი არა, უფრო სწორედ, სიკვდილის ლანდს, რომელიც მის სასთუმალთან ჯერ კიდევ იდგა და იცდიდა.

გარინდებიდან ისევ ექიმის ხმამ გამოარკვია:

— დამშვიდდით! ვაჟკაცი ხართ და მეტი სიმაგრე გმართებთ!

— მე მითხარით რამე? — დაბნეულად ახედა მამუკამ ექიმს, რადგან ამ წუთში იგი ვერც ვერაფერს გრძნობდა და არც არაფერი ესმოდა.

— გამაგრდით-მეთქი, გითხარით! მწუხარებას კაცმა თავი არ უნდა დააჩაგვრინოს!..

— ჰოო! — როგორღაც ანგარიშმიუცემლად წარმოთქვა მამუკამ და სკამიდან წამოდგა.

მზიას სასთუმალიდან სიკვდილის ლანდი სადღაც გამქრალიყო.

* * *

მზიას ცხედარი გელამ არაგვის ჭალაში, არყის ხის ქვეშ დაკრძალა. მართალია, მომაკვდავი დის ასეთი სურვილი როგორც მას, ისე მის ნათესაობას მეტად უცნაურად და ერთგვარად ახირებულადაც კი მოეჩვენათ, მაგრამ ანდერძიდან ვერ გადაუხვიეს და მისი ეს უკანასკნელი თხოვნა მაინც შეასრულეს.

ნამდვილი მიზეზი კი მხოლოდ მამუკამ იცოდა, რომელიც მას შემდეგ ამ ობოლი საფლავის ხშირი სტუმარი გახდა. რომ არავის შეენიშნა, იგი ხშირად ღამის სიბნელეს ამოფარებული, იმ ღამესავით გასუდრულ საფლავთან მივიდოდა და დარდითა და ვარამით გულგატენილი საათობით იჯდა ხოლმე აქ, სანამ ალიონი თავზე არ დაათენდებოდა.

არ უნდოდა ვინმეს შეენიშნა, რადგან ეგონა, რომ მთელმა ხევსურეთმა იცოდა მგელიკას ლიქოკელებთან მტრობისა და მოსისხლეობის ამბავი.

ან კი იყო მგელიკა მისი ძმის მკვლელი? — ხშირად უსვამდა მამუკა ამ კითხვას თავის თავს. იქნებ მართლა, რო-

გორც გელა ამბობდა, მკვლელობა სრულიად სხვამ ჩაიდინა?.. ხომ არ იყო გამორიცხული, რომ მგელიკას იარაღი სხვისთვის ეთხოვებინა და იმ ვილაცას კიდევ თოთიასთვის სიცოცხლე მოესპო?.. ამ ვარაუდის უარყოფა არ შეიძლებოდა. რა მტრობა ჰქონდა მას მის ძმასთან? სახითაც არ იცნობდა. ანდა რატომ არავინ არაფერი იცოდა აქამდე ამის შესახებ?.. მაგრამ ვილაცის იდუმალი ხმა ყოველთვის ჯიუტად ჩასძახოდა მამუკას:

„არა, მკვლელი ნამდვილად მგელიკაი ას!..“

„მგელიკაი ას მკვლელი, მგელიკა!“ — თითქოს ამ ნათქვამის დასტურად მოისმოდა სიბნელიდან ვილაცის ხმა.

შეშფოთებული მამუკა ტოვებდა არაგვის ჭალას, მაგრამ სად გაექცეოდა მტანჯველ ფიქრებს, რომელიც საკუთარი ჩრდილივით მოუცილებლად უკან დაჰყვებოდა და დღენიადაგ გულსა და გონებას უშხამავდა. ხოლო თუ მკვლელი ჯერ კიდევ სამზეოზე დადიოდა, ამაში მამუკას ვერავინ გაამტყუნებდა, რადგან მას შემდეგ, რაც მკვლელობის ეჭვი მგელიკაზე მიიტანა, მის კვალს ისიც მგელივით უკან აედევნა, რომელმაც არხოტამდე მიიყვანა, მაგრამ შემდეგ შურისძიებას გარიდებულ მკვლელს მიწამ უყო პირი თუ ცამ, მისი ასავალ-დასავალი ველარ გაიგო.

როგორც თოთიას ძმადნაფიცი ოჩიაურის გაკითხა-გამოკითხვით გაირკვა, მგელიკა წიკლაური ერთი კვირაც არ დარჩენილა არხოტში, საიდანაც იგი მეგობარ ქისტებში გადასულა, ხოლო შემდეგ იქ, ჯიხვებზე სანადიროდ წასულს, ხიფათი შემთხვევია და კლდიდან დაგორებული მძიმედ დაშავებულა. იგი ახლა რომელიღაც სოფელში ქისტ აქიმთან მკურნალობს და გადარჩება თუ არა, არავინ იცისო. — ამცნო ოჩიაურმა მამუკას.

მამუკას არხოტში თავისი ჩამოსვლის მიზანი არავისთ-

ვის გაუმხელია. ოჩიაურს კი გაანდო საიდუმლოდ, რომ თოთიას მკვლელობაში ეჭვმიტანილი მგელიკა იყო.

— მაშინ მაგ საქმისა მე ვიცი! თუ მანამდე არ ჩაძაღლდა, ჩათვალე, რომ მგელიკა მკვდარია! — წამოიძახა ბრაზით არხოტიონმა.

— არა, სამუკა! ჩემი ძმის სისხლი პირველ რიგში მე უნდა ავიღო! — უთხრა გადაწყვეტილად მამუკამ. — ამასთან, შურისძიებისა და ანგარიშის გასწორებას მასთან ისე მიპარვით, ქურდულად და ლაჩრულად კი არ ვაპირებ, როგორც იმან გააკეთა, პირისპირ მინდა შევხვდე. ვნახო ერთი რა ვაჟკაცია!.. ხოლო თუ ისე მოხდა, რომ იმან მაჯობა, მაშინ გეცოდინება, რომ სისხლი ერთმაგად კი არა, ორმაგად გექნება ასაღები!

ეს საუბარი მაშინ ასე დამთავრდა.

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

კლდეს ამოფარებული მამაკაცი დატოკებული ლოდივით შეირხა გზის თავზე, მაგრად ჩაბღუჯული დაშნის ტარი უკვე მეასედ მაინც ამოსწია ქარქაშიდან და ჩასისხლული თვალებით ბალახებში გველივით გაცურებულ ბილიკს დააშტერდა. მისი სხეულის საოცარი უძრაობა, სახის დაძაბული, თითქმის გაყინული ნაკვთები, ყინულივით ცივი და მოლოდინით გაქვავებული გამოხედვა ნათლად ამტკიცებდა, რომ ამ ლოდებით ჩახერგილ ვიწროში ვიღაცას ელოდა, ელოდა მოუთმენლად და საშიში გადაწყვეტილებითაც.

ჩახმახშემართული თოფი, საოცრად ფრთხილი და უხმაურო მოძრაობა აშკარად მეტყველებდა უცნობის ვერაგულ განზრახვაზე — მუხანათურად დაებნელებინა ვიღაცის მზე. სამუდამოდ ჩაექრო სიცოცხლე, რომლის არსებობაც,

ცხადლივ თუ სიზმრად, მოსვენებას უკარგავდა და შურისძიებისაკენ ეწეოდა მის გულს.

უცნობი თავისი ვეება სხეულით ქანდაკებასავით ჩაკირულიყო კლდეებში და მეტად ფხიზელი დაკვირვება იყო საჭირო, რომ ეს ქვაკაცად ქცეული არსება ცოცხალ ადამიანად მიგეჩნიათ.

ჩასაფრებულს თავისი განზრახვის განსახორციელებლად საკმაოდ მოხერხებული ადგილიც შეერჩია: მის წინ გაკლაკნილი ბილიკი თოკივით იყო დაკიდული საშინელი ნაპრალების თავზე და საკმარისი იყო ქვევიდან მომავალს თუნდაც ერთი საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა, რომ თვალშეუდგამი ქარაფიდან სასიკვდილოდ გადაჩეხილიყო. ამიტომ უცნობი თავის მიზანს თითქმის მიღწეულად თვლიდა, რადგან იცოდა, რომ მისი მსხვერპლი ვერც ამ ბილიკს ასცდებოდა და ვერც მისი თოფიდან „ნასრევ"ტყვიას გაექცეოდა. იგი თითქმის ხედავდა კიდეც მის ფეხებთან დაგდებულ, გასისხლიანებულ გვამს და ამ სასურველ წარმოდგენას იქამდე შეეპყრო მთელი მისი არსება, რომ ეს ბიწიერი გულისთქმა შიშველი სიცხადით კიაფობდა მის საშინლად ცივსა და გაყინულ გამოხედვაში.

საზარელი შესახედავი იყო ეს კაცი: მისი ტლანქი, ჭრილობებისაგან დაბღუნძული სახე, ზღარბივით აჯაგრული თავი, ნესტოჩამოთლილი ცხვირი, ყვავის ბუდესავით აწეწილი წვერ-ულვაში, ჩალის კონებივით დაბლა დაკიდული წარბები და მისი ჩრდილიდან ავად მოელვარე ცალი თვალის უტიფარი მზერა შიშსა და ძრწოლას ბადებდა მნახველში.

უცნობის ამ თავხედურ გამოხედვას შემაძრწუნებელ იერს უმატებდა კიდევ ის ფართო და ღრმა ჭრილობის ნაკვალევი, რომელიც ზედა ტუჩიდან დაწყებული მარჯვენა

წარბის თავამდის გრძელდებოდა და საშინლად ამახინჯებდა მის ისედაც უპროპორციო პირისახეს.

ნაიარევს მარჯვენა თვალი დაეშრიტა და ნეკა თითის დადებაზე ისე გაეწყვიტა წარბი, რომ შეხორცების შემდეგ მისი ერთი ნახევარი ზევით იყო დარჩენილი, მეორე — ქვევით. ცხვირზე გადმოვლით ნახმლევს საულვაშეც შუაზე გადაეჭრა და ზედა ტუჩი ისე დაებღუნძა, რომ ორი კბილი სამუდამოდ ღიად დარჩენოდა. შეხორცებულ ჭრილობას კანი სხვადასხვა ადგილასაც დაეჭიმა და ერთი შეხედვით ასე მოეჩვენებოდა კაცს: თითქოს ამ საზარელი სახის ნახევარი გვერდი იცინოდა. იცინოდა რაღაც ამაზრზენი სიცილით.

ხოლო ყოველივე ეს ერთად აღებული — გაცინებული სახის ნახევარი და საავოდ ჩაქუფრული სახის მეორე გვერდი, ერთ სახეში გამთლიანებული, მართლაც თავზარდამცემ სურათს ქმნიდა, რადგან მასზე ერთდროულად იყო აღბეჭდილი როგორც გაყინული მრისხანება, ისე თითქოს დაკმაყოფილებული შურისძიებით გამოწვეული ღიმილი.

მზე თანდათან უახლოვდებოდა დასავლეთს. ციდან ჩამოპარული ღრუბლების შავლეგო ნახირი აქა-იქ მოსდებოდა მწვერვალებს. მათი მცოცავი ჩრდილები მთების ვეება ჩრდილებთან ერთად თანმიყოლებით წვებოდნენ ხევებში. უფსკრულებიდან ამოქროლილ ნიავს თან მოჰქონდა შორიდან გაბოროტებული არაგვის ღრენა და ქუხილი.

დაძაბულ მოლოდინში გადიოდა დრო. კლდეს ამოფარებული უცნობი ნერვიულად ატრიალებდა ხელში იარაღს, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არ ჩანდა ის, ვისაც ასე მოუთმენლად ელოდა მისი შემართული ჩახმახი და ქარქაშიდან დაძრული სატევარი.

— სად უნდა წასულიყო ის ძაღლიშვილი აქამდის, ჰა? —

ყრუდ ამოიხრიალა მან ბოლოს და ერთხელ კიდევ მოინაცვლა ადაგილი კლდის უკან.

— შეიძლება ჩემზე წინაც წავიდა! ან სხვა გზით... გაუელვა უცებ თავში და სახის ნახევარი საზარლად მოეღრიჯა, გაფითრდა. გაჩეხილი ტუჩის გასწვრივ რომელიღაც კუნთმა ნერვიულად დაუწყო ცახცახი. თავზარი დასცა იმის წარმოდგენამ, რომ ვისაც ის ელოდა, შეიძლება სხვა გზითაც წასულიყო ან საერთოდ არ მოსულიყო და მას თავისი ავკაცური განზრახვა ჩაფუშვოდა.

ო, მოლოდინის გაცრუება ახლა მისთვის მართლაც რომ სიკვდილთან თანაბარი იყო, სიკვდილთან თანაბარი, რადგან მის გულს სწორედ ამ წუთში სწყუროდა შურისძიება, სისხლი, სისხლი, რომელიც დაამშვიდებდა მის აფორიაქებულ სულს და დააკმაყოფილებდა მის შელახულ თავმოყვარეობას!

დიახ, ამ წუთში მას დაუფლებოდა მტაცებელი ნადირის ინსტიქტი და დამსგავსებოდა ხვრელში ჩასაფრებულ ობობას, რომელიც ხელსაყრელ დროს ელოდება მსხვერპლის ბადეში გასაბმელად. უცნობისათვის ეს სამალავი მართლაც ობობას ხვრელს ჰგავდა და ისიც მშიერი ნადირის თვალებით გაჰყურებდა გზას. მოუსვენრობა იპყრობდა. გულში დაგროვილი ბოღმა და ბრაზი მკერდს აწვებოდა, სულს უხუთავდა და გონებას უბნელებდა. შურისძიების სარაზელი სურათები კი ერთიმეორეს ცვლიდა მის თავში, რაც დამამშვიდებლად მოქმედებდა მასზე და ერთგვარად აწყნარებდა.

სულ ახლოდან უცებ ქვიშის ჩხრიალი მოისმა და ისევ მიყუჩდა ყრუ ხმაურით.

უცნობი შეკრთა. დაჭიმულ ზამბარასავით შეიკუმშა და მთელი ტანით კლდესავით გაქვავდა.

— აჰა, როგორც იყო! — ბოროტი ღიმილით წაიჩურჩულა იმან და მზერა მოპირდაპირე მოსახვევს მიაბჯინა, საიდანაც ხმაური მოესმა.

— ახლა კი ვეღარსად წამიხვალ, მკვდარვირიანო! — წაისისინა ჩასაფრებულმა და კლდეზე გადებული თოფი მოსახვევისაკენ გაასწორა.

გაიარა რამდენიმე მღელვარებით სავსე და დაძაბულმა წუთმა. უცნობს სახის ნაკვთები თითქმის გაეყინა და რამდენიმე მრისხანე ხაზი კიდევ აღებეჭდა ზედ. განაბული, ჩასაფრებული ნადირივით სუნთქვაშეკრული იგი კარგა ხანს დაძაბული მოთმინებით გაჰყურებდა ბილიკს, მაგრამ ამაოდ. მოსახვევში არავინ ჩანდა. მან კარგად იცოდა, რომ ამჟამად პირველ რიგში მოთმინება და სიმშვიდე იყო საჭირო, რომელიც თითქოს შეენარჩუნებინა კიდეც, მაგრამ ეს იყო გარეგნული, მოჩვენებითი სიმშვიდე. მთავარი კი გულის დამორჩილება იყო, გულისა, რომელსაც საშინელი ბაგაბუგი გაჰქონდა და რიყეზე ამოგდებული კალმახივით უფართხალებდა მკერდში.

როგორ არ ეცადა ჩაეხშო მკერდქვეშ მონოტონურად ატეხილი ეს საშინელი ხმაური, მაგრამ ამაო იყო მისი ყოველგვარი მეცადინეობა.

ბოლოს გადაწყვიტა, აღარც ამისთვის მიექცია ყურადღება და მთელი გულისყურით ისევ მოსახვევს მიაჩერდა.

— ჰმ! ... როცა იქნება, ხომ გაებმები ჩემს ხაფანგში, ძაღლო! მაშინ კი, მაშინ... ერთი ათად გაზღვევინებ ჩემი ქუდის მოხდას, ჩემი ვაჟკაცობის შერცხვენას! ხო არ გეგონა, მგელიკა ციხეში დალპებოდა და პასუხს ვეღარავინ მოგთხოვდა?..

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, რომ ჩუმი ღიღინი მოისმა. არ გასულა რამდენიმე წამი, რომ მოსახვევში ვიღაც კაცი გამოჩნდა, რომელიც არეული ნაბიჯით მოდიოდა.

როგორც ჩანდა, კარგად ნასვამი უნდა ყოფილიყო. ხევსურს თავი თითქმის მკერდზე ჰქონდა ჩამოვარდნილი და სახე არ უჩანდა.

— აი, ახლა კი გიტირებ დედას! — თოკწაჭერილივით ამოიხრიალა მგელიკამ და დამახინჯებული თვალით მიზანში ამოიღო უცნობი.

— ის არი თუ არ არის ის? — რაღაც დაეჭვებულად ჩაილაპარაკა მან. — სახეს ვერ ვხედავ, რაღაც სიმაღლეშიც დაბალა მეჩვენების. თუმცა მოვიდეს, ახლოს მოვიდეს! — თქვა და ფეხშემართულ ჩახმახს თითი მოაცილა.

უცნობი როცა ოციოდე ნაბიჯზე მოუახლოვდა ჩასაფრებულს, ამ დროს მგელიკას ხმაც კლდეზე დაკვესებული მეხივით გავარდა:

— ჰეი, შეჩერდი!

მგზავრი შეკრთა. შუბლიდან ქუდი გადაიწია. ხელში ქამარზე ჩამოკიდებული ხანჯლის ტარი ინსტიქტურად ჩაბღუჯა და ამღვრეული თვალებით კლდეს მიაშტერდა.

მგელიკას მეტი მოულოდნელობისაგან თითქოს ყინული ჩაეღვარა ტანში და სახე საზარლად დაეგრიხა. მოსისხლის ნაცვლად მის წინ მისი ბიძაშვილი ბერდია წიკლაური იდგა.

— რომელი ხარ? — გაბზარული ზარივით გაიჟღრიალა ბერდიას ხმამ და მილურსმულივით ადგილზე გაქვავდა.

ბიძაშვილის ხმა ახლა კი ცხადად ეცნაურა მგელიკას. თოფი ანგარიშმიუცემლად მიაგდო გვერდზე, მომსხვრეული ლოდივით მოსწყდა კლდეს და გზაზე გამოვარდა. მაგრამ როცა მთვრალი მოგვარის თვალებში სიხარულის ნაცვლად აშკარა დაბნეულობა და გაოცება დაინახა, შემზარავი ხარხარით ბერდიასაკენ დაიძრა.

ბერდია კი ერთ ადგილზე მიჭედილივით იდგა და ელოდა, რას მოიმოქმედებდა ეს საზარელი თავ-სახის კაცი.

— ჰეი! რომელი ხარ? — დაგუდული ხმა ბურთივით ამოვარდა პირიდან ბერდიას და ქარქაშიდან ხანჯალი თითქმის ნახევრამდე ამოსწია.

— ვაჟო, შენ შიშმა დაგრია ხელი, თუ სიმთვრალით მართლა ვეღარა მცნობ, — დამცინავად ჩაიქირქილა მგელიკამ და ქვის კერპივით გაშეშებული ბერდია შეანჯღრია.

— მგელიკაააა! — თითქმის ამოიბღავლა ბერდიამ და გაოცებული სახე მგელიკას გაბუებულ თმა-წვერში ჩამალა. რამდენიმე წამს დარჩა ასე, შემდეგ თავი აიღო და როცა მგელიკას სახის დაბღუნძულმა ნახევარგვერდმა უკვე პირისპირ შემოსცინა, თავზარი დაეცა. დამფრთხალი ნადირივით უკან მიაწყდა, ერთი წუთით თითქოს სიმთვრალეც გამონელდა და მის გონებას ნათელი აზროვნება დაუბრუნდა. მან ახლა უფრო ფხიზელი თვალით შეხედა მგელიკას სახეში და ხელები უნდობლად გაასავსავა ჰაერში.

— არა, შენ მგელიკა არ ხარ! საიდან, როგორ! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისვროდა სიტყვებს ბერდია და დაჟინებით ჩხრეკდა მგელიკას სახის თითოეულ ნაკვთს.

გუნებაში კი ფიქრობდა: „ნამდვილად ის არი! ხმაც იმისი აქვს. ტანიც, მაგრამ ეს სახე, ნაჭრევი... არა, მგელიკა ასეთი გონჯი არ ყოფილა!"

სამ წელზე მეტი იქნებოდა, ბიძაშვილებს ერთიმეორე არ ენახათ. არხოტიდან მოსისხლეებს გამორიდებული მგელიკა ჯერ იყო და ვიღაც პირაქეთელ ხევსურთან ახალ ფათერაკს გადაეყარა და მძიმედ დაჭრილი შინაურ აქიმთან კარგა ხანს მკურნალობდა. ჭრილობები წესიერად მოშუშებული არც კი ჰქონდა, რომ ახლა ქურდობაზე გაბაწრეს და სამი წლით ციხეში უკრეს თავი. ერთი რამ ვერ გაეგო ბერდიას: საიდან ან როგორ მოხვდა აქ მგელიკა, მას ხომ პატიმრობის ვადა ჯერ გასული არა ჰქონდა.

— მგელიკა ვარ, ვაჟო, აბა, ვინ ვიქნები! შენი ბიძაშვილი, მგელიკა წიკლაური! — ხმამაღალი ხარხარით წამოიძახა მგელიკამ, თითქოს ბერდიას ნაფიქრალს პასუხობსო და ბოლოს უფრო სერიოზულად დაუმატა:

— ციხიდან ჩამოვედი!

— თუ მართლა მგელიკა ხარ, მაშინ მარცხენა ხელის შუა თითი მაჩვენე! — არ ცხრებოდა ბერდია და ახალ-ახალ საბუთებს ეძებდა თავისი ეჭვების დასადასტურებლად. იცოდა, რომ მგელიკას მარცხენა ხელის შუა თითი მოჭრილი ჰქონდა.

— აჰა, თუ არა გჯერავ! — გაშალა ხელი მგელიკამ და დამორილი ნათითარი უჩვენა.

გახარებული ბერდია ხელმეორედ გადაეხვია ბიძაშვილს.

— აი, ახლა კი ნამდვილად მჯერავ! — თითქმის უფრო თავისთვის თქვა ბერდიამ, მაგრამ უმალვე შუბლი დაეღრუბლა და სახეზე ჩრდილმა დაჰკრა.

— ძალიან გამოცვლილხან ამ სამ წელიწადში, თმა-წვერი მოგიშვავ, სახეიც...

— გინდა თქვა, დაუშნოებულა, არა? — სიტყვა ჩამოართვა მგელიკამ და სახის ცალი გვერდი მართლაც ისე საზარლად დაებლუნძა, რომ ბერდიას ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— არა, მე მინდოდა მეთქვა, რო...

— საჭირო არ ას! მახინჯი რო ვარ, თავადაც კარგად ვიცი! სჯობია შენი ამბავი მითხრა. რა ქარმა გადმოგაგდო არხოტიდან? საიდან მოდიხარ?

— ბარისახოდან.

—რა გინდოდა ბარისახოში. უცხო ამბავი ხო არაი ას?

— უცხო ამბავი მეტი გინდა კიდევ?.. ხევსურეთს აყრას[1] უპირებენ!

— როგორ თუ აყრას? — კარგად ვერ გაიგო ბერდიას ნათქვამი მგელიკამ.

1 აყრას — გადასახლებას.

— როგორ და ხევსურების ბარში გადასახლება უნდათ!

— ვის უნდა ხევსურების ბარში გადასახლება, კაცო?რას მიედებ-მოედები! შენ შენს ჭკუაზე ხარ თუ სიმთვრალისაგან აღარ იცი, რას ლაპარაკობ!

— სიმთვრალისგან კი არა და, რაც მოვისმინე, იმას გეუბნები! შენ თუ გინდა ნუ დაიჯერებ!

— როგორა თქვი, ვის უნდა ხევსურების ბარში გადასახლებაო? — კითხვა გაუმეორა მგელიკამ ბიძაშვილს.

— ვის და მთავრობას.

— განა რა დააშავეს ხევსურებმა ისეთი, რო სადღაც დასაკარგავში გარეკონ? მაინც ხალხი რას ამბობს?

— ხალხს ვინ ჰკითხავს!.. ვის უნდა იქ წასვლა?.. აქით ჩვენს ძვლებს თუ წაიტანენ,[1] თორე ცოცხალი თავით არსად ჩვენ წამსვლელები არ ვართო, — იმას ამბობენ.

— მართლებიც არიან!.. ადვილი არ არის აქაურობის მიტოვება. რა თქვეს, როდის დაიწყება ბარში გადასახლებაო?

— ალბათ ერთი წლის მერე.

— მაშ, დიდი ამბები მოხდება! — დაასკვნა მგელიკამ და ჩაფიქრდა.

— თავი დავანებოთ ახლა გადასახლება-გადმოსახლებაზე საუბარს, ამას უჩვენოდაც მაევლების! შენ ეს მითხარი, როდის ჩამოხვედი ციხიდან. პირდაპირ მახოლა,[2] თუ... მიუბრუნდა ბერდია მგელიკას.

— ერთი კვირა იქნება.

— როგორ თუ ერთი კვირა? მაშ, რატომ ვერავინ გავიგეთ შენი ჩამოსვლა?

— ჩემი ჩამოსვლის შესახებ ჯერ ჩვენების მეტმა არავინ იცის.

— ეს რანაირად? გამოპარული ხარ, თუ როგორ? — შე-

1 წაიტანენ — წაიღებენ.
2 მახოლა — მოდიხარ.

იცხადა ბერდიამ და ამღვრეული თვალებით ნაციხარს მიაშტერდა. იგი მთვრალი კაცის ალღოთი მიხვდა, რომ საქმე მართლაც რაღაცაში უნდა ყოფილიყო. ე.ი. იმაზე მეტი, რაც ითქვა, და შეეცადა აზრებისათვის თავი მოეყარა. მგელიკასთან უფრო ახლოს მიჩოჩდა და დიდი საიდუმლოების მოსასმენად მოემზადა.

— გამოპარული არა, მაგრამ არც უმაგისობაა, ჩემო ბერდო! — დაარღვია სიჩუმე ბოლოს მგელიკამ და ბიძაშვილს თვალი მოარიდა. პირდაპირ არ უთხრა, რომ შრომითი გამასწორებელი კოლონიიდან მართლა გამოქცეული იყო. მაგრამ ამას ბერდია ისედაც მიხვდა, რომ ამ „მაგრამის" უკან მთავარი სათქმელი არ უთქვამს მგელიკას მისთვის. აღარ ჩაეძია და სხვა მხრიდან შეუბრუნა კითხვა:

— კი, მაგრამ აქ რაღას აკეთებდი? ელოდებოდი თუ ჰყარაულობდი ვისმე?

— სწორედ მიხვდი! აქ ერთ ორფეხა მგელს უნდა გამოევლო და „საყელში"[1] ვუდგევარ.

— როგორ? — კარგად ვერ გაიგო მგელიკას ქარაგმულად ნათქვამი ბერდიამ.

— როგორ და თოთია ლიქოკელს ამ ლოდებზე გველივით უნდა გავუნახო თავი! მიხვდი თუ არა! — საზარელი ხმით დაიღრიალა ნაციხარმა და თვალებიდან ისეთი ცეცხლი დაკვესა, რომ ბერდიას ტანზე ბუსუსმა დააყარა.

— რომელი თოთია ლიქოკელი? — დაბნეულად იკითხა ბერდიამ, რადგან არ იცოდა, რომელ ლიქოკელზე ჰქონდა მგელიკას საუბარი.

— რომელი თოთია ლიქოკელი და რომელმაც სახეზე, აი,

---

1 საყელი — მონადირული ტერმინი. მონადირის მიერ წინასწარ შერჩეულ ვიწრო ადგილს ნიშნავს, სადაც ნადირმა უნდა გაიაროს.

ეს ნაჭრევი დამიტოვა! — ბრაზით ამოიხრიალა მგელიკამ და თან თითი დაჩეხილ სახის ნახევარზე მიიბჯინა.

— ჰოო, ეგ არ ვიცოდი! რას ვიფიქრებდი თუ... აღარ დაამთავრა დაწყებული საუბარი ბერდიამ.

ახლა კი ნათელი მოეფინა საიდუმლოს, რომლის გაგებასაც ასე დაჟინებით მოითხოვდა იგი მგელიკასაგან. დიდი გამოცნობა არ იყო საჭირო, რომ მისი შურისმაძიებელი ბიძაშვილი აქ, ამ თოკივით წვრილი და ჩახვეული ბილიკის სამალავიდან სწორედ იმ თოთია ლიქოკელის მზის დაბნელებას და სისხლის დაქცევას აპირებდა, ვისმა ნაჭრევმაც ერთ დროს ამაყ და თავმომწონე მგელიკას ურჩხულივით საშინელი სახის ნახევარი დაუტოვა.

ადვილი არ იყო მგელიკასათვის, მშვიდად ეცქირა ეს სამი წელიწადი თავისი სიმახინჯისათვის. მისთვის ყოველი თვალის შევლება არათუ ზარავდა და სულიერ ტკივილს აყენებდა მხოლოდ, ახალი შურისძიების ჟინით აღაგზნებდა მას. რაც დრო გადიოდა, თავისი დაუძინებელი მტრისთვის სამაგიეროს გადახდის წადილი თანდათან წონასწორობას უკარგავდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, სამი წელიწადი ელოდა მოუთმენლად ამ სანატრელ ჟამს და, აი, დამდგარიყო ეს ჟამიც შურისძიებისა!.. აქ, აი ამ ჟანგისფერ ლოდებზე უნდა დათხეულიყო ლიქოკელის სისხლი! მხოლოდ ამის შემდეგ დაცხრებოდა მისი გული და დაკმაყოფილდებოდა მისი შელახული თავმოყვარეობა.

მგელიკა

მგელიკა წიკლაური არხოტიდან იყო, სოფელ ამღადან, სადაც მისი მამა-პაპა და მთელი საგვარეულო ცხოვრობდა ადრიდანვე.

მგელიკას მამა მინდია წიკლაური საკმაოდ სახელგანთქმული ვაჟკაცი ყოფილა. როგორც უშიშარ და გულად მონადირეს, არა მარტო არხოტის თემში, მას კარგად იცნობდნენ პირაქეთელებიც.[1] წიკლაურების თემში მინდია კითხულ კაცად[2] ითვლებოდა, ურომლისოდაც არ გადაწყდებოდა არც ერთი საგვარეულო თუ სასოფლო საქმე. ამიტომ იყო, რომ ყოველ მის სიტყვას და გადაწყვეტილებას დიდი გულისყურით და პატივისცემით ეკიდებოდნენ თვით თემის ბჭენიც.[3]

მგელიკა ხუთი წლისაც არ იქნებოდა, როცა დედა გარდაეცვალა და ობოლი ბავშვის აღზრდა მამისახლში დაბრუნებულმა დაქვრივებულმა მამიდა სამძიმარმა იკისრა.

ცოლის სიკვდილის შემდეგ მინდიას სხვა ქალის შემოყვანა აღარ უნდოდა სახლში. რამდენიმე წელს ქვრივად იყო, მაგრამ ნათესავებმა და ახლობლებმა მაინც თავისი გაიტანეს. მათი უშუალო ჩარევითა და გარიგებით მინდიამ მეორე ცოლი მოიყვანა.

პირველ ხანებში მგელიკა დამფრთხალი ნადირივით გაურბოდა ლელას (ასე ეძახდნენ მგელიკას დედინაცვალს), ახლოს არ ეკარებოდა და შორიდან ყოველთვის წარბებქვეშიდან გაბღვერილი უთვალთვალებდა უნდო გამომეტყველებით, მაგრამ ახალგაზრდა, ლამაზი, ჯან-ღონით სავსე და მეტად ცოცხალი ბუნების ლელა ხასიათითაც კეთილი და სათნო ქალი გამოდგა. იგი ყოველნაირად ცდილობდა, როგორმე დაეახლოვებინა ეს პატარა „ტყიური“ და, მართლაც, მათ შორის მალე დამყარდა მეგობრობა. მგელიკამ ისე შეიყვარა თავისი დედინაცვალი, რომ საკუთარი დედიდან არ გამოარ-

---

1 პირაქეთელები — იგულისხმება პირაქეთა ხევსურეთი.
2 კითხული კაცი — გვარის მიერ ამორჩეული კაცი, ურომლისოდაც არ გადაწყდება არც ერთი საქმე.
3 ბჭენს უწოდებდნენ სოფლის სამედიატორო სასამართლოს, ანუ სოფლის საბჭოს.

ჩევდა. მამიდა სამძიმარს თითქმის აღარ უდგებოდა ახლოს და ახალ „დედიკას" ერთთავად ლეკვივით უკან დასდევდა.

მინდიას გულში უხაროდა გერისა და დედინაცვლის ასეთი დაახლოება და თავისი ცოლის საქციელით მეტად კმაყოფილი იყო.

ერთი წლის შემდეგ მგელიკას ტყუპი და-ძმაც შეეძინა, რამაც ახალი სიხარული შემოიტანა ოჯახში, მაგრამ მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. მინდია მოულოდნელად დაიღუპა ქისტებთან უეცარი შეტაკების დროს, რაც ახალი დროის დადგომის შემდეგ უკვე იშვიათი შემთხვევა იყო ფშავ-ხევსურეთში, როდესაც ქისტები მოულოდნელად თავს დაესხმოდნენ ხოლმე მწყემსებს და წინააღმდეგობის მიუხედავად ქისტეთისაკენ მიერეკებოდნენ მათ ცხვარსა და საქონელს. სამწუხაროდ, ასეთი თავდასხმა მაინც მოხდა, რამაც მინდიას სიცოცხლეც შეიწირა.

ერთ დღეს სოფელში ხმა გავარდა, რომ საზაფხულო საძოვრებიდან ქისტებმა სოფლის ნახირი გაირეკეს და ჩქარა მდევარი მოგვაშველეთო. სოფელში დარჩენილმა ვაჟკაცებმა სწრაფად აისხეს იარაღი, მოასხდნენ უბელო ცხენებს და გამოეკიდნენ ქისტებს.

მდევარი ცხრა-ათი კაცისაგან შედგებოდა და მათში მინდია წიკლაურიც ერია. სანამ ღილღოს[1] ხეობაში შევიდოდნენ, ქისტებს გზა მოუჭრეს და გაიმართა მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

ქისტები რიცხვით სჭარბობდნენ ხევსურებს, იქნებოდა ასე თორმეტი კაცი, მაგრამ ხევსურები სჯობნიდნენ, რადგან უფრო ხელსაყრელი პოზიცია ეკავათ.

---

1 ღილღო — მდ. ასას ხეობის მცხოვრებ მთიელ ინგუშთა ანუ ღილღველთა ადგილი.

რამდენიმე ქისტი გამოასალმეს წუთისოფელს. აქედან ორი თვითონ მინდიამ გაისტუმრა საიქიოს, მაგრამ მტრის მიერ ნასროლმა ტყვიამ მინდიასაც სასიკვდილოდ შეუნგრია მკერდი.

— ვაი, დედასა... რა დროს გღა...ლა...ტობთ, ვაჟებო! — კბილების ღრჭიალით მკერდზე იტაცა ხელი მინდიამ და წაიჩოქა. პირიდან სისხლმა გადმოჟონა.

ხევსურები დაიბნენ, შემოესივნენ მინდიას, სასწრაფოდ შეუხვიეს ჭრილობა და მოლზე დააწვინეს. ქისტებმა ისარგებლეს ხევსურების არეულობით, გაფანტულ საქონელს თავი მოუყარეს და ისევ წინ გაირეკეს.

— დასცხეთ მაგ ძა...ღლებს!.. უსახელოებ არ დაბრუნდეთ სო...ფელში! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ყელში ამოიხრიალა მინდიამ და თვალები მილულა.

ხევსურები გონს მოეგნენ. ერთი კაცი მინდიასთან დატოვეს, ხოლო დანარჩენებმა გააფთრებით შეუტიეს მოწინააღმდეგეს.

თოფების გრიალზე და საბრძოლო ყიჟინაზე გაიფანტა საქონელი. ქისტები მიხვდნენ, რომ ბრძოლა წაგებული ჰქონდათ და გაქცევით უშველეს თავს. გამარჯვება ხევსურებს დარჩათ, მაგრამ იგი აღარ ახარებდა მათ, რადგან მეტად ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, მთელი ხევსურეთის ფასი ვაჟკაცი ეცდებოდათ ხელიდან.

თავი რომ მოიყარეს ერთად და გაფანტული საქონელიც შეაგროვეს, სახელდახელოდ შეკრეს საკაცე, ფრთხილად დააწვინეს ზედ მომაკვდავი ვაჟკაცი და უკან გამობრუნდნენ. სოფლამდე მინდიამ ცოცხალმა ვეღარ მოაღწია. იგი გზაზევე გარდაიცვალა და ოჯახში მკვდარი მიასვენეს.

დარჩა ოჯახი ორი დედაკაცის იმედზე. იმ დროს მგელიკა

ათი წლისა ძლივს იქნებოდა. ცხოვრების უღლის სიმძიმე ახლა მარტო ახალგაზრდა ქვრივს დააწვა. ამიერიდან ცხოვრება, ოჯახი, ბავშვები მისგან მარტო დედაკაცურ შრომას კი არა, მამაკაცური უღლის გაწევასაც მოითხოვდა, რათა სახელოვან მინდიას კერამკვიდრეულს[1] ჩრდილი არ მისდგომოდა სოფლისა და ქვეყნის თვალში.

ისევე, როგორც ყოველი ხევსური ქალი, ლელაც ბავშვობიდანვე გამოწრთობილი იყო მძიმე ფიზიკურ შრომაში. ამიტომ იყო, რომ მამაკაცებზე ნაკლებად არ ემარჯვებოდა თიბვა, მკა, ცულისა და იარაღის ხმარება. იგი თითქოს შემთხვევით იყო დაბადებული ქალად. ქცევა და მიხვრა-მოხვრაც კი მამაკაცური ჰქონდა. მინდიას დაღუპვის შემდეგ ოჯახს თუ არაფერი მოუმატა, არაფერი დაუკლია. ყველაფრის გაკეთებას და მოგვარებას ასწრებდა: ზრდიდა მცირეწლოვან ბავშვებს, სახლს ასახლებდა, მტერსა და მოკეთეს თავის პასუხს აძლევდა.

გაიარა რამდენიმე წელმა. წამოიზარდნენ ბავშვები. მგელიკას საულვაშეზე შავი ღინღლი აუბიბინდა. ხმა დაუბოხდა. ტანი ერთბაშად აიყარა და ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ჭაბუკებიდან აღარ ერჩეოდა. ტლანქი, ძვალმსხვილი და მოუხეშავი ახალგაზრდა დადგა. ვაჟკაცობდა, უნდოდა სხვებისაგან რაღაცით გამორჩეული ყოფილიყო. იგი თანატოლებთან შედარებით მართლაც გამოირჩეოდა თავისი სიჯიუტით, შეუპოვრობით, გამბედაობით და ძლიერი ფიზიკური აღნაგობით. თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი ტოლს აღარ უდებდა უკვე არაფერში თავისზე უფროსებს. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მგელიკას ხასიათში თანდათან ისეთი თვისებები იკიდებდა ფეხს,

---

1 კერამკვიდრეულის — სახლი, ოჯახი.

რომელიც ხშირად გულისწყრომასაც კი იწვევდა თანასოფლელებში. ამისი მიზეზი პირველ რიგში მისი გადაჭარბებული სიამაყე და ამპარტავნობა იყო. მეტისმეტად დიდი წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე და ვერ იტანდა თავის გვერდზე ისეთ ადამიანებს, რომლებიც ცოტათი მაინც რაღაცით სჯობნიდნენ მას. როცა კი ამისი საშუალება მიეცემოდა, ყოველთვის ცდილობდა, რომ დაემცირებინა რითიმე ისინი ხალხის თვალში. მაგრამ, თუ მას ვინმე მიაყენებდა შეურაცხყოფას, გახელებულ ნადირს დაემსგავსებოდა და ხანჯლის წვერზეც რომ წამოგეგოთ, უკან არ დაიხევდა.

რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, ქორწილებში ან დღეობებზე უბრალო სიტყვიერი წაკამათებისათვის მგელიკას გაუმწარებია სუფრა და მასთან მოჩხუბარი სასიკვდილოდაც კი გაუმეტებია, მაგრამ მამამისის დიდი სახელი და მისი ხსოვნისადმი პატივისცემა ჯერ კიდევ ტრიალებდა იმ კუთხეში და ბევრი შეგნებულად დათმობაზე მიდიოდა ან საერთოდ თავს არიდებდა მასთან შუღლისა და აყალ-მაყალის ატეხას.

ხშირი შემთხვევა იყო, როცა მგელიკა მთელი თვეობით გადაიკარგებოდა სოფლიდან. კაციშვილმა არ იცოდა, სად დადიოდა ან რას აკეთებდა. საწყალი ლელა და განსაკუთრებით მოხუცი სამძიმარა გაწამებული იყვნენ მისი საქციელით. ხშირად დატუქსავდნენ კიდეც, მაგრამ მგელიკა მათ უკმეხად შეუტევდა:

— თქვენ ოჯახსა და საქონს მიხედეთ! არ ას დიაცების საქმე, მე სად წავალ ან მოვალ! — და გაიჯახუნებდა კარებს.

ბევრი იმასაც ამბობდა, რომ მგელიკას პირაქეთა ხევსურეთიდან მოპარული ცხენები და საქონელი ქისტებში გა-

დაყავს და იქა ჰყიდისო. მაგრამ ამას ჩუმად, ზურგს უკან ლაპარაკობდნენ, თორემ პირში ვინ გაუბედავდა ამის თქმას.

მგელიკას დედინაცვალი, მართალია, ყურს იყრუებდა ხალხის ამ მითქმა-მოთქმაზე, მაგრამ ცხადად და თვალნათლივ ხედავდა, რომ იგი უპატიოსნო გზაზე იყო დამდგარი. ამიტომ ხშირად არიგებდა ჭკუაზე:

— მგელიკა, შვილო! სახელოვან მინდიას შვილს არ გიხდების ამ გზით სიარული. არ გინდა არამი ლუკმა! სახელს გაიტეხ!..

მგელიკა დედინაცვლის ასეთ შეგონებას ერთი ყურიდან შეუშვებდა, მეორიდან გაუშვებდა. ხანდახან უხეშადაც კი შეუბრუნებდა სიტყვას:

— მე თაოდ[1] ვიცი ჩემი საქმისა! შენ ჭკვის სწავლება არ მჭირდების!..

საწყალი ლელა იძულებული იყო, ხმა ჩაეკმინდა, მაგრამ გული კი მწარედ დაუწყებდა კვნესას, როცა შვილივით გაზრდილის ასეთ უპატივცემლობას და უმადურობას შეამჩნევდა. თავისი შრომა და ამაგი ენანებოდა საწყალ ქალს, ასე წყალში გადაყრილივით რომ ჩანდა მგელიკას თვალში, მაგრამ რა მეტი გზა ჰქონდა, წყენას გულშივე იტრიალებდა და ჩუმდებოდა.

— იქნება ჩემ ბრალიც ას? — მწარედ ჩაეკითხებოდა ხანდახან თავის გულს ლელა. — მაგრამ ღმერთი ხო ას მოწმე, მგელიკას საკუთარი შვილებიდან არ ვარჩევ!.. საწყალი მინდია ცოცხალ რო ყოფილიყვ! — აღარ დაამთავრებდა სათქმელს და ბოღმამორეული ცხარე ცრემლებს გადმოაფრქვევდა, მაგრამ საწყალ ქალს რაღა უნდა ეღონა იმაზე მე-

---

1 თაოდ — თავად, თვითონ.

ტი, რაც პატარა მგელიკას აღზრდისათვის გააკეთა? ბარისახოს სკოლა-ინტერნატშიც კი წაიყვანა ერთხანს სასწავლებლად, რომ ქვეყანას არ ელაპარაკა: დედინაცვალია და თავისი გერი მხოლოდ საქონლის სამწყემსავად და საქმეში მოსახმარებლად უნდაო. თავისი ღვიძლი შვილები თუ იქ მიაბარა, რატომ მგელიკასაც არ ასწავლაო — არ უნდოდა, ეთქვა ხალხს. ამიტომ მთელი ოჯახის საქმე თვითონ იტვირთა და შრომა გაიორმაგა.

მაგრამ რა გამოვიდა მისი ნვალებიდან? მგელიკამ სწავლასა და წიგნს გული ვერ დაუდო. ინტერნატიდან გამოიქცა. ვერ შეეგუა იქაურ რეჟიმს. უკანვე დააბრუნა დედინაცვალმა, მაგრამ მას თავისი უხეში საქციელით ისე გაწამებული ჰყავდა ბავშვებიც და მასწავლებლებიც, რომ ბოლოს სკოლა-ინტერნატის დირექცია იძულებული გახდა, ყოველგვარი ზომების გატარების შემდეგ, იგი სასწავლებლიდან დაეთხოვა.

ამაყმა და ქედმაღალმა ბიჭმა, რომელიც თავზე ბუზს არ ისვამდა, იუკადრისა, როგორ თუ ინტერნატიდან გამაგდესო და ლელამ ვეღარაფრის დიდებით ვერ დაიყოლია იგი ხელმეორედ დაბრუნებულიყო სასწავლებლად. საცოდავ ქალს ცალკე სირცხვილისაგან და ცალკე ბოღმისაგან გული გასკდომაზე ჰქონდა, მაგრამ, რაკი ჯიუტ და კერპ ბავშვთან ვერაფერს გახდა, მეტი რაღა გზა ჰქონდა, უნდა დაეთმო და მანაც ფარ-ხმალი დაყარა.

გადიოდა წლები. მგელიკა სივაჟკაცეში შედიოდა. თანდათან აუტანელი ხდებოდა მისი ხასიათი. ლელა თითქოს შეეგუა კიდეც ამ მდგომარეობას, მაგრამ გუმანით გრძნობდა, რომ მათი ოჯახის თავზე უბედურების ღრუბელი თანდათან გროვდებოდა და მოსახდენი, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, მაინც უნდა მომხდარიყო.

და მოსახდენი მართლაც მოხდა.

ერთხელ სოფელ ახიელში ბათირა ნაროზაულმა თავის ქორწილში მგელიკაც დაპატიჟა სხვა მეზობლებთან და ძმაკაცებთან ერთად. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან სოფელი ამღა და ახიელა ისე ახლოს იყო, რომ იქაური მკვიდრნი თავს თითქმის მეზობლებად და ნათესავებად თვლიდნენ და სირცხვილადაც კი მიაჩნდათ, თუ ერთიმეორის ჭირში ან ლხინში გამოაკლდებოდნენ. მითუმეტეს, რომ მგელიკა და ბათირა ბავშვობიდანვე ერთად შეზრდილი მეგობრები იყვნენ.

კარგი იქნებოდა, სულაც არ წასულიყო ამ ქორწილში მგელიკა. მაგრამ, აბა, საიდან იცოდა, თუ ასეთ უბედურებას დაატრიალებდა იქ და უნებურად კაცის მკვლელი გახდებოდა. პატარძლის მხრიდან მაყარში მოყოლილ ახალგაზრდა ვაჟკაცს — გიგია ჭინჭარაულს ცეკვის დროს ხანჯალი გაუყარა მუცელში და სიცოცხლე მოუსწრაფა. ეს კი ისე უბრალოდ და მოულოდნელად მოხდა, რომ ვერავინ მოახერხა ამ უბედურების თავიდან აცილება.

ქორწილში მგელიკა და გიგია სუფრასთან ერთიმეორის პირისპირ აღმოჩნდნენ და, რაკი საკმაოდ შეზარხოშებულები იყვნენ, სულ უბრალო რაღაცაზე წაკამათდნენ, რომელიც შემდეგ კინაღამ სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა. ერთიმეორეზე წაიწიეს კიდეც, მაგრამ თანასოფლელებმა მგელიკა მალე გაარიდეს სუფრას და ქორწილმაც თავისი ჩვეულებრივი სახე მიიღო.

მექორწილეებმა მალე დაივიწყეს ეს შემთხვევა და სრულ მხიარულებას მისცეს თავი.

ბათირას დიდძალი ნათესაობისათვის მოეყარა თავი. უნდოდა არხოტში მანამდე არნახული ქორწილი ჩაეტარებინა. იმდენი საკლავი დაიხოცა მართლაც, იმდენი ლუდი მოი-

ხარშა და არაყი გამოიხადა, რომ არა თუ ერთ, სამ ქორწილსაც გაისტუმრებდა ბათირას ოჯახი.

ბევრი ქორწილს „გარმონიკაზე" და უბრალოდ ტაშ-ფანდურაზე გადაატარებდა, ბათირამ კი განთქმული ყაზბეგელი მუსიკოსები ჩამოიყვანა, რომლებმაც ისეთი ეშხით „გაუწიეს", დოლს ისეთი ბაგაბუგი აუტეხეს, რომ მთელ არხოტის ხეობას ზანზარი გაჰქონდა.

არხოტიონები და შატილიონები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ, ტოლს არ უდებდნენ მოლხენაში და ცეკვა-თამაშში. ყველას პირზე ღიმილი ეკერა. ცეკვა-თამაშს ფანდურზე დამღერება სცვლიდა, ფანდურზე დამღერებას — ერთიმეორეში ხუმრობა და გაშაირება. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ეს უბედურება არ დატრიალდა.

უცებ მგელიკა ქორივით გადმოევლო სუფრას და საცეკვაო მოედნის შუაგულში ძელივით დაერჭო. ნესტოებდაბერილი, დამფრთხალი ულაყივით აკვესებდა თვალებს და მოჭარბებული სმისა და აღტკინებისაგან სახე ვარდისფრად ულვიოდა.

ყველა გაისუსა. ერთი წუთით მემუსიკენიც მიყუჩდნენ. მგელიკამ ბანზე რკალად შემორტყმული ხალხი მისწი-მოსწია, შემდეგ ხელი დამკვრელებისაკენ გაიშვირა და მჭახე ხმით დაიკივლა:

— დაუკარით!..

დამკვრელებმა მაღალ ტემპში დასცხეს საცეკვაო და მგელიკაც არწივივით მხრებგაშლილი ქარბორბალასავით დატრიალდა წრეში. ნავარდით შემოუარა რამდენჯერმე, შემდეგ ქალის მაყრებიდან ყველაზე ლამაზ, სახეყირმიზა ხევსური ქალწულის წინ გაჩერდა და საცეკვაოდ გამოიწვია.

გოგო ჯერ უარზე დადგა, მაგრამ გვერდში მდგომმა დო-

ბილებმა მხიარული ყიჟინით იგი თითქოს ძალით შემოაგდეს წრეში.

მგელიკას წინ ლერწამივით ასვეტილი, ვარდის კოკორივით აფეთქებული გოგო დამფრთხალი ნუკრივით აფეთებდა თვალებს, თითქოს წრიდან გაფრენას აპირებს და მხოლოდ ნიშანსღა ელოდებაო, ასე იდგა ვაჟის წინ შემკრთალი და აცახცახებული.

დასცხეს ტაში ყოველი მხრიდან. მედლოემ უფრო მოხერხებულად მოიგდო დოლი იღლიის ქვეშ, ცალი ფეხი ვიღაცის მიერ სახელდახელოდ დადგმულ სამფეხა ჩიკაზე შედგა და ისეთი ძალით დასცხო, რომ სახლის ბანმა რყევა დაიწყო.

— მიდი, ნათია, მიდი! ჩამოუარე შენებურად! — მოაძახეს ზურგიდან სწორფერებმა.

თითქოს ამ წაქეზებასღა ელოდებაო, ნათიამ ჯერ მომაჯადოებლად გაიღიმა, შემდეგ ხელები გაშალა, ჯეირანივით ყელი მოიღერა და წრეში შეცურდა.

გულატოკებული მგელიკაც გვერდზე გაჰყვა. გაოგნებული და უსაზღვროდ ბედნიერი იყო იმ წუთში, როცა ქალის ამაყად აღერილ, ლამაზად ნაქანდაკევ თავ-კისერსა და მღელვარედ მოქანავე, ახლად აფეთქებულ ძუძუ-მკერდს შეავლებდა თვალს.

ნათიას სილაღე, ჰაეროვნება და დამატყვევებელი სინარნარე თავბრუს ახვევდა ისედაც მთვრალ მგელიკას და ნატრობდა გახანგრძლივებულიყო ეს ბედნიერი წუთები. მაგრამ სწორედ ამ დროს ვიღაცის განიერი ზურგი აეყუდა წინ და ნათიასკენ გზა გადაუჭრა.

იცნო. გიგია ჭინჭარაული უწევდა აქაც მეტოქეობას.

სისხლი მოაწვა სახეზე და სიბრაზისაგან კანკალი დაიწყო. ჰაერში გაშეშებული ხელები ძლიერად დამუშტა. მხრე-

ბი ნერვიულად დაიკეცა და გვერდზე მიდგა. ძლივს იკავებდა თავს. ადგილზე მოუსვენრად ტოკავდა და თანდათან ცოფი ერეოდა. გული ლამის გასკდომაზე ჰქონდა, რომ ამ ვიღაც აყლაყუდა ხევსურმა ამოდენა ხალხში გაამასხარავა.

— აი, დედას გიტირებ ვიღაც ჭინჭარაული ღგდიხარ! იქნებ არ იცი, რომ მგელიკას მეძახიან?! — დუღდა რისხვამორეული მგელიკა, თან თვალს არ აცილებდა მეტოქეს. ხელსაყრელ დროს ურჩევდა კვლავ ჩაეჭრა ცეკვა და გიგია პირში ჩალაგამოვლებული დაეტოვებინა.

მართლაც, როცა ცეკვის ეშხში შესულმა ჭინჭარაულმა ბრუნი გააკეთა, და ის იყო წრეში მოგოგმანე ნათიას მიმინოსავით უნდა დაქროლებოდა, მის წინ ახლა მგელიკა მიარხევდა მხრებს თავმომწონედ ნათიას გვერდზე.

ამ ამბავზე ერთი სიცილ-ხარხარი ატყდა და გაწბილებული გიგია ერთხანს უგერგილოდ იდგა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, წრიდან არ გასულა და როგორც კი ქალვაჟმა გვერდზე ჩაუარა, იგი თითქმის ძალად გადაეღობა მგელიკას წინ.

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. ყველა გაფითრებულ მგელიკას მიაჩერდა. ავმა წინათგრძნობამ ნიავივით ჩაიქროლა მექორწილეებში. ჰაერიც თითქოს დამძიმდა და ჩუმი რისხვით დაიტენა. როგორც გაელვების შემდეგ მეხის გავრადნას, ისეთი ძრწოლით უცდიდა სულგაკმენდილი ხალხი რაღაც მოსალოდნელ უბედურებას. მოზრდილებმა ტაშის ცემა შეწყვიტეს. მხოლოდ ბავშვებიღა უტყაპუნებდნენ ხელებს.

ნათიას გულმა უგრძნო, რომ მოქიშპე ვაჟების ასეთ ცეკვას კარგი არაფერი მოჰყვებოდა და წრიდან გაცლა ამჯობინა. ის იყო გვერდზე მიდგა, რომ მგელიკას ხელშიც ლაპ-

ლაპა სატევარმა იელვა და გააფთრებისაგან კრიჭაშეკრულს რაღაც ღმუილი აღმოხდა ყელიდან. თვალის დახამხამებაში ვეფხვივით ისკუპა მოცეკვავე ჭინჭარაულისაკენ, მძლავრად დასწვდა მხრებში, თავისკენ შემოაბრუნა და ხანჯალი პირდაპირ ტარამდე გაუყარა მუცელში.

სიმწრისაგან ორად მოკეცილი გიგია ერთხანს კიდევ ეჭირა ხელით, გასისხლიანებული ხანჯალი გამოაძრო მუცლიდან და განზე გადგა. ჯოჯოხეთური ტკივილებისაგან სახეშეცვლილი შატილიონი ჯერ ცალ მუხლზე დაეცა, შემდეგ კი დაბლა გაიშოტა.

ატყდა ქალებისა და ბავშვების წივილ-კივილი, აირია და ერთიმეორეს მიაწყდა მექორწილე ხალხი. ახალგაზრდა შატილიონებმა ჯაგარი აიშალეს და ხმლის ვადაზე გაისვეს ხელი.

გაოგნებული მგელიკა კი თავში კეტდარტყმულივით იდგა ერთ ადგილზე, სანამ ხალხის ჩოჩქოლმა არ გამოაფხიზლა. შემდეგ გალიაში მომწყვდეული ფოცხვერივით აწრიალდა, მაგრამ საითაც გაიბრძოლა, ყველა მხრიდან გზა გადაკეტილი დახვდა. ბევრი აღარ უფიქრია. დაფეთებული მოზვერივით თავდაღუნული ზურგისკენ შეტრიალდა. ერთი გრძელი ნახტომით ბანის კიდესთან გაჩნდა, იშვირა ფეხი და ერთიმეორეს შემოხლილმა მექორწილეებმა ჰაერში გაფრენილ მგელიკას გაფრიალებულ ტანსაცმელსა და ხანჯლიან ხელსღა მოჰკრეს თვალი.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ შატილიონის მკვლელი უკვე თავისი ცხენის ზურგს მოვლებოდა და თავდაღმართზე თავგამეტებით მიაჭენებდა.

ასე გახდა მგელიკა თავისი ქედმაღლური და ვერაგი ხასიათის წყალობით კაცის მკვლელი. ასე შეიღება უდანაშაულო ადამიანის სისხლით ხელები მაშინ, როდესაც ყველა-

ფერი შეიძლება მშვიდობიანად დამთავრებულიყო. ამიტომ იყო, რომ მგელიკას დანაშაულით ყველა აღშფოთებული იყო მისი ბიძაშვილებისა და ნათესავების ჩათვლით. ყველა გმობდა და კიცხავდა მის საქციელს.

მართალია, მგელიკამ არ იცოდა, თუ გიგია ჭინჭარაული და ნათია დეიდაშვილები იყვნენ, მაშინ მკვლელობასაც არ ჩაიდენდა. ხოლო თუ გიგიამ მგელიკას ნათიასთან ცეკვა არ დაანება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი კამათის შემდეგ ნათიასთან მისი ცეკვა არ ესიამოვნა. მაგრამ ეს იმის საბაბს ხომ არ იძლეოდა, რომ ახალგაზრდა კაცი სასიკვდილოდ გაემეტებინა?

თავისი წინდაუხედავი მოქმედებით მგელიკამ და არა მარტო მგელიკამ, მთელმა საგვარეულომ ჭინჭარაულების სახით მოსისხლეები გაიჩინეს. მგელიკამ ისიც კარგად უწყოდა, რომ ჭინჭარაულების შურისძიებას ეგრე ადვილად ვერსად დაემალებოდა. ამიტომ ქისტებში გადასვლა გადაწყვიტა, სადაც საიმედო ამხანაგები და ნაცნობები ჰყავდა. მანამდე კი პირველ რიგში სახლში მისვლა იყო საჭირო, თორემ უიარაღოდ სად წავიდოდა? ხანჯლის მეტი არაფერი გააჩნდა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ ლელა და მოხუცი სამძიმარა, როდესაც ერთნაირად სისხლში მოსვრილი და სახეშეშლილი მგელიკა დაინახეს. წინგარდაში[1] მოფუსფუსე სამძიმარა იქვე ჩაიკეცა ელდისაგან და სასოწარკვეთილმა წამოიძახა:

— ვაიმე, დავიღუპე! ეს რა დაგმართვია, შვილო! დაჭრილი ხარ?

— დაჭრილი არა ვარ, მამიდა, კაცი შემომაკვდა! — შეცვლილი ხმით ჩაილაპარაკა მგელიკამ და მამიდას თვალი მოარიდა. სინდისის ქენჯნა მოეძალა და დამნაშავედ იგრძ-

---

1 წინგარდა — პირველი სართულის ანუ ბოსლის ბანი.

ნო თავი ამ ორ ადამიანთან, რომლებსაც დიდი შრომა და ამაგი ჰქონდათ განეული მასზე. რამდენს არიგებდნენ ჭკუაზე და ეჩიჩინებოდნენ, მაგრამ ვის უჯერებდა? იგი თავისი ჭკუით სიარულს ამჯობინებდა ყოველთვის, საკუთარმა ჭკუამ კი, აი, სადამდე მიიყვანა. უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი დღეიდან უკვე პასუხის გაცემას მოითხოვდა. პასუხი კი ჯერ პირველ რიგში მგელიკას უნდა გაეცა საკუთარი სისხლით. თუ არადა, ოჯახს თავისი ქონებით უნდა გამოესყიდა მისი სიცოცხლე, რასაკვირველია, თუ დაზარალებული მხარე ამისი მომხრე იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მგელიკა ან რომელიმე მისი ახლობელი შატილიონის ხელით უნდა მომკვდარიყო. ასეთი იყო საუკუნეობით დაკანონებული ხევსურთა რკინისებური ადათი, რომელიც, ახალი ცხოვრების შემოჭრისა და დამკვიდრების მიუხედავად, ჯერ კიდევ მოქმედებდა ამ კუთხეში.

მგელიკა ცხადად გრძნობდა, თუ თავისი დღევანდელი დანაშაულით რამდენ უბედურებას და უსიამოვნებას უმზადებდა მომავალში კიდევ თავის მამიდას, დედინაცვალს და უმცროს და-ძმას. ამიტომ ერიდებოდა თვალი გაესწორებინა მათთვის და პირველად თავის სიცოცხლეში გულწრფელად შეეცოდა ისინი.

თვალებში შიშჩამდგარი ლელა თავზარდაცემული იდგა ერთხანს, ბოლოს როგორც იყო, დასძრა სიტყვა:

— ვინ ას? ვინ შემოგაკვდა?

— შატილიონი გიგია ჭინჭარაული!

— არხოტის ჯვარო, შენ დაგვიფარე უარესისაგან! აპარეკა ჭინჭარაულისა მაინც არავინ იყოს! მაკეთეების სისხლში გექნება ხელები გასვრილი!..

მგელიკამ იცოდა, რომ შატილელი აპარაკე ჭინჭარაული მამამის მინდია წიკლაურთან ფიცვერცხლნაჭამი იყო. ძა-

ლიან უყვარდათ ერთმანეთი და ერთიმეორესთან დიდი ნათესაური მისვლა-მოსვლა და მიყოლ-მოყოლა ჰქონდათ.

მინდიას სიკვდილის შემდეგაც აპარეკა არ ივინყებდა ძმადნაფიცის ოჯახს, ნელი ისე როგორ გავიდოდა, რომ ერთხელ მაინც არ დაეხედა ქვრივ-ობლებისათვის და ამბავი არ ეკითხა.

— მგელიკავ შვილო! რა მოხდა იქ ისეთი, რო კაცის თავსისხლი დაიდევი კისრად? არ იცოდი, რა მოხყვებოდა ამას? — დაარღვია სიჩუმე კარგა ხნის დუმილის შემდეგ სამძიმარამ.

— როგორ არ ვიცოდი, მამიდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თავზე ხო არ დავისვამდი იმ ვილაცა ჭინჭარაულს? მასხარად აგდება დამიწყო, ნერვებმა მიღალატა და...

— შენ ნერვების პატრონ ქორწილში აღარ უნდო დადიოდას მაშინ! — წყრომით მიახალა სამძიმარამ. — რა გვეშველების ახლა ჩვენ, უპატრონო დიაცებს?!. უნდა ავიყარნათ არხოტის მიწა-წყლიდან და სადღაც მთას იქით გადავიკარგნათ! შატილიონებს აქაცა ხყავ ნათესავები. ისინი კაცის თავსისხლს კი არა, თმის ღერის გამრუდებას არავის შეარჩენენ, ისეთ ხალხი ას!.. აქაურობას სულ ნაცარტუტას აადენენ.

— თქვენ, დიაცებს ხელს არ გახლებენთ. ჯერ მე დამინყებენ დევნას. ამიტომ სიფრთხილეს თავი არა სტკივა, მორიდება სჯობ. გუდანში[1] მოგიწევთ გადასვლა, ჩვენებთან. იქ უფრო საიმედოდ იქნებით! — მოკლედ მოსჭრა მგელიკამ და ჭერხოდან ნაჩქარევად იარაღი გამოარბენინა.

— შენ თვითონ რაღა გადაწყვიტე? — შეაყოვნა ერთ წამს ახლა ლელას შეკითხვამ მგელიკა.

— ქისტებთან გადავალ. საიმედო ძმაკაცები მყავს იქ!

— სწორ გიფიქრავ! მანამდე იქნებ მოსისხლეებიც დაშოშ-

---

[1] გუდანი — სოფელია პირაქეთა ხევსურეთში.

მინდან და ჩვენც რამე გავახერხათ შუაკაცებით! — უთხრა ლელამ. — ახლა კი იჩქარე. დროზე გაერიდე აქაურობას!

ხუთიოდე წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ თავით ფეხამდე შეიარაღებული მგელიკა ორიოდე სიტყვით გამოემშვიდობა ქალებს და თვალის დახამხამებაში თავის ქურანა ცხენის უნაგირს მოევლო.

კისერმოღრეჯილი ულაყი ციბრუტივით შემოტრიალდა ადგილზე, ერთი ღონივრად დაიფხუტრუნა და ისარივით წინ გავარდა.

— არხოტის ჯვარო და ჩვენო მთავარანგელოზის სალოცავო! შენ უშველე და უმეშვლე მგელიკას, შენ მაუმართე ხელი! აშორე ხიფათი და ფათერაკი.მტრის ტყვია და მახვილი, ავი კაცის ხელი! ნუ მააკლებ შენს წყალობას, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! — ბუტბუტებდა ერთ ადგილზე გახევებული, თვალებში ცრემლჩამდგარი სამძიმარა და იქამდის გაჰყურებდა გზას, სანამ საკუთარ სახლ-კარსა და შატილიონების რისხვას გარიდებული მხედარი თავდაუზოგავი ჭენებით ხეობის მოსახვევის იქით არ გაუჩინარდა.

ასე დატოვა მგელიკამ არხოტის მიწა და ქისტეთში გადავიდა, სადაც ერთხანს ცხოვრობდა. მას შემდეგ, რაც მისი ოჯახი დროებით გუდანს შეეხიზნა, მათმა საგვარეულომ უდიდესი სიფრთხილით დაიწყო მოლაპარაკება მოსისხლეებთან. თავდაპირველად ჭინჭარაულებმა შორს დაიჭირეს მოსისხლე წიკლაურები და ახლოს არ გაიკარეს, მაგრამ როცა დრომ გაიარა და თანდათან დაცხრა მათი გააფთრება, ისინიც ერთგვარ დათმობაზე წავიდნენ. მთავარი როლი მოსისხლეთა შერიგებაში მაინც მგელიკას მამა მინდიას ძმადნაფიცმა აპარეკა ჭინჭარაულმა ითამაშა, რომელიც მოკლულის ალალი ბიძა აღმოჩნდა. მისი მხარდაჭერა მოლაპარაკებაში ძალიან ბევრს ნიშნავდა.

სისხლის აღების ხევსურული წესის მიხედვით მგელიკას ოჯახმა და ნათესავებმა რიგის ყენების მიზნით ყველაფერი გააკეთეს მოსისხლეებთან შესარიგებლად. ერთი წლის შემდეგ კი გუდანის ჯვარში მოხდა პირშესამყრელო ბიძაშვილებისა.[1] რჩებოდა ახლა მხოლოდ პირშესამყრელო მკვლელისა[2] და პატივის მიცემა,[3] მაგრამ ეს უკვე აღარ მომხდარა, რადგან იმ ხანებში მგელიკა ახალ ფათერაკს გადააწყდა და თოთია ლიქოკელის სახით ახალი მოსისხლე გაიჩინა.

თოთია და მგელიკა საერთოდ არ იცნობდნენ ერთმანეთს. ისინი ერთხელ შეხვდნენ შემთხვევით ლიქოკის ხეობაში და მაშინაც მტრებად დაცილდნენ ერთმანეთს, მოსისხლე მტრებად!

მაგრამ უმჯობესია თავიდან მოგითხროთ იმ შემთხვევის შესახებ, რამაც მგელიკას იარაღი ააღებინა ხელში და ამ კლდის ვიწროებში ჩაასაფრა ახალი სისხლის დასაქცევად მაშინ, როდესაც გიგია ჭინჭარაულის სისხლიც ჯერ კიდევ არა ჰქონდა ჩამოხოცილი ხელებიდან.

* * *

თოთია ლიქოკელი მამაცი და განთქმული ვაჟკაცი იყო მთელ პირაქეთა ხევსურეთში. მისი მამა-პაპა ადრიდანვე დამკვიდრებულიყო საცხოვრებლად ლიქოკის ხეობაში ჭალაის სოფელში, სადაც თოთია ამჟამად ცოლ-შვილით და ოჯახით ცხოვრობდა.

1 პირშესამყრელო ბიძაშვილებისა — ბიძაშვილების პირშესამყრელოს ეძახიან, როცა მკვლელისა და მოკლულის ბიძაშვილები ერთი წლის შემდეგ შეხვდებიან ერთ რომელიმე დიდ ხატში, სადაც ხდება მოსისხლეთა ფაქტიური შერიგება.
2 პირშესამყრელო მკვლელისა — როცა მოსისხლეები პირისპირ შეიყრებიან ხატში იმავე წესით, რა წესითაც ბიძაშვილების პირშესამყრელოს დროს. ეს არის ფაქტიური საბოლოო შერიგება.
3 პატივის მიცემა — ეს ნიშნავს მუდმივ კრძალვას მკვლელისა და მისი ნათესაობისაგან მოკლულის გვარეულობისადმი.

ჭირსა და ლხინში მხარში მდგომი, მშრომელი, პატიოსანი და გულალალი ხევსური ვაჟკაცი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა თავის კუთხეში. დიდი და პატარა რიდითა და პატივით ეპყრობოდა.

კაი ყმის ხმა-სახელი თითქოს მემკვიდრეობით გადადიოდა შთამომავლობაზე მათ ოჯახში. ჯერ თოთიას პაპა აბულეთი, ხოლო შემდეგ მამამისი გიგია ლიქოკელი კითხულ კაცებად ითვლებოდნენ. მამა-პაპათა ეს დიდი სახელი არც თოთიას დაუწევია დაბლა მათი დაუძლურებისა და მოხუცებულობის შემდეგ. მაგრამ იგი არც თავისთავად მოსულა და არც წინაპართა დიდების მსუყე, გაფუფუკებული ნიადაგიდან აღმოცენებ-ულა უბრალოდ. მამა-პაპათა ამ დიდ სახელსა და გვარიშვილობას მაინც მისი, როგორც პიროვნების, პირადი თვისებები უნდა გასძღოლოდა წინ.

ხევსურეთში კი, სადაც ასე დიდად აფასებენ გმირობისა და ვაჟკაცობის ტრადიციებს, მეტისმეტად ძნელია კაი ყმის სახელის მოპოვება და ადვილი არ იყო მისი დამსახურება არც თოთია ლიქოკელისათვის. გადამწყვეტი აქ მაინც სწორედ მისი პირადი ღირსებები გახლდათ.

ერთ კვირა დილით თოთია ადრიანად გავიდა სახლიდან. ბარისახოში ჰქონდა საქმე. თენდებოდა. ღამის სიბნელე ნელ-ნელა მიიპარებოდა ხეობიდან. ნათელი განთიადი კი ძლევამოსილად ეშვებოდა კარატეს მთიდან, რომლის თავზეც მოცრიატე ცისკრის ვარსკვლავი მიბნედილი შუქით ჯერ კიდევ კამკამებდა.

ირგვლივ შემოჯარული მთები კი ზღაპრული დევებივით გარინდულიყვნენ განათებულ ჰორიზონტზე და ასე იფიქრებდა კაცი: ამ გაქვავებულ გოლიათებს თვალშეუწვდენელ სიმაღლეზე ატყორცნილი ზეცის თავანი თავისი განიერი მხარ-ბეჭით შეუკავებიათო.

ღამეულ სიჩუმეს მხოლოდ ჩიტების გალობა და მდინარის გულჩათხრობილი ჩხრიალილა არღვევდა.

თავის ფიქრებში ჩაძირული თოთია ნელი იორღით მიაქევქევებდა ლურჯას და ვერც კი შენიშნა, როგორ გალია ჭალა.

თანდათან იძალა დღის სინათლემ, ღამის ჩრდილები შეუმჩნევლად ტოვებდნენ უფსკრულებს. ხეობაში ჩაწოლილი ნისლი ნელი ზლაზვნით მიიწევდა მაღლა და დაფლეთილი მერდინივით ეხვეოდა სიბნელიდან ამაყად თავაღერილ მწვერვალებს. ჩამქრალიყო განთიადის დედოფლის ციმციმიც კარატეს მთის თავზე. საგნები თანდათან იკვეთებოდნენ სიბნელიდან და თავის ფერსა და ფორმას იბრუნებდნენ.

თოთიას გახურებული შუბლი გრილი ნიავისათვის მიეშვირა, რომელიც მაცოცხლებელ ნექტრად ეღვრებოდა სხეულში და სიცოცხლის ახალი წყურვილით ავსებდა მის გულს.

ჭალის გზა ჯერ მოთავებული არც კი ჰქონდა, რომ წინიდან რაღაც უჩვეულო ხმაურობამ შეაკრთო. ლურჯამაც ნაბიჯი შეანელა და ყურები ცქვიტა. აშკარა იყო, რომ ხმაურობა იმ მხრიდან მოდიოდა, საითაც თოთიას უნდა გაევლო.

მართლაც, არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ხეობის მოსახვევიდან ცხენზე ამხედრებული მხედარი გამოჩნდა, რომელიც სირბილისაგან ქანცგაწყვეტილ საქონელს მათრახის ცემით მოერეკებოდა.

უცნობი ქურდულად იხედებოდა აქეთ-იქით და, როგორც მისი მოქმედებიდან ჩანდა, ჩქარობდა კიდეც, რადგან აღარ ზოგავდა ისედაც ფერდებგამოლასტულ პირუტყვებს.

ამასთან ცდილობდა, რაც შეიძლება უხმაუროდ ემოძრავა.

მისი მოქმედება თოთიას თავიდანვე საეჭვოდ მოეჩვენა, ამიტომ ცხენი დგნალის ბუჩქებს მოაფარა და თვალთვალი დაუწყო.

— ვინ ას ნეტარ?.. მოპარული საქონელი მოეყოლება, ისე შეშინებულივით იყურება აქეთ-იქით! — გაიფიქრა მან და მზერა დაძაბა, მაგრამ სიბნელის გამო უცნობის სახე მაინც ვერ გაარჩია. დაელოდა ცოტა ხანს, ახლოს მოსულიყო. თან მაგრად უჭერდა სადავეს კუნთებაცახცახებულ ლურჯას. რამდენადაც უახლოვდებოდა უცნობი მხედარი მოთვალთვალე თოთიას, იმდენად ამ უკანასკნელს საშინელი ეჭვი და მოუთმენლობა ეუფლებოდა.

— ეს ხომ ჩემი ცხენია, ჩემი მერცხალა! — გაუელვა თავში, როცა ცხენს ახლოდან დააკვირდა.

ყორანივით შავ მერცხალას, რომელსაც გრძელი ფაფარი მუხლებამდე სცემდა, თოთია ასი ცხენიდან გამოარჩევდა შორი მანძილიდანაც კი. იგი პატარაობიდანვე მისი გაზრდილი იყო და ძალიან ჰყავდა შეჩვეული და განებივრებული.

გავიდა დრო. მერცხალა ჩინებული ბედაური დადგა. ახლომახლო კუთხეში ბადალი არ მოეძებნებოდა. ერთ რამედ ღირდა, თვალი შეგევლოთ მისი ავაზასავით მოქნილი და ღონიერი ტანისათვის. ხოლო იმაზე მშვენიერს ვერაფერს ნახავდა კაცი, თუ დოლში სხვა ცხენებთან შეჯიბრებულ, გაფიცხებულ ულაყს შეავლებდა თვალს.

დამფრთხალი ხარირემივით ყელმოღერებული, მკერდგანიერი, ფაფარგაშლილი, მაღალ და დაკუნთულ ფეხებზე ასვეტილი, მწევარივით გაწელილი მერცხალა მართლაც საოცარი სანახავი იყო. ამიტომ იყო, რომ მას მტერიც ბევ-

რი ჰყავდა და მყიდველიც. ბევრ ახალგაზრდა ხევსურ ვაჟკაცს გაკრთომია ძილი იმაზე ფიქრით, თუ რა საშუალებით დაესაკუთრებინა ეს ზღაპრული რაშივით საოცნებო და მიუწვდომელი ბედაური. მოპარვაც ბევრჯერ სცადეს, მაგრამ არც ისე ადვილი იყო თოთია ლიქოკელის გაცურება, რომელიც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა საყვარელ ცხენს. გაყიდვაზე ხომ ხმასაც არავის ამოაღებინებდა, მისთვის თავისი ცხოვრების ნახევარიც რომ შეეთავაზებინა, მაგრამ შარშან ხათრი ველარ გაუტეხა თავის დედის ძმისშვილს — თათარა არაბულს და თავისი მერცხალა ამ ლურჯაში გაუცვალა.

თათარა ბარისახოში ცხოვრობდა და რამდენჯერაც თოთია თავისი შავრა ბედაურით მათთან მივიდოდა, თითქმის ცრემლმორეული ემუდარებოდა: დამითმე მერცხალა ჩემს ლურჯაში, სართად კიდევ ხუთ ძროხას გამოგაყოლებო. სართი თოთიას არ აუღია, მაგრამ თავისი ყორანა ცხენი კი დაუთმო ნათესავს.

და აი, ერთი წელიც არ იყო გასული ამის შემდეგ, რომ ვიღაც ავაზაკი მერცხალას ზურგზე მოქცეოდა და, ვინ იცის, საით უპირებდა გაქროლებას.

„ცხენი თავის თავს თვითონ იპარავსო, ნათქვამიას" — გაივლო გულში თოთიამ. თან თვალს არ აცილებდა უცნობ მხედარს და ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ იგი სწორედ მის მერცხალაზე იჯდა.

თანამოძმის მოახლოებაზე ლურჯამ ველარ მოითმინა, დაიჭიხვინა და წასასვლელად გაიწია.

ცხენის უეცარ ჭიხვინზე უცნობი შეკრთა, ჯერ გაქცევა დააპირა, მაგრამ იფიქრა, რომ ასეთ მოქმედებას შეიძლება უფრო მეტი ეჭვი გამოეწვია და ადგილზე დაცდა ამჯობინა.

ბრაზი ახრჩობდა, რომ დააგვიანდა და დროზე ვერ გააღ-

წია ამ ოხერ სოფელს. ახლა თავი სამშვიდობოს დაგულებული ექნებოდა, რომ ეს ვიღაც ოხერი არ შეჩეხებოდა წინ. ან საიდან გამოტყვრა ასე უცებ ამ ადგილას ეს მამაძაღლი? შეიძლება უბრალო მგზავრიც არის, ყურადღებაც არ მიაქციოს და ისე აუაროს გვერდი — ბჭობდა თავის გულში მცირე იმედს ჩაბღაუჭებული მგელიკა.

სწორედ ამ დროს თოთიამაც გააჩერა ცხენი შორიახლო, მგელიკას თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა:

— საიდან მოგყავს ეს საქონელი, ვაშკაცო?

ცუდად ენიშნა მგელიკას, მოსულმა რომ სალამი არ მისცა და სწორედ იმით დაიწყო, რასაც ასე ძალიან ერიდებოდა. სიფრთხილე დაავიწყდა და აგდებულად უპასუხა:

— საიდანაც მამყავ, არ ას შენ საქმე!.. თუ მიდიხარ, გზას ბარაქა დააყარე და გაიარე!

— ალბათ მეკითხების, რო ვკითხულობ! საიდან მოგყავ ეს საქონელი? — ხმაში ფოლადი გაურია თოთიამ და დაღრუბლული წარბების ქვეშიდან ისეთი ელვა გამოანათა, რომ მგელიკა მაშინვე მიხვდა, ამ კაცთან ასეთი ტონით ლაპარაკი კარგს არაფერს მოუტანდა და ისევ სიცრუე ამჯობინა.

— საქონელი ვიყიდე და მაკეთეებთან მიმყავ შასანახად.

— ეს ცხენიც ეხლა იყიდე?

— ცხენიც და ხარებიც ერთად ვიყიდე.

— პატრონმა ცხენს უნაგირი კი არ გამააყოლა თან? — დამცინავად ჩაეკითხა თოთია, როცა უბელო ცხენზე ფეხებჩაგრძელებულ მგელიკას შეხედა.

მგელიკა მიხვდა, რომ მოსაუბრე მასხარად იგდებდა. სიბრაზისაგან კანკალმა აიტანა და გადაწყვიტა ახლავე ჩამოეცილებინა გზიდან ეს ვიღაცა მეტიჩარა ხევსური, რომელიც იქა ჰყოფდა ცხვირს, სადაც არ ესაქმებოდა.

— შენთან ლაილაისთვი არ მცალის! მამშორდი გზიდან, რო გეუბნები!

— ლაილაის დრო მეაც არ მაქვ! შენისთანა მატყუარასა და ქურდბაცაცასთან ამდენი ხანიც არ უნდა დამეკარგა! აბა, მიაბრუნე ეს პირუტყვი უკან და პატრონებს შენივე ფეხით მიურეკე, თუ ჯერ კიდევ თავი არ მოგძულებია!

„რის იმედი აქვ ნეტარ ამ ბღენძიას, ეგრე რო იმუქრების?" — გაიფიქრა მგელიკამ და გზაზე გადამდგარი მონინააღმდეგე უფრო დაკვირვებით შეათვალიერა. შეათვალიერა და უმალვე შეიცვალა მასზე შეხედულება: ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ქანდაკებასავით შერწყმოდა ლურჯას ზურგს თოთიას გოლიათური ახოვანება. ფართოდ გადაშლილი ძალოვანი მხარბეჭი, ძვალმსხვილი, დაძარღვული ხელები, დაღრუბვლილი შუბლი და მრისხანედ გამომზირალი თვალები თავისთავად მეტყველებდა ამ კაცის დიდ ფიზიკურ ღონეზე და შეუპოვრობაზე. ამასთან ძნელი არ იყო იმაში დარწმუნებაც, რომ ამ სიტყვების მთქმელს არ უყვარდა უბრალო ბაქიბუქი და კიდევაც შეეძლო დანაქადების შესრულება. მაგრამ ერთი რამ აძლევდა უპირატესობას და არცთუ უსაფუძვლო იმედს მგელიკას: თოთიას ქამარზე ჩამოკიდებული ხევსურული სატევრისა და ხელში ნაჭერი მათრახის გარდა არაფერი გააჩნდა. მაშინ, როდესაც თვითონ თავიდან ფეხამდე თოფ-იარაღში იჯდა.

ეს მცირე უპირატესობა არ იყო, მაგრამ გამოიყენებდა კი მგელიკა მას თოთიასთან შეტაკების შემთხვევაში?

— ან ვინ ოხერიას ეს მკვდარვირიან, წინ რო მიდგებისა და მემუქრების?! — დუღდა გულში მგელიკა. — ნაქურდალი საქონელი მე დამიტოვე ან პატრონებს უკან დაუბრუნეო, ისე მეუბნება, თითქოს ეს ხარები და ცხენი ამისი გაზრდილები ყოფილიყოს! მამა უცხონდა! სწორედ ამის გუ-

ლისათვის არ ვიმწარებდი ძილს ერთი კვირა, რო ესენი ამ დათვისათვის ჩემივე ფეხით მომერეკა?! — გაიფიქრა ეს თუ არა, უმალ მხარზე გადაკიდებული თოფი მოიძრო და მუქარით შესძახა:

— მერე, რო იმუქრები, შე ნეხვის გოდორო, ვის ემუქრები? ხო არ გინდა ტვინი აქვე დაგათხევინო?!

— უჰ, ემანდ გული არ გამიხეთქო მაგ შენი ჟანგიანი თოფით და შიშით ცხენიდან არ გადმომაგდო! გააბრუნე საქონელი უკან, რომ გეუბნები!..

მგელიკამ ჩახმახი ფეხზე შეაყენა და დაცინვით ჩაილაპარაკა:

— რო არ გავაბრუნო, რა ფეხებს მამაჭამ?

— საით გექნება თავი ან ფეხები, მერე დაინახავ!

— ბევრს ნუ მიჰქარავ, შენი... უწმაწურად შეაგინა მგელიკამ და თოფი თოთიას პირდაპირ თავში დაუმიზნა.

— ილანძღები კიდეც, შე მურდალო! — შესძახა უკვე გაოფთრებულმა თოთიამ, სატევარი იშიშვლა და თოფშემართულ მგელიკას ლურჯა ზედ მიაგდო. თითქმის იმავე წუთს გაისმა თოფის გრიალიც, მაგრამ ტყვიამ მხოლოდ თმა აუტრუსა თოთიას ყურის თავზე.

თოფის ხმაზე შავი მერანი დაფრთხა და დენთის კვამლში გახვეული მხედარიც თან გაიტაცა, მაგრამ სანამ მგელიკა ხელმეორედ თოფს გადახსნიდა და ლულაში ახალ მასრას ჩადებდა, უკან დაქროლებული თოთიაც ქარიშხალივით მიეჭრა მოწინააღმდეგეს, ფიცხლად მისწვდა მისკენ მოღერებულ მოლაპლაპე ლულას და ისე ღონივრად დაქაჩა დაბლა, რომ ხელიდან წაგლეჯილ თოფს კინაღამ პატრონიც თან გადმოაყოლა ცხენიდან. იმავე წუთს იელვა თოთიას ხელში ნაჭერმა ფოლადმაც და მგელიკას სახე მწარე ტკივილმა აუწვა, თვალთ დაუბნელდა, საზამთროსავით შუაზე გადას-

ხეპილი პირისახიდან სისხლმა თქრიალით გადმოხეთქა და გონდაკარგული ცხენიდან ჩამოცურდა...

ამის შემდეგ მგელიკას თითქმის აღარაფერი ახსოვს. გრძნობაზე რომ მოვიდა, აღარც ხარები იყო სადმე და აღარც ის საოცნებო შავრა ბედაური. ამის ნაცვლად თოთია ლიქოკელს მისთვის დათრგუნვილი ქედმაღლობის ნიშნად სახეზე აი, ეს სისხლიანი და შემზარავი ჭრილობა დაეტოვებინა.

შემდეგ კერძო აქიმთან მკურნალობა... კვლავ ახალი ქურდობა... „ჩავარდნა" და ციხის კედლებში გატარებული სამი წელიწადი, მაგრამ ეს სამი წელი სამ საუკუნესავით გაიჭიმა სიცოცხლეგამწარებული პატიმრისთვის. ძილი მისთვის არ იყო და მოსვენება. დღენიადაგ იმაზე ფიქრობდა, როგორმე გაეღწია აქედან, რომ შური ეძია. გულჩახვეული და ნადირივით მიუკარებელი გახდა. ვინმეს უბრალო დალაპარაკებაც აღიზიანებდა. მის არსებაში თითქოს რაღაც ბოროტი სული ჩასახლებულიყო და დღენიადაგ ერთსა და იმავეს ეჩიჩინებოდა: „შური იძიე!.. შური იძიე!.." და აი, აკი შურისძიების ჟამმაც დაჰკრა! ახლა იგი აქ, წინასწარ შერჩეულ ადგილას ჩასაფრებული, გულის ცახცახით ელოდა თავისი ვაჟკაცობის შემარცხვენელს, რათა სამაგიერო მიეზღო და, როგორც ბერდიას უთხრა, ამ ლოდებზე მისთვის გველივით გაეჭეჭყა თავი.

ბერდია, როგორც კი მიხვდა მგელიკას განზრახვას, კარგა ხანს ჩუმად იყო. მერე თავი აიღო და როგორღაც დაბნეულად და უაზროდ მიაშტერდა ბიძაშვილს. მგელიკას სახის დაბღუნძული ნახევარგვერდი ისევ ავისმომასწავებლად უკანკალებდა, უთრთოდა. ცეცხლის ალზე მოტრიალებული ნედლი ფოთოლივით ეკრუნჩხებოდა. ხოლო სახის ამ შიშისმომგვრელ თრთოლვაში ცალი თვალიდან დაკვესე-

ბული ცეცხლი თითქოს ელვასავით შოლტავდა ნაციხარის საავდრო ღრუბელივით ჩაშავებულ პირისახეს.

შემაძრწუნებელი იყო მართლაც მრისხანების დროს მგელიკას გამოხედვა და მეტად მაგარი გულის პატრონი უნდა ყოფილიყო კაცი, რომ თვალი გაესწორებინა ამ დაჩეხილი და სულისშემძვრელი სახისათვის. მის ყურებას ვერც ბერდიამ გაუძლო დიდხანს. თავი ძირს ჩაქინდრა და კვლავ საფიქრალს მიეცა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო — მოეწონებინა თუ დაეშალა მგელიკასთვის გადაწყვეტილება. თუ დაუშლიდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ საკუთარ ტყავსაც უფრთხილდებოდა და ფეხებზე იკიდებდა მგელიკას შერცხვენილ სახელს. თუ მოუწონებდა, ამით უარეს სამსახურს გაუწევდა ბიძაშვილს. მგელიკას კოცონივით გაღვივებულ მძულვარებას რაღა ცეცხლზე ნავთის დასხმა ეჭირვებოდა?.. უიმისოდაც კაცი გაცოფებამდე იყო მისული. თან თავის გულში ფიქრობდა:

ჰქონდა კი რაიმე აზრი მის ცდას მგელიკასათვის თავისი განზრახვა გადაეთქმევინებინა? შურისძიების სურვილით გონებადაბრმავებული მგელიკა ხომ კრინტსაც არ დააძვრევინებდა ბერდიას ამის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ შატილიონების სისხლი ჯერ კიდევ კისერზე ეწვა.

„სულ ცხენში და სიკვდილის მოლოდინში უნდა გაატარო შენი წუთისოფელი?.. რადღა გინდა ახლა ლიქოკელები გაიხადო კიდევ მოსისხლეებად?“ — უნდოდა ეთქვა პირში, მაგრამ ამას მხოლოდ თავის გულში ფიქრობდა და თქმით კი ვერაფერს უბედავდა. ეშინოდა, მთელი რისხვა ახლა მისთვის არ დაეტეხა თავზე ნაციხარს.

თუ მოუწონებდა გადაწყვეტილებას, ეს ხომ აშკარა და პირდაპირი წაქეზება იქნებოდა მკვლელისა ახალი დანაშაულის ჩასადენად? მიუხედავად იმისა, რომ ამ დანაშაულის

ჩადენას მგელიკა წაუქეზებლადაც აპირებდა. მეტი რა ჩარა იყო. ისევ გაჩუმება არჩია ბერდიამ, მაგრამ იმის გულისათვის, რომ რაღაცა მაინც ეთქვა და უხერხული დუმილი დაერღვია, დაბნეულად და თითქმის თავისთვის ამოილუღლუღა:

— მაშ, თოთია ლიქოკელი, არა?.. ჰო...აქ შენ გინდა, რო... — აღარ დაამთავრა უთავბოლოდ დაწყებული ლაპარაკი ბერდიამ.

— ჰო! აქ უნდა დაიღვარას ლიქოკელის სისხლი, აქ!.. არადა, სახლიდან ხო ვეღარსად გაიქცევა! ერთხელაც იქნება ხო მივას შინ!.. სახლიც კარგად ვიცი მისი და კარიც! — კბილების ღრჭიალით წარმოსთქვა მგელიკამ და ძლიერად დამუშტული ხელი მუქარით აღმართა.

„არა, უსისხლოდ არ გათავდების ეს საქმე!“ — თავის გულში დაასკვნა ბერდიამ. მგელიკას კი გადაკრულად უთხრა:

— ლიქოკელს, მე მგონი, ტყუილად ელოდები უკვე. ღამდება კიდეც... თუ გამომყვები ამაღამ მაღრანში...[1]

— შენ მეხუმრები თუ მართლა მეუბნები? — შეუღრინა მგელიკამ. — დროს გასატარებლად ვზივარა ახლა მე აქ? — დაცინვით ჩაეკითხა ბიძაშვილს, მერე თავი უკან გადაიგდო და არაადამიანური ხმით ახარხარდა.

მუშტივით დაპატარავებული ბერდია შიშით შეჰყურებდა მგელიკას აძაგძაგებულ სხეულს. ცოტა ხანს ადროვა, სანამ სულს მოითქვამდა, მერე როგორღაც გაუბედავად უთხრა:

— დროს გასატარებლად არ გეუბნები, კაცო! ხო ხედავ ღამდება, ამაღამ აქ ხო არ იჯდები?

— არა, წაედ შენ შენს გზაზე, ბერდო! მაგრამ გახსოვდეს,

---

1 მაღრანი — სოფელი ლიქოკის ხეობაში.

რომ კრინტი არავისთან დასძრა ჩემთან შეხვედრაზე, რადგან ამ კუთხეში ნახული რო არავის ვეყოლები, ეჭვსაც ჩემზე ვერავინ აიღებს... ხო ხვდები ახლა როგორ ას საქმე? — წარმოსთქვა მგელიკამ და წამოდგა.

— ვხვდები კი, ვხვდები! — უპასუხა დაბნეულად ბერდიამ და ისიც ფეხზე ადგა. თუმცა უკვე წონასწორობას ჰკარგავდა, მაგრამ მაინც ცდილობდა, თავი ყოჩაღად დაეჭირა და სიმთვრალე არ შეემჩნია.

— ჰოდა, აბა, მაშ, დრო ას... მშვიდობით! — ხელი გაუწოდა მგელიკამ ბიძაშვილს და გადაეხვია.

— მშვიდობით! ხელ მაგემართას! — მოკლედვე უპასუხა ბერდიამაც, ერთხელ კიდევ გამოემშვიდობა მგელიკას და არეული ნაბიჯით შეუდგა ვიწრო, საცალფეხო ბილიკს.

ერთ ადგილზე გაქვავებული, შავბნელი და მზაკვარი ფიქრებით დამუხტული ნაციხარი კი როგორღაც უაზროდ გაჰყურებდა მიმავალს იქამდის, სანამ მთვრალი მოგვარის ზურგი მთლიანად არ გაუჩინარდა მოსახვევს იქით.

მოსისხლეები

მთელი ზაფხული ისე გავიდა, რომ მგელიკას ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. მხოლოდ შემოდგომითღა შეიტყო მამუკამ, რომ მისი ძმის მკვლელი ამღიონ[1] ბერდია ნიკლაურის ოჯახში აფარებდა თავს. საჭირო იყო აჩქარება, სანამ მთებში თოვლს ჩამოყრიდა. მაგრამ არც ისე იოლი გახლდათ განზრახვის სისრულეში მოყვანა, რადგან შურისძიება სწორედ ბერდიას ოჯახში უნდა მომხდარიყო და ისიც მაშინ, როდესაც ის არ იქნებოდა სახლში. მისი შინ ყოფნა ჩანაფიქრის განხორციელებას თავისთავად გაართულებდა და შეუშლიდა ხელს. ამიტომ ხელსაყრელი მომენტის დაჭერა იყო

საჭირო და, როცა არხოტში გადავიდა, მამუკამაც მოხერხებული ადგილი შეარჩია ბერდიას სახლის სათვალთვალოდ.

დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი.

ერთ დილას, როცა თრთვილისფერი ნისლები ზლაზვნით აიკრიფა ჭიუხებისაკენ და მთებიდან ძლევამოსილად ამოგორებულმა მნათობმაც მრავალფერად ააბჭყვრიალა ღამის სუსხით აცრემლებული არემარე, ბერდიას სახლიდან ვიღაც ახალგაზრდა ქალი გამოვიდა, იქვე შორიახლო მიბმული ცხენი ახსნა, სახლისკენ წამოიყვანა და შეკაზმვას შეუდგა. შემდეგ აჩქარებული ნაბიჯით ჭერხოში შებრუნდა, საიდანაც ცოტა ხნის შემდეგ საშუალო ტანის, ხევსურულ ტალავარში გამოწყობილი მამაკაცი და პატარა ბავშვი გამოჰყვა.

„ეს ალბათ ბერდია იქნება“ — გაიფიქრა მამუკამ და თვალთვალი განაგრძო. კაცმა ქალს ხურჯინი და რაღაც შავად გადახვეული გამოართვა და ცხენისაკენ გამოსწია. უნაგირზე დაამაგრა. შემდეგ ქურანა ულაყს ძუა გამოუკვანძა, თავზე აღვირი ამოაცვა და ქალისაკენ შებრუნდა. ხუთიოდე წუთს საუბრობდნენ. ჩანდა, ცოლს რაღაც მითითებებს აძლევდა.

„ეტყობა, სადღაც შორს მიდის“ — გაივლო გულში მამუკამ. — თანაც სახლში სხვა არავინა ჰყავს, თორემ აქამდე გარეთ მაინც გამოიხედავდა ვინმე“

ქალთან საუბრის შემდეგ კაცმა ჯერ დასადავებული ნაიყვანა ცხენი, შემდეგ მარდად მოევლო უნაგირს და ნელი ჩორთით სერს იქით მიეფარა.

ქალი უკან შებრუნდა, საქონელი საბმურებიდან ახსნა და მთისკენ გაირეკა. პატარა ბიჭი შინ დარჩა.

„ამაზე უკეთეს დროს ვერ შევარჩევ!.. უნდა ვიჩქარო, სანამ ქალი სახლში დაბრუნდება“! — გაიფიქრა მამუკამ და სამალავიდან გამოვიდა.

---

1 ამღიონ — სოფელ ამღაში მცხოვრები.

„როგორც მინდოდა, ისე აეწყო საქმე. ხელის შემშლელი აღარავინ მეყოლება! მაგრამ მგელიკა თუ სახლშია, რატომ ერთი წუთით მაინც არ გამოვიდა გარეთ? იქნებ აღარც არის აქ და სხვაგან წავიდა?

რომ არ იყოს, მერე?..

ყველაფერი წყალში ჩაიყრება!..

ისევ თავიდან უნდა დაიწყოს!.. არადა, რა კარგად აეწყო საქმე!" — ბჭობდა გზად მიმავალი მამუკა და მოუთმენლობისაგან გული ეკუმშებოდა.

ბერდიას სახლს რომ მიუახლოვდა, შორიახლო გაჩერდა და მასპინძელს გასძახა. უნდოდა შეემოწმებინა, ბავშვის გარდა იყო ვინმე სახლში თუ არა.

დაძახილზე არავინ გამოხმაურებია.

— ბერდიაااა! — უფრო ხმამაღლა დაიძახა მამუკამ ხელმეორედ.

ჭერხოდან ასე შვიდი-რვა წლის ბიჭი გამოვიდა და ბანზე გადმოდგა.

— ვისი ხარ, ვაჟკაცო? — ღიმილით შეეკითხა მამუკა ბავშვს.

ბავშვს მოეწონა ალბათ, რო „ვაჟკაცი" დაუძახეს, უცნაურად მედიდური იერი მიიღო და ამაყად უპასუხა:

— ბერდიაისაი ორ!..[1]

— სად არი მამაშენი? — განგებ იკითხა მამუკამ, რადგან იცოდა, რომ სიმართლეს ბავშვისაგან უფრო გაიგებდა.

— ჭირის საწყენად ას წასული მაკეთეებში.

— მალე დაბრუნდება? რა თქვა?

— ორ-სამ დღეში მავალავ, ეგრ დაიბარ! — მოზრდილივით პასუხობდა ბანზე ამაყად გაჯგიმული ბიჭი.

— არც დედა არის სახლში?

---

1 ორ — ვარ.

— არ ას. ხაროვანში ას წასულ, ზევით! მალე დაბრუნდება.

— შენ რა გქვიან? — დაინტერესდა მამუკა, ბავშვს რომ უფრო გაშინაურებოდა და მისთვის სახელით მიემართა.

— იმედა.

— ოო! იმედა მართლაც კარგი სახელი გრქმევია. შენც კარგი ბიჭი ჩანხარ! ბიჭი კი არაბ ვაჟკაცი! — ერთხელ კიდევ შეაქო ჭრელ, ხევსურულ პერანგში, მამალი ინდაურივით გაფხორილი ბავშვი მამუკამ. ცოტა ხანს შეიცადა და შემდეგ თითქოს სასხვათაშორისოდ იკითხა:

— იმედა, ისე გამოდის, რომ სახლში რაკი არავინა გყავს, ახლა ოჯახის უფროსიც შენა ხარ და მასპინძელიც?

— სახლში მგელიკაიას კიდევ.

— რომელი მგელიკა? — მოუთმენლად იკითხა მამუკამ და იგრძნო, რომ სანამ ბავშვი პასუხს გასცემდა, სუნთქვა გაუჩერდა.

— გუდანელი მგელიკა. მამაჩემის ძმათაშვილი!

— ჰოო, მგელიკასთან მეც მქონდა საქმე! — მოჩვენებითი სიმშვიდით თქვა მამუკამ. თან ცდილობდა ბიჭს მისთვის აღელვება არ შეემჩნია და ნათქვამის სიმართლეში არ დაეჭვებულიყო.

გული ოდნავ რომ დაიმორჩილა, მშვიდად უთხრა ბავშვს:

— მიდი, იმედა, ნუ დამზარდები და მგელიკას დაუძახე, ცოტა ხანს გარეთ გამოვიდეს.

— მგელიკა ვერ გამავას! — გადაწყვეტილად თქვა ბიჭმა.

მამუკა გაკვირვებული მიაჩერდა ბავშვს.

— მარხედ ას,[1] ლოგინიდან ვერ დგების! — თითქოს დააზუსტა პირვანდელი ნათქვამი იმედამ.

---

1 მარხედ — ავად, ცუდად.

— როგორ თუ ვერ დგება, რა დაემართა?

— კლდიდან გადმავარდავ, — ეგრ თქვა მამამ.

— კარგი ხუმრობა გცოდნია, იმედა, მე და ჩემმა ღმერთმა! — დაეჭვებულად უთხრა მამუკამ ბავშვს და თან გამომცდელად თვალებში შეხედა.

ბიჭმა თითქოს იწყინა უცხო კაცის უნდობლობა და თავისი ნათქვამისათვის რომ მეტი დამაჯერებლობა მიეცა, გამომწვევად გადმოსძახა ბანიდან:

— თუ არა გჯერავ, წამაედი და თავის თვალით ღნახავ!

მამუკასაც ეს უნდოდა. ბიჭს რომ არ ეთქვა, მგელიკასთან შესვლას ისედაც აპირებდა.

ჭერხოში რომ შევიდა, ვიწრო სარკმელთან მიდგმულ ტყავებგადაფარებულ ხის ტახტზე დაწოლილი უცხო მამაკაცი დალანდა. რაკი მკრთალი სინათლე მას ზურგიდან სცემდა, მამუკამ სიბნელეს მიუჩვეველი თვალით უცებ ვერ შეძლო მწოლიარის სახის გარჩევა, მაგრამ პირისახის დანახვაც რომ შეძლებოდა, სულერთია, მაინც ვერ იცნობდა, რადგან თავის მოსისხლეს აქ პირველად ხედავდა.

ერთხანს უხერხულად და დაბნეულადაც კი იდგა.

— იმედა, ვინ იყო, ვისა კითხულობდნენ? — წუთიერი გარინდებიდან გამოარკვია მგელიკას ხმამ.

— აი, ამ უცხო კაცს შენ ნახვა უნდ!

— აბა, ვინ კაცს? — კვლავ იკითხა მგელიკამ და სანამ ბავშვი რამეს უპასუხებდა, მამუკამ გადაწყვიტა იგი ოთახიდან როგორმე გაერიდებინა, რათა მათი საუბრისა და აქ დაღვრილი სისხლის თვითმხილველად და უნებურ მოწმედ არ გაეხადა. ამიტომ ბავშვს ალერსით თავზე ხელი გადაუსვა და ტკბილად უთხრა:

— იმედა, მე და მგელიკას სალაპარაკო გვაქვს, მანამდე კი ნუ დაიზარებ და ცივი წყალი მოგვირბენინე!

ბავშვი მაშინვე მიტრიალდა, ხელი წამოავლო იქვე დადგმულ სპილენძის თუნგს და ოთახიდან გავიდა.

დარჩნენ მოსისხლეები პირისპირ.

მამუკამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და საწოლის წინ გაჩერდა. თან უზომო მძულვარებით აღვსილი თვალებით აკვირდებოდა ძმის მკვლელის სახეს.

ტყავებგადაფარებულ საწოლზე ზორბა აღნაგობის, საზარელი შესახედაობის არსება მისვენებულიყო, რომელსაც დაბღუნძული, „ნაჭრევიანი" სახე და ციკლოპივით დაჭყეტილი ცალი თვალი მამუკასთვის მიეპყრო და ძნელად ამოიცნობდა კაცი, რა იყო აღბეჭდილი ამ სახეზე: თავშეკავებული მრისხანება, იდუმალი გულცივობა თუ დამცინავი, ირონიული ღიმილი. ეს კი იყო: თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად ერთ სახეში გამთლიანებული, შიშისაგან ძარღვებში სისხლს უყინავდა მნახველს.

შეაკრთო ამ სახის შეხედვამ პირველად მამუკაც. საკუთარი თვალით რომ არ ენახა, სხვისი ნათქვამიდან არ დაიჯერებდა, რომ მზიას ძმა ასეთი საშინელი იქნებოდა ურჩხულივით.

ავბედითი სიჩუმე პირველად მგელიკამ დაარღვია.

— ვინა ხარ, რა სალაპარაკო გაქვ ჩემთან?

— მოვედი, რომ სულეთში თოთიასთან მოკითხვა დაგაბარო! — როგორღაც დამცინავად გაისმა მამუკას ხმა.

— ვინ, რომელ თოთიასთან მაკითხვა? რას მიედებ-მოედები?! — შეუღრინა თავის მხრივ მგელიკამ.

— თოთია ლიქოკელთან! — მოწმენდილზე დაქუხებასავით გაისმა დაძაბულ სიჩუმეში მამუკას ხმა.

თოთია ლიქოკელის ხსენებაზე მგელიკა გველნაკბენივით შეხტა და მიტკალივით გაფითრებული სახის ნახევარი ისე ავისმომასწავებლად დაებღუნძა, რომ მამუკას ადგი-

ლას მისი შემხედვარე გულსუსტი კაცი ალბათ შიშისაგან იქვე ჩაიკეცებოდა.

მგელიკა ცხადად მიხვდა, რომ მახეში იყო გაბმული, თავის დასაძვრენი გზა აღასაით ჰქონდა და მისი აღსასრულის ჟამი დამდგარიყო. თოთია ლიქოკელის შურისმაძიებელი უკვე მის წინ იდგა და მისი სისხლიც რამდენიმე წუთში თუ წამში უნდა დაღვრილიყო აქ, მისი ბიძაშვილის — ბერდია ნიკლაურის კერაზე.

მაგრამ ასე იოლად და უსახელოდაც არ უნდოდა სიცოცხლის დათმობა მგელიკას. ამიტომ იძალა თავდაცვის ინსტიქტმა მასში და ხელი იარაღისაკენ გააცურა, რომელიც იქვე, საწოლთან კედელზე ჰქონდა ჩამოკიდებული. მაგრამ ერთ წამს ხელი ჰაერში გაუშეშდა და ისევ დაბლა ჩამოიღო. ჩანდა გადაწყვეტილება შეცვალა. მწარე სინანულმა ერთხელ კიდევ მოუქცია სახე გვერდზე, შემდეგ თითქოს გაღიმებაც სცადა და თავი დაბლა ჩაქინდრა.

მამუკა გაფაციცებული ადევნებდა თვალს მის მოქმედებას და სახის მოძრაობას.

— იარაღისაკენ რომ ხელი წაგივიდა, დანაშაულში გიდგას ფეხი! სთქვი, შენს კისერზეა თოთია ლიქოკელის სისხლი თუ არა?! — დაიგრგვინა მამუკამ და ერთი ნაბიჯით კიდევ წაინია საწოლისაკენ.

წუთიერმა დუმილმა ოთახის ჰაერი თითქოს დაამძიმა.

ჩახმახშეყენებული თოფივით დასაჭექად გამზადებული მამუკა კარგა ხანს ელოდა, სანამ მოსისხლე ხმას ამოიღებდა.

მგელიკამ თავი მაღლა ასწია, მოსაუბრეს თვალი გაუშტერა და ცივი, მშვიდი ხმით იკითხა:

— ჯერ ის მინდა ვიცოდე, ვინ ძეულობს ლიქოკელის სისხლს?

მამუკას მოეჩვენა, რომ მგელიკას თვალი პირდაპირ მას კი არ უმზერდა, როგორღაც უაზროდ სხვა მხარეს ჰქონდა სივრცისათვის მიშტერებული.

— დანაშაულს რომ სჩადიოდი, მაშინ რატომ არ ჰკითხულობდი, რომ „კაცის თავ-სისხლი" მოგეთხოვებოდა მისი ძმა-ბიძაშვილებიდან!

— თოთია მე რომ ამ ნაჭრევს მიტოვებდა სახეზე, ის რაღატო არ კითხულობდა, რომ „ჭრა-ჭრილობას" არც არავინ იმას შეარჩენდა?! — დაიღრიალა ახლა მგელიკამ და თითი დამახინჯებულ სახეზე მიიბჯინა: -- მაგწონსა ჩემ სახე? — და წელანდელ გაფითრებულ სახის ნახევარზე წითელი ხაზები ჭიაყელებივით აეკლაკნა.

— კაი კაცობისათვის არ დაგიტოვა ეგ ნიშანი თოთიამ! — ნიშნის მოგებით თქვა მამუკამ.

— აკი დაისაჯა კიდეც თავისი მეტიჩრობისათვის! — იმავე კილოზე შეუბრუნა სიტყვა მგელიკამ და ბოროტმა ღიმილმა ერთი წამით გაუნათა წამოჭარხლებული სახე.

— უიარაღო ადადმიანის ვერაგულად მოკვლას ვაჟკაცობას ეძახი, შე მართლა სადიაცევ?! მიპარვითა და ქურდულად სისხლს მარტო შენისთანა მხდალი და მშიშარა თუ დაღვრის!..

— ეგ მგელიკაისად ჯერ არავის უთქომ!

— სიტყვას ბანზე ნუ აგდებ, შე მურდალო! მიპასუხე, ჩემი ძმის სისხლი მარტო შენს კისერზეა, თუ მკვლელობაში სხვა ვინმეც არის გარეული? — თანდათან რისხვა ერეოდა მამუკას.

— რომ შემეძლოს, შენს ძმას მეორედ კი არა, მესამედაც ჩავაძაღლებდი სხვების ჩაურევლად. მისმა ერთხელ მაკვლამ დღემდე გული მაინც ვერ მამფხანა! — ცივად გამოსცრა კბილებში მგელიკამ და ზიზღით გვერდზე გადააპურჭყა.

მამუკას უკვე აევსო მოთმინების ფიალა. უბიდან გველისთავიანი დაშნა ამოაძრო და მოსისხლეს შესძახა:

— რაკი ეგეთი გული ერთ სიკვდილს არ სჯერდება, იქიდან შხამიანი სისხლი ვიღაცამ უნდა გამოუშვას, კიდევ სხვები რომ არ დაგესლოს!.. აბა, ადექი ლოგინიდან და თავი დაიცავი, თუ მართლა მხდალი და დედალი არა ხარ! მერე არა თქვან, მამუკამ უიარაღო მოსისხლე ლოგინში მოკლაო.

მგელიკა არც შეტოკებულა. ერთი ნაკვთი არ შერხევია სახეზე. თითქოს მის თავზე აღმართული მახვილი მის სიცოცხლეს კი არ ემუქრებოდა, მოსაუბრე რაღაც თავშესაქცევ ამბავს უყვებოდა. იწვა იგი მშვიდად, აუღელვებლად, სასთუმალზე ბეჭებმიდებული და გარინდული მიშტერებოდა ცალი თვალით ოთახის რომელიღაც წერტილს.

მისმა ასეთმა უდარდელმა და მშვიდმა იერმა უარესად გააცოფა მამუკა და წონასწორობიდან გამოიყვანა.

— აიღე იარაღი და თავი დაიცავი, რომ გეუბნები! — თითქმის დაიღრიალა მამუკამ და მგელიკასაკენ წაიძაგრა.

მგელიკამ წელანდელ სიმშვიდეს დამცინავი ღიმილიც მიაყოლა ზედ და როგორღაც სინანულით თქვა:

— იარაღის აღება და ფეხზე წამოდგომა რო შემძლებიყო, კი ვიცოდი მაშინ... აქამდეც არ გალაპარაკებდი და შენაც თავის ჩაძაღლებულ ძმას მიგაკლავდი, მაგრამ გეტყოდეს, რო ლოგინში ჩაკუტებულ მგელიკას ახლა აღარც თავის დაცვა შეუძლავა და აღარც ვისთვინმე პასუხის გაცემაო და ანგარიშის გასასწონებლად მოხვედი?! რას იზამ. კარგი დრო შეგირჩევავ შურის საძიებლად!.. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობ იქავ! მადლიც იქნების!

— თავს კი ნუ იკატუნებ, ლაჩარო! — შეჰყვირა მოთმინებადაკარგულმა მამუკამ და შავტარიანი დაშნა ერთხელ კიდევ აღმართა ძმის მკვლელის თავზე.

— ლაჩარი შენა ხარ, ხეიბარი მოსისხლის მოსაკლავად რო მასულხარ! — მშვიდად უპასუხა მგელიკამ, შემდეგ კი გესლიანი ხითხითით გააგრძელა — ჰოდა, რაღას ელოდები! უფეხო და ბრმა მოსისხლის მაკვლაში საკარგყმო თასს შაგასმევენ ლიქოკში!..

— აიღე იარაღი, თორემ გაგათავებ! მაგ ზღაპრებით თავს ვერ დაიძვრენ!..

— ესაა ზღაპარი? — შესძახა მგელიკამ და ზედ წაფარებული ტყავი დაბლა მოისროლა.

მეტი მოულოდნელობისაგან მამუკა გაქვავდა და მაღლა ამართული დაშნიანი ხელი მოჭრილი ტოტივით ჩამოუვარდა დაბლა.

მუხლებსზევით ფეხებწაკვეთილი მგელიკა უზარმაზარი კუნძივით ეგდო ლოგინში.

ნანახით გაოგნებულმა და თავზარდაცემულმა მამუკამ ერთხანს ხმა ვეღარ ამოიღო.

— რაო, ლიქოკელო, არ ელოდი ასეთ მოსისხლესთან შეხვედრას? — გაისმა მგელიკას დამცინავი ხითხითი ოთახში.

— მძიმე ცოდვებმა გიწია, შე დამპალო ლეშო! იმიტომა ხარ ასე! — როგორც იყო ამოღერღა გაშტერებულმა მამუკამ.

— უცოდველი ნიადე აღარავინ ას ამ ქვეყნად! ჩემთვის სიკვდილი კი ღვთისა და ჯვარის წყალობა იქნებოდა.

— ღმერთი და ჯვარი შემომწყრალი რომ გყავს, ზედ გეტყობა! — ქვასავით ესროლა მამუკამ. — მკვლელი სისხლიანი ხელებით და შავი გულით ცოცხალი არ უნდა დადიოდეს სამზეოზე!

— ან რა სიცოცხლეი ჩემფერაის სიცოცხლე!.. უფეხო და უსინათლო ყუნჭი[1] ვარ და სხვა არაფერი! სხვისა სათავკუდავებ[2] და ხელის შამყურე!

1 ყუნჭი — კუნძი.
2 სათავკუდავები — მოსავლელი, მისახედი (ასაყენებელ-დასანვენი).

მამუკა ახლოდან დააკვირდა მგელიკას უაზროდ გაშტერებულ თვალს და ახლაღა გაარჩია ამღვრეულ სითხესავით მოთეთრებული გუგა, რომელშიც შუქი და სიცოცხლე ადრევე ჩამქრალიყო.

ერთხანს უყურა მან მის ფეხებთან მუთაქასავით დაგდებულ, ჩვილ ბავშვსავით უმწეო და სინათლეწართმეულ მოსისხლეს და უნებურად სიბრალულის გრძნობამაც კი გაჰკრა გულში, მაგრამ იმავე წუთს მტრისადმი სიძულვილისა და ზიზღის გრძნობა იმდენად მოეძალა, რომ საშინლად მოუნდა, ეს ცოცხალი ლეში ახლავე ფეხებით გაეთქერა და ნაკუწებად ექცია.

დაშნიანმა ხელმა ერთხელ კიდევ აიწია მაღლა, მაგრამ თითქოს ჰაერში ვიღაცამ გააკავაო, ისევ დაბლა დაუშვა.

— სამართლიანია ღმერთი! თუ ჩემი ძმა სამზეოდან წავიდა, მისმა ცოდვამ შენც ჩაგიქრო მზე, უფეხო და უსინათლო დაგტოვა. ასე ზეზეულად უნდა დალპე ცოცხლად!.. ის მკვდარი მაინც არის, ვეღარაფერს გაიგებს!..

— ტყუილად დროს ნუ ჰკარგავ, ლიქოკელო! ბარემ გაათავე საქმე!.. — როგორღაც აგდებულ კილოზე გააწყვეტინა მგელიკამ მამუკას ლაპარაკი და გორილასავით გრძელ და დაძარღვულ ხელებზე დაებჯინა.

— შენ გინდა მთელ ხევსურეთში თავი მომეჭრას და საღლექსოდ გავხდე?

— რაად?

— იმად, რომ დაწოლილსა და წაქცეულ კაცს ჯერ ძაღლი აღარა ჰკბენს, აღარაფერს ერჩის. ბრმა-კუტზე იარაღი როგორ აღმართეო, არ მეტყვიან?..

— სისხლი აუღებელი რო დაგრჩება?

— შენი მოკვლა, სულერთია, სისხლის აღებაში მაინც არ ჩამეთვლება, სამაგიერო კი ღმერთმა გადაგიხადა. რისი

ღირსიც იყავი, ის მოგიზღო და დაგსაჯა. იგი ჩემს შურისძიებაზე მეტიც არის! ამითაც კმაყოფილი ვარ! — თქვა მამუკამ და კარებისკენ გაემართა.

ფეხის ხმაზე მგელიკა მიხვდა, რომ მისი მოსისხლე „უსისხლოდ“ აპირებდა ოთახიდან გასვლას.

— ლიქოკელო! სისხლის დაუღვრელად ნუ გახვალ აქით! ჯერ მამკალ და მერე წადი! — თითქმის შეჰღმუვლა მან კარებთან შეჩერებულ მტერს.

— შენ უკვე მკვდარი ხარ! ჩემი ხელით აღარ გინდა სიკვდილი! სატანჯველად კი შენი მოკვეთილი ფეხები და ბრმა თვალებიც გეყოფა! — ბალღამივით ამოანთხია მამუკამ და კარები გაიხურა.

წინ პატარა იმედა შეეჩეხა, რომელმაც „უცხო კაცს“ ნყლიანი თუნგი გაუწოდა.

— გმადლობთ, იმედა! ეგ ცივი წყალი მგელიკას დაალევინე, იმას უფრო მოუხდება! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მამუკამ და გულდამძიმებული სწრაფად გაეცალა ბავშვს.

წინგარადში რომ გადიოდა, ჭეხოდან ერთხელ კიდევ მოისმა მგელიკას დაჭრილი ნადირივით გაბმული ღმუილი და გაშმაგებული ბორგვა.

საფლავის საიდუმლო

კარგა ხანი იყო, რაც მზეს ოქროსფერი კალთები აეკრიფა და მიბნედილი შუქით გარს შემოჯარული ჭიუხების მწვერვალებსღა ელაციცებოდა, ბოლოს ისიც გაქრა, მგლისფერმა ჩრდილებმა იძალა და გარინდული მთები სუდარასავით თალხ მანტიაში გაეხვია.

ხეობებში მელნისფერმა სიბნელემ ჩაიბუდა.

გაცრიატებულ ცის კაბადონზე ვარსკვლავებმა იწყეს ბჟუტვა. ყველაფერი მიწყნარდა და დადუმდა. მხოლოდ არაგვის იდუმალი შხუილი და ჭრიჭინების გაბმული კრუალიღა არღვევდა ღამეულ სიჩუმეს.

მდინარის კიდეზე ჩამომჯდარი, ღრმა ფიქრებში ჩაფლული მამუკა უაზროდ მიშტერებოდა სიბნელეს. განვლილ დღეებზე ფიქრობდა. მესამე დღე ღამდებოდა, რაც არხოტიდან გადმოვიდა, მაგრამ გულში დაგუბებულ ბოღმას ვერსად დაემალა. შინაგანმა ბრძოლამ და საკუთარ თავთან ჭიდილმა მოქანცა. სახლშიც ვეღარ გაჩერდა. გული არ უდგებოდა ერთ ადგილზე. აუღებელი სისხლი აწვალებდა, შურისძიებისაკენ უხმობდა.

მაგრამ ვილაზე ეძია შური მამუკას?.. ფეხებწაკვეთილ და უსინათლო მგელიკაზე? ეს რა ვაჟკაცობაში და სისხლის აღებაში ჩაეთვლებოდა?! აკი არც იძია შური!.. მაგრამ საუკუნეობით დაკანონებული ადათი მაინც მოითხოვდა დაღვრილი სისხლის სანაცვლოდ ვილაცის სიკვდილს. თუ მკვლესისას არა, მისი გვარიშვილობიდან და ნათესაობიდან გამორჩეული ახლობლის სიკვდილს მაინც.

ვინღა იყო გვარიშვილობიდან და ნათესაობიდან გამორჩეული?

გელა?.. მზიასა და მგელიკას ძმა?..

მაგრამ ის ხომ უდანაშაულო იყო, უცოდველი. ვილაცის ცოდვა მას რატომ უნდა ეტვირთა. თუნდაც მისი ჩამდენი მისი ღვიძლი ძმა ყოფილიყო?..

წუხანდელი სიზმარი გაახსენდა მამუკას. უცნაური რამ ესიზმრა ძილში: გუდანის ჯვარში საათენგენოდ უამრავ მეზღვნე-მეხვეწურთან ერთად ლიქოკელების მთელ საგვარეულოსაც მოეყარა თავი. მთიდან და ბარიდან მოსულ დიდძალ მლოცველს ვერ იტევდა ხატის კარი. აქა-იქ ცეცხლები

ენთო და სუფრები იყო გაშლილი. ლიქოკელებსაც გაეშალათ ცალკე სუფრა განაპირას. წინ გაცხელებული ხორც-წვენით სავსე ჯამები და ლუდიანი საწდეები მოედგათ, რომლებსაც ანთებული კელაპტრები ჰქონდა ზედ მიკრული.

სუფრაზე მოხარშული ხორცისა და ქადა-პურების გროვები იყო დახვავებული აქა-იქ. მაგრამ პირს არავინ არაფერს აკარებდა, ყველას თავები დაბლა ჩაექინდრათ და მათთვის მძიმედ გადასაწყვეტ საკითხს ჩაეფიქრებინა.

ცოტა მოშორებით, ხატის ნიშთან, ქუდმოხდილი ჭაღარა ხუცესი იდგა, რომელსაც ზარებიანი და სხვადასხვა ფერის აბრეშუმის მანდილებით აჭრელებული დროშა ეპყრა ხელთ.

მამუკაც ფეხზე იდგა სუფრის ბოლოში და თემის „სამსჯავროს“ განაჩენს ელოდა. დღეს საგვარეულოდან გამორჩეულ „რჯულის კაცებს“ მისი ბედი უნდა გადაეწყვიტათ.

სხვებთან ერთად მასაც ჩაელუნა თავი და ჭილყვავივით შემოსეული ფიქრები ერთიმეორეში ერეოდა. ათასი რამე ეჩვენებოდა უცნაურად: ჯერ ერთი, რომ ახალ დროში სათემო საკითხებს, სისხლის აღებისა თუ აუღებლობის საქმეს, ვინღა იხილავდა ხატის კარზე, ანდა საერთოდ? წინანდელი დრო ხომ არ იყო?! ან ვინღა მისდევდა დღეს მესისხლეობას? სისხლის აღება, ისიც ძველი, მკაცრი კანონების დაცვით, ახლა უკვე იშვიათად ხდებოდა ხევსურეთში, რადგან ახალი ცხოვრება ახალი კანონებით შემოიჭრა მთაშიც და ამ კანონების წინაშე ბევრმა მოძველებულმა და დრომოჭმულმა ადათმა უკან დაიხია.

მეორე უცნაურობა, რაც თვალში ეცა მამუკას, ის იყო, რომ, როცა თანამესუფრეებს გადახედა, არც ერთი ნაცნობი ლიქოკელი არ იჯდა სუფრაზე. ისინი თითქოს სრულიად უცხო ადამიანები იყვნენ, საიდანღაც მოსულები.

„ესენი რანაირი ან სადაური ლიქოკელები არიან?" — ფიქრობს თავის გულში მამუკა. — ამათ რა სამართალი უნდა გაარჩიონ?!

თქმით კი ვერაფერს ამბობს. თითქოს ენა აქვს დაბმული. ბოლოს სუფრის თავში მჯდომთაგან ყველაზე უხნესმა თავი მაღლა აიღო. კუშტი მზერა მოავლო იქ მყოფთ და მრისხანედ წარმოსთქვა:

— სისხლი ას ასაღები, სისხლი!

— სისხლი ას ასაღები! — იმავე კილოზე გაიმეორა ფეხზე მდგომმა ხუცესმაც და ზარებიანი ხატის დროშა ძლიერად შეანჯღრია.

— სისხლია ასაღებიიიი! — გრგვინვასავით მოისმა ახლა ციდან.

— რატომ არ კითხულობს კაცის „თავ-სისხლს" მამუკა? — კვლავ ხმას აუწია მოხუცმა და სუსხიანი მზერა თავჩაქინდრულ ლიქოკელებს ჩააშტერა. — რატომ არ იძია შური?

— ვისზე იძიებდა შურს, თუ მკვლელი არ იცოდა ვინ იყო? — სცადა მამუკას გამოქომაგება ვიღაცამ „ახალუხლებიდან".[1]

— იცოდა! — მკაცრად გააწყვეტინა სიტყვა მას მოხუცმა. — აბა, ჰკითხეთ ვისი დაშნა უდევს ახლაც უბეში! ვინ არის მისი ძმის მკვლელი?..

— იცოდა?! — გაოცებით წამოიძახეს ლიქოკელებმა და კითხვადქცეული ასიოდე თვალი ქვის კერპივით გაშეშებულ მოგვარეს მიებჯინა.

ჭირის ოფლში გაწურულ მამუკას უკვირს, საიდან გაიგო მოხუცმა თოთიას მკვლელობის საიდუმლო. ის ხომ მან, გელამ და მგელიკამ იცოდა მხოლოდ. არც დაშნის შესახებ დაუძრავს კრინტი ვინმესთან.

---

1 ახალუხალი — ახალგაზრდობა.

— იცოდა! იცოდა! — შორეული გუგუნივით მოისმა კიდევ ციდან.

მამუკას უნდა თემის წინაშე თავი იმართლოს, უთხრას ყველაფერი, მაგრამ ხმას ვერ იღებს. მარტო პირს აღებს, ტუჩებს აცმაცუნებს და პირუტყვივით ზმუის.

მოხუცმა თითქოს იგუმანა, რისი თქმაც უნდოდა მამუკას და ულმობელ კილოზე წყრომით განაგრძო:

— თუ ბრმა და ხეიბარ მოსისხლეზე არ აღმართა ხელი, რატომ მის ძმაზე არ იძია შური?!.

— ძმა რომ დამნაშავე არ არის? — სცადა შედავება რომელიღაც ახალგაზრდამ ისევ, მაგრამ მოხუცის გაყინულ მზერას რომ წააწყდა, იმანაც ხმა ჩაიკმინდა.

— მამუკამ არათუ შური იძია, მთელ საგვარეულოს მოსჭრა თავი! მოსისხლის დას უჭირისუფლა და ახლაც მის საფლავზე ღამეებს ათენებს! მითხარით, ლიქოკელებო, რისი ღირსია ასეთი ხევსური? — ხმა რომ არ ეყო, ყელში ამოიხრიალა ბერიკაცმა და „სამსჯავროს" გადახედა.

„ესეც სცოდნია!.. საინტერესოა, ეს ვინღა უთხრა?!" — ფიქრობს თავის გულში მოხუცის გულთმისნობით გაოცებული მამუკა.

— გვარიშვილობიდან უნდა მოიკვეთოს! — ყინულივით ჩაეწვეთა ყურში უცებ ხუცესის ხმა. იმავდროულად გაისმა ზარების გუგუნიც, რომელიც ციდან ჩამოღწეულმა ძლიერმა ხმამ დაფარა:

— მოიკვეთოს! მოიკვეთოს! მოიკვეთოს!..

მამუკას თავრეტი ესხმის, ყურები უშხუის, გაქცევა უნდა,აქედან გარიდება, მაგრამ ერთ ადგილზე მილურსმულივით დგას და ფეხის გატოკებასაც ვერ ახერხებს. დაყვირება უნდა და ხმას ვერ იღებს. შფოთავს და ამ შინაგან ტანჯვასა და ბორგვაში ეღვიძება...

მთელ ღამეს ძილი არ მიჰკარებია. მეორე დღესაც გაოგნებული დადიოდა, მოსისხლის დაშნა ხომ სისხლს უმღვრევდა, უბეში ჩადებული ნაკვერცხალივით სწვავდა სხეულს. ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა თავში. ათასნაირ გადაწყვეტილებას ღებულობდა, ბოლოს ისევ ბარისახოში წამოსვლა გადაწყვიტა. საფლავის მონახულება უნდოდა. იქნება იქ მაინც დაემშვიდებინა აფორიაქებული სული, იქ მიელო რამე გადაწყვეტილება.

ფიქრებში წასულმა ვერც კი შეამჩნია, როგორ შეუმჩნევლად ამოცურდა მთის ქედიდან მთვარის თითბრისფერი დისკო, რომელიც ორიოდე წუთს ხეების აჩორჩხლილ ტოტებში გაიხლართა და შემდეგ მოწყვეტილი ფორთოხლის ნაყოცივით ვარსკვლავიან ცარგვალზე გადაგორდა.

თავისი ცხენის ფრუტუნმა გამოაფხიზლა, რომელიც შორიახლო ბალახს ძოვდა. ფეხზე წამოდგა და ნელი ნაბიჯით მზიას საფლავისკენ გაემართა.

მდინარის ნაპირს გაჰყვა. არაგვის კამკამა ტალღები მოტაცებულ მთვარეს დროდადრო გულში იხუტებდა და ქვევითკენ მიაქანებდა.

ბინდისფერ სინათლეში შორიდანვე გამოჩნდა თეთრი, ტანკენარი არყის ხე და მის ჩრდილში კუზიანი, მოშავო ბორცვი.

მამუკა გატეხილი ნაბიჯით მიუახლოვდა საფლავს და შორიახლო გაჩერდა. დიდხანს უმზერდა უსიტყვო მწუხარებით მასზე მიმობნეულ, დამჭკნარ ყვავილებსა და ჯვრის მუქ სილუეტს.

— მაპატიე, მზია, რომ ველური ყვავილები ვეღარ მოგიტანე! შენ ხომ ასე ძალიან გიყვარდა ყვავილები! მოკრეფა ვეღარ მოვასწარი! — წაიჩურჩულა კარგა ხნის დუმილის

შემდეგ მამუკამ. ერთხანს ისევ ჩუმად იყო, მერე იქვე ბალახებზე მოიკეცა და განაგრძო:

— ერთი კვირა იქნება, შენთან აღარ მილაპარაკია. სალაპარაკო კი რამდენი დამიგროვდა. გულს ვეღარ მოვერიე, გულში დაგუბებულ ბოღმას!

აქამდე გიმალავდი, არ გეუბნებოდი. ახლა აზრი აღარ აქვს... კიდევ კარგი, რომ შენ ვერ გაიგე ჩვენი მტრობის ამბავი, ჩემო უიღბლო დედოფალი! სულ ერთია, ამისი დარდი მოგინელებდა. შენი გული ამას ვერ გაუძლებდა მაინც. მაგრამ მე რა ვქნა, როგორ ვზიდო ორივეს ტვირთი? ორი სიკვდილის ტვირთი როგორ ვზიდო, მირჩიე! ამ პატარა გულში როგორ დავტიო ერთად სიყვარული და სიძულვილი?.. განა შეიძლება ერთ ქარქაშში ორი ხმალი ჩაეგოს?..

მამუკამ ჰორიზონტზე შემაღლებულ მთვარეს გახედა, რომელსაც მთის ყელზე გველეშაპივით შემოგრაგნული შავი ღრუბელი ნელი ზლაზვნით უახლოვდებოდა. ურჩხულის თავი ჰქონდა ღრუბელს, ხახადაღებული. წუთიც და მქრქალი შარავანდედით არშიამოვლებული მნათობი „გველეშაპის" ხახაში ჩაინთქა. მიდამო კი ისევ გულის შემღონებელმა და შემაზრზენმა წყვდიადმა მოიცვა.

მამუკამ ხმამაღალი ფიქრი ისევ გააგრძელა:

— არც ის შეიძლება, ძვირფასო, ახლა აქ რომ ვზივარ შენს საფლავთან. სად გაგონილა, მომისხლე თავის მტერს ჭირისუფლობდეს? წუხელ სიზმარში ლიქოკელებმა ერთ-ერთ ბრალდებად ეს წამომიყენეს და თემობიდან მომიკვეთეს. მეორე ბრალდებად — მოკლული ძმის სისხლი რომ ვერ ავიღე. სისხლი კი შენმა ძმამ — მგელიკამ დაღვარა. მასზე შურის საძიებლად ვიყავი ეს ერთი კვირა წასული არხოტში, მაგრამ ბრმა და საპყარ მტერზე ხელის აღმართვა არ ვიკადრე.

— მაშ, ფიცს რაღაზე დებდი, თუ არ შეასრულებდი, შე

ლაჩარო?! — მოელანდა მკვდარი ძმის ხმა მამუკას და იმავდროულად მისი გოლიათური აჩრდილიც გამოეყო წყვდიადს, ახლოს მოდგა, დაჭრილი, დასისხლიანებული მკერდი მიუშიშვლა მამუკას და საყვედურით მიმართა:

— რაად მარცხვნ, ძმაო! ვის საფლავს ღგლოვობ, არ გრცხვენისა?.. შურს რაად არ ძეულობ?! სადიაცევ! ფიცის გამტეხო!..

— გცხვენოდას!

— გცხვენოდას! — ერთხელ კიდევ მრისხანედ წამოიძახა აჩრდილმა, ძმას ზურგი შეუბრუნა და ისევ სიბნელეში გაუჩინარდა.

უცნაური ჩვენებით გულშეძრული მამუკა ზეზე წამოიჭრა და აფორიაქებული გაშორდა საფლავს. საიდანღაც შორიდან კიდევ ჩაესმოდა ყურში ძმის საყვედურით სავსე სიტყვები:

—სადიაცევ!

— უჯიშოვ!

— ფიცის გამტეხო!

ერთი წუთით უკან მოიხედა და გაშეშდა: არყის ხის ქვეშ ახლა მეორე აჩრდილი ამოდიოდა, რომელიც თეთრი მარმარილოს სვეტივით უკვე ამომართულიყო საფლავის ამაღლებულ ბორცვზე და ცრემლიანი, საყვედურიანი თვალებით გასაქცევად გამზადებულ მამუკას უცქეროდა.

— სად გარბიხარ, მამუკა! რატომ მტოვებ, არა გრცხვენია?.. ჩემთვისაც ხომ გაქვს ფიცი მოცემული? — ალაპარაკდა ლანდი.

და მამუკას თვალწინ წარმოუდგა თეთრ სარეცელზე მისვენებული, სულთმობრძავი მზია, რომელიც სიკვდილის წინ მაშინ საავადმყოფოში ჩურჩულით ემუდარებოდა.

„ხომ ხშირად მოხვალ ჩემს საფლავზე, მამუკა?..“

„შემომფიცე, რომ ჩემს საფლავს არ დაკარგავ!..“

„როცა საფლავი არ იკარგება, მაშინ ადამიანებში სიყვარულიც ცოცხლობს“... მომაკვდავის ეს უკანასკნელი სიტყვები ახლაც ლოცვასავით ჩაესმა ყურში მამუკას და უკან შემობრუნდა.

ისევ საფლავისაკენ წამოვიდა.

ამ დროს ღამის მნათობმა მცირე ხნით კიდევ „გაითავისუფლა“ თავი შავად დაგრაგნილი, მუცელგამოფატრული ღრუბლის ტყვეობიდან და არემარე კვლავ ვერცხლისფერ ბინდ-ბუნდში ამოცურდა.

საფლავის ლანდი უკვე სადღაც გამქრალიყო, მის თავზე ახლა მხოლოდ თეთრად მოელვარე, ტანაყრილი არყის ხე იყო აღმართული და იდუმალი შრიალით თითქოს რაღაცას ჩურჩულებდა.

— ღმერთო ჩემო! ეს რა მემართება?! ჭკუიდან ხომ არ შეგიშალე ნეტავ?! ეს რა მოლანდებები მეჩვენება! — შეშფოთებულმა მამუკამ თავი აქეთ-იქით გაიქნია და ირგვლივ მიმოიხედა.

ძილქუშით მოცულმა ბუნებამ და შემაზრზენმა სიჩუმემ კიდევ უფრო მეტად დაუმძიმა გული. შემდეგ ისევ წელანდელ ადგილას ჩამოჯდა და ხელებში ჩავჩარგული კარგა ხანს იყო გარინდული. ათასგვარი ფიქრები ბუდედანგრეულ ჭიანჭველებივით ერეოდნენ და უფუთფუთებდნენ თავში. გაგიჟებას მართლაც აღარაფერი ეკლდა. მაგრამ მის მდგომარეობაში მყოფი ან რა გასამტყუნარი იყო. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ იმდენი რამ გადახდა თავს, სხვა მის ადგილზე ალბათ ჭკუიდან შეიშლებოდა. ადვილი არ იყო მისთვის, ასე იოლად გადაეტანა ერთადერთი ძმის ვერაგული მკვლელობა. იმავდროულად მეორე საყვარელი ადამიანის ტრაგიკული სიკვდილი, მის გულში ერთიმეორეს შეჯახებული მტრობა და სიყვარული, პატიებისა და შურისძიების ჭი-

დილი და ბოლოს მაინც აუღებელი სისხლი, მიცემული ფიცის არშესრულება!

მაგრამ მამუკას ბრალი ხომ არ იყო, რომ ძმისთვის მიცემული ფიცი დაარღვია?.. თვითონ თოთია ცოცხალი რომ ყოფილიყო, ისიც ალბათ მამუკასავით მოიქცეოდა. ასე მოდიოდა მამა-პაპიდან: სუსტზე, უძლურზე, დაცემულზე და, მითუმეტეს, საპყარზე ხელი არავის აღუმართავს ხევსურეთში დღემდე და რაღა მამუკას შეერცხვინა თავი?.. ან ვილაზე ეძია შური, თუ თვითონ მკვლელი ცოცხლებში ჩასათვლელი აღარ იყო?..

გელაზე? მის ბიძაშვილებზე?.. არა, მამუკა ვერც ამ უდანაშაულო ადამიანების სისხლს დაღვრიდა. ამ უსამართლო და უკანონო ადათის წინააღმდეგი ის თავიდანვე იყო.

ფაქტიურად გამოდიოდა, რომ შურის საძიებელი მას უკვე აღარავინ ჰყავდა, თუ, რასაკვირველია, მგელიკას აღარ ჩავთვლიდით ანგარიშში, მაგრამ მოსისხლის ვერაგობისა და ავკაცობის ნიშნად მაინც რჩებოდა მასთან მისი ასპიტისთავიანი დაშნა, რომლისთვისაც ყოველი ხელის შეხება თუ თვალის შევლება სულსა და გონებას უფორიაქებდა მამუკას.

„აბა, რილასთვის მიდევს იგი უბეში?.. არაგვის ტალღებში მოვისვრი და მოვისვენებ!" — გაიფიქრა მან და ამოღებულ დაშნას ზიზღით დახედა, მაგრამ ასეთი განზრახვა რატომღაც უარყო და წუთით შეყოყმანდა.

მისი გონება გამალებით მუშაობდა, ამღვრეული მორევივით ტრიალებდა ერთ ადგილზე და გამოსავალს ეძებდა.

უცებ თავში რაღაც აზრმა გაუელვა.

— იქნებ ჯობდეს, — ჩურჩულით თქვა მან. — როგორც ჩემი პირველი სიყვარული დაიმარხა ამ არყის ქვეშ, ისე ჩემი შურისძიებაც აქ დაიმარხოს!..

ამან ცოტათი დაამშვიდა. საფლავთან უფრო ახლოს მიჩოჩდა. მოფერებით გადაუსვა ჯვარს ხელი.

— მზია, ძვირფასო! — ჩუმი ბუტბუტით დაიწყო მამუკამ. — სიკვდილი რომ არ ჩამდგარიყო ჩვენს შუა, შენი ძმის ეს სისხლიანი დაშნა მაინც დაგვაცილებდა ერთმანეთს. ასეთი იყო ნება ღვთისა თუ განგებისა. ალბათ მგელიკას ბედის წიგნშიც ისე იყო ჩაწერილი, რომ იგი ჩემი ხელით არ უნდა მომკვდარიყო. ეს დაშნა კი, მისი ცოდვიანი დაშნა, აქ უნდა დაიმარხოს შენს საფლავში, სხვა უმძიმესი ცოდვა რომ აღარ ჩაიდინოს კიდევ! დეე, აუღებელი სისხლის საიდუმლო შენმა საფლავმა შეინახოს, რათა ჩვენს შორის დათესილ სიძულვილსა და ნაადრევად დაღუპულ სიყვარულს შენ უჭირისუფლო ამიერიდან!..

თქვა ეს მამუკამ, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და საფლავის ჯვართან დაშნის წვერით საკმაო სიღრმის ორმო ამოთხარა. შემდეგ იარაღი საგულდაგულოდ გაწმინდა, ქარქაშში ჩააგო, ორმოში ჩადო და მიწა მიაყარა.

თითქოს მძიმე ლოდი ჩამოეხსნა გულიდან, ისეთი შვება იგრძნო მამუკამ. ფეხზე წამოდგა. გამტკნარებული სახით ერთხანს კიდევ დაჰყურებდა ახლად მიყრილ მიწას. მერე უსიტყვოდ უკან გამობრუნდა და მძიმე ნაბიჯით არაგვის ნაპირს გამოუყვა.

ძმის მკვლელის დაშნის მესაფლავეს მხოლოდ ორი უტყვი, უნებური მონმე მოაცილებდა: ღრუბლების ტყვეობიდან თავდახსნილი მნათობი და მზიას საფლავთან ჩუმად მოშრიალე არყის ხე, რომლებსაც თითქოს უხაროდათ, რომ შურსა და მტრობაზე გაცილებით ძლიერი საბოლოოდ მაინც სიყვარული აღმოჩნდა, ნამდვილად წრფელი და სპეტაკი სიყვარული.

მოთხრობები

ლაშარის მთვარე

I

პედაგოგიური ინსტიტუტი რომ დავამთავრე, თიანეთის რაიონში გამანაწილეს სამუშაოდ, რაზედაც, სიმართლე რომ ითქვას, არც მე მითქვამს უარი, რადგან სურვილი იქ წასვლისა ჯერ კიდევ ამ ოთხი წლის წინათ გამიჩნდა. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, როცა ჩვენი ინსტიტუტის მცირეჯგუფიანი სამეცნიერო ექსპედიცია ფოლკლორული მასალების მოკვლევისა და შეგროვების მიზნით ამ რაიონს ეწვია და პირველად ვნახე მითებისა და ლეგენდების ეს საოცარი კუთხე.

მაშინ ჩვენი მეგზური და მასპინძელი ჩემი თანაკურსელი, თიანელი ფშაველი ალექსი ფუნთუშაშვილი იყო, არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბიჭი, რომელმაც, ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თითქმის ზეპირად იცოდა მთელი ფშავ-ხევსურული პოეზია. ფშაველ მელექსეთა გარემოცვასა და მთის ლაღ ბუნებაში აღზრდილი ალექსი თავადაც კარგ ლექსებს წერდა, რისთვისაც ამხანაგები მას ხუმრობით პატარა ვაჟა-ფშაველას ვეძახდით. ალექსის შინაგან სიკეთეს და გონიერებას მისი ლაზათიანი გარეგნობაც ამკობდა, რის გამოც ეს ახოვანი და გულით ალალი მთიელი ვაჟკაცი მარტო კურსზე კი არა, მთელ ინსტიტუტში ყველას უყვარდა.

საზაფხულო ექსპედიციის შემდეგ უფრო დავუახლოვდი ალექსის, გავაცანი ჩემი მშობლები. რამდენჯერმე ოჯახშიც მოვინვიე. ბოლოს კი ისე დავმეგობრდით, რომ უერთმანეთოდ ყოფნა თითქმის აღარ შეგვეძლო. ერთად დავდიოდით, ერთად ვმეცადინეობდით. ალექსიც ხშირად მეპატიჟებოდა თავისთან, სოფელში. ზაფხულის არდადეგების მეტ დროს ხომ თითქმის ერთად ვატარებდით. გამაცნო და დამაახლოვა ბევრ კარგ ადამიანთან, რომლებიც გამორჩეული პატივისცემითა და მთიელებისათვის დამახასიათებელი თავაზიანობით მეპყრობოდნენ. მაგრამ განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს ჩემდამი მაინც ალექსის ოჯახი იჩენდა.

ალექსი მამით ობოლი იყო (11 წლისას დაღუპვია მამა ავტოკატასტროფაში), ჰყავდა დედა და თავისზე უფროსი ორი და. ერთი და მეზობელ სოფელში იყო გათხოვილი, ხოლო მეორე, და-ძმებიდან ყველაზე უფროსი — სალომე — გასათხოვარი, სახლში იყო დარჩენილი.

ორმოც წელს მიტანებული სალომე შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა თავის ძმას. ისიც მასავით პირმშვენიერი, ახოვანი და მკვრივი აგებულებისა იყო. მისი რძისფერი, ოდნავ შევარდისფერებული სახის კანი, ხშირი, ტალღოვანი, ღია წაბლისფერი თმა, რომელსაც საფეთქლებთან ვერცხლისფერი მოსძალებოდა, ცეცხლოვანი, როგორღაც უტეხი გამოხედვა, მაღალი მკერდი და კელაპტარივით ჩამოქნილი ფეხები უმალვე იპყრობდა მნახველის ყურადღებას, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდ გამოცანად მაინც ის რჩებოდა, რომ ასეთი გარეგნობის ქალი ჯერ კიდევ გაუთხოვრად იყო დარჩენილი. რომელი მამაკაცი იტყოდა უარს მის ცოლობაზე ჯერ ახლა და ადრე ხომ ბევრ ახალგაზრდას დააკარგვინებდა ჭკუას მისი სილამაზე. ეს კითხვა მაწვალებდა ყოველთვის, როცა კი მათთან მივიდოდი.

ბოლოს ისევ ალექსის გავუბედე და მორიდებულად ვუთხარი:

— ალექსი, რამდენი ხანია მინდა გკითხო, მაგრამ თან მეუხერხულება, სხვაგვარად არ გამიგო. სალომემ რომ საკუთარი ოჯახი არ შექმნა და გაუთხოვარი დარჩა, იყო კი ამისათვის რაიმე სერიოზული მიზეზი, თუ მისი მოწონებული მთხოვნები არავინ გამოჩნდა?

— რა გითხრა, ჩემო დათო, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ალექსიმ. — ალბათ ყველაფერი ბედის საქმეა! სალომეს იმდენი მთხოვნელი ჰყავდა და ახლაცა ჰყავს, რომ თავში თმა არ ექნება. მათ შორის ბევრია ღირსეული ადამიანი და კარგი ოჯახის შვილი, მაგრამ გათხოვებაზე მას სიტყვის გაგონებაც კი არ უნდა.

— დაუჯერებელია, სალომეს ვინმე არ ჰყვარებოდა და ამ წლების მანძილზე გულის სწორი არ ამოერჩია! — გამოვთქვი ჩემი ვარაუდი.

ალექსი ჩაფიქრდა. კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. თავისი ხანგრძლივი დუმილით თითქოს მაგრძნობინა, რომ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა არ უნდოდა ან სიმართლის თქმა ეძნელებოდა. ბოლოს გარინდებიდან გამოერკვა, ნაღვლიანი მზერა სივრცეს გაუშტერა და ხმადაბლა წარმოთქვა:

— ყოფილა მართლა ვიღაც ახალგაზრდა ადრე, რომელსაც ჩემი დაც თანაუგრძნობდა თურმე, არც ჩვენი ოჯახი ყოფილა წინააღმდეგი, მაგრამ რა მოხდა შემდეგ, ვერაფერს გეტყვი. მე მაშინ ბავშვი ვიყავი და ამისთანებისა არა გამეგებოდა-რა.

გუმანით მივხვდი, რომ ალექსიმ ყველაფერი ბოლომდე არა თქვა, ანდა სიმართლის თქმა საჭიროდ არ ჩათვალა. შეუძლებელი იყო არ სცოდნოდა, მისი და ვისი გულისათ-

ვის ბერდებოდა სახლში ან რა მიზეზმა შეუშალა ხელი მის გათხოვებას.

— შენ ფიქრობ, იმ ვილაცის გულისათვის ამბობს სალომე გათხოვებაზე უარს? — ვკითხე ბოლოს ალექსის.

— ამაში ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რადგან ამ რამდენიმე ხნის წინათ, როცა გათხოვებაზე ყველამ ძალა დავატანეთ, მტკიცედ და გადაჭრით გამოგვიცხადა: ყველას გთხოვთ უფლება მომცეთ, ჩემი ბედისა თუ უბედობის საკითხი მე თვითონ გადავწყვიტო და ძალას ნურავინ დამატანთო.

ამის შემდეგ, სიმართლე გითხრა, ამ საკითხზე საუბარს სალომესთან თავს ვარიდებ კიდეც. აღარ მინდა ზედმეტად ვატკინო გული. ისედაც ბევრი რამითა ვარ მისგან დავალებული. თავისი ყმაწვილქალობა და ძალ-ღონე მან ხომ ჩემი აღზრდისა და სწავლის საქმეს შეალია. სალომე რომ არა, ალბათ ინსტიტუტშიც ვერ ვისწავლიდი. მარტოკა დედაჩემი ვერ გაუძღვებოდა ოჯახის ამდენ საქმეს. მის ამაგსა და ჩემდამი ესოდენ დიდ ზრუნვას, მგონია, ვერასოდეს გადავიხდი.

ამ თემაზე საუბარს ჩვენ აღარ დავბრუნებივართ, მაგრამ გული მაინც მიგრძნობდა, რომ ალექსის ამ შეფარულად ნათქვამის მიღმა სალომეს საიდუმლო წარსული იმალებოდა.

დრო მიდიოდა და ალექსისთან კიდევ უფრო დამეგობრებამ, მის ოჯახთან დაახლოებამ, თიანეთის რაიონი და საერთოდ იქაური ხალხი ჩემთვის როგორღაც ახლობელი და მშობლიური გახადა. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ჩემი ცხოვრების გარკვეული წლები და პედაგოგიური მოღვაწეობაც სწორედ ამ რაიონს დავუკავშირე.

II

ოც აგვისტოს განაწილებისამებრ, როგორც წესი, გამოვცხადდი თიანეთის განათლების განყოფილებაში, საიდანაც იმავე დღეს გამამწესეს სამუშაოდ რაიონის ცენტრიდან საკმაოდ დიდი მანძილით დაცილებულ ერთ-ერთ საშუალო სკოლაში, რომელიც ალექსის სოფლიდან შორს იყო. ამის გამო პირველ ხანებში, მართალია, ჩვენ ხშირად ველარ ვახერხებდით ერთმანეთის ნახვას, მაგრამ სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა იმდენად გულთბილად მიმიღო, რომ პირველი დღეებიდანვე თავს უკვე შინაურულად ვგრძნობდი.

ოთახი იქვე, სკოლასთან ახლოს ვიქირავე. სახლის პატრონს ზედმეტ სახელად ბერბიჭას ეძახდნენ. ისე ლადო ერქვა. ამხელა ბინაში მარტო მე და ის ვცხოვრობდით, რადგან მას არც ცოლ-შვილი ჰყავდა და აღარც მშობლები. მისი თქმით, ჰყავდა ერთადერთი და, რომელიც კახეთის სადღაც შორეულ სოფელში იყო გათხოვილი. თვითონაც ერთი წელი იყო, რაც რუსეთიდან დაბრუნებულიყო. ორ ათეულ წელზე მეტი ბამის მშენებლობაზე ემუშავა. დედის გარდაცვალება რომ შეატყობინეს, დაბრუნდა სოფელში, რომ უპატრონოდ დარჩენილი სახლ-კარისათვის მიეხედა.

ბერბიჭა ორმოცდახუთ წელს მიტანებული, მაღალი, ათლეტური აღნაგობის, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი იყო. უცხოც რომ ყოფილიყო, გულგრილად ალბათ გვერდს ვერ აუვლიდა, ყურადღება არ მიექცია მისი ახოვანი მხარბეჭისა და ლამაზი, სწორნაკვთოვანი პირისახისათვის, რომელსაც უკვე შეჭაღარავებული, ლომის ფაფარივით დაყრილი თმა ამკობდა. მის დიდრონ, მუდამ ცრემლში მოტივტივე, ირმისფერ თვალებში ყოველთვის რაღაც მძიმე სევ-

და თუ უთქმელი ნაღველი ჩაბუდებულიყო, რომლის პირველი შეხედვა ადამიანს ერთგვარად შეაკრთობდა კიდეც. ხოლო შემდეგ და შემდეგ რაც მეტს უყურებდით, ეს უცნაური და იდუმალი კაეშნით დანისლული თვალები უფრო მეტი თილისმით გითრევდნენ თავის უძირო მორევში და საბოლოოდ მათი ტყვე ხდებოდით თქვენდაუნებურად.

რაც მასთან ვცხოვრობდი, ბერბიჭა გაცინებული არ მინახავს. ღიმილიც იშვიათად იცოდა. ლაპარაკი არ უყვარდა. ერთთავად კრიჭაშეკრული, ჩაფიქრებული და გულჩათხრობილი დადიოდა. სიარულიც ნელი და მოზომილი იცოდა, თითქოს ეშინია, თავისი სიმძიმით მიწა არ ჩაანგრიოსო. ხშირად მინახავს იგი მთელი საათობით მჯდარი ერთ ადგილზე თვალგაშტერებული, რაღაც ღრმა ფიქრში ჩაძირული. ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა გამეგო, რა დარდი და ვარამი ტანჯავდა მის გულს. რატომ ცხოვრობდა ამდენი წელი მარტოსულივით და არ შექმნა დღემდე საკუთარი ოჯახი? მაგრამ ჯერჯერობით ამის კითხვას ვერ ვუბედავდი, რადგან იმედი მქონდა, რომ თავის საწუხარს როდისმე თვითონვე გამანდობდა. მის მდგომარეობაში მყოფი კაცი იმდენი ტანჯვის უთქმელობას და სასოწარკვეთას დიდხანს ვერ გაუძლებდა. გუმანმა არ მიმტყუნა. ეს დროც დადგა.

ერთ საღამოს ბერბიჭა საკმაოდ შეზარხოშებული დაბრუნდა სახლში და თავისთან დამიძახა.

— ჩემო დათო, რაც შენ აქა ხარ, როგორც იტყვიან, ქართულად პური არ გაგვიტეხია ჩემს ოჯახში. თუ წინააღმდეგი არ იქნები, ამაღამ ერთად ვივახშმოთ.

— სიამოვნებით, ძია ლადო! — სიხარულით დავეთანხმე მე, რადგან მასთან შინაურული და გულახდილი საუბრის საშუალება მეძლეოდა და შეიძლება იმ საიდუმლოსაც ახდოდა ფარდა, რაც მე ასე ძალიან მაინტერესებდა.

ვახშმის თადარიგს რომ მოვრჩით და სუფრას მივუსხედით, ბერბიჭამ მითხრა:

— ძმისწულო, ალბათ ნანობ, რომ ჩემთან დაიკავე ბინა. ვერაფერი მასპინძელი გამოვდექი! — მერე უცებ თითქოს რაღაც გაახსენდა და შეცდომის გამოსწორება უნდაო, ხელი მხარზე მომითათუნა, მომეფერა და მობოდიშებასავით გააგრძელა, — ხომ არ გეწყინა, რომ „ძმისწული" დაგიძახე. ასეთი მიმართვა ჩვენთან უფრო მიღებულია სიყვარულისა და შინაურულობის ნიშნად.

— როგორ გეკადრებათ, ძია ლადო, მიხარია კიდევაც, რომ ასე მომმართეთ. სანანებელი კი არაფერი მაქვს, რადგან თქვენთან ძალიან კარგად მოვეწყვე და კმაყოფილიცა ვარ! — სიტყვა შევაგებე მე.

— დათო, შენ კარგი ბიჭი ჩანხარ და ამას მხოლოდ ზრდილობის გულისთვის ლაპარაკობ. ვიცი, რომ ეს ასე არ არის.

— სრულიადაც არა! რაში მატყობთ, ძია ლადო, რომ კმაყოფილი არა ვარ?..

— ბინით შეიძლება კმაყოფილი იყო, მაგრამ მისი პატრონით არა! — ღიმილით თქვა ბერბიჭამ.

მე მინდოდა რაღაცა მეთქვა, მაგრამ გულგახსნილმა მასპინძელმა ხელის აწევით შემაჩერა, ჩვენი შეხვედრისა და გაცნობის სადღეგრძელო შესვა, სასმისი მეც ბოლომდე გამომაცლევინა და წეღანდელი შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ცუდი მასპინძლობა გაგიწიე-მეთქი, ჩემი თავით ჯერ მე არა ვარ კმაყოფილი და შენ როგორ იქნები. ამ ბოლო დროს მარტოობა დამჩემდა, გულჩათხრობილობაც. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ცხოვრებამ ჩემთვის უკვე დაკარგა აზრი.

— რატომ, ძია ლადო? რამ მიგიყვანათ ამ სასოწარკვე-

თილებამდე? განა შეიძლება იმედის ასე გადაწყვეტა? — გულწრფელი თანაგრძნობით შეეკითხე ბერბიჭას.

— ამ კითხვაზე პასუხი არც ისე ადვილია, ძმისწულო, არც აზრი აქვს მისი მიზეზების ახსნას. დამეთანხმები, ადამიანის ფიზიკური ტკივილების მორჩენა უფრო ადვილია, ვიდრე მისი სულიერი ტკივილებისა.

— მართალია, მაგრამ არ არსებობს არანაირი ტკივილი, სულიერი თუ ფიზიკური, რომ მას წამალი და საშუალება არ გამოენახოს. ძია ლადო, იქნებ გაგენდოთ ჩემთვის თქვენი გულის წუხილი. ადამიანი ადამიანის მკურნალიაო, ნათქვამია. მართალია, ასაკით თქვენზე გაცილებით პატარა ვარ და თავის დროზე ოჯახი რომ შეგექმნათ, ჩემხელა შვილიც გეყოლებოდათ, მაგრამ მერწმუნეთ, რომ სულიერი მეგობრობის განევა მეც შემიძლია. თუ ვერაფერს გიშველი, გულზე ცოტათი მაინც მოგეშვება!

ჩემმა გულწრფელმა სიტყვებმა თუ თხოვნამ, შევატყვე, რომ ბერბიჭაზე დიდად იმოქმედა. თვალები უფრო მეტად დაენისლა და ყურადღებით შემათვალიერა. მერე ლომის ტორივით ვეებერთელა მარჯვენა მხარზე მომხვია, მაგრად მიმიხუტა მკერდზე და ეს ამხელა დევივით ვაჟკაცი ბავშვივით აზლუქუნდა.

— გმადლობთ, ჩემო პატარა მეგობარო, გმადლობთ! — ჩუმად ლუღლუღებდა იგი და თან სიყვარულით მეხვეოდა.

როცა ცოტათი დამშვიდდა და ცრემლები შეიმშრალა, კარგა ხანს დუმდა. მის სულიერ ღელვას სახის ნაკვთების ოდნავი თრთოლვაღა თუ ამჟღავნებდა. მერე თითქოს ძილქუშიდან გამოფხიზლდაო, მთელი ტანით შეტოკდა, თავისი დიდრონი,სევდიანი თვალები მომაპყრო და მითხრა:

— რასაც ახლა მოისმენ, შეიძლება დაუჯერებლადაც მოგეჩვენოს. ოჯახის წევრებისათვისაც კი არ მითქვამს

დღემდე. მაგრამ იმ ამბის შემდეგ აგერ უკვე რამდენი წელი გავიდა და მის გამხელას თუ გაუმხელობას დღეს აზრი აღარა აქვს. მაინც ყველაფერი დაკარგულია ჩემთვის! — უიმედოდ ჩაიქნია ხელი ბერბიჭამ და თავი დაბლა ჩაჰკიდა.

მე ჭიქა გვერდზე გავწიე და რაღაც უცნაური თუ დაუჯერებელი თავგადასავლის მოსასმენად მოვემზადე. დაძაბული ყურადღებით კარგა ხანს ვუცდიდი, სანამ ჩემი მოსაუბრე ხმას ამოიღებდა.

— წეღან რომ მკითხე, ასეთ სასონარკვეთილებამდე რამ მიგიყვანაო, გეტყვი! — გააგრძელა ბერბიჭამ წეღან დაწყებული ლაპარაკი, — ჩემმა ზედმეტად გადაჭარბებულმა ახალგაზრდულმა თავმოყვარეობამ დამღუპა! დიახ, გადაჭარბებულმა თავმოყვარეობამ!..

— რა შუაშია აქ თავმოყვარეობა? — გაოცებულმა ვკითხე მე.

— რა შუაშია და... თუმცა ასეთი საუბრით ვერაფერს გაიგებ, უმჯობესია თავიდან გითხრა... მაგრამ მოდი, ჯერ თითო ჭიქა დავლიოთ და მერე მოგიყვები.

— არა, ძია ლადო, შენი ჭირიმე!.. ჯერ მომიყევი, დალევას მერეც მოვესწრებით.

— კარგი, ძმისწულო, კარგი, ეგრე იყოს! — დამთანხმდა ბერბიჭა, ღვინიანი ჭიქა იმანაც გვერდზე გააცურა და დინჯად დაიწყო:

— ჯარიდან რომ ჩამოვედი, იმ წელს მთელი ოჯახი სალოცავში ნავედით. როგორც შეთქმული გვქონდა, ლაშარის ჯვარს სამი წლის კურატით, ერთი რქადაგრეხილი ჭედილით, ქადა-პურებით, სასმლითა და სანთელ-კელაპტრით ვეახელით. ისე, როგორც ყოველთვის, ფშაველთა ამ მთავარ სალოცავში მაშინაც დიდძალ ხალხს მოეყარა თავი.

სალოცავიდან ქვევით, მდინარის პირზე, თავისუფალი

და მოხერხებული ადგილი ძლივს შევარჩიეთ, რადგან ჩვენს მისვლამდე იქ უკვე დაბინავებულიყო ხალხი. როგორც ჩანდა, ბევრი ღამისთევით მოსულიყო წინა დღით, ცეცხლის პირზე საერთო სუფრა გაეშალათ და მას ღამეგატეხილი, უძილობით თვალებდასიებული და ფშაური ჟიპიტაურით უკვე შეზარხოშებული მამაკაცების ერთი ჯგუფი შემოსხდომოდა. ცოტა მოშორებით კი ახალგაზრდებს ლხინი და ცეკვა-თამაში გაემართათ. ძალაუნებურად მზერა იქით გამექცა და უცებ თვალი ვეღარ მოვწყვიტე ერთ ლერწამივით ტანკენარსა და ჯეირანივით ყელმოღერებულ ქალიშვილს, რომელიც თავის თანატოლ გოგონებთან ერთად საერთო მხიარულებას მისცემოდა და მათ შორის ისე ირჩეოდა, როგორც ქვიშაში ჩაგდებული მარგალიტი. მისი სილამაზის მნახველი უკეთესს ვერაფერს ინატრებდა და ვერც წარმოიდგენდა. იდგა იგი თავის ახლად გაცნობილ დობილებთან ანგელოზივით ჰაეროვანი, რაღაც არამიწიერი შარავანდედით გაბრწყინებული და თითქმის ვერც ამჩნევდა ყმაწვილი კაცების აღტაცებულ მზერას, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ მისი თუნდაც ოდნავი თანაგრძნობის ან ყურადღების დამსახურებას.

მოჯადოებულივით მეც გაოგნებული შევყურებდი შორიდან ამ უცხო ქალწულის მშვენიერებას და სიამით გული ბადეში გაბმული კალმახივით მიფართხალებდა. მისმა ხილვამ როგორღაც შინაგანად და სულიერად ისეთნაირად ამაფორიაქა, რომ ახლა ძნელია ამისი სიტყვებით გადმოცემა. როგორ გითხრა, ძმისწულო, ეს იყო რაღაც ერთდროულად სიამისა და ტანჯვის მომგვრელი გრძნობა, რომლის მსგავსი ჩემს გულს მანამდე არასოდეს განეცადა. სიამის მომგვრელი იმიტომ, რომ გული ტკბებოდა არნახული სილამაზის ხილვით, ხოლო ტანჯვის მომგვრელი იმიტომ, რომ ამ მშვე-

ნიერებით ტკბობა მაინც შორეულ და მიუწვდომელ ოცნებად რჩებოდა. ამიტომ გულში ღმერთს შემწეობას ვთხოვდი, მოეცა ჩემთვის რაიმე შემთხვევა იმ ანგელოზის გასცანობად და დასაახლოვებლად. არ ვიცი, ლაშარის ჯვარი შემენია თუ ბედის წყალობა იყო, ასეთი შემთხვევა იმავე დღეს მომეცა.

ერთი ასეთი უცნაური ამბავი მოხდა იმ დღეს ლაშარში.

როცა მსხვერპლის შესაწირად განკუთვნილ ადგილას სხვებთან ერთად ჩვენც ავიყვანეთ საკლავები დასახოცად, ხევისბერი უკვე შესდგომოდა თავის მოვალეობას. ვიღაც მლოცველის გვერდზე თვინიერად გაჩერებულ შავ კურატს ამწყალობებდა. როცა პირუტყვი დასაკლავად წამოაქციეს და თითქმის შემთვრალმა ხევისბერმა მოზვერს ყელში ხანჯალი გაუყარა, სწორედ ამ დროს მოხდა გაუგონარი და დაუჯერებელი რამ.

კურატმა, რომელიც რატომღაც თოკით არ იყო ფეხებგაკოჭილი, ჯერ საბრალოდ დაიბღავლა, შემდეგ კი ისე ძალუმად გაიბრძოლა, რომ ზევიდან დაწოლილი რამდენიმე კაცი თოჯინებივით მიყარ-მოყარა აქეთ-იქით და ფეხზე წამოვარდა. ხევისბერმაც ხანჯლის ტარი ველარ დაიმაგრა და ხელიდან გაეშვა.

ყელში ხანჯალგაყრილი, საცოდავად აბღავლებული პირუტყვი, აწრიალებულ ხალხში შეერია. ატყდა ერთი ჩოჩქოლი და წივილ-კივილი. შეძრწუნებული მლოცველები აქეთ-იქით გაიფანტნენ, ზოგი საით გარბოდა, ზოგი საით. რამდენიმე კაცი, რომლებმაც ვერ მოასწრეს გარიდება, კინაღამ გაგიჟებული მოზვრის რქების ანაწერა გახდა. ვინ იცის, კიდევ რა უბედურება დატრიალდებოდა, რომ ისევ მე არ მემარჯვა. კვეხნაში ნუ ჩამომართმევ, ძმისწულო, და მაშინ გულიც მაგარი მქონდა და მკლავიც. ჰოდა, ბევრი აღარ

მიფიქრია, რამდენიმე ნახტომით დაფეთებულ მოზვერთან გავჩნდი, ცალი ხელით, როგორც იყო, რქა დავუჭირე, მეორე ხელის თითები მგრძნობიარე ნესტოებში რკინის მარწუხებივით ვტაცე, ღონივრად მოვქაჩე, მთელი ძალით თავი მაღლა ამოვუგრიხე და მიწაზე დავანარცხე. შორიახლო მყოფი რამდენიმე მარჯვე ახალგაზრდაც არ დაიბნა, წამომეხმარა, წაქცეულ კურატს, სანამ იგი ხელმეორედ ფეხზე წამოხტომას მოასწრებდა, ფეხები დაუჭირა და ხანჯალმაც თავისი საქმე გააკეთა.

ხალხმა შვებით ამოისუნთქა. ნელ-ნელა შემთხვევის ადგილზე თავი მოიყარა. ბევრი თავის აღტაცებას ვერ მალავდა და ხმამაღლა მიქებდა ვაჟკაცობას და გამბედაობას, ზოგი სისხლით დასვრილ ტანსაცმელს მისინჯავდა, აინტერესებდა, დაშავებული ხომ არ ვიყავი. ამ მხრივ ყველაზე დიდ შეშფოთებას მაინც კურატის პატრონი იჩენდა, რომელიც ჩემი მოწონებული ქალიშვილის მამა აღმოჩნდა. უკეთეს შემთხვევას ალბათ ვერც ვინატრებდი. ამ ამბავმა საკმაოდ დამაახლოვა და გამაშინაურა მათთან. მთელი დღე და ღამე თავისი სუფრიდან აღარ გავუშვივარ, მიუხედავად იმისა, რომ ყველას თავისთან ჩემი მიპატიჟება, ახლოს გაცნობა და პატივისცემა სურდა. ერთი სიტყვით, იმდენი საქებარი სიტყვა ითქვა იმ დღეს ლაშარში ჩემი მისამართით, რომ თავს უხერხულადაც კი ვგრძნობდი, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი, რომ სანატრელი არსების სიახლოვით ვტკბებოდი. როგორც ვატყობდი, არც ის იყო ჩემს მიმართ გულგრილი, რადგან, რაც დრო გადიოდა, ჩვენი თვალები უფრო ხშირ-ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და წამიერი, უსიტყვო მზერით ერთიმეორეს ვესიყვარულებოდით. ასე გვწვავდა ერთიმეორის სურვილი მანამ, სანამ ჩვენი განშორების დრო არ მოახლოვდა. გულზე ცეცხლი მეკიდებოდა, რომ სა-

ალაპარაკოდ ვერ შევხვდი, მაგრამ სხვების თვალისაგან და-
ფარული, თუნდაც ხანმოკლე შეხვედრა იქ არც ისე იოლი
იყო. წამოსვლის წინა საღამოს მაინც მოვახერხე მისთვის
ბუჭარა ქაღალდის ნაგლეჯის ხელში შეჩეჩება, სადაც ვწერ-
დი, რომ შენთან სალაპარაკო მაქვს და რომ შეღამდება, ვე-
ლის განაპირას, დიდი მუხა რომ დგას, იქ დაგელოდები-
თქი. კარგად რომ შეღამდა, უგენებობა მოვიმიზეზე, სა-
ბითო მხიარულობას გავერიდე და დათქმულ ადგილზე გუ-
ლის ფანცქალით დავუწყე ლოდინი ჩემი გულის ახალ
რძანებელს.
საუცხოო საღამო იყო. მიბნედილი შუქით მოვარაყებუ-
ლი სავსე მთვარე უზარმაზარ დაირასავით დაკიდებულიყო
ცონების შუქით განათებული ლაშარის გორის თავზე.
ამის მთეველთა მხიარული ყიჟინა და მემუსიკეთა საოცა-
ბ ჰანგები უჩვეულო ხმებად იბნეოდა მთელ ხეობაში. მაგ-
ამ იმ წუთში იმდენად აღელვებული და გაბრუებული ვი-
ვი, რომ არც არაფერი მესმოდა და ვერც ვერაფერს ვხე-
ავდი უცნაური შუქით განათებული ველის გარდა, საიდა-
ც ჩემი გულის რჩეული უნდა გამოჩენილიყო.
არ ვიცი რამდენ ხანს ველოდე, მაგრამ ეს დრო კი მთელ
უკუნედ მომეჩვენა. აღელვებული ერთ ადგილს ვერ ეპო-
ლობდი. იმედი თითქმის გადამიწყდა კიდეც, ვიღაცის
ერაფად მომავალი ლანდი რომ არ გამოჩენილიყო. როცა
ახლოვდა, ვიცანი, ის იყო. მუხის ჩრდილიდან გამოვედი
ბ წინ შევეგებე.
— ლადო, შენა ხარ? — შიშნარევი ხმით შემეკითხა იგი და
ჩერდა.
— მე ვარ, ნუ გეშინია! — თითქმის ჩურჩულითვე გამოვე-
სუხე და ახლოს მივედი. მთელი სხეულით კანკალებდა.
ღალი მკერდი ვნების ამშლელად უღელავდა და მძიმედ

სუნთქავდა. ხელი რომ მოვკიდე, საამო ჟრუანტელმა თავბრუ დამასხა და ერთიანად ამაფორიაქა.

— ძალიან ხომ არ შეგაშინე? — ხმის კანკალით ვკითხე და ვარსკვლავა თვალებში ჩავაცქერდი.

— ცოტათი კი. ვიფიქრე სხვა არავინ იყოს-მეთქი! — გაილიმა იმან.

— წამოსვლისას ხომ არავინ შეგნიშნა?

— არა მგონია. მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, რომ აქ ვინმემ დაგვინახოს! მერე ხომ სოფელში აღარ გამომესვლება და თავი მოსაკლავად გამიხდება. ასე მგონია, ახლაც ვილაცა შორიდან გვითვალთვალებს.

— ნუ გეშინია. აქ ჩვენ გარდა არავინ არის. მთელი საათია, რაც აქა ვდგავარ და სულიერს არ გაუჭაჭანებია!

— სულერთია, რომ დავიგვიანო, მაინც ძებნას დამიწყებენ!

— არ დაგაგვიანებ. შენთან რაღაც სათქმელი მქონდა და...

— სათქმელი იქ ვერ მითხარი?

— იქ ვერ გეტყოდი, იმდენ ხალხში რა უნდა მეთქვა?

— მაინც რა გქონდა ამისთანა საიდუმლო? — ეშმაკურად გაილიმა იმან, თითქოს მართლა ვერ ხვდებოდა რაზე ველაპარაკებოდი ან რა ცეცხლი მიტრიალებდა გულში.

— მე... მე... — დავიწყე როგორღაც გაუბედავად და უცებ ენა დამება. დავიბენი. აღარ ვიცოდი რა მეთქვა, არადა ყველაფერი წინასწარ მქონდა მოფიქრებული. შემკრთალი და უცნაური გრძნობით გაბრუებული, დამნაშავე ბავშვივით თავჩაღუნული კარგა ხანს ვიდექი მის წინაშე და ბრაზი მახრჩობდა, რომ ენას ვერ ვატრიალებდი. გაგიჟებულ მოზვერს არ შევეპუე და ამ პატარა გოგომ როგორ დამაბნია-მეთქი, ვტუქსავდი ჩემს თავს გულში, მაგრამ დიდ სიყვა-

რულს, ძმისწულო, ადამიანის დამუნჯება სცოდნია. თუ არ გამოგიცდია, როდესმე იქნებ თვითონაც გამოსცადო ეს ამბავი. ჰოდა, იმას ვამბობდი, ამ სასაცილო მდგომარეობაში რომ ვიყავი, ისევ იმან მკითხა:

— ხვალე ალბათ თქვენც მიდიხართ, არა?

— ჰო, მივდივართ! ხვალიდან დავცილდებით ერთიმეორეს! — ნაღვლიანად ჩავილაპარაკე მე. — ვინ იცის, კიდევ როდისღა შევხვდებით! თუმცა ჩემი ნახვა იქნებ აღარც კი მოინდომო!

— რატომ მეუბნები, ლადო, ასე? — წყენით ჩაილაპარაკა იმან. — შენთან შეხვედრა და შენი ნახვა მე ყოველთვის გამეხარდება.

— ახლა ასე ამბობ, მერე კი იქნებ აღარც გაგახსენდე!

— სუ, სუ! ნუ ლაპარაკობ ასე! — პირზე ხელი დამაფარა იმან და ცეცხლოვანი მზერა სახეში მომანათა. მისი თბილი თითების შეხება რომ ვიგრძენი, თითქოს თივას ანთებული ასანთი მიადესო, ისეთი უხილავი ცეცხლი შემომენთო გულზე. ანგარიშმიუცემლად ჯერ მის ხელს დავეკონე, შემდეგ ჩემკენ მოვიზიდე და თავდავიწყებით დავუწყე კოცნა.

— რას შვრები, ლადო! — სცადა წინააღმდეგობის გაწევა ქალმა, მაგრამ როცა ჩვენი ვნებით ათრთოლებული ბაგეები ერთიმეორეს შეეწება, ისიც მთელი სხეულით მოეშვა და თავდავიწყების მორევში ჩაიძირა.

არ ვიცი რამდენ ხანს ვეხვეოდით ასე ერთიმეორეს, სანამ ისევ მისმა ხმამ არ გამომაფხიზლა ამ ტკბილი ბურანიდან.

— ლადო, შენი ჭირიმე, გამიშვი, მომიკითხავენ! — თითქმის ვედრებით მითხრა იმან, მაგრამ მის დიდრონ, ვნებით მიბნედილ თვალებში რომ ჩავიხედე, ისინი პირიქით, მათთან დარჩენას და გიჟურ ალერსს მემუდარებოდნენ.

— ჩემო სიხარულო! შენა ხარ ჩემი ბედისწერა, ჩემი სი-

ცოცხლე!.. მითხარი როგორ გავძლო უშენობა? — გატაცებით ვუთხარი მე და უფრო მაგრად ჩავიკარი გულში.

— ალბათ ჩემი ბედისწერაც შენა ხარ, ლადო! — ამოიკვნესა ქალმა და ნაზი ამბორით მიპასუხა. — თვითონაც არ ვიცი რა ძალამ გამაბედვინა აქ მოსვლა... ასეთი რამ არასოდეს განმიცდია...

— ჩემო ანგელოზო, მაშინ ერთგულების ფიცი დავდოთ ამ წმინდა ადგილას! დე, ლაშარის მთვარე იყოს ამ ფიცისა და ჩვენი სიყვარულის მოწმე! — აღელვებულმა წარმოვთქვი მე და დავიჩოქე. იმანაც დაიჩოქა. თვალები მთვარეს მიაპყრო და ათრთოლებული ხმით წაიჩურჩულა:

— ვფიცავ ლაშარის ჯვარს, ვფიცავ ჩემს ქალწულობას და სიცოცხლეს, დავრჩე სიკვდილამდე შენი და ჩემი წმინდა გრძნობის ერთგული! არ ვუღალატო დღევანდელ ფიცს, რა მდგომარეობასა და გარემოებაშიც არ უნდა აღმოვჩნდე!

მერე ჩემკენ შემობრუნდა და მთხოვა, მეც შემეფიცა.

— ვფიცავ ამ წმინდა ადგილს, ვფიცავ ჩვენს სიყვარულს, რომ არ ვუღალატო დღევანდელ ფიცს! — აღელვებულმა წარმოვთქვი მეც და როცა ღვთისა და ერთიმეორის წინაშე ფიცმიცემულები ფეხზე წამოვდექით, თითქოს რაღაც მძიმე ტვირთისაგან გავთავისუფლდითო, ორივეს შინაგანი და სულიერი სიმშვიდე დაგვეუფლა. ჩვენი პირველი ამბორისა და სასიყვარულო ფიცის უტყვი მოწმე — ლაშარის მთვარე კი გაღიმებული დაგვცქეროდა მიუწვდომელი სიშორიდან და თითქოს ნიშანს გვაძლევდა, რომ ჩვენი გულების ერთიმეორიდან დაცილება უკვე აღარავითარ ძალასა და შემთხვევას არ შეეძლო.

ბერბიჭამ წუთით თხრობა შეწყვიტა და ისეთნაირად ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოაყოლაო. შემდეგ ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, ასანთი მოუკიდა, კვამლი ღრმად ჩაისუნთქა და სევდიანი ხმით განაგრძო:

— ერთი კვირის შემდეგ მართლაც შუაკაცები გავუგზავნე ქალის ოჯახს, საიდანაც მისი მშობლების ასეთი დანაბარები მომივიდა: თუ ქალსა და ვაჟს ერთმანეთი მოსწონთ, ჩვენ წინააღმდეგი არ ნავალთ, შეუძლიათ სათხოვნელად მოვიდნენო.

საქმის დასაბოლოვებლად ქალიაანთას შემდეგ შაბათს წავედი მშობლებთან და ორ ახლო ნათესავთან ერთად. ოჯახმა გულთბილად და შინაურულად მიგვიღო, რაც იმას ნიშნავდა, რომ იმ საღამოს ჩვენს შეუღლებაზე ქალის მშობლების მხოლოდ ფორმალური დასტურიღა უნდა მომხდარიყო. ესეც მოხდა. რჩებოდა მხოლოდ ნიშნობის დღეზე შეთანხმება, რასაც მე შემდეგ დაზუსტებულად სხვა დროს შევატყობინებდი.

აღარაფერს ვამბობ ჩემს მაშინდელ სულიერ განცდებზე, ძმისწულო, ამას ისედაც კარგად წარმოიდგენ. მე მხოლოდ იმას მოგიყვები, რამაც ეს ნაადრევი სიხარული და ბედნიერება დამაკარგვინა. ეს კი მაშინ მოხდა, როცა ქალის ოჯახში ნიშნობის დღის შესათანხმებლად მივედი. ნეტავი მე არ წავსულიყავი და სხვა ვინმე გამეგზავნა ჩემს მაგივრად, მაშინ ალბათ ყველაფერი ჩვეულებრივად ჩაივლიდა!..

ოჯახმა იმ საღამოს კარგი სუფრა გააწყო, ახლო მეზობლები და ნათესავებიც დაპატიჟა და ვახშამმა გვიან ღამემდე გასტანა. სასმელს თავიდანვე არ ვიყავი მიჩვეული, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, იმდენმა ღვინის დალევამ მომიწია, რომ აღარც მახსოვს, ლოგინში როგორ დამაწვინეს.

ალბათ შუაღამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა, რომ გამეღვიძა. მაგრამ ჯობდა არ გამღვიძებოდა. გულგახეთქილმა ხელი რომ მოვუსვი, მთელი ქვეშაგები დასველებული მქონდა. უგონოდ მთვრალს ძილში შარდი გამპარვოდა. ელდანაკრავივით ფეხზე წამოვვარდი. ასანთი გავკარი და ოთა-

ხი მოვათვალიერე. ბედად იქ ჩემ გარდა არავინ იყო. მიეხვდი, სადაც ვიყავი. მუხლმოკვეთილი ისევ ლოგინზე ჩამოვჯექი და აზრების თავმოყრა დავიწყე. გამახსენდა წუხანდელი ვახშამი. ყველაფერი გამახსენდა და სირცხვილის გრძნობამ თითქმის გამომაფხიზლა. ცხადად წარმოვიდგინე, ამ ამბის გახმაურებას რამდენი დაცინვა, მითქმა-მოთქმა და სიცილ-ხარხარი მოყვებოდა სოფელში, მერედა რა პირით უნდა გამოვჩენილიყავი ხალხში? ან საცოლისათვის როგორ შემეხედა თვალებში? არა, ასეთ სირცხვილს ისევ სიკვდილი ჯობდა! ის, რაც მოხდა, იგი ჩემთვის მართლაც სიკვდილზე უარესი იყო, სიკვდილზე უარესი, რადგან ამ ხანმოკლე და უდღეურ ბედნიერებაზეც უარი უნდა მეთქვა ამიერიდან, როგორი მძიმე და დიდი სულიერი წამების ფასადაც არ უნდა დამჯდომოდა იგი. არც ერთი თავმოყვარე ვაჟკაცი ჩემს ადგილზე ალბათ ამ ბედნიერებისაკენ ხელს აღარ გაიწვდიდა. მეც ასე მოვიქეცი. ვერ გეტყვი, რამდენად გამართლებული იყო ჩემი მოქმედება, მაგრამ იმ ღამეს, სანამ გათენდებოდა, შეუმჩნევლად და ქურდულად დავტოვე სახლი, სადაც ჩემი პირველი სიყვარული და ჩემივე ხელით დასამარებული ბედნიერება დამრჩა.

ბერბიჭამ ღრმად ამოიოხრა და გაჩუმდა.

მისმა ნაამბობმა ჩემზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო გამიცხოველა.

— მერე, მერე რა მოხდა, ძია ლადო? — აღარ დავაცალე სულის მოთქმა ბერბიჭას.

— მერე რაც მოხდა, მე მგონი, შენც იცი, ძმისწულო! სულ გადავიკარგე ამ რაიონიდან და ჩემი სიცოცხლის ნახევარი ბამის მშენებლობაზე გავატარე.

— დედათქვენმა იცოდა თქვენი ამბავი?

— მომხდარი შემთხვევის შესახებ არავინ არაფერი იცო-

და. სირცხვილით ამას როგორ გავამხელდი. პირველი შენა ხარ, ვისაც ამ ამბავს ვეუბნები.

— მალევე წახვედი რუსეთში?

— იმავე დილით, როგორც კი იქიდან მოვედი. სასწრაფოდ ჩავალაგე ჩემოდანში, რაც მჭირდებოდა, ავიღე ცოტაოდენი სახარჯო ფული და ოჯახიდან გავედი. გული მეთუთქებოდა, დედაჩემის ცრემლებს რომ ვუყურებდი, მეძნელებოდა აქაურობის მიტოვებაც, მაგრამ მაშინ სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო.

— მაინც რით ამართლებდით თქვენი ოჯახიდან წასვლას?

— ერთი წელი წავიმუშავებ რუსეთში, მერე ჩამოვალ და ცოლსაც მოვიყვანო, ვაწყნარებდი აცრემლებულ დედაჩემს (მამა მაშინ სახლში არ იყო. ისიც ველარ ვნახე ცოცხალი).

— ძია ლადო, ამ ხნის მანძილზე თქვენს საცოლესთან არავითარი მიწერ-მოწერა არ გქონიათ?

— არა.

— ალბათ გათხოვდა და ქმარ-შვილიცა ჰყავს, არაფერი იცით?..

— როგორც მითხრეს, არც ის გათხოვილა.

— როგორ! არ გათხოვილა? მაშ, ამდენი ხანი თქვენ გელოდათ, ძია ლადო?

ბერბიჭამ თავისი სევდიანი, ირმისფერი თვალებით შემომხედა და მცირე ფიქრის შემდეგ მითხრა:

— ამას ვერ გეტყვი, ჩემო დათო, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის საუკუნის მეოთხედი ცოტა დრო არ არის ჭეშმარიტი სიყვარულის გამოსაცდელად.

— თუ ასეა, ბარაქალა მის ქალობას! — გულწრფელი აღტაცებით წამოვიძახე მე. — მაგრამ თქვენი საქციელი მაკვირვებს, ძია ლადო! ნუთუ ერთი უბრალო დალაპარაკების

და თბილი მოკითხვის ღირსი აღარ არის ადამიანი, რომელმაც თქვენი წრფელი სიყვარული განძივით შეინახა?.. თავისი ქალწულობისა და ახალგაზრდობის წლები თქვენს ლოდინში ჩამოაღამა? თავის სიტყვასა და ფიცს არ უღალატა?

ჩემს სიტყვებზე ბერბიჭა უხერხულად შეიშმუშნა და დამნაშავესავით დაბნეულად წაილუღლუღა:

— განა არ არის ღირსი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოხდა... ამდენი წლის შემდეგ... ერთგვარად მეუხერხულება, რომ... — აღარ დაამთავრა სათქმელი და ხელი ჩაიქნია. — ეჰ, მაინც ყველაფერი დაკარგულია! აზრი აღარა აქვს!..

მე მივხვდი, რომ ბერბიჭა საშინელ სულიერ დეპრესიას განიცდიდა და სრულ სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. ახლა მისთვის პირველ რიგში იმედისა და რწმენის დაბრუნება იყო საჭირო, რომ მის გულში ბალღამივით ჩაგუბებული ნაღველი ცოტათი მაინც გაქარვებულიყო. ამიტომ ვცდილობდი ჩვენი საუბარიც იქითკენ წარმემართა, რომ ყველაფერზე ამ ხელჩაქნეულ ადამიანს ცხოვრებისათვის უფრო სხვა თვალით შეეხედა, შემობრუნებულიყო მისკენ.

— რატომ არის დაკარგული, ძია ლადო!.. მთავარია ადამიანმა რწმენა და იმედი არ დაკარგოს, თორემ წლების დაგვიანება ეგ კიდევ არაფერია! — ვუთხარი მე. — თავიდან შეიძლება ყველაფრის დაწყება!..

—ეჰ, რაღა დროსია!

— რომ არ უყვარდეთ, ხომ გათხოვდებოდა? ხომ შექმნიდა თავის ოჯახს დღემდე?..

— ვინ იცის!..

— ნამდვილად ეგრეა, ძია ლადო! მხოლოდ დიდ სიყვარულს შეუძლია დიდი ლოდინი და ჭირთა თმენა.

— შეიძლება შენც მართალი იყო, ძმისწულო! — ცოტათი მოლბა ბერბიჭა.

— მითხარით, ძია ლადო, ვინ არის და მე თვითონ მოველაპარაკები, ავუხსნი...

— არა, არა! — ხელები გაასავსავა მან. — ეგ არ შეიძლება!

— ვითომ რატომ არ შეიძლება?

— იმიტომ, რომ ეს მისი და საერთოდ, ჩვენი სიყვარულის შეურაცხყოფა იქნება!

— მაშინ თქვენ თვითონ ნახეთ! — არ ვეშვებოდი მე.

— არც მე შემიძლია! ჯერჯერობით არ შემიძლია!

— სახელი მაინც მითხარი, რომ ვიცოდე.

— ვერ გეტყვი!.. მოვა დრო და იმასაც გაიგებ! — მტკიცე, შეუვალი ხმით გამომიცხადა ბერბიჭამ და ჭიქას მიწვდა. — რაც მოისმინე, ძმისწულო, ამ საღამოს ამით დავამთავროთ! ახლა პური ვჭამოთ!..

წინააღმდეგობა აღარც მე გამიწევია. ჩვენმა შინაურულმა საუბარმა და პურის ჭამამ გვიან ღამემდე გასტანა.

III

ბერბიჭას ნაამბობმა ფიქრები ამიშალა და იმ ღამეს კარგა ხანს ველარ დავიძინე. ათასნაირ გეგმებს ვაწყობდი. ჩემი ვარაუდით, ახლო მეზობლებს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ მისი ახალგაზრდობისდროინდელი ისტორია და იმ ქალის ვინაობა, ვისზედაც იგი დანიშვნას აპირებდა, ამიტომ ფარულად ამ ორი ბედგამწარებული ადამიანის შუამავლობა განვიზრახე. მაგრამ მეორე დღეს მომხდარმა ამბავმა ისეთნაირად დაატრიალა ბერბიჭას ცხოვრების ჩარხი, რომ ჩემი დახმარება უკვე ზედმეტი გახდა.

დილით გარეთ რომ გამოვედი, ბერბიჭა ეზოში ტრიალებ-

და, საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი სადღაც წასასვლელად ემზადებოდა.

— დათო, მე რაიონში მივდივარ და მალე დავბრუნდები! — დამიტოვა ამბავი და ჭიშკარი გაიხურა.

იმ დღეს, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, პირდაპირ სახლში წამოვედი. რაკი წინა საღამოს უძინარი ვიყავი, ცოტა ხანს თვალის მოსატყუებლად ლოგინზე წამოვწექი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიქნებოდი ასე, რომ რაღაც ხმაურს და ჩოჩქოლს არ გამოველვიძებინე. აივანზე გამოსულმა დავინახე, რომ შეშფოთებული ხალხი სოფლის ცენტრისაკენ გარბოდა. სასწრაფოდ ჩავირბინე კიბე და გზაზე გასულმა პირველი შემხვედრისაგან გავიგე, რომ ქვრივ მართას სახლს ცეცხლი გასჩენოდა და ყველა მის ჩასაქრობად მიეშურებოდა. მართალია, სახლის პატრონს არ ვიცნობდი, მაგრამ რა გული მომითმენდა, რომ გაჭირვებულ ადამიანს არ მივხმარებოდი.

ადგილზე მისულს შემაძრწუნებელი სურათი გადამეშალა თვალწინ: ფუტკარივით მისეული ხალხი ამაოდ ცდილობდა სახლის პირველ სართულზე გაჩენილი ხანძრის ჩაქრობას, რომელიც უფრო მეტად ძლიერდებოდა და მაღლა-მაღლა მიიწევდა. აგუგუნებული ცეცხლი თავის გავარვარებულ ხახაში ნთქავდა ყოველივეს და მასთან შეჭიდებულ ადამიანებს ზღაპრული ურჩხულივით ცეცხლოვანი ჭვარტლის გამონაბოლქვს სახეზე აფრქვევდა. ვერავინ ბედავდა ცეცხლთან ახლოს მისვლას. ყოველივე ცდა ამაო გამოდგა. ვერც წყლითა და ვერც სხვა საშუალებით ხანძარი ვერ ჩააქრეს. მაგრამ ყველაზე მეტად შემზარავი მაინც ის იყო, რომ სახლის მეორე სართულზე ხუთი წლის ბავშვი იყო დარჩენილი, რომელსაც ცეცხლში ცოცხლად დაწვა ემუქრებოდა. მაღაზიაში წასულ დედას იგი მარტო დაეტოვებინა და სანამ მოვიდოდა, ეს ამბავი დახვდა. თავზარდაცემულ და სახეშეშლილ ქვრივს

ძლივს აკავებდა სამი-ოთხი კაცი, რომ ცეცხლში არ ჩავარდ-ნილიყო, საცოდავი ქალი განწირული ხმით გაჰკიოდა:

— ვაიმე, შვილო, დავიღუპე! ვაიმე!..

— მიშველეთ, მეზობლებო, თქვენი ჭირიმეთ, მიშველეთ! გადამირჩინეთ ბავშვი! არადა თავს არც მე ვიცოცხლებ. მეც ჩემს შვილთან ერთად ცეცხლში ჩავიწვები!..

— დაწყნარდი, მართა, შე საცოდავო! დაწყნარდი! რამეს უშველიან, ნუ გეშინია! — ანუგეშებდნენ მეზობლები თმაგაწეწილ და თითქმის ტანსაცმელშემოგლეჯილ დედას, რომელიც გიჟივით ცეცხლისაკენ იწევდა. ყველა ხედავდა, რომ ბავშვის სიცოცხლეს გარდაუვალი საფრთხე ემუქრებოდა, გამოსავალი კი არსაიდან ჩანდა.

ყველაზე მეტად საქმეს ის ართულებდა, რომ მეორე სართულზე ასასვლელი ხის კიბე სახლს შიგნიდან ჰქონდა დაყოლებული, რომელსაც უკვე ცეცხლი მოსდებოდა და იქიდან ასვლა სახიფათო გამხდარიყო. მაღლა ოთახებში შეღწევა გარეთა ფანჯრებიდანაც დიდ დროს მოითხოვდა, რადგან ყველგან რკინის გისოსები ჰქონდა გაკეთებული და ფანჯრებიც იმდენად მაღლა იყო დაყენებული, რომ გადაუბმელი კიბით ადამიანი მათ ვერ მიწვდებოდა.

ბედად ბავშვი სიკვდილისაგან და სოფელი სირცხვილისაგან ისევ ბერბიჭას მოსვლამ იხსნა. ამ განამაწიაში რომ ვიყავით, უცებ მსუბუქი მანქანა მოგრიალდა, საიდანაც ბერბიჭა გადმოხტა და ხმამაღლა დაიყვირა:

— რა მოხდა, ხალხო, რა ამბავია?

— უბედურება, ლადო, უბედურება! სახლი ჯანდაბას, ბავშვი იღუპება! — თითქმის დაილმუვლა იქვე მდგომმა ხანში შესულმა მამაკაცმა.

— როგორ თუ ბავშვი! სად არის ბავშვი? — შეშფოთებით იკითხა ბერბიჭამ.

— მაღლა სართულზეა დარჩენილი. ვერაფერი მოვუხერხეთ...

— საიდან არის მაღლა ასასვლელი?

— მხოლოდ შიგნიდან დაყოლებული კიბით. მაგრამ იქ...

ბერბიჭამ მოსაუბრეს აღარ მოუსმინა და პირდაპირ სახლის შესასვლელისაკენ გაეშურა. წამით ცეცხლის სტიქიას თვალი გაუსწორა, თითქოს გარეთ საბრძოლველად იწვევსო, შემდეგ ვიღაცას წყლიანი ვედროები ხელიდან გამოსტაცა, ზევიდან გადაისხა და ერთი ნახტომით ცეცხლისა და შავი კვამლის ფარდის უკან გაუჩინარდა.

ორმოციოდე კაცმა მწარედ ამოიგმინა და ადგილზე გახევდა. ყველაფერი ეს ისე თვალის დახამხამებაში მოხდა, რომ ბერბიჭას შეჩერება ვერავინ მოასწრო. არავინ მოელოდა ასეთ თავგანწირვას. მისი თავზეხელაღებული სიმამაცითა და გამბედაობით გაოგნებული მეც ამ სუნთქვაშეკრულ ხალხს შორის ვიდექი და ხმა ვერ ამომელო. არ ვიცი, რამდენ ხანს დავყავი ამ მდგომარეობაში, მაგრამ ეს წუთები ჩემს ცხოვრებაში ალბათ ყველაზე მღელვარე, მტანჯველი, შიშისა და სასოწარკვეთის წუთები იყო.

სინანულითა და ბოღმით გაკლდეებული გული ყელში ბურთივით მქონდა მობჯენილი და ტირილს აღარაფერი მეკლდა. ვერაფრით შევეგუებოდი ასეთი ვაჟკაცის ასე ნაადრევად დაღუპვას, რადგან ამ ცეცხლის სტიქიიდან ცოცხლად გამოღწევა ქაჯივით უხორცო არსებასაც კი გაუჭირდებოდა, მაგრამ მოხდა სასწაული და რაღაც უფრო უარესისა და საშინელი ამბის მომლოდინე ხალხის თვალწინ, უცებ კარების ზღურბლს ბერბიჭას ცეცხლწაკიდებული სილუეტი გადმოევლო და მიწაზე გაგორდა, რომელსაც საკუთარ პიჯაკში შეფუთული, აწივლებული, ცალ ფეხზე ცეცხლწაკიდებული ბავშვი მიეხუტებინა. ხანძარს

ერთიანად შეეტრუსა ბერბიჭას ლომის ფაფარივით თმა და წვერ-ულვაში. ცეცხლი ტანსაცმელზე, ხელებზე და სახის ნახევარ გვერდზე მოსდებოდა და აუტანელი ტკივილების ქვეშ იკრუნჩხებოდა ეს რკინასავით უდრეკი ბუმბერაზი.

გარინდული ხალხი ერთბაშად გამოფხიზლდა. ზოგმა წყლით, ზოგმა საკუთარი ტანსაცმლით მოაქრო ცეცხლი ბავშვსა და ბერბიჭას სანახევროდ დამწვარ სხეულს. ჭკუიდან სანახევროდ შეშლილ საცოდავ ქვრივს არც კი სჯეროდა, შვილი ცოცხალი თუ გადაურჩა და გაგიჟებით ჰკოცნიდა და გულში იკრავდა თავის პირმშოს.

როცა გარს შემოჯარული ხალხის ნრე გავარღვიე და ბერბიჭას წინ მუხლებზე დავიჩოქე, გული უარესად დამეწვა. ახლოდან ნანახმა შემზარა. ნაფლეთებად დაკიდული ხორცებიდან, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა, ჭვარტლში შეზელილი სისხლი სწვეთავდა, ხოლო დამწვარი სახის ნახევარი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ვიღაცას ნაჯახით ჩამოუთლიაო. სადღა იყო მისი წყლიანი, სევდით დანისლული, ირმისფერი თვალების ელვარება, მათ ნაცვლად ახლა წამწამებშემომწვარი, შუშის ბურთულებივით უსიცოცხლო, მოთეთრო თვალის კაკლებიღა დარჩენილიყო. ის ტალღებად დაფენილი თმა-ქოჩორიც ცეცხლში დაეტოვებინა და რამდენიმე წუთის წინ მისი ლამაზად ჩამოქნილი თავ-კისერი ახლა შავად გატრუსული ურმის მორგვივით გამოიყურებოდა. ყოველივე ამის დამნახავმა ცრემლები ვეღარ შევიკავე და თითქმის ტირილით შევბღავლე ბერბიჭას:

— ღმერთო ჩემო! ეს რამოგსვლია, რა უბედურება დაგმართია, ძია ლადო?!.

მიწაზე დაწოლილმა, ტკივილებისაგან სახეშეშლილმა ბერბიჭამ ხელი მომითათუნა და გაღიმება სცადა.

— მე არა მიშავს, ძმისწულო! ბავშვი როგორ არის, ცოც-

ხალია?.. ხომ არაფერი დაუშავდა, სად არის? ვერაფერს ვხედავ! — ამოიკვნესა მან და დამწვარი ხელები მიწაზე აქეთ-იქით მიუს-მოუსვა.

ამის დანახვაზე გული ჩამეთუთქა. არ მეგონა, თუ მხედველობაც დაკარგული ჰქონდა. ბრმა და უსინათლო ბერბიჭა ვერ ნარმომედგინა. ალბათ ვერც სხვებს წარმოედგინათ, რადგან როცა მაღლა ავიხედე, გარს შემოკრებილი ადამიანების ცრემლიან თვალებში მისდამი უსაზღვრო სიბრალული და მწარე სინანული ამოვიკითხე. მაგრამ თუ მამაკაცები ერთგვარად თავს იკავებდნენ, სამაგიეროდ მათ ზურგს უკან მდგარი მანდილოსნები მუხლებზე ხელების ცემით, ჩუმი, დაგუდული ხმით ქვითინებდნენ და ცრემლებს მოსახვევის ბოლოებით იწმენდნენ.

მინდოდა რამე გასამხნევებელი მეთქვა ბერბიჭასათვის, გული გამემაგრებინა, მაგრამ კრიჭა ისე მქონდა შეკრული, რომ პასუხი მხოლოდ მის მიერ დასმულ კითხვაზეღა მოვახერხე.

— ბავშვი კარგად არის, ძია ლადო! ფეხზე მცირე დამწვრობა აქვს მიღებული მხოლოდ.

— მადლობა ღმერთს! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ბერბიჭამ და წამოდგომა სცადა. მაგრამ მწარე ტკივილებმა სახე დაუმანჭა და ყრუ გმინვა აღმოხდა. ვილაცა მომეხმარა და იგი ისევ მიწაზე დავაწვინეთ.

— შენი ფეხზე ადგომა არ შეიძლება, უარესი დაგემართება! — ურჩია ჩემმა დამხმარე მამაკაცმა ბერბიჭას.

— მოიყვანეთ მანქანა! რაღას ელოდებით! — დაიძახა ვილაცამ. — ადამიანი ტკივილებისაგან ლამის ხელში შემოგვაკვდეს და საავადმყოფოში წაყვანისა და დახმარების ნაცვლად ვდგავართ და მის ტანჯვას ვუცქერით!

ბერბიჭა, როგორც იყო, დიდი გაჭირვებით მანქანის უკა-

ნა სკამზე მივასვენეთ, რადგან დაწოლილი, სულ ერთია, სალონში მაინც ვერ გაიმართებოდა. ცალ მხარეს მისი ბიძაშვილი ბიჭი დაჯდა, მეორე მხარეს მე მივუჯექი, მძღოლის გვერდზე აცრემლებული მართა მოთავსდა ბავშვიანად და გულდამძიმებულმა დავტოვეთ კვამლში გახვეული ქვრივის სახლი და ეზო-კარმიდამო.

IV

მთელი რაიონული საავადმყოფო ფეხზე დადგა, რომ ბერბიჭასათვის რაიმე ეშველა. დიდი და პატარა, ექიმებიდან დაწყებული უმცროს მომსახურე პერსონალამდე, თავზე დასტრიალებდა აგონიაში ჩავარდნილ ავადმყოფს. გამოცდილმა სპეციალისტებმა ყველა საშუალება იხმარეს, რათა მისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინათ. ბერბიჭამ მართლაც მოიხედა და შვება იგრძნო, მაგრამ საჭირო იყო დაუყოვნებლივ თვალებზეც სერიოზული მკურნალობა ჩატარებულიყო. თვალის ექიმი კი იმჟამად რაიონულ საავადმყოფოში არ იმყოფებოდა. დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. თბილისიდან უნდა ჩამოგვეყვანა სპეციალისტი. რაკი დედაჩემის ახლო ბიძაშვილი პროფესორად მუშაობდა თვალის სნეულებათა რესპუბლიკურ კლინიკაში, თბილისში წასვლა და მისი ჩამოყვანა ისევ მე ვითავე. ბერბიჭასთან მისი ბიძაშვილი ბიჭი დარჩა.

პროფესორი იმავე საღამოს ამოვიყვანე თიანეთში. მან დიდი მონდომებით გასინჯა ავადმყოფი და სანუგეშო მაინცდამაინც ვერაფერი გვითხრა. მისი თქმით, მარცხენა თვალიდან, რომელი მხრიდანაც სახე ჰქონდა დამწვარი, ავადმყოფს სინათლე მთლიანად ჰქონდა დაკარგული. ხოლო მეორე თვალიდან, თუ მკურნალობა კარგად ჩაივლიდა, მხედ-

ველობის დაბრუნება შეიძლებოდა. თუმცა რაიმეს გადაწყვეტილად თქმა წინასწარ მაინც ძნელიაო, — გვითხრა ბოლოს პროფესორმა.

— ბატონო პროფესორო, მკურნალობას დიდი დრო დასჭირდება? — იკითხა ბერბიჭას ბიძაშვილმა.

— ორ კვირაში სავარაუდო შედეგი გვეცოდინება. რა თქმა უნდა, უკეთესი იყო ავადმყოფი ჩვენს კლინიკაში მოთავსებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ამჟამად შეუძლებელია. რაკი დათომ მთხოვა, შევეცდები პერიოდულად აქ ჩემი სპეციალისტები გამოვაგზავნო, რათა მკურნალობა უშუალოდ მათი მეთვალყურეობისა და მითითებების მიხედვით წარიმართოს. კვირის ბოლომდე მე თვითონაც ჩამოვალ. ასე რომ, იმედს ნუ გადაიწყვეტთ! ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება! — გაგვამხნევა პროფესორმა. შემდეგ ავადმყოფს დანიშნულება გამოუწერა, მთავარ ექიმს საჭირო მითითებები მისცა და დაგვემშვიდობა.

ის ღამე ბერბიჭას სასთუმალთან გავატარეთ. გათენებამდე შფოთავდა ავადმყოფი. მისი გაწამებული სხეული მთელი ღამე ერკინებოდა ჯოჯოხეთურ ტკივილებს. მხოლოდ განთიადისასღა დამშვიდდა და ღრმა ძილით ჩაიძინა.

მეორე დილით ბერბიჭას სანახავად იმდენი ნათესავები, ახლობლები და მეზობლები მოვიდნენ, რომ პალატაში აღარ ეტეოდნენ. მე იქ დარჩენა საჭიროდ აღარ ჩავთვალე და სოფელში დავბრუნდი.

V

მესამე დღეს, გაკვეთილების შემდეგ, გადავწყვიტე თიანეთში წავსულიყავი ბერბიჭას სანახავად. მართალია, მის

ამბავს ყოველდღე ვგებულობდი, მაგრამ გული აღარ მითმენდა, რომ პირადად არ მენახა.

სკოლიდან დაბრუნებულმა სასწრაფოდ ვისადილე და ის იყო სახლიდან გასვლას ვაპირებდი, რომ ვიღაცამ დამიძახა. გარეთ რომ გამოვედი, გავოცდი: დაბლა, ეზოში ალექსი იდგა და თავისი მომხიბვლელი ღიმილით მიცინოდა. სიხარულისაგან ვერც კი გავიგე, კიბე როგორ ჩავირბინე და ალექსის გადავეხვიე.

— ფიქრობდი ვერ მოგაგნებდი, არა? ქარის ციხეებს რომ აშენებდი და ჩამოსვლას მპირდებოდი, გეგონა შეგარჩენდი, შე ქოსატყუილავ, შენა, ჰა? — სიცილით მითხრა ალექსიმ და თან სიყვარულით გულზე მიმიხუტა.

— მაპატიე, ალექსი, ვერ მოვახერხე! ათასი საქმე გამომიჩნდა. თან ეს უბედურება დატრიალდა. გაიგებდი ალბათ.

— გავიგე! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ალექსიმ და სახეზე ღიმილი შეეყინა. — ახლა როგორ არის?

— როგორც ამბავი მოიტანეს, ცოტა უკეთ, მაგრამ ძალზე მძიმე მდგომარეობაშია. დღეს ვაპირებდი ნახვას.

— ან ცოცხალი როგორ გადარჩა. მთელი რაიონი მის საარაკო თავგანწირვაზე ლაპარაკობს.

— მართლაც დაუჯერებელი სასწაული მოახდინა! ალბათ ბევრი მშობელი მამაც კი ვერ გაბედავდა იმას, რაც მან სხვისი ობოლი ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად გააკეთა. ასეთ რამეს ზღაპრებში თუ წაიკითხავს კაცი.

— თვალებიც დამწვარი აქვს, ვერაფერს ხედავსო, მართალია? — შემეკითხა ალექსი.

— სამწუხაროდ მხედველობა წართმეული აქვს. თუმცა ჩემმა ნათესავმა პროფესორმა, რომელიც თბილისიდან ამოვიყვანე, დაგვაიმედა, რომ, თუ მკურნალობამ კარგად ჩაიარა, შეიძლება ერთი თვალიდან მხედველობა დაუბრუნდესო.

— მართლაც მძიმე მდგომარეობაში ყოფილა ჩავარდნილი საწყალი!

— არ ვიცი ძმაო, ამ კაცის გაჩენაში, როგორც იტყვიან, ღმერთი არ ყოფილა. იგი სულიერი და ფიზიკური წამებისთვის არის თითქოს დაბადებული, რათა ეს წუთისოფელი ტანჯვით გაატაროს. დამწვარ წყლულებს იმდენად არ ჩივის, რამდენადაც თავის უსინათლობას განიცდის. თუ არაფერი მეშველა, თავს არ ვიცოცხლებო, ამბობს.

— უსინათლობა მართლაც ყველაზე დიდი ტრაგედიაა. ასეთ ყოფნას სიკვდილი ურჩევნია ადამიანს.

— შენ მართალი ხარ, ალექსი, მაგრამ ისეთი ვაჟკაცი, როგორიც ბერბიჭაა, სიკვდილისათვის გასამეტებელი არ არის. ასეთები დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა ცოცხლობდნენ ჩვენი კაცური ღირსებების და მაღალი ზნეობის მაგალითად, ქართული გენისა და ჯილაგის გადასარჩენად.

ჩვენი ასეთი საუბარი ალბათ დიდხანს გასტანდა, ალექსის სახლში შეპატიჟება რომ არ გამხსენებოდა.

— მაპატიე ალექსი, ამდენი ხანი აქ რომ გაგაჩერე! სახლში ავიდეთ, იქ ვისაუბროთ! — მოვუბოდიშე მეგობარს და მაღლა ავიყვანე. აივანზე დავსხედით.

— ხომ მშვიდობაა თქვენთან? როგორ არის დედაშენი ან სალომე? — ვკითხე ალექსის. მან პასუხი კარგა ხანს დააყოვნა. თითქოს კითხვა ვერ გაიგონაო. შემდეგ თვალები მომარიდა და როგორღაც გამოცვლილი ხმით ჩაილაპარაკა:

— უცხო არაფერია. კარგად ვართ, ოღონდ სალომე... - სიტყვა აღარ დაამთავრა.

გულისცემა თითქმის გამიჩერდა და რაღაც ავი წინათგრძნობით შეშფოთებულმა შიშით ძლივს ვიკითხე:

— რაა სალომე? დაემართა რამე?..

— სახლიდან წავიდა! — მცირე ხნის დუმილის შემდეგ ძლივს ამოღერღა ეს ორი სიტყვა ალექსიმ.

მეტი მოულოდნელობისაგან ფეხზე წამოვვარდი და უთავბოლო კითხვები სულმოუთქმელად მივაყარე ალექსის:

— როგორ თუ წავიდა?.. სად წავიდა?.. ვისთან წავიდა?.. ალბათ ხუმრობ და ჩემი გამასხარავება გინდა!..

— სრულ სიმართლეს გეუბნები! ამ დილას მოხდა ეს ამბავი! — სერიოზული კილოთი დაუმატა ალექსიმ.

საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი, ვერაფრით ვირწმუნე სალომეს სახლიდან წასვლა. ანკი რა მიზეზით უნდა დაეტოვებინა ოჯახი? რამ აიძულა, სხვაგან წასულიყო? მე ხომ კარგად ვიცოდი ამ ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება და სიყვარული, მათი ტკბილი დაძმობა და დედაშვილობა ალბათ ბევრს შეშურდებოდა. ასე რომ, ვიღაცის წყენის ნიადაგზე სალომე სახლიდან არ წავიდოდა.

მეორე სავარაუდო მიზეზი მისი ვიღაც მამაკაცთან ჩუმად გაპარვა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს აზრიც მეტად მკრეხელურად მეჩვენა და იმავე წუთს უარვყავი, რადგან სალომეს რაში სჭირდებოდა სახლიდან ვიღაცასთან ჩუმად წასვლა, როცა თავისი ნებით, ვინც უნდოდა, იმას შეეძლო გაჰყოლოდა. მითუმეტეს, რომ ოჯახის წევრები და ახლობელ-ნათესავები გათხოვებაზე ძალასაც კი ატანდნენ. გარდა ამისა, ვინც სალომეს ხასიათსა და ბუნებას კარგად იცნობდა, მის პატიოსნებაში ერთი წუთითაც კი არავის შეეპარებოდა ეჭვი.

— სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო? — ვეკითხებოდი ჩემს თავს. — არაფერი! — ვასკვნიდი გულში და აღელვებული აივანზე ბოლთას ვცემდი.

შემდეგ ალექსისაკენ შემოვბრუნდი და დაეჭვებულმა ვკითხე:

— შენ ფიქრობ, რომ სალომე ოჯახიდან სულ წავიდა?

— კი არ ვფიქრობ, დანამდვილებით ვიცი!

— მერე თუ იცი რატომ წავიდა და სად წავიდა, რას გაჩუმებულხარ, შე კაი კაცო! წასვლას თავისი მიზეზი ხომ ექნებოდა?

ალექსიმ პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიყო, იქიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, გამომიწოდა და მითხრა:

— მიზეზს ამ წერილიდან გაიგებ!

აღელვებულმა გავხსენი წერილი და შიგ შემდეგი რამ წავიკითხე:

ძმაო ალექსი!

ამ წერილს შენა გწერ, რადგან ვიცი, სწორად გამიგებ და ჩემს საქციელსაც სამართლიანად განსჯი. შენთვის შეიძლება ძალზე საწყენი და მოულოდნელი იყოს ჩემი სახლიდან წასვლა, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა მე არ შემიძლია. მივდივარ თქვენიდან იმიტომ კი არა, რომ ვილაცამ რამე მაწყენინა ან რაიმეთი უკმაყოფილო ვიყო. არც ის იფიქრო, თითქოს საერთო საქმეს თავი გავარიდე და პირადი ოჯახის მოწყობაზე ვოცნებობდე. ასე რომ ყოფილიყო, ამდენი წლის მანძილზე ჩემს ბედნიერებას წინ არაფერი ედგა და აქამდე საკუთარ ოჯახსაც შევქმნიდი, მაგრამ რა მიზეზითაც ეს არ გავაკეთე, ამავე მიზეზით მივდივარ სახლიდან იმ ადამიანთან, ვის სიყვარულსაც ამდენ ხანს გულში ვატარებდი, ვისაც ღვთის წინაშე ერთგულების ფიცი მივეცი. შენ ალბათ ხვდები და იცი, ვისზედაც მაქვს ლაპარაკი. მაგრამ იგივე ღვთის ნება იყო თუ ბედის დაცინვა, მოხდა ისე, რომ ჩვენი შეუღლება არ მოხერხდა უბრალო მიზეზის გამო, რომელიც მხოლოდ მე და იმან ვიცით.

ამდენი ხანი მეგონა, რომ იგი ოჯახს მოეკიდებოდა, მაგრამ არც იმან უღალატა თავის ფიცსა და ჩვენს სიყვარულს ჩრდილი არ მიაყენა. ხოლო ახლა, როცა ხეიბარი და უსინათლო დარჩა, როცა მას ყოველ წუთს თავზე დგომა და პატრონობა სჭირდება, ვინ უნდა მოუაროს და მიხედოს ასეთ ავადმყოფს, თუ არა ახლობელმა ადამიანმა? ასეთი კი მას აღარავინ დარჩა, გარდა ერთი დისა, რომელიც კახეთშია გათხოვილი და იქიდან აქ ვერაფერს უშველის. მართალია, ნათესავებმაც შეიძლება ცოტა ხანი მიაქციონ ყურადღება, მაგრამ ყველას თავისი ოჯახი და საქმე აქვს მისახედი. ამასთან, მე მისი ამაყი ხასიათისა და თავმოყვარეობის ამბავი რომ ვიცი, თუ მხედველობა სამუდამოდ დაკარგა, თავს არ იცოცხლებს და მის სიკვდილში მეც მექნება წილი, რადგან ჯერ კიდევ შემიძლია მისი სიცოცხლის გადარჩენა. ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს, ძმაო ალექსი, აუცილებლად სჭირდება თანადგომა. ამიტომ ჩემს ზნეობრივ და ადამიანურ მოვალეობად ვთვლი, დავბრუნდე მასთან სამუდამოდ და გვერდში ამოვუდგე. ამაზე ბევრი ვიფიქრე, თუ რა ნაბიჯი გადამედგა და საბოლოოდ ასეთ გადაწყვეტილებამდე მივედი, რისთვისაც, გთხოვ, ნუ გამკიცხავ. სხვა შემთხვევაში ამას არც გავაკეთებდი, თავის დამცირებადაც ჩავთვლიდი, ახლა კი სხვაგვარად არ ძალმიძს, რადგან სიკვდილის პირზე მისული ადამიანისათვის ზურგის შებრუნება დანაშაულად მიმაჩნია. თვითონ იმანაც ხომ სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად გაიმეტა თავი...

მაპატიე, რომ ჩემი სათქმელი ისე ვერ გითხარი, როგორც მინდოდა, მაგრამ მთავარი მაინც ხომ გაგაგებინე.

სხვაგან ძებნა არ დამიწყოთ. აქედან პირდაპირ საავადმყოფოში მივდივარ.

საყვარელო ძამიკო, ყოველივე სიკეთესა და ბედნიერებას გისურვებ! გკოცნი ბევრს და გთხოვ პატიებას ყველაფრისათვის!

სიყვარულით შენი და სალომე

სალომეს წერილმა მთელი არსებით შემძრა და ისე ამაფორიაქა, რომ მას წაკითხვის შემდეგაც დიდხანს უაზროდ ვატრიალებდი ხელში. ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო იმ საიდუმლოს გამჟღავნება, რასაც ბერბიჭა ასე საგულდაგულოდ მიმალავდა. მაინც როგორ ვერ მივხვდი თავიდანვე, რომ მისი გულის რჩეული სწორედ სალომე იქნებოდა, რომ მხოლოდ სალომესნაირ ქალს შეეძლო შეენახა ამდენი ხანი თავისი ნამუსი, პატიოსნება და სიყვარულისთვის პირადი კეთილდღეობა მსხვერპლად შეეწირა.

მართალია, მის პიროვნებას აქამდისაც ვაფასებდი და პატივს ვცემდი, მაგრამ, თუ მის გულს ამხელა სიყვარულის დატევა, მისთვის ამდენი თავდადება შეეძლო, ვერ წარმომედგინა.

სალომეს კეთილშობილური ქცევით, როგორც ჩანს, იმდენად აღტაცებული და შესამჩნევად აღელვებული ვიყავი, რომ ალექსიმ ველარ მოითმინა და მკითხა:

— გეტყობა წერილმა ძალიან აგაღელვა, რა აზრისა ხარ სალომეს საქციელზე?

— ვფიქრობ, ასეთ ჭეშმარიტად დიდ სიყვარულს სხვაგვარი დასასრული არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ მაინც გაოცებული ვარ სალომეს სულიერი სიმტკიცით და დიდსულოვნებით. მის ადგილზე ყველა კეთილსინდისიერი ადამიანი ასე მოიქცეოდა!..

— შენ მართალი ხარ, სალომეს სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო! — დამიდასტურა ალექსიმ.

— შენ არ წამოხვალ საავადმყოფოში? — მცირე ფიქრის შემდეგ შეეკითხე მეგობარს.

— წამოვალ, ახლა ისედაც ვალდებული ვარ, რომ წამოვიდე! — თქვა ალექსიმ და წამოდგა.

— მოიცადე, ჯერ საჭმელი შევჭამოთ!

— არა, ამის დრო არ არის! დღეს საღამოს სახლში დაბრუნება უნდა მოვასწრო.

ძალა აღარც მე დავატანე.

ერთი საათის შემდეგ მე და ალექსი თიანეთის საავადმყოფოში ვიყავით.

VI.

ბერბიჭა თვეზე მეტხანს იწვა საავადმყოფოში. მისმა ძლიერმა და ჯანმრთელმა ორგანიზმმა ადვილად მოიშუშა ჭრილობები. ექიმების თავდაუზოგავმა მეცადინეობამ და სალომეს თავზე დგომამ იგი მალე დააყენა ფეხზე და ისევ დაუბრუნა ცხოვრების ხალისი. ხანძარს თავისი კვალი მისთვის ყველაზე მეტად ხელებზე და სახის მარცხენა ნახევარზე დაეტოვებინა. ცეცხლისგან დაკრუნჩხული სახის კანი და დაშრეტილი თვალის ფოსო მის ერთ დროს ლამაზ, სანდომიან სახეს ახლა ზედმეტად მკაცრ იერს აძლევდა, მაგრამ ბერბიჭა მაინც ბედნიერად თვლიდა თავს, რადგან ორი რამ უკან დაიბრუნა, რასაც თითქმის დაკარგულად თვლიდა: თვალის ჩინი მარჯვენა თვალიდან და გულის ჩინი — მისი სანატრელი სალომე, რომელმაც წლისთავზე მას ვაჟიშვილიც აჩუქა.

ღვთისა და ბედის კმაყოფილი ბერბიჭა მეორე ზაფხულს თავისი ოჯახით ლაშარსაც ეწვია სალოცავად, სადაც მეც თან ვახლდი. არ დამავიწყდება იქ გატარებული საღამო, რომელიც საოცრად ჰგავდა ლაშარობის იმ პირველ ღამეს,

რომელიც ბერბიჭამ თავისი სასიყვარულო თავგადასავლის მოყოლის დროს ასე შთამბეჭდავად ამიწერა.

ისე, როგორც ამ ოცდახუთი წლის წინ, ეს საღამოც სიყვარულისა და ალერსისაკენ იზიდავდა ადამიანს. ახლაც მკრთალი შუქით განათებული და კოცონების ვერცხლისფერ კვამლში გახვეული ლაშარის გორი გარინდული უსმენდა მის კალთებზე და ფერხთით დაბანაკებულ მლოცველთა მხიარულ ყიჟინას და დოლ-გარმონის ყურისწამღებ ბაგიბუგს, რომელიც თითქოს მთელ ხეობასა და გარს შემოჯარულ მთებს აზანზარებდა.

საოცრად ლამაზი იყო პირბადრი მთვარეც, რომელიც გაღიმებული ქალწულივით გადმომდგარიყო ლაშარის გორის თავზე და თავისი ვერცხლისფერი თმები დედამიწაზე ჩანჩქერებად გადმოეშვა. მეჩვენებოდა, რომ იგი აქ ბერბიჭას დაგვიანებული ბედნიერებისა და სიხარულის მოსალოცად მობრძანებულიყო და უკან ბრუნდებოდა. ამ გრძნობით მონუსხული დიდხანს შევყურებდი გაცრიატებულ ცის კაბადონზე უზარმაზარ ოქროს ფოლაქივით მიბნეულ მნათობს და ჩუმად ვჩურჩულებდი:

— ლაშარის მთვარე!.. ლაშარის მთვარე!.. ბერბიჭასა და სალომეს პირველი სიყვარულისა და ამბორის ერთადერთი მოწმე!..

ვიმეორებდი ამ სიტყვებს ჩემთვის და ვხარობდი, რადგან ერთ დროს ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ბერბიჭას ოჯახში ახალი სიცოცხლის აკვანი კვლავ ირწეოდა.

ეუძღვნი მამის ნათელ ხსოვნას

ნაბდის ქუდი

„ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ ნარუძღვეს ქემმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განათლებული“

ილია

I

ახალი გათენებული იყო. პროფესორი გიორგი ხატიაშვილი თავისი სახლის აივანზე გადმომდგარიყო და მონუსხულივით გასცქეროდა კავკასიონის ფერხთით ჯადოსნურ ხალიჩასავით გადაფენილ უზარმაზარ ველს, რომელსაც ფიფქივით თეთრი ნისლი გასნოლოდა. აყვავებული ბაღვენახები, ცხვრის ფარებივით მიმოფანტული სოფლები და მწვანე ზოლებად გადაჭიმული ხოდაბუნები ზღაპრულ სილამაზეს ქმნიდა, რომლის ხილვაც უდიდეს სიამოვნებასა და აღტაცებას ინვევდა მნახველში. ცამდის აზიდული, მხრებგაბმული, გოლიათი მთები მკრთალ სილურჯეში გარინდულიყვნენ და პირქუში დუმილით დასცქერდნენ ქვეყანას. დაღისტნის ქედებიდან გადმომდგარი განთიადი რძისფერი სინათლით ავსებდა იისფერ ხეობებს. სულ მაღლა, ღრუბლებში თავშერგული თოვლიანი მწვერვალები ცეცხლში გახვეული პირამიდებივით აელვარებულიყვნენ. აღმოსავლეთის მხარეს კი ამომავალ მნათობს მთებზე გაწოლილი ღრუბლები თეთრი არშიით მოევარაყებინა და გა-

ცისკროვნებული ჰორიზონტი დამაბრმავებელი შუქით გაენათებინა.

პროფესორმა ძლივს მოწყვიტა მზერა ამ მომხიბლავ პეიზაჟს, გვერდზე შეტრიალდა და მძიმე ნაბიჯებით კიბის საფეხურებს დაუყვა, აუჩქარებლად გადაჭრა ეზო, ცაცხვების ხეივანში დადგმულ სკამზე ჩამოჯდა და ფიქრებში ჩაეფლო. საფიქრალი კი ბევრი რამ ჰქონდა. ამ სახლთან და აქაურობასთან მთელი არსებით და სიცოცხლით იყო დაკავშირებული. ამ სახლში დაიბადა, ამ ეზო-კარში გაატარა თავისი ბავშვობა. ამიტომ ეძნელებოდა აქაურობის მიტოვება. გულს უმძიმებდა იმის გაფიქრება, რომ ამხელა ბინაში ახლა აღარავინ ცხოვრობდა. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც მამა-პაპის ნაფუძარზე კერა არ გააცივა, დედამისი იყო, მაგრამ ამ ერთი წლის წინათ ისიც მიწას მიაბარა და იყო ახლა ეს უხმაურო, დაცარიელებული ეზო და ბოქლომდადებული სახლი უპატრონოდ. მხოლოდ ზაფხულობით, ერთი-ორი თვე თუ ახმაურდებოდა აქაურობა, როცა იგი ცოლ-შვილითა და შვილიშვილებით სოფელში დასასვენებლად ჩამოვიდოდა ხოლმე.

პროფესორი ფიქრებიდან ჭიშკრის ხმაურმა გამოარკვია. ეზოში მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი შემოვიდა და, რაკი პროფესორი სკამზე ჩამომჯდარი დაინახა, პირდაპირ მისკენ გამოსწია.

— დილა მშვიდობისა, ბატონო გიორგი! — მიესალმა მოსული.

— გაგიმარჯოს, ჩემო დათო!... მიმდივართ უკვე?

— წავიდეთ, თუ თქვენ მზადა ხართ.

— ძალიან კარგი! — თქვა პროფესორმა და სკამიდან წამოდგა.

დათო მისი შვილის თანატოლი იყო, მისი მეზობელი.

თბილისშიც ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ და, რაკი ბიჭები ბავშვობიდანვე ერთად იზრდებოდნენ, პროფესორს იგი საკუთარი შვილივით უყვარდა, შინაურად თვლიდა და, როცა თავისი მანქანით ვერ უხერხდებოდა სოფელში წამოსვლა, დათოს მოჰყვებოდა ხოლმე. გუშინაც ერთად ჩამოვიდნენ.

პროფესორმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი თავის კარმიდამოს და ჭიშკარი გაიხურა. აღარც დათო შებრუნებულა სახლში. ჩასხდნენ მანქანაში და ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ორლობეებიდან მთავარ გზატკეცილზე გამოვიდნენ.

მანქანამ თითქოს თავისუფლად ამოისუნთქაო, მსუბუქად გასრიალდა სწორ გზაზე და სვლას უმატა. საზურგეს მიყრდნობილი პროფესორი სიყვარულით ათვალიერებდა მშობლიური სოფლის ნაცნობ ქუჩებს. წარსულის რამდენი ტკბილი მოგონება იყო დაკავშირებული მის ბავშვობასთან, თითოეულ ხესთან თუ ბუჩქთან. გზის აქეთ-იქით ლამაზად გამწკრივებულ ამ აივნიან სახლებთან, სადაც იგი ორმოცდაათიოდე წლის წინათ თავის ტოლ ბიჭებთან ცხენის ჯოხზე გადამჯდარი დაჯირითობდა. თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი.

მაინც რა სწრაფად გაირბინა დრომ, შეუმჩნევლად. უკან მიხედვაც ვერ მოასწრო, ისე დავაჟკაცდა. შემდეგ სასწავლებლად წასვლა. მოსკოვი, ასპირანტურა, რამდენიმე წელი რესპუბლიკის გარეთ მუშაობა, მაგრამ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ამ პატარა სოფლის სიყვარული ანდამატივით თავისკენ ეწეოდა. საოცარ სითბოსა და სიამეს ჰგვრიდა მისი ხილვა. ახლაც ჩინებულ გუნებაზე დადგა. მძიმე ფიქრები თითქმის გადაეყარა გულიდან.

უცებ მოსახვევთან, ოციოდე ნაბიჯზე, პატარა ბიჭი გამოვარდა კისრისტეხით, რომელსაც მუქარითა და მუშტების ქნევით თავისი თანატოლი ბიჭუნა მოსდევდა. წინ გაქ-

ცეულმა, რაკი დაინახა „მდევარი“ ეწეოდა, რაღაც შავი საგანი გზაზე მოისროლა და ქუჩის მეორე მხარეს გავარდა. გაბრაზებული ბიჭი აღარ გამოეკიდა გაქცეულს და პირდაპირ იმ შავი საგნისკენ გაექანა ისე, რომ მანქანისკენ არც გაუხედავს.

— ფრთხილად!.. ბავშვი! — ხმამაღლა დაიყვირა პროფესორმა და ინსტიქტურად ხელი საჭისკენ წაუვიდა. დათომ როგორღაც იმარჯვა, სწრაფად დააჭირა მუხრუჭს ფეხი და გაქანებული მანქანა თითქმის შუა გზაზე გაჩერებული ბავშვის ფეხებთან გააქვავა.

პროფესორმა შვებით ამოისუნთქა. ხოლო შიშისა და ბრაზისაგან მთლად გაფითრებული დათო გამწარებული გადახტა მანქანიდან, სწვდა საყელოში გაოგნებულ ბავშვს, თავისკენ შემოაბრუნა და უყვირა:

— რაზე მღუპავ, შე ლანირაკო!.. მანქანას რომ ქვეშ უვარდები, თვალები არა გაქვს?!.

— დათო, მოეშვი! თავი დაანებე! — გამოაფხიზლა პროფესორის ფოლადგარეულმა ხმამ.

— მოდი, ბიჭიკო, ჩემთან! ახლოს მოდი! — დაყვავებით უთხრა პროფესორმა შეშინებულ ბავშვს და მანქანის კარები გამოაღო.

ბავშვი ჯერ უნდობლად და შიშით უყურებდა მანქანაში მჯდომ „ძიას“, ხან კი საეჭვო მზერას ისევ დათოსკენ გააპარებდა, რომელიც სიბრაზისაგან ალანძულ და გაოფლილ სახეს ცხვირსახოცით იმშრალებდა. ბიჭმა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ველარც გაქცევა გაებედა. ხელთ მტვერში ამოგანგლული ნაბდის ქუდი ეჭირა და მილურსმულივით ერთ ადგილზე გახევებულიყო.

— რა გქვია, ბიჭიკო? — ტკბილი, წყნარი ხმით შეეკითხა ბავშვს პროფესორი.

— გია — და ცოტა ხნის შემდეგ თითქოს შეცდომა გამოასწორაო, გაჭირვებით ამოღერღა — გიორგი!

— სეხნიები ვყოფილვართ.

ბავშვმა არაფერი უპასუხა.

— სკოლაში თუ დადიხარ?

— კი.

— რომელ კლასში?

— მესამეში.

— მერე იცი, რომ გზატკეცილზე სირბილი არ შეიძლება?

— სულ ყველაფერი, აი, იმისი ბრალია! — ხელი გაიშვირა ბავშვმა ქუჩის მეორე მხარეს, სადაც შიშისაგან დამფრთხალი და მიტკალივით გაფითრებული ბიჭი იდგა.

— რა უნდა მაგ ბიჭს შენგან?

— რა ვიცი, ჯერ ვთამაშობდით, მერე ქუდი მომხადა, ახლა ამას ვინღა იხურავსო და გადამიგდო.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! — ჩაფიქრდა ერთი წუთით პროფესორი. — ჰო, კარგი, წადი ახლა, შვილო, მაგრამ დაიხსომე: მარტო ქუდს კი არა, პირველ რიგში სიცოცხლეს უნდა გაფრთხილება — დარიგებით უთხრა მის წინ თავჩაქინდრულ ბავშვს და მანქანის კარები მიიხურა.

დათომ ნელა დაძრა მანქანა. მომხდარმა შემთხვევამ ორივე ცუდ გუნებაზე დააყენა.

— კინაღამ უბედურება მოხდა. ბენზზე გადავრჩით! — თავის ქნევით ჩაილაპარაკა პროფესორმა.

— მერედა რისი გულისათვის, ბატონო გიორგი, რაღაცა გახეხილი ნაბდის ქუდისათვის კინაღამ მანქანის ქვეშ შემივარდა ის ცინგლიანი!

— მაინც რა უცნაურად შეტრიალდა დრო, — მცირე ხნის დუმილის შემდეგ გააგრძელა საუბარი პროფესორმა. — ძველ დროში უქუდოდ სიარული დიდ სირცხვილად ითვლე-

ბოდა. ახლა პირიქით, ქუდის ტარება, ბავშვებსა და ახალგაზრდებს კი არა მარტო, ასაკოვან ადამიანებსაც ეთაკილებათ.

— სწორეს ბრძანებთ! — კვერი დაუკრა დათომ.

ორივენი გაჩუმდნენ. მალე უკან დარჩა სოფლის ველმინდვრები და ბალ-ვენახები. თვალს მიეფარა ალაზნის ველის იისფერ სილურჯეში ჩამუქებული სანახები და გიგანტურ ხოჭოსავით შავად მოლაპლაპე „ვოლგა“ შუამთის უღრანი ტყეების სიღრმეში შესრიალდა.

— და მაინც, ყველა კაცს თავისი სინდის-ნამუსის ქუდი ახურავს!.. — თითქოს ვიღაცას ეკამათებაო, ხმამაღლა გამოუვიდა ნაფიქრალი პროფესორს. საკუთარმა ხმამ შეაკრთო და დათოს როგორღაც დაბნეულად შეხედა.

— რა ბრძანეთ, ბატონო გიორგი? მე მითხარით რამე? — შებედა დათომ.

— რაა?.. ჰო!.. არაფერი... არაფერი! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა პროფესორმა და სახე ცივ გომბორიდან მონაბერ გრილ ნიავს მიუშვირა. წელანდელმა შემთხვევამ იგი ერთი წუთით თავის ბავშვობაში გადაახედა და ამ ორმოცდახუთ წელზე მეტი ხნის ამბავი ისე ცხოვლად და ნათლად წარმოუდგა მეხსიერებაში, თითქოს გუშინ მომხდარიყოს.

II

კარგად ახსოვს. შაბათი დღე იყო. პაპა მახარე ცხენის ურემს ამზადებდა ჭურჭლის ჩასაწყობად. რაკი მეორე დღეს თელავის ბაზარზე წასვლას აპირებდა, წინასწარ თადარიგს იჭერდა. გიაც მასთან ტრიალებდა და ეხმარებოდა. უხაროდა, რომ თელავში პაპასთან ერთად ისიც მიდიოდა.

როცა ურმის გამზადებას მორჩნენ, პაპა მახარემ სახე-

ლოსნოდან ჭურჭლის გარეთ გამოლაგება დაიწყო. დროდადრო შეჩერდებოდა, ნელში გაიმართებოდა და შვილებივით ესიყვარულებოდა თავის ნახელავს, ტკბებოდა მათი ცქერით. არავინ უწყოდა მის გარდა და ვერც ვერავინ გაიგებდა, თუ რამდენი შრომა, ოფლი, ფანტაზია და თვით ოსტატის სულის ნაწილი იყო ჩაქსოვილი თითოეულ მათგანში.

ერთიმეორეს გვერდით მიწყობილი სხვადასხვა ზომის და ფორმის დოინჯშემოყრილი თიხის ქოთნები, წყლის კოკურები და ჩაფუნები, გედებივით ყელმოღერებული, ტანწერწეტა სურები, ლამაზად მოხატული ხელადები და დოქები, გრძელკისერა და მუცელგამობერილი ჭინჭილები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ყულაბები, საყვავილეები და ღვინის ფიალები თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ სიკეკლუცეში და თავს იწონებდნენ თავისი ოსტატის წინაშე.

პაპა მახარე თიხის ძერწვის მართლაც რომ ნამდვილი დიდოსტატი იყო. მეთუნეები განა სხვები არ იყვნენ, მაგრამ იმისთანა ჭურჭელს ვერავინ ამზადებდა იმ ახლომახლო კუთხეში. ამიტომ იყო, რომ მის ნახელავს მყიდველიც ბევრი ჰყავდა და დამფასებელიც.

თავისი ხელობა პაპამ შვილიშვილსაც შეასწავლა. უფრო სწორად, გიამ იგი თავისით შეისწავლა, რადგან გვერდიდან არ შორდებოდა მოხუცს და მთელ დღეებს სახელოსნოში ატარებდა. მერე, როცა იმდენად წამოჩიტდა, რომ დაზგასთან დადგომა შეძლო, პაპა მას პატარ-პატარა დავალებებს აძლევდა და თან თიხის დამუშავების საიდუმლოებას აცნობდა. დრო გადიოდა და პატარა შეგირდი ისეთი მუყაითობითა და გულმოდგინებით ეკიდებოდა საქმეს, რომ მისთვის დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა მარტივი ფორმის თიხის ჭურჭლის დამოუკიდებლად გამოძერწვა.

— უნდა ვიჩქაროთ, თორემ დალამებამდე იქნება ვერც მოვასწროთ ამ ჭურჭლის ჩაწყობა. — თქვა პაპა მახარემ, როცა დასავლეთისაკენ დაქანებულ მზეს გახედა. — მოდი, მე ურემზე ავალ, შენ კიდევ ჭურჭელი მომაწოდე. ოღონდ ფრთხილად, არაფერი გატეხო.

დაიწყეს ჩალაგება.

პაპა მახარე ერთი წყების ჩალაგებას რომ მორჩებოდა, ურმიდან ჩამოვიდოდა, გვერდებზე თივას, ხოლო შუა-შუა ბზეს ჩააყრიდა ხოლმე, რომ ჭურჭელი არ დამტვრეულიყო. დროდადრო კი შვილიშვილს წაებუზღუნებოდა:

— ფრთხილად, შე მამაძაღლო, ჭურჭელი არ დამილეწო. ფრთხილად მამაწოდე...

როგორც კი მზის ცეცხლოვანი დისკო იასამნისფერი მთების გადაღმა გადაეშვა, პაპამ და შვილიშვილმაც დაამთავრეს თავისი საქმე.

— ესეც ეგრე... ყველაფერი მზადა გვაქვს ხვალისათვის! — კმაყოფილებით წარმოთქვა პაპა მახარემ, როდესაც ურმიდან დაბლა ჩამოვიდა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა ჩალაგებული ჭურჭელი.

— პაპა.

— რა იყო, შვილო?

— რას მიყიდი ხვალე ბაზარზე?

— რა გინდა, რომ გიყიდო?

— აი, შენ რომ ნაბდის ქუდი გაქვს შენახული, ერთი ისეთი ქუდი მიყიდე...

— გიყიდი, შვილო, აუცილებლად გიყიდი!

— პაპა, გახსოვს ადრე რომ მპირდებოდი, ჩემს ნაბდის ქუდს საინტერესო ისტორია აქვს და როცა დიდი გაიზრდები, მაშინ მოგიყვებიო, როდის მომიყვები ამ ამბავს, ჰა, პაპა?..

პაპა მახარემ წამით იყუჩა. მერე როგორღაც დაბნეული

მზერა შვილიშვილს შეავლო და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჰო, საინტერესო ამბავია. შენთვის შეიძლება ახლა ამისი მოყოლა, თუმცა ხვალ მოგიყვები, რაკი ბაზარზე მოდიხარ, ბარემ იმ სახელოსნოსაც გაჩვენებ, საიდანაც ქუდი წამოვიღე.

— არა, პაპა, ახლა მომიყევი, ძალიან გეხვეწები! მანამდე დავისვენებთ კიდეც! — შეევედრა გია პაპა მახარეს.

— კარგი, რაკი ძალიან გინდა, რა გაეწყობა! — თქვა მოხუცმა და გაჩუმდა. ღრმა ფიქრმა წაიღო.

კარგა ხანს იჯდა ასე გარინდებული შვილიშვილის გვერდზე ეს ნაჯაფარი, შრომისაგან მოღლილი, თავისი წილი ცხოვრების კალომოლეწილი კაცი წარსულის მოგონებებში ჩაძირული.

მისი გოლიათური, ჯერ კიდევ ახოვანი აღნაგობა, თოვლივით თეთრი წვერ-ულვაში, დანაოჭებული შუბლი, სნორი, დახვეწილი, მკაცრად რაფინირებული ნაკვთები და საოცრად მეტყველი თვალები იმდენ სიდიადესა და ღირსებას გამოხატავდა, რომ არ შეიძლებოდა უზომო კრძალვითა და მოწიწებით არ განმსჭვალულიყავით მოხუცისადმი.

იჯდა და ფიქრობდა იგი თავის ახალგაზრდობაზე, განვლილ წლებზე. მოსაგონებელი კი ბევრი ჰქონდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, მის ზურგს უკან ოთხმოცდაორი წელი იდგა, ოთხმოცდაორი გრძელი და შრომით მოღლილი წელიწადი. წინ კიდევ რამდენი იყო დარჩენილი, ეს პაპა მახარემ არ იცოდა. შეიძლება აღარც ერთიც არ იყო, მაგრამ რაც იცხოვრა, ხომ კაცურად იცხოვრა, ნამუსიანად და პატიოსნად. მთავარი კი, მისი აზრით, ეს იყო. ამიტომ სიცოცხლის ერთი დღეც რომ აღარ ჰქონოდა დარჩენილი, ამ წუთისოფლიდან იგი მაინც ვალმოხდილი და კვალნათელი წა-

ვიდოდა, რადგან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მოყვავისადმი სიყვარულისა და კეთილის ქმნაში გაატარა. დასაყვედრებელი და საფლავში თან წასაყოლი სამდურავიც არავისი ჰქონდა. სიკვდილისა არ ეშინოდა, არც ფიქრობდა სიკვდილზე, მაგრამ რამდენიმე წლის სიცოცხლე კი მაინც სწყუროდა. იმიტომ კი არა, რომ ცოტა ხანს იცხოვრა ამქვეყნად, არა, ეს სიცოცხლე მას თავისი შვილიშვილის აღზრდისა და დავაჟკაცებისათვის სჭირდებოდა. მაგრამ დააცლიდა კი ეს მუხთალი წუთისოფელი ამდენ სიცოცხლეს?.. პაპა მახარემ, ისე როგორც სხვა ჩვეულებრივმა მოკვდავმა, არ იცოდა, როდის დადგებოდა მისი აღსასრულის ჟამი, ამიტომ ჩქარობდა ყველაფერი ესწავლებინა ბავშვისათვის. შთაენერგა მისთვის ყველა ის სულიერი სიკეთე თუ ღირსება, რომლის მატარებელიც თვითონ იყო. ძალიან უხაროდა, რომ მისმა შრომამ ფუჭად არ ჩაიარა და ნაბოლარა შვილიშვილის სახით მისი გვარისა და დიდი ოჯახის ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე იზრდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პაპა მახარეს არავითარი განათლება არა ჰქონდა, შესანიშნავად იცოდა, როდის რა ეთქვა შვილიშვილისათვის. უადგილო დატუქსვას და ჭკუის სწავლებას ერიდებოდა. მისი აზრით, ნათქვამს მიზანი უნდა გაემართლებინა უთუოდ და აღსაზრდელის სათუთი სულის საძირკვლამდის ჩაეღწია, იქ ღრმა და ღონიერი ფესვებით ისეთნაირად ჩაბმულიყო, რომ იქიდან ველარავითარ შემთხვევას ვერ ამოეშალა.

სწორედ ამიტომ გადადო გარკვეულ დრომზე მოხუცმა თავისი სათქმელი ნაბდის ქუდზე, რადგან იცოდა, შვილიშვილის გონება მანამდე ნათქვამის აზრსა და სიღრმეს მაინც ვერ ჩასწვდებოდა.

ახლა კი შეიძლებოდა თქმა.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ პაპა მახარემ თავი ასწია, ჭკვიანი, ფიქრიანი მზერა შვილიშვილს მიაპყრო და რაღაც შთაგონებით თქვა:

— იცი, შვილო, ზოგიერთი კაცი ანთებულ სანთელსა ჰგავს, იწვის იმიტომ, რომ სხვებს გზა გაუნათოს... ჰოდა, ერთ ასეთ სანთელივით წმინდა, მართალ და კაცურ კაცზე მინდა გიამბო და კარგად დამიგდე ყური.

პაპა მახარე კვლავ გაჩუმდა, ჯიბიდან თუთუნი ამოიღო და დინჯად შეუდგა ყალიონის გაწყობას, ცნობისმოყვარეობისაგან თითქმის სუნთქვაშეკრული გია კი გაფართოებული თვალებით შესცქეროდა მოხუცის მშვიდსა და აუღელვებელ მოძრაობას და ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა.

* * *

პროფესორს ფიქრი რაღაც ყრუ და გაბმულმა გრუხუნმა შეაწყვეტინა. მანქანის კარების მინას ბოლომდე ჩაუწია და სმენად იქცა. უეცარმა ელვამ ნაპერწკალივით დააკვესა გომბორის უღელტეხილის თავზე ჩამობნელებული ღრუბლებიდან და რამდენიმე წამში მთების გადაღმიდან ლომების ბუხუნივით შორეული ქუხილის ხმაც მოისმა.

„სადღაც წვიმს". — გაიფიქრა მან და მთის ჩამუქებულ ჰორიზონტს გახედა. სწორედ ამ დროს შორეული ელვა გველივით გაიკლაკნა და ცეცხლოვანი ხმალივით მთის გულში ჩაეშვა, რასაც გაბმული გრუხუნი და გრიალი მოჰყვა, თითქოს განგმირულ ურჩხულს საზარელი ხრიალი აღმოხდაო.

პროფესორმა ფიქრი ისევ დაძაბა. დაწვრილებით უნდოდა აღედგინა მეხსიერებაში პაპა მახარესთან საუბარი. აი, რა დაამახსოვრდა მოხუცის მაშინდელი ნაამბობიდან.

ოცდაერთი თუ ოცდაორი წლის ჭაბუკი იქნებოდა ალბათ მაშინ მახარე, როცა ეს ამბავი მოხდა. იმ ახლომახლო კუთხეში ბევრი ახალგაზრდა ვერ გაეტოლებოდა მას ვერც ვაჟკაცობით, ვერც გარეგნობით და ვერც სხვა ღირსებით. მართალია, ჯერ წლოვანებით დიდი არ იყო, მაგრამ უკვე საკმაოდ კარგი მოჭიდავის სახელი ჰქონდა გავარდნილი. „ბეჭდაუდებელ მახარეს" ეძახდნენ სიამაყით თანასოფლელები და, მართლაც, თავისი ქომაგებისა და თაყვანისმცემლების იმედები არც არასოდეს გაუწბილებია.

იმ დროს ქართულ ჭიდაობას ძალიან მისდევდნენ. ისე კვირა დღე როგორ ჩაივლიდა, რომ სოფელში ჭიდაობა არ მოწყობილიყო. ზოგჯერ სოფელი სოფელსაც შეეჯიბრებოდა ხოლმე. მითუმეტეს, თუ ყურს მოჰკრავდნენ, რომ მავანი და მავანი მაგარი მოჭიდავე ჩამოსულა და ჩვენს ფალავნებს უნდა დაეჭიდოსო, მაშინ ხომ დიდი და პატარა ერთნაირად მოიხვეტებოდა სოფლებიდან სეირის საყურებლად.

განსაკუთრებით საინტერესო ჭიდაობა მაინც თელავში ეწყობოდა ხოლმე, სადაც თავისი ძალ-ღონის გამოსაცდელად და საფალავნოდ მარტო ახლომახლო სოფლებიდან კი არა, ჩამოდიოდნენ მოჭიდავეები სხვადასხვა მაზრებიდან და კუთხეებიდან: ახმეტიდან, ყვარლიდან, გურჯაანიდან, წითელწყაროდან, საგარეჯოდან, თიანეთიდან და კიდევ საიდან არა.

ერთ ასეთ დღეობაზე ძალიან დიდი ჭიდაობა გაიმართა თელავში. მახარე მაშინ სხვაგან იყო წასული და ჭიდაობაზე ცოტა შეგვიანებით მოვიდა, მაგრამ რა გინდა, ყველა ფალავანი გალახული დახვდა.

— მახარე მოვიდა, მახარე! — ატყდა ერთი ჩოჩქოლი, როგორც კი ივი ხალხში შეერია.

— არიქა ჩოხა ჩააცვით ახლავე, ჩოხა! — დაიყვირა ვილაცამ. — მაგ ახმეტელს მახარე თუ მაუგრეხავს, ჯო, კისერსა, თორენა...

— რა კისერს მაუგრეხავს, ვერ უყურებ რამხელა მუტრუკია ეგ ოხერი? მახარე მაგასთან ბააალღია! — გამოესარჩლა მახარეს იმისი ახლო მეზობელი სოლოღაანთ ქიტესა, რომელსაც თანასოფლელები ზედმეტ სახელად წიპუკას ეძახდნენ. წიპუკა ბავშვობიდანვე ენაბლუ იყო და საუბრის დროს სიტყვებს ზოგჯერ სასაცილოდ აგრძელებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაბრაზებული იყო. ახლაც იგი დღევანდელი დამარცხებული ფალავნების გულშემატკივართა შუაგულში ტრიალებდა და გაცხარებით ვილაცას ეკამათებოდა. დაინახა თუ არა მახარე, მაშინვე მისკენ წამოვიდა.

— რა იყო, ძია ქიტესა, რამ გაგაბრაზა ასე? — ჰკითხა მახარემ.

— როგორ თუ რამ გამაბრაზა, ჯო! ვილაც ოხერმა, ახმეტელმა ვინც დარჩეული ფალავნები გვყავდა, სუყველა კახური შოთებივით გააკრა მინაზე და ბრაზი მამივა, აბა, რა იქნება! — უპასუხა აღელვებულმა წიპუკამ.

— დაგვესხა თავსლაფი და ეგ არი, მაშ! — კვერი დაუკრა მეორემ.

— თანაც მასხრადაც რომ აგვიგდო სუყველა მაგ შო...შო... შობელძაღლმა, ესაა საწყენი თორენა... თელაველებს მოჭიდავეები თუ არა გყავდათ, ტანსაცმელი ტყუილად რად გამახდევინეთო, გაგიგიათ, ხალხო, აამისთანა რამე?.. მე მაგისი დედა ვატირე! ჯერ ერთი, ვინ ეპატიჟებოდა თელავში ჩამოდი და იჭიდავეო და მეორეცა, კალთებს ვინ ახევდა — ტანსაცმელი გა... გაიხადეო! უჰ, მე მაგისი! — აღარ დაამთავრა დაწყებული გინება წიპუკამ და გაცხარებით მუშტი ჰაერში მოიქნია.

— დაწყნარდი, ძია ქიტესა, დამშვიდდი. ყველაფერს ეშველება! — ანუგეშა მახარემ.

— რას ეეეშველება, ჯო, ვისგან ეშველება! თელაველების გარდა მაგასთან გასვლა სხვა ვეღარავინ გაბედა და მე ხომ არ დავეჭიდები მაგ კამეჩს?!.

— შენ რათა, მახარე აქ არ არი? — ჩაერია ვიღაცა მახარესა და ქიტესას საუბარში. — მახარეს ეგ შენი ახმეტელი ერთ ლუკმად არ ეყოფა, განა...

— რას ამბობ, აბა, მიხაკო! — მიუბრუნდა მოსაუბრეს წიპუკა. — ეგა მმ... მმახარეზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იგრე იქნება, როგორც არაფერი. ახლა წონა...

— უფროს-უმცროსობაზე და სიმძიმეზე კი არ არის მთლად საქმე, შე კაი კაცო, მთავარი მარიფათი და მოხერხებაა...

— მიხაკო სწორეს ამბობს. — ჩაერთო საუბარში ერთი ძველი მოჭიდავე, ხანში შესული თელაველი კაცი. — მართალია, ახმეტელი ძალიან მაგარი ვინმეა, მაგრამ ილეთები ნაკლებად იცის. ამასთან დონდლო და მოუქნელიცა ჩანს. ჭიდაობაში კი ამას პატარა მნიშვნელობა არა აქვს მოწინააღმდეგისათვის.

— ჰოო, ეეეგ კი მეც შევამჩნიე. — მოტეხილად ჩაილაპარაკა წიპუკამ. — მაგრამ რა ვიცი, ჯო, რა ღმერთი გაუწყრათ ამ ჩვენებს, ან ეს ჩამოსული ბიჭები რამ დაამხდალა და დააფრთხო იგრე, რო მაგასთან საჭიდაოდ გასვლა ვეღარავინ გაბედა?.. უბრალოდ ბრაზი მამდის, ჯო, თორენა ჯანი გავარდნია — მჯობზე მჯობი არ დაილევაო — ნა... ნათქვამია...

— შენ ეგა თქვი, მაშ! — დაუბეჭდა სიტყვა ვიღაცამ წიპუკას.

— სად არი ეგ თქვენი „მაგარი მოჭიდავე", დამანახეთ მაინცა, — იკითხა მახარემ.

— ინდე განაპირას, ახმეტელი ბიჭების შუაში რომ ზორბა ახალგაზრდა დგას, ის არი.

ახმეტელი ფალავანი მოსაუბრეებიდან ზურგშექცევით იდგა და სახე არ უჩანდა, მაგრამ ძალოვან კისერზე და მხარ-ბეჭზე ეტყობოდა, რომ დიდი ღონის პატრონი უნდა ყოფილიყო.

— მე მახარეს ჭიდაობა რო მინახავს, — დარწმუნებით თქვა ისევ ძველმა მოჭიდავე კაცმა, მახარესა და წიპუკას საუბარში რომ ჩაერია პირველად, — ამ ახმეტელს ხერხითაც სჯობია და არც ჯანი აკლია. აბა, ერთი ამის ბეჭებს შეხედე, მეტი თუ არა, რით არის ამაზე ნაკლები? — მიუბრუნდა წიპუკას და თან მახარეს მხარზე დაჰკრა ხელი.

— სწორეა, სწორე! — დაუმოწმეს აქეთ-იქიდან.

— ხმა ამაიღე, წიპუკავ! წელან სანამ ახმეტელი თელაველ ფალავნებს ლავაშებივით ერთიმეორეზე ალაგებდა, კარგად იბრახუნებდი მუშტს მკერდზე და იძახდი: „ოხ, სადა მყავს ახლა ჩემი მახარე, ამის ჯავრს ის ამამყრიდაო“, ახლა რაღატო ჩაგივარდა ენა მუცელში, რა ღმერთი გაგიწყრა, რატო არაფერს ეუბნები? — შეუღრინა ვიღაცამ წიპუკას.

— მახარე მაგ ვი... ვირიშვილთან ბავშვია, იმიტომ ააარაფერს ვამბობ. — გაწიწმატდა ახლა კი წიპუკა. — ამისი ფანდი რო იყოს, ატრიალებდა ქოჩორზე და დედასაც უტირებდა, მაგრამა ვაითუ...

— ახლაც ატრიალებს, შენ არხეინად იყავ! — თქვა ვიღაცამ.

მახარემ თავი ასწია, რომ მოლაპარაკე დაენახა და უცებ იგრძნო, რომ ორასიოდე კაცის ცეცხლოვანი მზერა ნაკვერჩხალივით სახეზე ჰქონდა მოდებული, რომელშიც საოცარი სიცხადით იხატებოდა თხოვნაც, წაქეზებაც, რაღა-

ცის იმედიც, მოლოდინის გაცრუებაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, დაცინვაც კი.

დიდხანს ვერ გაუსწორა თვალი მახარემ ამ ჯიქურსა და უტეხ მზერას. ძალაუნებურად ისევ წიპუკას შეხედა. დაღვრემილი სახე ჰქონდა იმასაც და რაღაცის თქმა თუ თხოვნა უნდოდა, მაგრამ ვერ ამბობდა და სწორედ ეს უთქმელოდა სტანჯავდა. აშკარა იყო, რომ როგორც წიპუკა, ისე იქ შეკრებილი გულშემატკივრები მახარესაგან გარკვეული გადაწყვეტილების მიღებას მოელოდა. სწორედ ან ახლა, ამ წუთში უნდა დათანხმებულიყო, ანდა უარი ეთქვა ახმეტელთან ჭიდაობაზე და ლაჩარივით კუდამოძუებულს საჭიდაო მოედანი დაეტოვებინა... ასეთი საქციელი კი დამარცხებაზე უარესი იყო. იმ გალახული ფალავნების მდგომარეობაზე უარესი.

„რომ გადამყლაპოს კიდეც, უნდა დავეჭიდო!..“ — უცებ მიიღო გადაწყვეტილება მახარემ და წიპუკას მიუბრუნდა:

— ძია ქიტესა, გასძახეთ ჩოხა მომიტანონ!

— მაშ, ჭიდაობ, ჰა?!

მახარემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— უჰ, შენ კი გე... გე... გენაცვალოს ქიტესა ვაჟკაცობაში, აჰა! — სიხარულით წამოიძახა წიპუკამ და მახარეს გადაეხვია.

თითქოს დიდ, გაბერილ ხარის გუდას შუბი აძგერეს და ერთბაშად დაფუკესო, ისე ღრმად და ძალუმად ამოიქშინა ორასიოდე კაცმა. შემდეგ ეს ამდენი ხალხი ფუტკრის სკასავით აგუგუნდა და ნაპირზე მიხეთქებულ ტალღასავით აქეთ-იქით რწევა დაიწყო. ვინც მახარეს იცნობდა და ახლოს იდგა, ყველას უნდოდა მასთან მისულიყო და თავისი აღტაცება რაღაცით გამოეხატა. ხოლო ისინი კი, რომლებიც არ იცნობდნენ და ყური მოეკრა, რომ ახმეტელ ფალა-

ვანთან ვიღაცამ უნდა იჭიდაოსო, ცდილობდნენ შორიდან მაინც დაენახათ ამ გიგანტის „ახალი მსხვერპლი" და კისერდაგრძელებულები მუჯლუგუნებით გზას მიიკვლევდნენ ხალხში.

ვიღაცას საჭიდაო ჩოხის მოტანაც მოესწრო უკვე, ნიპუკა ტანსაცმლის გახდაში ეხმარებოდა მახარეს, თან ჩუმად რაღაცას არიგებდა.

რამდენიმე ახალგაზრდა ქამრებს ატრიალებდა ჰაერში და ძალით ახევინებდა ხალხს საჭიდაო წრიდან. თან გამწარებულები ყვიროდნენ:

— აბა, განი, განი! დაიხიეთ, ხალხო, უკან! გაათავისუფლეთ მოედანი! დაიკავეთ ადგილები!..

ერთი სიტყვით, იყო ერთი გაუთავებელი ფუსფუსი, გაბმული გუგუნი, გადაძახილ-გადმოძახილი, ჭიდაობის მოყვარულთა ცხარე და დაუსრულებელი კამათი და სხვა ამდაგვარი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული მახარეს მოსვლიდან, რომ ის და ახმეტელი მოჭიდავე ერთიმეორის პირისპირ იდგნენ საჭიდაო წრეში და სასტვენის ჩაბერვასღა ელოდებოდნენ.

როცა მეტოქე გახდილი შემოვიდა წრეში, მახარე ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა. მის წინ ასე 25-26 წლის, სხეულის საოცრად უნაკლო აღნაგობის, ლაზათიანი ვაჟკაცი იდგა. სწორ, მაღალ და ძლიერ ფეხებზე შემდგარი ეს ბუმბერაზი ვიწრო წელით, კლდესავით უდრეკი და მკვრივი, წინ გამოგდებული გულ-მკერდით, ახოვანი მხარ-ბეჭით, ბურთებივით დაბურცული კუნთებით, ლამაზად ჩამოქნილი თავკისრით, ხორბლისფერი, ოდნავ მზედაკრული, მბზინავი სხეულით ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ქანდაკებას ჰგავდა. საჭიდაო ჩოხაც კი ვერ ფარავდა მისი ნაქანდაკევი სხეულის სილამაზეს და ძლიერებას. იდგა იგი დოინჯშემოყრი-

ლი, სახეზე ღიმილდაფენილი, მისგან გაწბილებული თელა-
�ელი გულშემატკივრების რისხვითა და მუქარით გარშე-
მორტყმული და ყურადღებით ათვალიერებდა მახარეს.
მშვიდად და აუღელვებლად ეჭირა თავი, თითქოს იმას კი
არა, სხვას უნდა ეჭიდავა და აქ სეირის საცქერლად იყო მო-
სული.

მისი ესოდენ დიდი სიმშვიდით, თავდაჭერილობით და გა-
რეგნობით მოხიბლული მახარე იმთავიდანვე სიმპათიუ-
რად განეწყო მეტოქისადმი.

„ცოდოც კია ამისთანა ვაჟკაცი წააქციოს კაცმა". — უნე-
ბურად გაუელვა თავში. — მაგრამ წააქცევს კი?.. ძლიერი
ბიჭი ჩანს... გაუჭირდება მასთან ჭიდაობა, ძალიან გაუჭირ-
დება! — რომ დამარცხდეს"... აღარ გააგრძელა ფიქრი.

მაგრამ დამარცხების უფლება მახარეს არა აქვს. არა
აქვს ჯერ ერთი იმიტომ, რომ საჭიდაო ჩოხა მან მოითხოვა
და ახმეტელი მოჭიდავეც თვითონ გამოიწვია. თუ გამარჯ-
ვების იმედი არა ჰქონდა, არც უნდა გაეკეთებინა ეს...

მეორეც იმიტომ, რომ აქ თავმოყრილი გულშემატკივრე-
ბის გააფთრებულ რისხვას ახმეტელის ბეჭებზე გასწორება
თუ დააცხრობდა, მეტი არაფერი. ამას ელოდებოდნენ
მოთმინებით.

„გულის მოფხანა უნდათ" — ფიქრობს თავისთვის მახა-
რე და მზერა ფერდობზე შეფენილი ხალხის დაძაბულ სახე-
ებზე გადააქვს.

უცებ ფიქრი ზურნის ჭყვიტინმა და დოლის ბრახუნმა გა-
ანყვეტინა. ყური რომ მიუგდო, მისი გულიც იმ დოლივით
ბრახუნობდა მკერდქვეშ, მაგრამ შიშისაგან კი არა, გულშე-
მატკივრების ღირსების შელახვა არ უნდოდა და ეს აღელ-
ვებდა.

ჩაბერეს სასტვენს. ახმეტელი მოჭიდავე მძიმედ, მოზომი-

ლი ნაბიჯით დაიძრა მახარესაკენ, თან სახლიდან ღიმილი არ შორდებოდა.

მახარე უცებ გამოერკვა გარინდებიდან, მოწყდა ადგილიდან და მეტოქეს შუა წრეში შეეგება. როგორც კი ერთიმეორეს ხელი ჩამოართვეს, ახმეტელი იმავე წამს შებრუნდა, წელში ოდნავ მოიღუნა და ოდნავ ხელებაწეული, ზამბარასავით დაჭიმული ტანით წრის შუაგულში გაქვავდა. იერიში პირველად მახარემ მიიტანა და ისეთი რიხით შეუტია, რომ ასე იფიქრებდა კაცი, საჭიდაო მოედანზე უცბად მოვარდნილი ქარბორბალა დატრიალდაო. მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ რა გამოვიდა, ვერა და ვერ მიუდგა თავის ხერხზე.

ახმეტელი ასეთ დასაწყისს არ ელოდა და თავდაპირველად დაიბნა კიდეც, მაგრამ მახარეს ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ იგი, როგორც გამოცდილი მოჭიდავე, შესაფერის დროს უცდიდა, რომ მისი ყურადღება მოედუნებინა და მის დასამარცხებლად თავისი მთავარი უპირატესობა — ძალა გამოეყენებინა.

ამიტომ თვითონაც ძალიან ფრთხილობდა, მაგრამ ერთმა მცირე წინდაუხედაობამ კინაღამ დაღუპა. ის იყო ახმეტელის ჩოხის ქამრიდან მარჯვენა ხელი მოაცილა, რათა უფრო მოხერხებულად ჩაევლო ზურგიდან, რომ უცებ მეტოქის ღონიერი მკლავები რკინის მარწუხებივით წელზე შემოეჭდო და ისეთი ძალით მოუჭირა, რომ სუნთქვა გაუჩერა. შემდეგ ახმეტელმა მახარე მაღლა აიტაცა და ალბათ ცუდად იქნებოდა მისი საქმე, რომ არ ემარჯვა და მოწინაღმდეგეს „გარე კაურით" მარჯვენა ფეხზე არ შემოხვეოდა. ახლა მეტოქეს მახარე მთელი ტანით აწვებოდა მაღლიდან და რაკი პატარა სიმძიმე არც იმას ჰქონდა, ახმეტელს, ცხადია, ასეთ მდგომარეობაში მისი გაჩერება დიდხანს არ

შეეძლო. მახარეს ისიც შველოდა, რომ ხელები თავისუფალი ჰქონდა, რომელიც ადვილად შეეძლო შებოჭილი ტანის გასათავისუფლებლად ეხმარა.

რაკი ახმეტელმა მახარეს გარედან შემოხვეული ფეხის გათავისუფლება ვერაფრით მოახერხა, „რკინის სალტე" ნელ-ნელა მოუშვა, შემდეგ ერთი ხელი მოწინააღმდეგის კისერზე ააცურა, მაგრად შემოხვია, ძლიერი მოგვერდი ჰკრა და წრეში გაისროლა. მახარეს ადგილზე სხვა ალბათ უშნოდ გაიშხლართებოდა დაბლა, მაგრამ იგი აქაც თავისმა სიცქვიტემ იხსნა — ჰაერშივე მოასწრო კატასავით ამოტრიალება და მხოლოდ მუხლის თავებზე დაეცა.

ამას კი აღარ მოელოდა ყალყზე შემდგარი, ტალღასავით აქოჩრილი, აზარტში შესული მაყურებელი, რომელსაც მახარეს გამარჯვებაში ერთი წუთითაც აღარ ეპარებოდა ეჭვი და ათასნაირი შეძახილებით ამხნევებდა. მოულოდნელად მუხლებზე დაცემული ფალავანი რომ დაინახა, ღრმად ამოიხვნეშა, შეგუბებული რისხვა გულში ჩაიხვია და გაირინდა. წამით გაინაბა იმ მრისხანე ტალღასავით, მძვინვარე ქარიშხლის მოლოდინში რომ გაყუჩდება, რათა შემდეგ უფრო მეტად აიყაროს ფაფარი და თავის ღრმა უფსკრულებში ჩანთქას ყოველივე.

ძალზე თავმომწონე ჯეილი იყო მახარე და მუხლებზე დაჩოქება დიდად ითაკილა. ამ პატარა, მაგრამ კინაღამ საბედისწერო მარცხმა გამოაფხიზლა და თითქმის გაცოფებამდე მიიყვანა. თვითონაც ვერ გაიგო, ფეხზე წამოხტომის შემდეგ როგორ მოიგდო ხელში მეტოქის მარჯვენა მკლავი, როგორ შეუგდო ბეჭი იღლიის ქვეშ, ძლიერად აჰკრა მოღუნული ზურგი ქვევიდან იმოდენა სიმძიმეს და ისეთი ძალით დაახეთქა ნახერხზე, რომ ახმეტელმა დიდხანს ვეღარ შეძლო თავის წამოწევა.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ წელანდელი მოულოდნელობით დაბნეული მაყურებელი ჯერაც გონზე ვერ მოსულიყო, მაგრამ წაქცეული ახმეტელი ფალავანი ბეჭებზე გაშხლართული რომ დაინახა, მათმა ბღავილმა მთელი თელავი შეაზანზარა.

ახმეტელი ერთხანს იწვა ასე თვალებდახუჭული მიწაზე, მერე როგორღაც დარცხვენილმა და ნირწამხდარმა წამოიწია, წელში გაიმართა, ღიმილით ხელი გაუწოდა მახარეს, გამარჯვება მიულოცა და მოედანი დატოვა. გალახულის ასეთმა ღირსეულმა და კეთილშობილურმა ქცევამ გულშემატკივრების აშკარა მოწონება დაიმსახურა.

როგორც კი ახმეტელმა საჭიდაო მოედანი დატოვა, ამდენმა ხალხმა ერთიანად იხუვლა, ჯებირგარღვეული ნიაღვარივით გამოქანდა ფერდობიდან და კინალამ თან გაიტაცა გამარჯვებული ფალავანი. ერთი სიტყვით, ძნელია იმ სურათის აღნერა, რაც მაშინ ხდებოდა მოედანზე, მაგრამ იმ დღის გმირი კი ნამდვილად მახარე იყო. დიდსა თუ პატარას, ნაცნობსა თუ უცნობს პირზე მისი სახელი ეკერა...

IV

ჭიდაობის შემდეგ მახარემ წიპუკასთან ერთად ბაზარში შეიარა. ნაბდის ქუდის ყიდვა უნდოდა. ბაზარი მაშინაც იქ იყო, სადაც ახლაა, რიყის პირზე. რაღა არ იყიდებოდა იქ: მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ხილი თუ ბოსტნეული, ყველი თუ ერბო-კარაქი, ხორბალი, სიმინდი, ფქვილი, ხორცი, თაფლი, ტყავეული, ჭურჭელი, ათასგვარი ნაქსოვი თუ სხვა ნაკეთობა. ვიღას არ შეხვდებოდით აქ, რომელი ეროვნების წარმომადგენელს, ჭიანჭველასავით ფუთფუთებდა ერთიმეორეში მილეთის ხალხი და იყო ერთი გაუთავებელი ვაჭრობა, ჩხუბი და კამათი, ადამიანების ყვირილი,

საქონლის ბღავილი. დადიოდა ზოგი უქმად, მაზანდის გასაგებად, ზოგი საქმიანად. ერთი სიტყვით, იმ დღესაც ისეთივე ჩვეულებრივი ბაზრობა იყო თელავში, როგორც სხვა კვირადღეობით იცის ხოლმე.

მახარე და წიპუკა ზევიდან დაუყვნენ ბაზარს, რადგან ქუდების სახელოსნო ფარდულები სულ თავში, ერთიმეორის მიყოლებით იყო ჩამწკრივებული. ქალაქიდან ბაზარში მიმავალს აუცილებლად ამ ფარდულების წინ უნდა გაევლო და ქუდის ყიდვა თუ უნდოდა, ხელცარიელი არ წავიდოდა. აქედან გავლის ან იქიდან გამოვლის დროს აუცილებლად ივაჭრებდა.

ვიწრო და დაბალჭერიანი სახელოსნოები, სადაც ორი-სამი კაცი ძლივს გაიმართებოდა, მეტად უბრალოდ იყო მოწყობილი. ფარდულის შიგნით კედლებზე დახლები იყო გამართული, სადაც ხელოსნებს სხვადასხვა ზომისა და ხარისხის ნაბდის ქუდები ჰქონდათ გამოფენილი. გასაყიდ ქუდებს დროებით გარეთ მოწყობილ ფიცრის ყაფაზებზე ალაგებდნენ, რათა მუშტარს ახლოდან გაესინჯა და შეემოწმებინა საქონელი. ისხდნენ ხელოსნები დაბალფეხიან ტაბურეტებზე და მყიდველებთან საუბრით თავს იქცევდნენ.

კახეთში მაშინ ნაბდის ქუდებს მხოლოდ თელაველი მექუდეები კერავდნენ და ამიტომ მათ ნახელავს მუშტარი არასოდეს ელეოდა, განსაკუთრებით იმათ, ვინც ამ საქმის დიდი ოსტატი იყო, ასე რომ, ნაბდის ქუდების შესაძენად მარტო კახეთის ახლომახლო სოფლებიდან კი არა, თიანეთისა და დუშეთის მაზრებიდანაც ჩამოდიოდნენ.

იმ დღესაც ბევრი ხალხი ტრიალებდა ამ სახელოსნოებთან.

— კაი ქუდის ყიდვა თუ გინდა, მოხუც გიორგისთან უნდა

იყიდო, ბოოოლო ფარდულში, იმისთანა კრავლის ქუდებს აქ ვერავინა კერამს! — ურჩია წიპუკამ მახარეს.

დაუყვნენ ქვევითკენ და მიადგნენ გიორგას ფარდულს. სახელოსნოს წინ, დაბალ ტაბურეტზე, შავ ქულაჯაში გამოწყობილი ერთი თეთრწვერა, მადლიანი სახის მოხუცი იჯდა.

— ენდე ეგ არის გიორგა. — ჩუმად ანიშნა წიპუკამ მოხუცზე. მახარეს ეს კეთილი სახის კაცი ხშირად უნახავს ამ ადგილზე მჯდარი, როცა კი აქეთ აუვლია ან ჩამოუვლია, მაგრამ ცნობით კი, აბა, საიდან ეცნობებოდა.

— გააამარჯობა, ძია გიორგი! — მიესალმა წიპუკა მექუდეს და ხელი ჩამოართვა. მახარემ კი მორიდებულად დაუკრა თავი და განზე გადგა.

— ძია გიორგი, ერთი კარგი ქუდი გვინდა. — უთხრა წიპუკამ მოხუცს.

— შენთვის გინდა?

— არა, ამ ჯეილს უნდა. — მახარეზე მიუთითა წიპუკამ.

მოხუცმა მახარე დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, შემდეგ მოწონების ნიშნად თავი დაიქნია და თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მოხდენილი ვაჟკაცია. მაგას მართლაც კარგი ქუდი მოუხდება.

შემდეგ მახარეს მიუბრუნდა, ქუდებზე მიუთითა და უთხრა:

— აირჩიე, შვილო, რომელიც მოგეწონება.

მახარე ფარდულთან მიდგა და ძია გიორგის „გამოფენას" თვალიერება დაუწყო.

მართლაც საუკეთესო ქუდები იყო დახლზე გაწყობილი. კაცი წუნს ვერ დასდებდა. რამდენიმე თავზეც მოისინჯა, მაგრამ არც ერთი მოერგო — ზოგი დიდი ჰქონდა, ზოგი პა-

ტარა. გული დაწყდა, რომ თავისი ზომის ქუდი ვერ ამოარჩია. უფრო დაკვირვებით მოათვალიერა სახელოსნო. მარცხენა კედელში პატარა თახჩა შენიშნა, რომელიც წინა მხრიდან მინით იყო დახურული და შიგ ორი ცალი ნაბდის ქუდი იდო. თავიდანვე იგი არ შეუმჩნევია, რადგან კედლის ეს მხარე ნაკლებად იყო განათებული. მახარეს ზედმეტმა ცნობისმოყვარეობამ წასძლია და უფრო ახლოს მიდგა მარცხენა კედელთან. უყურებდა, მაგრამ თვალს ველარ აცილებდა ამ საოცარი ოსტატობით და არაჩვეულებრივი მასალისაგან დამზადებულ ქუდებს. შავი ყაითანით ლამაზად მოგვირისტებულ, აბრეშუმივით წმინდა კრავლის ბეწვისაგან დიდი ხელოვნებით გამოყვანილ ქუდს ალბათ მუჭაში დაიტევდა კაცი.

— რატომ უდევს ეს ქუდები აქ, საინტერესოა! — გაიფიქრა მახარემ და მექუდისაკენ შემობრუნდა.

— რაო, ყმაწვილო, ვერ შეარჩიე შენი ზომის ქუდი თუ ნახელავი დამიწუნე?..

— როგორ გეკადრებათ, ძია გიორგი. კარგი ქუდებია, მაგრამ არც ერთი არ მომერგო.

— რა ვქნა, აბა, შვილო. — უმწეოდ გაშალა ხელები მექუდემ. — რაკი არ არის, რა გაეწყობა. გაიარე სხვა ხელოსნებთან, იქნებ ნახო რამე.

მახარემ ცოტა შეიცადა. მერე როგორღაც გაუბედავად ჰკითხა მოხუცს:

— ძია გიორგი, ა იმ თახჩაში რო ქუდები გიწყვია, მე მგონი, ჩემი ზომისა უნდა იყოს, მათ როგორ ყიდი?

— ეგ ქუდები არ იყიდება, შვილო. მაგათ ფასი არ ადევს! — ცივად თქვა მოხუცმა.

— როგორ თუ არ იყიდება, აბა, რისთვის გილაგიათ იქ?..

— მაგ ქუდებს სანამ თავისი პატრონები არ გამოუჩნდება, მანამდე მანდ ეწყობა.

მოხუცის ქარაგმული და მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკიდან მახარემ ვერაფერიც ვერ გაიგო და მხრებაწეული ხან მექუდეს შეხედავდა, ხან წიპუკას. როგორც ეტყობოდა, ვერც ვერაფერი წიპუკამ გაიგო მათი საუბრიდან, ქუდებით კი დაინტერესდა. იმანაც შეიხედა თახჩაში და კმაყოფილებით თქვა: — მართლა კაი ქუდებია, ჩემი თავის მზემ. მიჰყიდე, არა უშავს რა, ძია გიორგი, ეეერთი ქუდი ამ ჯეილს, გულს ნუ ატკენ. დრო ახლა ამათია, ახალგაზრდებისა, ხო იცი ლამაზი ჩა... ჩაცმა-დახურვა ჯერ ჩვენ გვიხარია...

— ყველაფერი ვიცი, ჩემო ქიტესა, მაგრამ მაგ ქუდებს არა ვყიდი! — ჯიუტად გაიმეორა მოხუცმა.

— ძია გიორგი, რაცა ღირს, გინდა ორმაგად და სამმაგად გადამახდევინე, ოლონდ აქედან ხელცარიელს ნუ გამიშვებ! — ყელგადაგდებით ერთხელ კიდევ შეეხვეწა მახარე მექუდეს, რომ მისი ჯიუტობა როგორმე მოეტეხა.

მოხუცმა თავისი საოცრად ჭკვიანი და მეტყველი თვალებით ახედა მახარეს და უთხრა:

— წეღან რო გითხარი, მაგ ქუდებს ფასი არ ადევსო, თუ მიხვდი რატომ გითხარი?

— ვერა, ვერ მივხვდი.

— ვერ მიხვდი იმიტომ, რომ ჯეილი ხარ და ქუდის ფასი არ იცი.

— ქუდებს ყოველწლიურად ვყიდულობ, როგორ არ ვიცი.

— არა, მე მაგ ყიდვაზე და ფასზე არ გეუბნები.

— აბა, რომელზე?

— თუ რამეს ფასი ადევს ამ ქვეყანაზე, ყველაზე ძვირი ქუდი ღირს. რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგო ეს. ყველაფრის ყიდვა შეიძლება, შვილო, ფულით, ნამდვილი ქუდისა კი არა. აი, შენ გაგიგონია ასეთი სიტყვები: „ნამუსის ქუდი“, „კაცური ქუდი“, და სხვა ამდაგვარი?..

— კი, როგორ არა.

— ჰოდა, მარტო კაცს კი არა, ადამიანის სინდისსაც, ნამუსსაც, პატიოსნებასაც და სხვა დანარჩენ კაცურ ღირსებასაც თავისი ქუდი ახურავს. სიკეთე და ბოროტებაც ამ ქვეყანაზე თავთავისი ქუდებით დადიან.

მოხუცმა მექუდემ თვალები ოდნავ მოჭუტა და ღიმილით იკითხა:

— ადამიანის სინდისის ყიდვა თუ შეიძლება ფულით?

ამ უცნაურ შეკითხვაზე მახარე ცოტა შეყოყმანდა.

— არა, რა თქმა უნდა. — უთხრა ბოლოს.

— სწორეა! სინდისს, ნამუსს, პატიოსნებას, კაცურ კაცობას ფულით ვერ ყიდულობენ, მილიონიც რო დახარჯონ. სამწუხაროდ, ზოგიერთები ხშირ შემთხვევაში ყიდიან ან კარგავენ მას. ასეთ ადამიანებზე იტყვიან: სინდისგაყიდულია, ნამუსდაკარგულიაო და კიდევ უფრო უარესსაც ლაპარაკობენ.

— ეგ მართლაც ასეა! — კვერი დაუკრა მახარემ.

— ჰოდა, როგორც მათი ყიდვა არ შეიძლება ფულით, ისე კაცური ქუდის ყიდვაც არ შეიძლება. სხვაგვარად რო ვთქვათ, ქუდი თავად არის ადამიანის სინდისიც, ნამუსიც და პატიოსნებაც, ვისაც ეს სწორად ესმის...

მოხუცმა ცოტა შეისვენა, ჭრელი ბაღდადით ოფლით დაცვარული შუბლი შეიმშრალა და განაგრძო:

— წელიწადში ორ-სამ ქუდს თუ შევკერავ, მეტს არა.

— როგორ თუ ორ-სამ ქუდს... აბა, ეს ქუდები თქვენი შეკერილები არ არი? — და მახარემ დახლებზე დალაგებულ ქუდებზე მიუთითა.

მის ასეთ გულუბრყვილო შეკითხვაზე მექუდეს გაეცინა.

— ამათზე არ გეუბნები, მე იმ ქუდებზე მაქვს საუბარი.

— კაცური კაცის ქუდებს რომ ეძახი?

— ჰო.

— მერე და ვინ არის ამ კაცური კაცების, სინდის-ნამუსის, პატიოსნების ამწონავ-დამწონავი, რომ ასეთი ქუდის დახურვის ღირსი გახდეს?

— ხალხი, შვილო!.. ხალხია თითოეული ჩვენგანის სასწორ-ჩარექი, ნათქვამისა თუ ნამოქმედარის პირუთვნელი შემფასებელი.

— მერე და როგორ ადგენ, ვინ არის ასეთი ქუდის ტარების ღირსი?.. ადამიანებს ზედ ხომ არ აწერიათ, ვინ რისი მოქმედია?..

— ზედ არ აწერია, მაგრამ სასახელო საქმე და, განსაკუთრებით კი სამარცხვინო, გატეხილი ტაშტივით ხმას გამოიღებს და ერთ დღეში შემოირბენს სოფლებს და ქალაქებს. მალე იგებს, ძალიან მალე ხალხი ასეთ ამბავს და სამართლიანადაც განსჯის ხოლმე ამ საქმის მოქმედის კაიკაცობასაც და ცუდკაცობასაც. ასე რომ, მათი როგორც კარგი, ისე ცუდი სახელი ჩემამდისაც აღწევს და, მე მგონი, მათი ერთმანეთისაგან გარჩევა არ გამიძნელდება.

— ააააამაზე მეტი სასახელი საქმე რაღა გინდა, შე... შე.. დალოცვილო, რაც ამ ბიჭმა დღეს გააკეთა. თელაველებმა ხელში აყვანილი ლამის მთელი ქალაქი შემოატარეს. — თქვა წიპუკამ.

— რა გააკეთა მაინც ამისთანა? — დაინტერესდა მექუდე.

— რა გააკეთა რას მიქვიან?!. დღეს ეს რომ არ ყოფილიყო, თელაველებს თავი მოგვეჭრებოდა, ისეთი ფალავანი დააწვინა ბეჭებზე.

მოხუცი მექუდე ერთბაშად გამოცოცხლდა. თვალებში ნაპერწკლებმა დაუწყო თამაში და თითქოს პირველად დაი-

ნახაო, უფრო მეტი ყურადღებით დაუწყო თვალიერება მახარეს.

— მაშ ეს არის, ახმეტელი მოჭიდავე რომ წააქცია?

მახარეს და წიპუკას ორივეს გაოცება გამოეხატა სახეზე, გაუკვირდათ, ასე მალე საიდან გაიგო მექუდემ ეს ამბავი.

— ეს არი, მაშ! ამას ენაცვალოს ქიტესა დედის ძუძუებში! — სიამაყით გადახედა წიპუკამ მახარეს.

— შენ მახარე არა გქვიან, შვილო? — შეეკითხა მოხუცი მახარეს.

— დიახ, — თავი დაუკრა უზომოდ გაკვირვებულმა მახარემ და შეეკითხა: — კი, მაგრამ, ჩემი სახელი საიდანღა იცი?..

— წელან რომ გითხარი, როგორც სასახელო, ისე სამარცხვინო საქმე გატეხილი ტაშტივით ხმას გამოიღებსო, განა ტყუილი გითხარი... აი, ხომ ხედავ, სანამ თქვენ ჩემამდე მოხვიდოდით, შენმა ამბავმა აქამდე უკვე მოაღწია.

— მაშ, დღევანდელი ჭიდაობის ამბავი კარგად გეეცოდინება, არა? — ჰკითხა წიპუკამ მექუდეს.

— მე კი არა მარტო, მთელი ბაზარი ამაზე ლაპარაკობს...

— მართლაც სალაპარაკოა, ჩემი თავის მზემ. — თქვა წიპუკამ, — ხუმრობა საქმე ხომ არ იყო იმ კამეჩის, ბუ... ბუღასავით მოჭიდავის წაქცევა. რომ იცოდე, რა დღე დააყენა ჩვენ ბიჭებს, სანამ მ... მახარე მოვიდოდა, მაგრამ ვენაცვალე ამის გამზრდელს, ყველას ჯავრი ამან ამოიყარა.

მახარეს ამდენი ქება ეუხერხულა და წიპუკას მიუბრუნდა.

— ნუ აზვიადებ, ძია ქიტესა. იმდენიც არაფერი გამიკეთებია, რამდენსაც მაქებ.

მოხუცმა მექუდემ კმაყოფილებით შეხედა მახარეს და თავისი ტკბილი, ხავერდოვანი ხმით თქვა:

— პირში ქება არ მიყვარს, შვილო, მაგრამ კარგი ახალგაზრდა რომ ყოფილხარ, ეს თვითონ ხალხმა ილაპარაკა დღეს შენზე. ხალხის ალღო კი უტყუარია და შეუმცდარი. ზედმეტადდ არც არავის აქებს და არც აძაგებს.

მოხუცი ტაბურეტიდან წამოდგა, თახჩასთან მივიდა, ფრთხილად ასწია მინა მაღლა და იქიდან ერთი ნაბდის ქუდი გამოიღო.

— მამიახლოვდი, შვილო. — ტკბილი, ალერსიანი ხმით უთხრა მოხუცმა მახარეს, — ამ ქუდზე უკეთესი საჩუქრის მოცემა მე სხვა არაფერი შემიძლია შენთვის. მიიღე ჩემგან იგი, როგორც მშობლისგან წრფელი გულით ბოძებული სახსოვარი. ოღონდ ატარე იგი კაცური სინდისისა და პატიოსნების ნიშნად და არასოდეს ჩამოიწიო შუბლიდან თვალებზე საკუთარი სირცხვილისა და სიგლახის დასაფარავად.

მოხუცის ამ სიტყვებმა მახარე გულის საძირკვლამდის შეძრა და ისეთნაირად ააფორიაქა, რომ თავდაპირველად ფეხის გადადგმაც კი ვერ მოახერხა, შემდეგ, როგორც იყო, გატეხილი ნაბიჯით გაუბედავად მიუახლოვდა მოხუცს, რომელმაც ეს სანუკვარი ქუდი თავისივე ხელით დაახურა თავზე და მამაშვილურად დალოცა:

— მშვიდობაში, ბედნიერებაში და კაი კაცობაში გაგეცვითოს, შვილო, ეს ქუდი! — და შუბლზე აკოცა.

— აი, დაგელოცოს, ძია გიორგი, სიტყვაცა და მარჯვენაცა, აჰა!..

— იცოცხლე, ძია გიორგი, იცოცხლე. ხატივით კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა!..

— ნამდვილად ღირსია მახარე ამ ქუდისა, ღირსი! — გაისმა მათ ზურგს უკან რამდენიმე ხმა.

მახარემ თავი მოაბრუნა და დაინახა, რომ ძია გიორგის

ფარდულის წინ ბლომად ხალხს მოეყარა თავი და, როგორც ჩანს, მათ საუბარს თავიდანვე დიდი ინტერესით ისმენდნენ.

სიხარულისაგან დაბნეულმა მახარემ მადლობა მოუხადა ამ მართლაცდა ხატივით კაცს, დაემშვიდობა და უზომოდ ბედნიერმა თან გაიყოლა მისი დიდი კაცობის გულის სითბო, მისეული რწმენა სიკეთეზე, პატიოსნებაზე და ცხოვრების ავ-კარგზე.

ამ შემთხვევის შემდეგ აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტმა ხანმა გაიარა, მაგრამ მოხუცის ანდერძიდან მახარეს ერთი ნაბიჯიც არ გადაუხვევია. რა მდგომარეობაშიც არ უნდა მოხვედრილიყო, ყოველთვის თვალწინ ის ღვთისნიერი კაცი ედგა, რომელიც შორიდან უთვალთვალებდა და ამოწმებდა მის მოქმედებას. ხშირად მძიმე და ძნელი წუთებიც ჰქონია, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არასოდეს ჩავარდნილა, რადგან მეგზურად ისევ და ისევ იმ კაცური კაცის მადლიანი სახე მიუძღოდა წინ ანთებული კელაპტარივით და სწორ გზას უჩვენებდა.

მახარე თავის სასახელო თუ სასიკეთო საქმის ავ-კარგსაც მოხუცი მექუდის თვალითა და გონებით აფასებდა.

წელს წელი მისდევდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მოხუცის ნაჩუქარი ნაბდის ქუდი მახარეს სხეულისა და სულის თითქმის განუყოფელ ნაწილად იქცა. მისი დანახვა ან ხელით შეხება ყოველთვის მოხუცის სახეს ახსენებდა და მისი ტკბილი, მშობლიური ხმა ჩასწვდებოდა ხოლმე ყურში: „ატარე, შვილო, იგი კაცური სინდისისა და პატიოსნების ნიშნად და არასოდეს ჩამოიწიო შუბლიდან თვალებზე საკუთარი სირცხვილისა და სიგლახის დასაფარავად"...

რამდენად დიდი და რამდენად საჭირო გაფრთხილება იყო ეს სიტყვები მახარესათვის მაშინ, როგორც ახალგაზ-

რდა კაცისათვის, რომელიც ცხოვრების დიდი აღმართის მხოლოდ დასაწყისში იდგა და, თუ დღეს ეს მძიმე და ძნელი გზა გადალახული აქვს, იმ სულიერი საგზლის გარეშე, იმ დიდი რწმენისა და შთაგონების გარეშე, რომელიც მოხუცმა მაშინ მახარეს სხეულს შთაბერა, ცხადია, ეს შეუძლებელი იქნებოდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდოდა ეცოცხლა ამ რწმენასა და შთაგონებას მასში. ამიტომ იყო, რომ თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მოხუცი მექუდის სახსოვარსაც, რომელიც მისთვის უბრალოდ რაღაც უსულო საგანს კი არ წარმოადგენდა, ცოცხალ, სულიერ არსებასავით ცხოვრობდა მის გვერდით, არ უნდოდა მალე გასცვეთოდა ნაჩუქარი ქუდი. გადასაგდებად, სულ ერთია, ვერ გაიმეტებდა. ამიტომ ძალიან უნდოდა მასაც მასთან ერთად ეცოცხლა, თუ ამას სიცოცხლე შეიძლება დაუძახოს კაცმა.

წელიწადში რამდენჯერმე თუ დაიხურავდა მხოლოდ, ისიც სადღესასწაულო დღეებში, დანარჩენ დროს სკივრში ინახავდა, რომ მტვერი არ დასდებოდა, მაგრამ მერე და მერე ჩვევად ექცა ქუდისათვის ყოველდღიურად დაეხედა, გაესაუბრა მასთან, ხელით შეხებოდა და მოფერებოდა. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე და ცოცხლობდა თავისებური სიცოცხლით ეს ნაბდის ქუდიც მასთან ერთად, მაგრამ დრო გავიდა, პატრონი დაბერდა, დაჩაჩანაკდა, ქუდი კი ვითომ ახალი შეკერილიაო, ისევ კოხტა, პეწშეუშლელი იდო თავის ადგილზე.

აი, ასეთი იყო მოკლედ, ამ ქუდის ისტორია, რომელსაც მაშინ პაპა მახარე მოუყვა გიას.

— მართლაც საინტერესო თავგადასავალი ჰქონია, პაპა, შენ ქუდს. — მოჯადოებულივით ჩურჩულით თქვა გიამ, როცა პაპამ თხრობა დაამთავრა.

— ხომ კარგად დაიხსომე ყველაფერი, რაც დღეს მოისმინე?

— კი, პაპა, გინდა მოგიყვები სიტყვასიტყვით.

— მოყოლა არ მინდა, შვილო, ეცადე ისე იცხოვრო შენც, როგორც ის ჭკვიანი მოხუცი მე მასწავლიდა...

— პაპა მახარე, მეც მინდა, რომ შენსავით სახელოვანი გამოვიდე...

— შენ უკეთესი უნდა გამოხვიდე, შვილო, რადგან თქვენ, ახალგაზრდებს დღეს ისეთი პირობები გაქვთ, რომ ჩვენ ამნაირ ცხოვრებას ზღაპარშიც ვერ მოვისმენდით. ამიტომ სახელითაც, ცოდნითაც, სიკეთითაც ჩვენზე უკეთესები უნდა იყოთ, ჩვენზე კარგები.

პაპა მახარე ერთი წუთით გაჩუმდა, სათუთუნე მოიმარჯვა და გვერდზე დადებულ ყალიონს მისწვდა, რომ ხელმეორედ გაეწყო, მაგრამ გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა და სახეზე სიფითრემ გადაჰკრა. თითქოს ჰაერი არა ჰყოფნისო, რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ უმალვე მკერდზე იტაცა ხელი და სახე-დაღრეჯილი ისევ ჩაიკეცა.

— რა იყო, პაპა, რა მოგივიდა? ცუდად ხომ არა ხარ?! — მივარდა შეშინებული გია პაპა მახარეს.

— არა, არაფერია, შვილო, გაივლის. ხანდახან გულმა იცის ხოლმე თავის შეხსენება.

— წყალი ხომ არ მოგიტანო, პაპა?

— ჰო, მოიტანე, შვილო, ცოტა სახეს გავიგრილებ.

გიამ მაშინვე მოარბენინა ხელადით წყალი.

პაპა მახარემ რამდენიმე ყლუპი მოსვა, შემდეგ სახეზე შეისხა, სველი ხელით გაღეღილი მკერდი გაიგრილა და ოდნავ შვება იგრძნო.

შეშფოთებული გია თვალებში შეჰყურებდა პაპას.

— ახლა უკვე კარგადა ვარ, შვილო. უბრალოდ, დაღლილობის ბრალი იყო ალბათ.

— დაიღლებოდი აბა რა იქნებოდა, ამდენი იმუშავე დღეს.

— სხვა დროს ამაზე მეტს ვმუშაობდი, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და საქმეს ადვილად ვინელებდი. დაღლა არც კი ვიცოდი რა იყო. ახლა დავბერდი და საქმე მე მინელებს, პირიქით. ეჰ, რას იზამ, ნათქვამია: სიბერე ლომს მორევიაო...

პაპა მახარე წამოდგა და მძიმე, მოზომილი ნაბიჯით სახლისაკენ გაემართა. მისი ნაამბობით ფიქრებაშლილი გიაც უკან გაჰყვა...

V

ივახშმეს თუ არა, მალე დაწვნენ დასაძინებლად, მაგრამ არ იქნა და გიას ძილი მაინც არ მიეკარა. მოუსვენრად ტრიალებდა საწოლში და ბალიშში თავჩარგული მაგრად ხუჭავდა თვალებს. ვერაფრით ვერ დააღწია თავი ჭილ-ყვავივით შემოსეულ ფიქრებს. დიდხანს ინვა ასე თვალებგახელილი და გაფართოებული გუგებით ჯიუტად შესცქეროდა ოთახის სიბნელეს, რომელიც რაღაც უსახო და პირქუშ მასად შენივთებულიყო მის თავზე. საფეთქლები უხურდა, თავბრუ ეხვეოდა. დროდადრო კი ეჩვენებოდა, თითქოს უთვალავი ფერადი წრეები ცისარტყელასავით ციმციმებდნენ წყვდიადში, რომლებიც ცელქი ტალღებივით ნარნარი როკვით ხან ოთახის კედლების მიღმა უჩინარდებოდნენ, ხან კი შემაძრწუნებელი სიბნელიდან კვლავ ცეცხლოვან ტალღებად ან მოცეკვავე სილუეტებად შემოიქცეოდნენ.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა. უმთვარო,

პირქუში ღამე იყო. სამარისებურ სიჩუმესა და ბუნების ამ საოცარ მყუდროებას ცაცხვის ხეების ფოთლების ნელი შრიალი თუ არღვევდა მხოლოდ, რომლებიც სახლიდან ცოტა მოშორებით ნაბდიანი გოლიათებივით ასვეტილიყვნენ და თითქოს ამ შემაზრზენ ღამეულ დუმილს სდარაჯობდნენ.

გიამ მტანჯველ ფიქრებთან ჭიდილს ვეღარ გაუძლო, წამოდგა საწოლიდან, ფარდა გადასწია და ლანდივით აეკრა ჩაბნელებულ სარკმელს, რომლის მიღმაც იდუმალებაში ჩანთქმული წყვდიადი მძიმე ფარდასავით ჩამოშვებულიყო გაფერმკრთალებული ზეცის თავანიდან. დიდხანს ფიქრობდა იგი ასე გარინდული ხვალინდელ დღეზე, პაპა მახარეზე და კიდევ ათას რამეზე.

VI

კარგა ხნის გათენებული იქნებოდა, როცა გიას გამოეღვიძა და ელდანაკრავი წამოვარდა ლოგინიდან. დედა საწოლში აღარ დახვდა. როგორც ჩანდა, იგი ადრე გასულიყო ოთახიდან.

ბავშვს რაღაც ტკივილის მაგვარი დაეძრა მკერდიდან, ნელ-ნელა წამოვიდა მაღლა და ყელში ბურთივით გაეჩხირა. თვალებში ცრემლები მოაწვა, ტუჩები აუკანკალდა. უნდოდა დაეყვირა, ვიღაცისთვის ხმა მიეწვდინა, მაგრამ კრიჭაშეკრული ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. თითქოს ვიღაცა ყაყრანტოში ხელს უჭერდა. გულზე მოწოლილი ბრაზი და ბოღმა ახრჩობდა. ვერ მოენელებინა, რომ ასე მოატყუეს დედამაც და პაპა მახარემაც. არა სჯობდა ისევ უარი ეთქვა თელავში წაყვანაზე?! რატომ არ გააღვიძეს? რაშია საქმე? რა მოხდა?..

აფორიაქებულმა ხელი წამოავლო თავის ხალათს, შიშველი ფეხები ქოშებში გაუყარა და თავქუდმოგლეჯილი გარეთ გავარდა. თვალის დახამხამებაში ჩაირბინა კიბე და რამდენად დიდი იყო მისი განცვიფრება, როცა სახელოსნოს ფარდულის წინ ჭურჭლით დატვირთული ცხენის ურემი იმავე ადგილზე დახვდა, სადაც წუხელ საღამოს დატოვეს. ხოლო ეზოს შემოსასვლელთან, დიდი ცაცხვის ხის გვერდზე, სასწრაფო დახმარების მანქანა იყო გაჩერებული.

„ნეტავი რა მოხდა? ან ამ საავადმყოფოს მანქანას აქ რა უნდა? პაპა ხომ არ გახდა ავად? — შეშფოთდა გია და დაბლა სართულის იმ ოთახისაკენ გაეშურა, სადაც პაპა მახარე იძინებდა. ოთახის კარები გაღებული იყო. როგორც კი ზღურბლზე ფეხი დადგა, ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, ადგილზევე გაშეშდა. თავის საწოლში, ამაღლებულ სასთუმალზე, ფერმიხდილი და თვალებმილულული პაპა მახარე მისვენებულიყო, რომელსაც გვერდზე თეთრხალათიანი უბნის ექიმი მისჯდომოდა და დიდი გულმოდგინებით სინჯავდა. ოთახში შინაურების გარდა მეზობლებსაც მოეყარათ თავი და ყველა რაღაც შინაგანი შეშფოთებით მისჩერებოდა ავადმყოფს.

გია ოთახში გამეფებულმა ამ სამარისებურმა დუმილმა შეაძრწუნა პირველად. პირიც კი გააღო, რომ დაეყვირა, მაგრამ ამის მაგივრად რაღაც უცნაური ხრიალი აღმოხდა პირიდან. კარებთან ახლოს მდგომმა დედამ ხელი მოჰკიდა შვილს, ზედ მიიხუტა და ტუჩებზე ხელის მიდებით ანიშნა, რომ ჩუმად ყოფილიყო.

როცა ექიმი ავადმყოფის გასინჯვას მორჩა, გიას მამამ იგი ცალკე გაიხმო და ჰკითხა:

— როგორ არის, ექიმო, საქმე? ეშველება რამე თუ არა?

— ვერ დაგიმალავთ და მდგომარეობა თითქმის უიმე-

დოა, მიოკარდიუმის ინფარქტთან გვაქვს საქმე. მაჯა თითქმის აღარ ისინჯება და დამატებით მიცემულმა დანიშნულებამ ავადმყოფის მდგომარეობა შეიძლება მხოლოდ დროებით გააუმჯობესოს. ასე რომ, მე ამ შემთხვევაში სრულიად უძლური ვარ და აღარაფრის გაკეთება არ შემიძლია — თქვა ექიმმა.

საოცრად დაბნეული და აღელვებული გია, რომელიც აქამდე დედის გვერდზე ერთ ადგილზე იდგა გაშეშებული, რაღაც საზარელი ამბის მოლოდინში ისე გაოგნებულიყო, რომ ხეირიანად ვერც კი გარკვეულიყო, რა ხდებოდა პაპა მახარეს ოთახში, მაგრამ როგორც კი ექიმის სიტყვები მოისმინა, დარწმუნდა, რომ მის საყვარელ ადადმიანს საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა და იგი მათგან სამუდამოდ უნდა წასულიყო. ამის წარმოდგენამ თავზარი დასცა, მეტის ატანა ვეღარ შეძლო და ყელში მოწოლილ ბოღმასა და თვალებში დაგუბებულ ცრემლებს გზა მისცა.

— პაპა! — სასოწარკვეთილი ხმით დაიწივლა ბავშვმა და ხელებგაშლილი პაპა მახარეს საწოლზე დაემხო.

ავადმყოფმა ერთი წუთით გაახილა თვალი, დანისლული მზერა შვილიშვილს მიაპყრო, ბურანში წასულს თითქოს თავისი სახელიც მოესმა საიდანღაც, მაგრამ კარგად ვერ გაარჩია, საიდან იყო ეს ხმა. შორიდან უხმობდა თითქოს ვიღაც. შემდეგ დახუჭა თვალები და ცისფერი ოცნების ბურუსში გაეხვია.

— პაპა, რა მოგივიდა, პაპა! რატომ ხმას არა მცემ?! — ეხვეოდა გია მოხუცის გაფითრებულ, ცივი ოფლით დაცვარულ სახეს და თან ღაპაღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა.

მერე ექიმს მიუბრუნდა და მუდარით შესძახა:

— უშველე რამე, ექიმო, პაპას, მოარჩინე! ძალიან გეხვეწები!

— მოვარჩენთ, გენაცვალე, მოვარჩენთ, ოღონდ დაწყნარდი და ზედმეტად ნუ შეაწუხებ ავადმყოფს! შენ ხომ უკვე დიდი ბიჭი ხარ. პაპას ახლა სრული სიწყნარე და სიმშვიდე ესაჭიროება! — უთხრა დაყვავებით ექიმმა აცრემლებულ ბავშვს და ავადმდყოფის საწოლს მოაცილა.

— ექიმო, მისცემთ პაპას ისეთ წამალს, რომ გადაარჩინოთ? — სლუკუნით იკითხა ბავშვმა.

— კი, ჩემო პატარა, ნუ გეშინია. შემდეგ იქვე გაჩერებულ მედდას დაავალა, ავადმყოფისათვის კიდევ გაეკეთებინა ნემსი.

გია ოდნავ დაწყნარდა, მაგრამ ცრემლები მაინც ვერ შეაჩერა. ისევ დედის კალთას ჩაებღაუჭა.

— დედა, გადარჩება თუ არა პაპა მახარე? მითხარი, გადარჩება? — ჩათუთქული ხმით შესძახა ბავშვმა და ცრემლში მოცურავე თვალები ახლა დედას მიაპყრო.

— გადარჩება, შვილო, კი, როგორ არ გადარჩება, ნუ გეშინია, დამშვიდდი, ნუ ტირიხარ, გენაცვალე! — ალერსით ხელი მოხვია დედამ აფორიაქებულ შვილს და სახიდან ცრემლები ჩამოუწმინდა.

დამატებითი ნემსის მიღების შემდეგ არ გასულა ხუთი წუთიც, რომ ავადმყოფი მართლაც საგრძნობლად მომჯობინდა, სახეზე ფერი დაუბრუნდა, ნორმალურად და ზომიერად დაიწყო სუნთქვა. ცოტა ხნის შემდეგ თვალებიც გაახილა და ოთახში მყოფნი სათითაოდ მოათვალიერა. შემდეგ სხივჩამქრალი მზერა გიაზე შეაჩერა და კარგა ხანს თვალი ვეღარ მოაცილა. რას ფიქრობდა ან რას განიცდიდა ამ წუთში პაპა მახარე, არავის შეეძლო გამოცნობა, მაგრამ მის დაჟინებულ, უსიტყვო და ხანგრძლივ მზერაში დაკვირვებული თვალი მაინც შენიშნავდა იმ უძირო სევდასა და მწარე სინანულს, რომლითაც მო-

მაკვდავი ამ მუხთალსა და ვერაგ წუთისოფელს ტოვებდა.

არ უნდოდა, ნამდვილად არ უნდოდა პაპა მახარეს ახლა სიკვდილი. ბევრი რამ დარჩა გიასთვის სათქმელი. სანამ კარგად იყო, ჩქარობდა, რომ ყველაფერი მოესწრო. ისიც იცოდა, რომ ეს დღე მალე დადგებოდა, მაგრამ რა გინდა, მაინც დააგვიანდა! სიკვდილის შავი ლანდი ახლა უკვე სასთუმალთან ედგა და უცდიდა...

რა ყოფილა კაცის გული მაინც. რამდენი წელიც უნდა იცხოვროს ამქვეყნად, თავისი წილი სიცოცხლე მაინც ეცოტავება, თავის სათქმელს თუ უთქმელ სიტყვას, თავის წილ ვარამსა თუ ვილაცის სიყვარულს საგზალივით თან მიიყოლებს და მაინც სიცოცხლემოუთავებელი ტოვებს ამ წუთისოფელს.

ასე იყო პაპა მახარეც. მასაც დარჩა თავისი სათქმელი სიტყვა და გასაკეთებელი საქმე, რადგან საწუთროსაგან ბოძებული ოთხმოცდაორი წელიწადი ოთხმოცდაორი წვეთივით უკვე ჩამოცლილი იყო და მისი წილი სიცოლცხლეც სანთელივით ჩამომწვარი და სხივჩამქრალი. ამიტომ უნდა ეჩქარა, უნდა მოესწრო იმის თქმა მაინც, რისი დროც კიდევ ჰქონდა დარჩენილი.

თავს ძალა დაატანა, ძალ-ღონე მოიკრიბა და აცრემლებულ შვილიშვილს უილაჯო, მისუსტებული ხმით მიმართა:

— მოდი შვილო, ჩემთან, ახლო მოდი!

გია სლუკუნით მიუახლოვდა პაპა მახარეს საწოლს. თითქოს მიკნელებულ კოცონზე ნავთი მოასხესო, ისეთნაირად გაცისკროვნდა და რაღაც შინაგანი შუქით განათდა მომაკვდავის თვალები, რომელიც შემდეგ ისევ ნელ-ნელა ჩაიფერფლა და ჩაქრა. ნახევრად ღია, დანისლული ქუთუთოებიდან ცრემლებმა გამოჟონა და წვეთ-წვეთობით მოხუცის თეთრად დაფენილ წვერ-ულვაშზე დაიწყო ჩამოდენა.

— ვერ შეგისრულე დაპირება, ჩემო ბიჭუნა, მოგატყუილე, ხო ხედავ...

— არა უშავს, პაპა, მორჩები და მერე წავიდეთ.

— არა შვილო, მე აღარც წამსვლელი ვარ სადმე და აღარც მოსარჩენი პირი მიჩანს... ჩემი წუთები დათვლილია. საამქვეყნო პირი აღარა მაქვს, ხო ხედავ, მაგრამ შენთვის მოცემული დაპირება ნაწილობრივ მაინც უნდა შეგისრულო... ამისი დარდი აღარ მინდა გამყვეს...

ავადმყოფმა ცოტა ხანს შეისვენა. მერე თვალებით თავისი რძალი მონახა და ხელით ანიშნა, ახლოს მისულიყო.

— წადი, შვილო, სკივრში რომ ჩემი ნაბდის ქუდია, აქ მომიტანე...

რძალი გაბრუნდა, კუთხეში დადგმული სკივრიდან ნაბდის ქუდი ამოიღო და მამამთილს გადასცა.

ყველა გაოცებული უყურებდა ამ სურათს. არავინ იცოდა რაში დასჭირდა ან რისთვის მოითხოვა მომაკვდავმა თავისი ქუდი.

პაპა მახარემ დიდი კრძალვითა და მოწიწებით ატრიალა ხელში ნაბდის ქუდი. კარგა ხანს ესიყვარულებოდა და ეფერებოდა იგი თავისი ცხოვრების ამ განუყრელ და საოცარ თანამგზავრს. დროდადრო ნაზად გადაუსვამდა ხოლმე ულონო და აკანკალებულ ხელს ზემოდან, თან ათრთოლებული ბაგეებით რაღაც საალერსო სიტყვებს ეჩურჩულებოდა. ცხადი იყო, რომ ისევე, როგორც სიცოცხლესთან, ნაბდის ქუდთანაც დიდად ეძნელებოდა დაშორება პაპა მახარეს. მაგრამ მან ამასთან ერთად ისიც მშვენივრად იცოდა, რომ ზოგიერთივით სულხორციანად არ იკარგებოდა საბოლოოდ — ეს ქუდი აგრძელებდა მის სანახევრო სიცოცხლეს, რამეთუ მისი სული სწორედ ამ ქუდში იყო ჩასახლებული და მას სხეულივით სიკვდილი არ შეეძლო. დი-

ახ, აქ რჩებოდა იგი ცოცხალთა შორის და ქვეყნად კიდევ კარგა ხანს უნდა ევლო სიკეთის მეკვლედ და წინამძღვრად.

პაპა მახარემ, როგორც იყო, თავი ასწია და მზერა ისევ შვილიშვილზე გადაიტანა.

— შვილო... ახლა ხომ იცი... როგორი ქუ... ქუდია ეს ქუდი? — ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოსთქვა ავადმყოფმა.

- კი, პაპა.

— ჰოდა, ამაზე უკე... უკკეთეს ქუდს ვერც... თელავში ვიყიდდით... მოდი ახლო... შვი... შვილო...

გია უფრო ახლოს მიდგა პაპას საწოლთან.

მოხუცმა აკანკალებული ხელებით გაჭირვებით დაახურა გიას თავისი საყვარელი ქუდი და მისუსტებული ხმით ჰკითხა:

— ხო კარგად გახსოვს... შვი... შვილო, მო... ხუცი მექუ... დის სიტყვები ამ... ქუდს რომ მახურებდა? — ავადმყოფს უფრო და უფრო უჭირდა საუბარი.

— მახსოვს, პაპა.

— ჰოდა, არ დაივიწყო... შვილო... არც ის სი...ტყვე...ბი და არც ის, რომ ამ ქუდმა სამოცი წელი იარა ამ ქვე... ქვე... ყანაზე პატიოსნად და შეუგინებლად. ატარე იგი შენც ისევე ღირსეულად, როგორც მე მეხურა დღე... დღემდე...

უკანასკნელ სიტყვებს ავადმყოფი უკვე თითქმის ხროტინით ლაპარაკობდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა, რომ სათქმელი ბოლომდე ჩაეთავებინა. ისევ ცივმა ოფლმა დაასხა. გაფითრდა. თვალის გუგები ზომაზე მეტად გაუფართოვდა.

— წა... წა... დი... ახლა... შვი... შვი...ლო... წა... ყელში როგორლაც ამოიხრიალა მოხუცმა და თავი გვერდზე მიაბრუნა.

— არა, პაპა, არა! — განწირული ხმით შესძახა ბავშვმა

და თითქმის სანახევროდ გაციებულ პაპა მახარეს სხეულს ჩაეკონა.

— მოაცილეთ ბავშვი. გაიყვანეთ გარეთ! — თქვა ვილაცამ.

ამ სიტყვებმა ოთახში მყოფნი თითქოს გამოაფხიზლა და რამდენიმე კაცი მომაკვდავის საწოლს მიეახლა. მაგრამ, როცა აცრემლებული გია პაპა მახარეს მოაცილეს, მოხუცის სული უკვე განშორებოდა სხეულს სამუდამოდ და წუთისოფლის სიმუხთლის ნიშნად მისთვის სახეზე ნაღველნარევი ღიმილიღა დაეტოვებინა.

* * *

დათომ მანქანა ქუჩის მარჯვენა მხარეს მიაყენა და ძრავა გამორთო. პროფესორი, ღრმა ფიქრებში წასული, თითქოს არც აპირებდა მანქანიდან ჩამოსვლას.

— მოვედით, ბატონო გიორგი! — როგორღაც გაუბედავად თქვა დათომ და პროფესორს შეხედა.

— ჰოო, მოვედით?.. ფიქრებში წავედი, არც შემიმჩნევია! — დაბნეულად ჩაილაპარაკა პროფესორმა და მანქანიდან გადმოვიდა.

ჯავრია

ვისაც ერთხელ მაინც უხილავს არაგვის ხეობის ველური სილამაზე და მოხიბლულა ცას მიბჯენილი საჯიხვეების ცქერით, ალბათ ძნელად თუ წარმოიდგენს, რომ, რამდენადაც ამაღელვებელი და დამატყვევებელია ამ ჯადოსნური მთების საუფლოში ყოფნა, იმდენად საშიში და სახიფათოა იქ მგზავრობა ზამთარში, როცა ტყვიისფერ ღრუბლებში თავშერგული ეს გარინდული გოლიათები თეთრ მანტიაში გაეხვევა და მათ შორის ჩამდგარი უფსკრულები გაუვალი ნამქერით აივსება. ამ დროს მიძინებული და თითქმის უსიცოცხლო ბუნება პირველყოფილი ველური სიპირქუშით ირინდება, რომელსაც დროდადრო დამშეული მგლების გოდებასავით გაბმული ყმუილი ანდა მთის ფერდობებიდან მოწყვეტილი ზვავების ჭექა-ქუხილი თუ შეაზანზარებს ხოლმე. ამიტომ მოუთმენლად მოველოდი გამოზაფხულებას, რომ სოფელში წავსულიყავი და მამაჩემი მომენახულებინა.

მას შემდეგ, რაც ჩემი ცოლ-შვილით დუშეთში გადმოვსახლდი საცხოვრებლად, ერთი წელიც არ იქნებოდა გასული, რომ გულით დაავადებული საწყალი დედაჩემი უეცრად გარდაიცვალა და დამრჩა მამა მარტოდმარტო ოთხკედელშუა. რამდენი არ ვეცადეთ მაშინ, დაგვეთანხმებინა ჩვენთან წამოსვლაზე, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

— რომ იცოდე, მკვდარს ცოცხალზე უფრო მეტი მიხედვა და დაფასება სჭირდება, შვილო! — მითხრა მაშინ მამა-

ჩემმა და მცირე პაუზის შემდეგ გააგრძელა — იცი, ვინ არის ყველაზე უბედური ადამიანი? ვისაც ამქვეყნად დამტირებელი და საფლავის მიმხედავი აღარავინ რჩება!

— რატომ ამბობ, მამა, მაგას?!. დედაჩემს დამტირებელიცა ჰყავს და საფლავის მიმხედავიც! — წყენით ვუთხარი მე.

— ვიცი, შვილო, რომ დედის ხსოვნას არ დაკარგავთ, მაგრამ ძალიან მიმძიმს ასე ადრე დედაშენის საფლავთან განშორება, ამიტომ გთხოვთ ამ საკითხზე ჯერჯერობით ნუღარაფერს მეტყვით!..

და მეც აღარაფერი ვუთხარი.

მაგარი და გაუტეხელი კაცი იყო მამაჩემი. ვიცოდი, რომ თავსდატეხილ მწუხარებას თვითონვე მოერეოდა, მაგრამ ამისათვის დრო სჭირდებოდა, დრო, რომ გულზე მოწოლილი ბოღმა გაექარწყლებინა.

ამ გლოვაში გაირბინა ერთმა წელმა. დედის წლისთავი გასული წლის შემოდგომაზე გადავიხადეთ. მას შემდეგ მამაჩემი მხოლოდ ერთხელ ვინახულეთ, საახალწლოდ.

როგორც კი დათბა და გზაც გაიხსნა, ერთ მშვენიერ დღეს შუაფხომდე მიმავალ მანქანას გავყევი, მაგრამ, რაკი გზაში საკმაო ხნით შეგვაგვიანდა, როცა ჩვენი სოფლის გადასახვევამდე მივაღწიეთ, თითქმის უკვე შეღამებული იყო.

— ძმაო, ძალიან მგლიანობაა და ღამით სიარულს არ გირჩევ, ნადირს არაფერს გადაეყარო. — მითხრა მძღოლმა. — გირჩევნია ამაღამ ჩემთან წამოხვიდე და იქიდან უკან რომ დაებრუნდებით, მამაშენის ნახვას ხვალეც მოესწრები.

— არაუშავს, ღამე სიარულს ნაჩვევი ვარ. სახლში მისვლამდე ერთი საათიც არ დამელევა. მთვარიანი ღამეა, დღესავით ჩანს ყველაფერი. — ვუთხარი მე და ჩამოსასვლელად მოვემზადე.

— რა ძალაა, კაცო, ამ ღამით სიარული. მთებიდან ჩამოსული ნადირი დამშეულია ახლა და საკბილოს საშოვნელად სოფლის ახლომახლო დაწანწალებს. თებერვალ-მარტში, ხომ იცი, მგლები განსაკუთრებით საშიშნი არიან. ადამიანზე თავდასხმასაც არ ერიდებიან.

— ერთი თუ იქნება, ვერაფერს მიზამს, ხროვისა კი რა მოგახსენო! — ხუმრობაში გავუტარე ნათქვამი მძღოლს.

— ხროვაზე არანაკლებ საშიში ბაბრია,[1] რომ იცოდე!.. მაგ ლეგჩოხა ვაჟს ხუმრობა არ უყვარს, განსაკუთრებით როცა მშიერია. ამას წინათ ორწყალთან [2] ადამიანის დახეული ჩექმები და ტანსაცმლის ნაფლეთები უპოვიათ თურმე. როგორც ჩანს, მგლებმა ვიღაც საცოდავი მგზავრი თავის თავფეხიანად გადასანსლეს. დღესაც არ იციან ვინ იყო.

— ბაბრზე მართლა მამაჩემიც მელაპარაკებოდა ამას წინათ, მთელი სოფლები შეშფოთებული და აწიოკებულია თურმე: ზოგს თხა-ცხვარი შეუჭამა, ზოგს საქონელი დაუგლიჯა, ძაღლებს ხომ მუსრი გაავლო მაგ ტიალმა. ღამე არ გავა, რომ ვიღაცის ძაღლი არ დაიკარგოს.

— ასე გაბრიყვებული თუა, კაცო, ამდენი მონადირეებიდან ერთმა მაინც ვეღარავინ დაახალა ტყვია მაგ სატიალეს?..

— გამოცდილმა მონადირეებმა რა არ ილონეს მის მოსაკლავად, მაგრამ ამაოდ. ყოველთვის თვალსა და ხელს შუა უძვრებათ და ხიფათს მოხერხებულად აღწევს თავს. ხაფანგებიც რამდენიმე ადგილას დაუგეს დაგდებულ მძორთან, მაგრამ გაეშმაკებული და ყნოსვაგამახვილებული ნადირი სათოფეზედაც არ მიეკარა იმ არემარეს...

— ჰოდა, რა იცი, ის ბაბრი შენც არ შეგეფეთოს ამაღამ.

---

1 ბაბრი — 1.მარტო მოხეტიალე მამალი მგელი, რომელიც განსაკუთრებით საშიშ მტაცებლად ითვლება. 2. დიდი დათვი.

2 ორწყალი — ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვის შესართავი.

ასე ტყე-ღრეში უნდა გაიარო ამდენი გზა. დარჩი, გამიგონე! სიფრთხილეს თავი არა სტკივა! — ერთხელ კიდევ გამაფრთხილა შეფიქრიანებულმა მძღოლმა.

— არა, წავალ! — გადაწყვეტილად ვთქვი მე და თან კაბინის კარები გამოვაღე. — ერთმა ქეციანმა მგელმა რა უნდა მიყოს!

— ქეციანი დაუძახე შენ. თოფიანი ხალხი ვერაფერს უშვრება ამდენი ხანი! იარაღი მაინცა გაქვს რამე?..

— დანაც კი არ მიდევს ჯიბეში.

— მერედა, რისი იმედით მიდიხარ, კაცო, ხომ არ გაგიჟდი?!.

— იარაღი რას მიშველის?

— როგორ თუ რას გიშველის, თავს მაინც დაიცავ. აჰა, აიღე, დანა მაინც გამომართვი! და მძღოლმა თავისი დანა გამომიწოდა.

— მერედა ამ ჯიბის დანით ბაბრს გავაბრუნებ? — სიცილით ვუთხარი მე.

— ჯოხს მაინც გამოჭრი, ძმაო! კარგად ხმარებული ჯოხი იარაღზე ნაკლები როდია!

მძღოლის რჩევა ჭკუაში დამიჯდა და დანა ჩამოვართვი, გამოვემშვიდობე და ჩემი სოფლისაკენ მიმავალ, გატკეპნილ ბილიკს დავადექი. სოფელს ვამბობ, თორემ რაღა სოფელი ეთქმოდა აწ უკვე ნასოფლარს, სადაც ჩვენი ოჯახის გარდა ახლა ერთი ათიოდე მოსახლეღა დარჩენილიყო საცხოვრებლად, დანარჩენებს კი აქაურებისათვის თავისი ჩამქრალი კერები და ლიბომორღვეული ნასახლარებიღა დაეტოვებინათ. ერთ დროს ლამაზად მოვლილი ეზო-კარმიდამოები ახლა გახელებულ ჭინჭარსა და ნარ-ეკალს დაეფარა. რამდენჯერაც აქ ამოვიდოდი, სიმწრით გული მეკუმშებოდა, როცა იმ შამბმორეულ, სახურავჩაქცეულ ნასადგომ-

რებს შევხედავდი. ვერ შევგუებოდი იმ აზრს, რომ ჩვენი სახლიც ოდესღაც ასეთ ნასახლარად იქცეოდა.

„მეც რომ ცოცხალი აღარ ვიყო, შვილებს ანდერძად დავუტოვებ, რომ მამა-პაპის ფუძე არ მოშალონ და სახლს უპატრონონ", — ვფიქრობდი ჩემთვის. ახლა კი აქაურობას მამაჩემი ჰპატრონობდა ჯერჯერობით, მაგრამ როდემდე უნდა ყოფილიყო მოხუცი მარტოდმარტო?..

— ამ შემოდგომაზე კი მაინც როგორმე უნდა დავითანხმო, რომ ჩვენთან წამოვიდეს. შვილიშვილებთან მაინც გაიხარებს, თორემ როგორ შეიძლება მართლა, ცოდვაა კაცი! ხმის გამცემიც კი აღარავინა ჰყავს. მარტო ჯავრიას თუ დაელაპარაკება...

— ჯავრია! ჩემი ჯავრია! — ალერსით ხმამაღლა წარმოთქვი ეს სიტყვები და ფიქრი ახლა ჯავრიაზე გადავიტანე.

ჯავრია კავკასიური ნაგაზის სახელი იყო, ჩემი საყვარელი ძაღლის სახელი. ამ ოთხი წლის წინათ იგი მამაჩემის ერთმა ახლო ნათესავმა მეცხვარემ მაჩუქა, რომელიც ცხვარს მაშინ საზაფხულო საძოვრებზე მიერეკებოდა. თბილისიდან მანქანით მომავალი სრულიად შემთხვევით შევხვდი მაშინ მეცხვარეებს. მათ სწორედ ჩვენი სოფლის გადასახვევთან მცირე ხნით შეესვენებინათ ფარა და თვითონაც გზის პირზე მეცხვარული სუფრა გაეშალათ. ჩვენმა ნათესავმა, როგორც კი დამინახა, დიდი ამბით მომიკითხა და თან სუფრაზეც მიმიწვია. რაკი მეც ნამგზავრი და საკმაოდ მოშიებული გახლდით, მიწვევაზე უარი არ მითქვამს. კარგად დანაყრებისა და რამდენიმე ყანწი ჟიპიტაურის[1] გადახუხვის შემდეგ საუცხოო ხასიათზე დავდექი.

უცებ, პურის ჭამის დროს, იქვე, შორიახლო მობალახე ცხენის ხურჯინისაკენ გამექცა თვალი, საიდანაც ორ ბანჯ-

1 ჟიპიტაური ხილის არაყი.

გვლიან და სასაცილო არსებას ამოეყო თავი. უზომოდ გაოცებული ძია ბათლომესაკენ შემოვბრუნდი და შევეკითხე (ასე ეძახდნენ მამაჩემის ნათესავ მეცხვარეს):

— ძია ბათლომე, აი, იმ ხურჯინის თვალში რომ სხედან, ძაღლის ლეკვებია თუ დათვის ბელები?

— სადა ჰხედავ, ძმისწულო, დათვის ბელებს? — არანაკლებ განცვიფრებულმა ბათლომემაც ბეწვიანი ფაფახი შუბლიდან გადაიწია და გაკვირვებული თვალებით შემომხედა. ალბათ მთვრალი ვეგონე. სხვა მწყემსებმაც გაოცებით დამიწყეს ყურება.

— აგერ, ხურჯინში რომ სხედან.

— ისინი? — ქონიანი თითი ხურჯინისაკენ გაიშვირა ბათლომემ.

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

ბათლომეს დაფანჩული წარბების ქვემოთ ბუღასავით ბრიალა თვალები ჯერ ნელ-ნელა დაუწვრილდა, თითქმის მოეჭუტა, შემდეგ მოჯაგრული ყბები ყურებამდე მიკეცა, პირი დააღო და ისეთი ხარხარი ამოუშვა, რომ სუფრასთან ახლოს მომდგარი ცხვრები შიშისაგან აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ხარხარში ბათლომეს სხვა მეცხვარეებიც აჰყვნენ.

ბოლოს ბათლომემ ცხვრის ტყაპუჭში გაყრილი ადლიანი მხრები როგორც იყო დაიოკა, წამოჭარხლებული სახიდან ცრემლები მოიწმინდა და სიცილით მითხრა:

— შენ, როგორც გატყობ, დათვის ბელები არ გინახავს, ძმისწულო! ბელები განა ეგეთები არიან? ეგენი, აი, იმ ძაღლის ლეკვებია. — მანიშნა ფარის პირას წამოწოლილ უზარმაზარ ქოფაკზე, რომელსაც ბანჯგვლიანი თავი დათვის ტორებივით მსხვილ თათებზე ჩამოედო და თვლემდა.

უცებ შიშისაგან ტანში გამბურძგლა. ამხელა და ასეთი

საშინელი ძაღლი კი არა, ნადირიც არ მინახავს. ადრე იგი არ შემინიშნავს, თორემ მანქანიდან რა ჩამომიყვანდა.

— ეს რამხელა ძაღლი ყოფილა?! — გაკვირვებით წამოვიძახე მე.

— ეგ რა არის! შენ მაგ ლეკვების მამა რო ნახო, მაშინ რაღას იტყვი?

— ამ ძაღლზე დიდი რაღა უნდა იყოს?

— თუ ჩემი არა გჯერა, აი, ამათ ჰკითხე! — მიმითითა ბათლომემ მეცხვარეებზე.

— დიდი რომელია, კინაღამ აგე, იმ აბარგული სახედრისხელა მაინც იქნება, თუ მეტი არა!

— ძაღლი კი არა ლომია, მე და ჩემმა ღმერთმა, ლომი!

— მერედა რა ხმა აქვს, კაცო, რა საშინელი ხმა! ერთს რო ამოიბუხუნებს, მისი ექო მთელ მთებსა და ხეობებს აზანზარებს! — ძაღლის ქებას ერთიმეორეს არ აცლიდნენ მწყემსები.

— თქვენ როგორც ამბობთ, ის ძაღლი ცხენიდან კაცს დაბლა ჩამოიღებს ალბათ, ისეთი საშინელი რაღაცა ყოფილა. მიკვირს თან არ წამოგიყვანიათ. — მივმართე ძია ბათლომეს.

— ის ნაგაზი, ძმისწულო, ჩვენი მომიჯნავე თიანელი მეცხვარეებისაა. ბინები რაკი ახლო-ახლო გვაქვს ზაფხულობით, როგორც თავის ფარეხსა და ფარას, ისე ჩვენსასაც პატრონობს ის ძაღლი.

— გახსოვს, ბათლომე, შარშან თიანეთიდან ამოსულ ერთ თავმომწონე ვეტექიმს კინაღამ შარვალი რო ჩაასველებინა? — ჩაერთო ჩვენს საუბარში ერთი ჩოფურა, ჭაღარაშერეული მეცხვარე.

— როგორ არ მახსოვს, კაცო! — ღიმილით თქვა ბათლომემ. — დილიდან საღამომდე საცოდავ კაცს ცხენზე გაშე-

შებულს ერთ ადგილზე დააღამებინა და უნაგირიდან მოაშარდვინა თურმე, სანამ საღამოს ცხვარი ბინაზე არ მორეკეს მწყემსებმა.

სუფრაზე კიდევ ბევრი შემთხვევა გაიხსენეს მეცხვარეებმა თავისი მწყემსური ცხოვრებიდან, ისაუბრეს ძაღლების ავ-კარგზე, მაგრამ მათ ლაპარაკს წესიერად აღარც ვუსმენდი, რადგან მთელი გულისყური ლეკვებისაკენ მქონდა მიპყრობილი. თვალს არ ვაცილებდი მათ ბანჯგვლიან თავებსა და გამურულ დრუნჩებს.

ბათლომემ, როგორც ჩანს, ეს შენიშნა და მკითხა:

— ძმისწულო, როგორც გატყობ, ეგ ლეკვები მოგეწონა, სულ იმათ რო უყურებ?

— ძალიან! — აღტაცება ვერ დავმალე მე.

— თუ მოუვლი და გაზრდი, გაჩუქებ ერთ ლეკვს.

პირველად მეგონა ყურმა მომატყუა-მეთქი, რადგან ლეკვის თხოვნას მისთვის ისედაც ვაპირებდი, მაგრამ გაწბილებისა მეშინოდა, ბათლომეს გულკეთილობის ამბავი კი ვიცოდი, მაგრამ ასეთ ლეკვს თუ ასე იოლად შეელეოდა, არ მეგონა — კარგი ძაღლი მეცხვარე კაცს ზოგჯერ მთელ ფარა ცხვარს ურჩევნია.

ამიტომ კარგა ხნის გაოგნების მერე, როგორღაც გაუბედავად ამოვღეჭე:

— როგორ? რა მითხარი, ძია ბათლომე?

— რა იყო, ბიჭო, რას გაიკვირვე! ლეკვი თუ არ გინდა, ძალად კი არ გატან!

— როგორ არ მინდა, ძია ბათლომე, შენი ჭირიმე!.. თხოვნა ვერ გაგიბედე, თორემ... პირდაპირ არ ვიცი, ეს სიკეთე რითი გადაგიხადო! — აღელვებულმა წამოვიძახე და ამ დევივით ვაჟკაცს ბალღივით ჩავეხუტე.

— ძმისწულო! იცოდე, ლეკვს ერთი პირობით გაძლევ, —

სერიოზული სახით მომიბრუნდა ბათლომე. — არ გააფუჭო! ჰო, ჰო!.. როგორც კაცი ბალღობაში, ისე ძაღლი ლეკვობაში — ფუჭდება!

მე თავიდან კარგად ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა ძია ბათლომე ლეკვის „გაფუჭებაში", ამიტომ მას კითხვის გამომხატველი სახით მივაჩერდი.

— კარგად გაზარდე! ნუ გარყვნი! — დაამთავრა თავისი დარიგება ბათლომემ.

— სახელებს რას ეძახით?

— ერთს — მურას, მეორეს, რომელიც უფრო ბრაზიანია, — ჯავრიას. შენ რომელიც გინდა ის აირჩიე!

— მე ჯავრია მირჩევნია, ეს სახელი უფრო მომწონს.

— კარგი, ჯავრია წაიყვანე! ჩემთვის სულერთია, ოღონდ ჯერ ცხვარი უნდა გავისტუმროთ და მე და შენ აქ მცირე ხნით შევიცადოთ, თორემ ამათმა დედამ ლეკვით ხელში რომ დაგინახოს, მეც ველარაფერს გიშველი.

ასეც მოვიქეცით. მწყემსებმა კარგა მანძილზე რომ გაგვაცილეს ფარა, ბათლომემ მხოლოდ ამის შემდეგ მომცა ლეკვი და დამემშვიდობა.

მკერდში ლეკვჩახუტებულმა არ მახსოვს სახლამდე როგორ მივაღწიე, ისე ვიყავი გახარებული. იმ დღიდან ჩემთვის ცხოვრებას თითქოს სხვა აზრი და შინაარსი მიეცა, რადგან ბავშვობისდროინდელი ოცნების აღსრულების საშუალება მეძლეოდა.

იმთავიდანვე მიყვარდა ცხოველები, განსაკუთრებით ძაღლები. საკუთარს ვინღა იტყვის, სახლიდან მოპარულ პურს ხშირად ჩუმ-ჩუმად მეზობლის ძაღლებსაც კი ვაჭმევდი ხოლმე. ამიტომ იყო, რომ სოფელში თითქმის ყველა ძაღლი საკუთარი პატრონივით მელაქუცებოდა და კუდის ქიცინით მხვდებოდა. მეზობლები გაკვირვებულები ამბობ-

დნენ: „ნეტავ რა ჯადოს უკეთებს ეს ბავშვი ამ ძაღლებს, რო პატრონებს არ გვინდობენ და ეს კი ლამის ენით თავიდან ფეხამდე გალოკონო".

ბავშვობიდანვე ვოცნებობდი, რომ მყოლოდა ყველაზე დიდი და ღონიერი ძაღლი, ისეთი, სოფელში რომ ყველა ძაღლს დაჯაბნიდა და თვით მგლებსა და დათვებსაც არ შეეპუებოდა, მაგრამ ჩემმა ბავშვობამაც და სიჭაბუკემაც ისე გაირბინა, რომ ეს ცისფერი ოცნება ისევ აუხდენელ ნატვრად დამრჩა. რამდენჯერ დამწყვეტია გული და ხშირად ავტირებულვარ კიდეც, როცა მეზობლის ძაღლებისაგან დათეთქვილი და წელმოწყვეტილი ჩვენი ძაღლი ძლივს შემოლასლასებულა ეზოში და ჩემი ტოლი ბიჭების დაცინვის საგანი გამხდარა.

გავიდა წლები. აი, თაითქმის კაცობაშიც შევდგი ფეხი, მაგრამ ბავშვობისდროინდელი ეს გატაცება თუ დაუოკებელი ჟინი არათუ ჩაცხრა ჩემში, პირიქით — უფრო მომეტებულად გაცხოველდა. ჰოდა, ახლა, როცა ბედნიერი შემთხვევის წყალობით პატარა ჯავრია უკვე სახლში მიმყავდა, უბედნიერეს კაცად ვთვლიდი თავს და პატარა ბავშვივით მიხაროდა.

იმ დღეს, როცა ჯავრია სახლში მივიყვანე, ერთი სასიხარულო ამბავიც მოხდა: ჩემთვის ნაჩუქარმა ფურმა სახარე ხბო გააჩინა, არაჩვეულებრივად დიდი და ჯიშიანი, მოთეთრო, ნისლისფერი. ამიტომ მას თავიდანვე ნისლა დავარქვი. ცალკე სადგომი გავუკეთე და სხვა ხბოებიდან განცალკევებულად ვზრდიდი. ჯავრიაც მასთან ერთად იზრდებოდა. საოცარი რამ მოხდა: ლეკვი და ხბო ისე შეეთვისნენ ერთიმეორეს, რომ უერთმანეთოდ თითქმის ველარ ძლებდნენ. პატარა ჯავრიას, არ ვიცი, გენიდან მოსდგამდა საქონლისადმი სიყვარული, თუ დედას იყო მონატრებული, რო-

გორც კი საჭმელს შეჭამდა, შეძვრებოდა სახბოეში და ნისლას გვერდზე მიუწვებოდა. ღამითაც იმასთან ერთად იძინებდა, ხოლო, როცა ერთიმეორეს ვერ ხედავდნენ, მაშინ ხბო ყვირილითა და ლეკვი წკავწკავით იქაურობას იკლებდნენ ხოლმე.

ასე გაიარა ერთ წელზე მეტმა. ჯავრია ამ ხანში ისეთი გაიზარდა, რომ ერთ რამედ ღირდა მისი ნახვა. განიერდრუნჩიანი თავი გრძელი, ფერფლისფერი ბალნით ჰქონდა შემკული, ხოლო სქელ კისერსა და მხრებზე ლომივით მუქლურჯი ფაფარი ეყარა. მისი ძალოვანი, დაბლა დაწეული მკერდი ფაფუკ ბეწვს დაეფარა, ძვალმსხვილი თათებიც ნახევარს ქვევით თეთრი ჰქონდა, თითქოს ვიღაცას ძაღლისთვის ფეხები რძიან ვედროში ჩაუდგმევინებიაო. დახვეულ, ბალნიან კუდს კი იშვიათად დაუშვებდა დაბლა. ისიც იმ დროს, როცა მოკლედ წაჭრილ ყურებს მოვუსრესდი და მივუალერსებდი: ჯავრიას მუდამ ზავთიანი და ჭინჭარივით მსუსხავი გამოხედვა უცხრებოდა და ნახევრად მინაბულ თვალებში ალერსიანი შუქი უბრწყინავდა. სამაგიეროდ, საზარელი შესახედავი იყო იგი გაავების დროს, როცა ცერისსისხო ეშვებს გამოაჩენდა, ბალანს აიშლიდა და თვალებს ნაკვერცხლებივით ააელვარებდა. ასეთ შემთხვევაში მეც კი მეშინოდა მასთან მიახლოება.

ერთი კარგი ზნე ჰქონდა ჯავრიას: თავის ეზოს გარეთ არავის ერჩოდა, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს, თუ განგებ რაღაცით არ გააღიზიანებდნენ. ამიტომ მეტწილად გაშვებული იყო და ნისლასთან ერთად დადიოდა.

პირველად, როცა ნისლა საძოვარზე გავუშვით, დაბმულმა ჯავრიამ მთელი დღე ყმუილში გაატარა. ასე განმეორდა მეორე დღესაც, სანამ ჯაჭვიდან არ ავხსენით და საქონელს არ გავაყოლეთ. ამის შემდეგ ნისლა და ჯავრია აღარ დაშო-

რებიან ერთმანეთს. სადაც მოზვერი წავიდოდა, ნაგაზიც აუცილებლად თან გაჰყვებოდა.

ასე მისდევდა დღე დღეს, წელიწადი წელიწადს და მათი ეს უცნაური პირუტყვული სიახლოვე და სიყვარული საერთო გაოცებას იწვევდა. დადიოდა ნისლა ბუბუნითა და გაბმული კივილით იალაღებზე ჯავრიასთან ერთად და ყოველი მათი გამოჩენა უჩვეულო აღტაცებას იწვევდა ხოლმე მნახველებში. ბეჭმაღალი, ქედჩამორგვებული ნისლა ჯიშიანი თავითა და მარმარილოს ქანდაკებასავით უნაკლო ექსტერიერით მართლაც უმშვენიერესი სანახავი იყო. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მეც თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი ორივეს და, რომ იტყვიან, ცივ ნიავს არ ვაკარებდი.

შარშან მამამ მჭედელს ჯავრიასათვის ყელზე გასაკეთებელი რკინის ჩანგალი დაამზადებინა — მგლები ველარაფერს დააკლებენო. მართლაც, ეს ბრტყელი რკინის საყელური, რომელსაც ისრის წვერებივით წამახული ბასრი ღეროები ჰქონდა გარშემო მოვლებული, საიმედოდ იცავდა ძაღლს ყოველგვარი ნადირისაგან.

„ნეტავ ისევ თუ უკეთია ჯავრიას ჩანგალი?" — ვთქვი ჩემთვის გულში და ფიქრი განვაგრძე.

წყნარი, მთვარიანი ღამე იყო. მკრთალ ნისლეულში ჩაფლული არემარე, ვერცხლისფერი ციაგით განათებული მთები ადამიანს თითქოს რაღაც თილისმური ძალით ეწეოდა თავის ჩაბნელებულ უბეში ჩასახუტებლად, მაგრამ მისი ზვიადი სიპირქუშე და შემაზრზენი მდუმარება უკან ახევინებდა და ძრწოლას ჰგვრიდა.

მშიშარა არ ვიყავი, მაგრამ ამ შემაზრზენმა სიჩუმემ შემაკრთო, რომელსაც მხოლოდ ჩემი ფეხის ხმა არღვევდა. გაყინულ თოვლს სიარულის დროს ფეხქვეშ ჭრაჭუნი და ხრაშახრუში გაჰქონდა, რაც თანდათან გამაღიზიანებლად

მოქმედებდა ჩემზე და შიშის გრძნობას მიცხოველებდა. ამიტომ ვცდილობდი რაც შეიძლება უხმაუროდ მევლო, რათა მოსალოდნელი ფათერაკი თავიდან ამით მაინც ამეცილებინა.

„რისი მეშინია ვითომ? პირველად ხომ არ მივდივარ ღამით ამ გზაზე?“ — გავიმხნევე თავი, მაგრამ მძღოლის წეღანდელი გაფრთხილება გამახსენდა მგლებზე და ბაბრზე რომ ვლაპარაკობდით და ჩემდა უნებურად ტანში გამაჟრჟოლა.

„არ უნდა წამოვსულიყავი! დავბრუნდებოდი დილით და მამაჩემს, რა, ხვალ ვერ ვნახავდი? რა აუცილებელი იყო ამ ღამით მისვლა?! — ვტუქსავდი ჩემს თავს გულში. — არა, მაინც ვინ დადის ამ დროს მარტოკა ასეთ მიყრუებულ და სამგლე ადგილას, სულელი და უტვინო კაცის გარდა? მართლაც რომ ნადირის ლუკმა გავხდე, ვინ არის ჩემი პატრონი და მომკითხავი? ან რითი უნდა დავიცვა თავი?!.“

„კარგად ხმარებული ჯოხი იარაღზე ნაკლები როდია“, — გამახსენდა მძღოლის ნათქვამი და ჯიბე მოვისინჯე. ცივი რკინის შეხებამ ცოტათი დამამშვიდა და გული გამიმაგრა.

სანამ მთვარის შუქით განათებულ ველზე მივდიოდი, თავი ყოჩაღად მეჭირა და შიშსაც ვჯაბნიდი, რადგან ჩემს ირგვლივ ახლომახლო საეჭვოს ვერაფერს ვხედავდი. მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი საშიშროება წინ იყო, წინ, სადაც სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯის იქით თოვლიანი ბილიკი თითქმის ჩაბნელებული ტყის სიღრმეში უჩინარდებოდა. ეს ტყიანი ზოლი ორასიოდე მეტრის სიგანისა მაინც იქნებოდა, რომლის იქით ბუჩქნარიანი ველი იწყებოდა და ჩემი სოფლის პირამდე გრძელდებოდა. მინდოდა თუ არ მინდოდა, მეშინოდა თუ არ მეშინოდა, ეს ტყე უნდა გამევლო. ჩემი გუმანით, მოსახდენი იქ უნდა მომხდარიყო. იმის იქით კი სოფე-

ლიც ახლოს იყო და თავიც სამშვიდობოს უნდა ჩამეთვალა თუ, რასაკვირველია, ყველაფერი უხიფათოდ ჩაივლიდა.

გულისძგერითა და მუხლების კანკალით ვუახლოვდებოდი იდუმალებით მოცულ ტყეს, სადაც თოვლზე შავ სილუეტებად აჩონჩხილი ხეების უკან ჩასაფრებული მგლები თუ ავსულები მელანდებოდა. არ ვიცი, მართლა იყო თუ შიშისაგან მომეჩვენა, ორმა ცეცხლოვანმა წერტილმა წამიერად გაიელვა ტყის სიბნელიდან და ჩაქრა. გაგონილი მქონდა, რომ ასეთი ფოსფორული ნათება ღამით რაღაცის შუქზე მხოლოდ მგლის თვალებს შეეძლოთ.

ტანზე თითქოს ეკალმა დამაყარა და ადგილზე გავქვავდი.

რამდენ ხანს ვიდექი ასე, არ მახსოვს.

„იქნებ მომეჩვენა?" — შევეცადე თავის დამშვიდებას, მაგრამ შიშისაგან ისე ვიყავი გაბრუებული, რომ ადგილიდან ფეხის დაძვრა ველარ გამებედა.

უცებ ხორხიდან ხრიალის თუ მხეცური ღმუილისმაგვარი ხმა აღმომხდა, რომელიც არც დაყვირებას ჰგავდა, არც სიმღერას. ხმის ამოღებამ გულს მომიფონა და გამბედაობა შემმატა. მერე ხმა თანდათან დამეწმინდა და ხმამაღალი სიმღერა წამოვიწყე, თუ ამას სიმღერა შეიძლება დაარქვას კაცმა, რადგან ეს იყო უმელოდიო და უტექსტო სიმღერა, შიშში დაბადებული სიმღერა.

— რა... რაა... რააა?

— რა... რაა... رااااا! — გავყვიროდი ხმის ჩახლეჩამდე და ტყის სიბნელისაკენ ნელ-ნელა მივიწევდი. დიდი ყოყმანის შემდეგ ტყის პირას საკმაოდ მოზრდილი ჯოხი გამოვჭერი და ბილიკს გავყევი.

ძალიან ძნელია აღწერა იმ სულიერი ღელვისა და ძრწოლისა, რასაც მე იმ დროს განვიცდიდი. გულაძგერებული, აქეთ-იქით თავის ტრიალით, ჩქარი ნაბიჯით მივდიოდი წინ

და ხმამაღლა გავკიოდი, სანამ კვლავ ისევ მთვარის შუქით განათებულ ველში არ აღმოვჩნდი. ახლა საშიში აღარ იყო, ჩვენი სახლი აქედან ერთი კილომეტრითაც აღარ იქნებოდა დაშორებული.

შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ რა ვიცოდი, რომ თურმე უარესი განსაცდელი წინ მელოდა. თუმცა გუმანით რატომღაც ვგრძნობდი, რომ ვიღაცა თუ რაღაცა უკან ადევნებული მომყვებოდა და შორიდან მითვალთვალებდა. ამიტომ დროდადრო ვჩერდებოდი და გულდასმით ვზვერავდი თოვლით გადალესილ მიდამოს.

ამ ყოფაში გავლიე ალბათ სავალი მანძილის კიდევ ნახევარი, საიდანაც უკვე კარგად გამოჩნდა ჩვენი სახლის სარკმლიდან გამომკრთალი შუქი. გარკვევით ისმოდა ჯავრიას ხაფიანი ხმაც, რომლის მახვილ სმენას ალბათ არ გამოეპარა ტყის მხრიდან წელანდელი საეჭვო ხმაური. უცებ უკან მოვიხედე და გავშეშდი. ჩემიდან არცთუ ისე შორი მანძილიდან, ბილიკზე რაღაც შავი ლანდი იყო ატუზული. თავდაპირველად ჯერ ბუჩქი მეგონა, მაგრამ როცა მცირე ხნის შემდეგ ლანდი ამოძრავდა და ბილიკიდან გვერდზე გადავიდა, მაშინ კი მივხვდი, რა საშიშროებაც მელოდა და ელდანაცემმა გამშრალი ტუჩებით ძლივს ამოვიჩურჩულე: — ბაბრი!.. ბაბრიი!.. — ბაბრიი!..

ჩემთვის უკვე აშკარა იყო, რომ ეს საშიში და დაუნდობელი მტაცებელი დიდი ხანია კვალში ჩამდგომოდა და ხელსაყრელ დროსა და ადგილს არჩევდა თავს დასასხმელად.

უმწეო მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი. საით გავქცეულიყავი, არ ვიცოდი, არც წინ გასაქცევი გზა მქონდა და არც უკანდასახევი. ვიდექი ასე მოსალოდნელი უბედურებით მუხლებაკანკალებული და არათუ თავდაცვის ინსტიქტი, უბრალოდ, რაიმეს განსჯისა და მოფიქრების უნარიც

აღარ გამაჩნდა. ერთი წუთითაც აღარ მეპარებოდა ეჭვი, რომ ბაბრი თავს დამესხმოდა, მაგრამ სად და როგორ, ეს არ ვიცოდი. ამაზე ფიქრიც კი მზარავდა. იგი აქამდე თუ სიფრთხილით იქცეოდა და ნელ-ნელა ამოკლებდა მანძილს ჩვენს შორის, მალე, მგლებმა რომ იციან, უეცარი და მოულოდნელი წამოქროლებითა და კბილის გაკვრით დაამთავრებდა საქმეს. ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ რა მელონა, როცა აღარაფრის თავი არა მქონდა.

ვიდექი ასე ერთ ადგილზე მილურსმულივით მიჭედილი და თვალს არ ვაშორებდი ნადირს, რომელიც ერთ ადგილზე გალურსული მოთმინებით მიცდიდა. წავიდოდი წინ, ისიც წამოვიდოდა, გავჩერდებოდი, გაჩერდებოდა. ასე ვიარეთ ერთხანს. ბოლოს ბაბრს, როგორც ჩანს, მობეზრდა ჩემთან ასეთი კეკემალულობა და ზევითკენ წამოვიდა. გამოცდილი მზვერავივით სიფრთხილით მოქმედებდა და გზადაგზა ბუჩქებს იფარებდა. ვიფიქრე, ახლა კი დამთავრდა ყველაფერი-მეთქი და გულმა ბაგაბუგი დამიწყო. საბედნიეროდ, მგელმა გეზი იცვალა და გვერდიდან ასე ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე ამიარა. მისმა უჩვეულო სიდიდემ გამაოცა და უფრო მეტად დამცა თავზარი. ასეთი ზორბა ნადირი ვეფხვიც არ მინახავს გალიაში. ჰოდა, რა გული უნდა შემრჩენოდა, როცა ეს ვეფხვზე არანაკლებ საშიში მტაცებელი ჩემიდან ასე რამდენიმე ნაბიჯის იქით არხეინად მიძუნძულებდა და ალბათ რაღაც მოულოდნელ სიურპრიზს მიმზადებდა.

ბაბრმა გზა ზევით გააგრძელა და ხშირ ბუჩქნარში გაუჩინარდა.

— გზის მოჭრა უნდა! — დავასკვენი დიდი ფიქრის შემდეგ, რამაც კიდევ უფრო დიდ საგონებელში ჩამაგდო. გამოდიოდა, რომ ბაბრი სოფლისაკენ მიმავალ გზას მიჭრიდა, რომელიც აქედან ერთი ხელის გაწვდენაზეღა იყო.

— იქნებ სულაც არ აპირებს თავდასხმას და თავისი გზით წავიდა! — მცირე იმედს ჩაბღაუჭებული ვბჭობდი ჩემს გულში. მაგრამ გზის გაგრძელებას მაინც ვერ ვბედავდი. სხვა გამოსავალი კი არ იყო — წინ უნდა წავსულიყავი, რადგან გზა უკან ისედაც მოჭრილი მქონდა.

— რაც მომივა, მომივა! ბოლოს და ბოლოს ასე ხომ არ ვიდგმები აქ მთელი ღამე! — მივიღე გადაწყვეტილება დიდი ფიქრის შემდეგ და ადგილიდან დავიძარი.

ბევრი მანძილი არა მქონდა გავლილი, რომ მოსახვევის იქით ბაბრის ზორბა ტანი ბუჩქებს გამოეყო და ბილიკზე გაჩერდა. ასე აღმვოჩნდით მოსისხლეებივით მე და ბაბრი პირისპირ დამბაჩის გასროლის მანძილზე.

ინსტიქტურად უკან მივაწყდი და დაყვირება ვცადე, მაგრამ მხოლოდ ზმუილისა თუ ხრიალისმაგვარი რაღაც ხმა აღმომხდა ყელიდან. ვიგრძენი, რომ გული გამიჩერდა და ძარღვებში სისხლი გამეყინა. უფრო საშინელ წუთებს ძნელად წარმოიდგენს ადამიანი, როცა საკუთარ სიკვდილს თვალებში უცქერის. მაგრამ სიკვდილიც არის და სიკვდილიც! ასეთი სიკვდილი კი ნამდვილად არ მინდოდა და ვერც წარმომედგინა, მითუმეტეს, რომ ველარაფრით შემეძლო მისი თავიდან აცილება. არც თავდაცვის რაიმე საშუალება გამაჩნდა ჯოხისა და ჯიბის დანის გარდა და, რომ მქონოდა კიდეც, მომცემდა კი ეს საზარელი მხეცი მისი გამოყენების საშუალებას?.. დროდადრო მისი გამაფრთხილებელი და ჟრუანტელის მომგვრელი ღრინვა იმისი მიმანიშნებელი იყო, რომ იგი უკვე ემზადებოდა გადამწყვეტი თავდასხმისათვის. გასაქცევი გზა კი არსაით მქონდა. ან სად გავიქცეოდი?! კარგად ვიცოდი, რომ ჩემი ადგილიდან დაძვრა და ბაბრის თავდასხმა ერთი იქნებოდა. ამიტომ ადგილზე დგომა და დროის მოგება ვარჩიე.

გაგონილი მქონდა, ნადირი ცეცხლს გაურბისო და ადამიანს აღარ ეკარებაო. საუბედუროდ, ჯიბეში ასანთის ერთი ღერიც არ აღმომაჩნდა, რომ ცეცხლი რამისათვის წამეკიდებინა და ბაბრი გამეფრთხო. ძეხორციელის ჭაჭანებაც არ იყო ახლომახლო, რომ ვინმე საშველად მეხმო. ან ვის მივაწვდენდი ხმას ამ ღამით, ვინ მომეხმარებოდა? მარტო ჩვენი სახლი იყო გაღმა ფერდობში და იქაც...

ამ ფიქრში უცებ ჯავრია გამახსენდა...

— ჯავრია! ჯავრია თუ მიშველის ახლა! უჰ, როგორ ამებნა თავგზა და აქამდე ვერ მოვიფიქრე? ჩემს ხმას რომ გაიგებს, ხომ მიცნობს და ორ წუთში აქ გაჩნდება! — გავივლე გულში და თავი გავიმხნევე.

ჩემი სიცოცხლე ახლა ჯავრიაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ახლა წამებსაც კი მნიშვნელობა ჰქონდა და რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვრთე ყვირილი.

— ჯავრიი! ჯავრიიი!.. ჯავრიიიიი!..

ამჯერად გამიმართლა. ჩემი კივილი თოფის ხმასავით შეასკდა ნასოფლარს და მისი ექო სადღაც მთის შორეულ ხეობებში ჩაიკარგა. ძახილი რამდენჯერმე გავიმეორე, რასაც სოფელში დარჩენილი ძაღლების გნიასი მოჰყვა. ჯავრიამ კი ჩემს ხმაზე ჯერ რამდენჯერმე წაინკმუტუნა, შემდეგ გაავებული ყეფით ფერდობზე გადმოეშვა.

ბაბრი ადგილიდან არ დაძრულა, მაგრამ ყურადღება ჩემიდან უკვე სოფლისაკენ გადაიტანა, საიდანაც ძაღლების ღავღავი მოისმოდა.

სულ ახლოდან ჯავრიას ყეფა გაისმა. ნადირმა საფრთხის მოახლოება იგრძნო და ბილიკიდან გადახტა.

გაიარა ერთმა-ორმა დაძაბულმა წუთმა და მოსახვევიდან აქოშინებული ჯავრიაც გამოვარდა. ბაბრი რომ დაინა-

ხა, ერთი წამით შედგა და აიჯაგრა. მხეცმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ჯავრიამ აღარ დააცადა და რამდენიმე ნახტომით მასთან გაჩნდა. საზარელი ხრიალის თუ ბრდღვინვის ხმამ ერთხელ კიდევ შემიქანა გული, მაგრამ იმ იმედით, რომ ჯავრია ახლა გვერდით მყავდა, როგორც იყო, ვძლიე შიშსა და ჯოხმომარჯვებული მის მისახმარებლად გავექანე. თან ძაღლს ვაქეზებდი:

— მიდი, ჯავრი, მიდი!..

ძაღლების ჩხუბი კი მინახავს რამდენჯერმე, მაგრამ ასეთი გაშმაგებული და თავგანწირული ორთაბრძოლის მოწმე არასოდეს გავმხდარვარ. ქარბორბალასავით დატრიალებული თოვლის კორიანტელიდან გააფთრებული ღრენის, ყეფისა და კბილების კაპუნის ხმის გარდა ვერაფერს გაარჩევდა კაცი. როგორც ჩანდა, ბაბრი ჯერჯერობით თავს იცავდა ძაღლის შემოტევისაგან. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წუთით, რამდენიმე წამიც და ზვავის ბუქიდან გამოტყორცნილი ქვასავით ღია ველზე ბაბრის შავმა სილუეტმა გაიელვა, რომელიც იმავე წამს საოცარი სისწრაფით უკანვე შემობრუნდა და გრიგალივით თავს დაატყდა ჯავრიას. ასე გაიმეორა რამდენჯერმე. ეტყობოდა, მგელი ცდილობდა ჯავრიას ყანყრატო თავის ძლიერ ყბებში როგორმე მოექცია, რათა ყელი გამოეღადრა, მაგრამ ძაღლს ჩანგლის ბასრი და წამახული ღეროები შველოდა, რომელიც გააფთრებულ ნადირს პირში და სხეულში ერჭობოდა და უფრო მომეტებულად ახელებდა.

გასაოცარი იყო ჯავრიას შეუპოვრობაც, მისი სიმარჯვე და მოქნილობა, რომელიც მოხერხებულად იცილებდა მგლის გაალმასებულ კბილებს და თვითონაც მარჯვე დროს არჩევდა მასზე თავდასასხმელად. რამდენჯერმე კიდევაც მოიქცია ბაბრი თავისი ძლიერი თათების ქვეშ, მაგ-

რამ ბაბრი რაღა ბაბრი იქნებოდა, რომ თუნდაც ჯავრიასნაირი ნაგაზის მსხვერპლი გამხდარიყო?!.

დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ბრძოლა, მაგრამ ამ მოკლე დროშიც ბაბრის უპირატესობა აშკარა იყო. იგი ჯავრიაზე უფრო ძლიერი და გამოცდილი ჩანდა. ეს უპირატესობა მან იმითაც დაამტკიცა, რომ ღონიერი მკერდისა და თათების ძგერებით ნაგაზი მაინც დაანარცხა მიწაზე და თავისი ბასრი ეშვებით ალბათ გაფატრავდა კიდეც, რომ მთელი ძალ-ღონით ჯოხი არ ჩამეცხო მისთვის თავში. სწორედ ამ დროს გაისმა ჩვენი სახლიდან თოფის გრიალი და მამაჩემის ყვირილის ხმაც. ბაბრი გვერდზე გახტა და ბუჩქნარს შეერია.

ფეხზე წამომხტარი ჯავრია, სანამ გაქცეულ ნადირს უკან გამოეკიდებოდა, როგორღაც დავიჭირე და დაწყნარება დავუწყე. მთლად სისხლში მოსვრილი აღგზნებული ნაგაზი გასაქცევად იწევდა, არ მემორჩილებოდა, მგლის კვალზე გამოდევნება სურდა, მაგრამ ვიცოდი, რომ თუ ახლა ხელიდან დამისხლტებოდა, ბაბრის ლუკმა გახდებოდა. ამიტომ ვცდილობდი ხელიდან არ გამეშვა და რაც შემეძლო ვეალერსებოდი და ვაწყნარებდი, რისთვისაც ორმაგი მიზეზი მქონდა: პირველი, რომ დიდი ხნის უნახავი მყავდა, და მეორე — რაც მთავარია, მისმა თავგანწირვამ სიცოცხლე მაჩუქა და საშინელ სიკვდილს გადამარჩინა.

ჯავრიას გაშმაგება როგორც კი ოდნავ ჩაცხრა, ჩანგალზე ქამარი გამოვაბი და სახლისაკენ გავწიეთ.

* * *

მინდა მოგითხროთ ჯავრიას თავგანწირულობის კიდევ ერთი შემთხვევის შესახებაც, რომელიც იმავე ზაფხულს მოხდა, ცოლ-შვილით მამაჩემთან რომ ამოვედი დასასვენებლად.

ჯავრიას უკვე მოშუშებოდა ძველი ჭრილობები, თუმცა მაშინდელი ბრძოლის ნიშნად ბაბრის ნაკბილარს მისთვის ცალი თვალი ისე საზარლად დაებღუნძა, რომ ადამიანს შეხედვისა შეეშინდებოდა.

ნისლა და ის ძველებურად ისევ მეგობრობდნენ. ერთი წუთი არც დღე შორდებოდნენ ერთიმეორეს და არც ღამე.

სპილოსავით უზარმაზარი ნისლა ისევ ბუბუნით დადიოდა იალაღებზე და ღირსეულ მეტოქეს ეძებდა საფალავნოდ, რათა შინაგანად ვულკანივით აბორგებული ძალა როგორმე დაეოკებინა, მაგრამ ახლომახლო მისი არც მომრევი ჩანდა და არც მეტოქეობის გამწევი. ბრძოლა კი სწყუროდა, ბრძოლა ჟინიანი, შმაგი, თავაწყვეტილი. ამიტომ იყო, რომ ზოგჯერ გახელებული, ძალამოჭარბებული და გავეშებული ბუღა, როცა ძარღვებში ყალყზე ამდგარ და აკივლებულ სისხლს ვერაფრით დააცხრობდა, ყველაფერს მუსრავდა და ლეწავდა, რაც წინ დახვდებოდა. რქებით მიწას ანგრევდა და ბარისხელა ჩლიქებით მოგლეჯილ ბელტებს ჰაერში ისვროდა. მეტწილად განმარტოებით დადიოდა და ხშირად ნახირსაც არ მისდევდა უკან საღამოობით.

ზაფხული იწურებოდა. დადგა ჩვენი წამოსვლის დროც და სამზადისს შევუდექით. ერთ საღამოს ნისლა და ჯავრია საქონელს არ მოჰყოლიან, რაც ჩვეულებრივ ამბად ჩავთვალეთ, რადგან ბოლო ხანებში ისინი ხშირად რჩებოდნენ გარეთ.

კარგად შეღამებული იქნებოდა, როცა მეზობლად მოსახლე ძია თევდორეს ვაჟი — პავლე მოვიდა ჩვენთან. იმჟამად იგი ინსტიტუტში სწავლობდა და რაკი საზაფხულო არდადეგებზე ყოველთვის სოფელში ჩამოდიოდა, დროს თითქმის ერთად ვატარებდით. მართალია, იგი ხნით ჩემზე უმცროსი იყო, მაგრამ, როგორც თანაშეზრდილები, ერთიმეორესთან ვმეგობრობდით და, რომ იტყვიან, პურს უერთმანეთოდ არ ვტეხდით.

ერთი რამ გვაახლოებდა კიდევ მე და პავლეს: მასაც ჩემსავით გაგიჟებით უყვარდა ცხოველები. ამიტომაც აირჩია ალბათ ზოოვეტერინარის პროფესია.

არ ვიცი, ჩემი მიბაძვით თუ იყო თუ არა, ამ ორი წლის წინათ იმანაც მოიყვანა წმინდა სისხლის კავკასიური ნაგაზის ძუ ლეკვი, რომელსაც თარეშა დაარქვა და გაზარდა. ჯავრიასავით ისიც ჩინებული ძაღლი დადგა. მასავით ზორბა, არაჩვეულებრივად ლამაზი და უნაკლო, მაგრამ ყველაზე მეტად სასიხარულო მოვლენა იმ ზაფხულს მე და პავლესათვის იმ ბრმა ლეკვების დაყრა გახლდათ, რომლებიც თარეშას ჯავრიასაგან ჰყავდა. ერთი სული გვქონდა გვეხილა ამ ორი ჯიშიანი ნაგაზის პირველი თაობა და, რაკი მოლოდინი არ გაგვიცრუვდა, რამდენადაც გინდა საძრახისად ჩაგვითვალოს ვინმემ ჩვენი საქციელი, მე და პავლე ზოგჯერ მთელი საათობით ვიდექით და ვტკბებოდით ამ საოცრად საყვარელი და მორგვებივით ჩამრგვალებული ბუთხუზა ლეკვების ცქერით.

პავლე სხვა დროსაც ბევრჯერ მოსულა ჩვენთან ღამით, ამიტომ მისი სტუმრობა არც ახლა გამკვირვებია, მაგრამ სახეზე რომ შევხედე, როგორღაც აღელვებული მომეჩვენა. სახლში შემოვიპატიჟე და ამბავი ვკითხე. პავლე თავჩაქინდრული კარგა ხანს დუმდა. ცუდად მენიშნა ეს სიჩუმე.

— ვერ მოგიტანე, ნიკო, კარგი ამბავი! — დახშული ხმით, როგორც იყო, ამოღერღა პავლემ.

— რა ამბავი, შვილო, რა მოხდა? — შეშფოთდა მამაჩემი.

პავლე ისევ კრიჭაშეკრული იჯდა და სქელი წარბების ქვეშ ღილებივით მიკრულ წვრილ თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა აქეთ-იქით.

ამდენი ხნის დუმილი ვეღარ ავიტანე და პავლეს თითქმის ყვირილით მივმართე:

— აღარ იტყვი, ბიჭო, რა მოხდა?!.

— ნისლა გადავარდა კლდეზე! — ყრუდ ამოიგმინა პავლემ და დამნაშავესავით თვალები მომარიდა, თითქოს ნისლას კლდეზე გადავარდნა იმისი ბრალი ყოფილიყოს.

— რას ამბობ, პავლე! სად გადავარდა? როგორ გადავარდა? როდის გადავარდა?..

— სანიავო გორის ქვევით რომ პატარა კლდეა, იქ გადავარდა.

— კლდესთან რა უნდოდა, კაცო, ან როგორ გადავარდა? — ჰკითხა ჩემზე არანაკლებ აფორიაქებულმა მამაჩემმა.

— კარგი, ძია ივანე, თავიდან მოგიყვებით, როგორც იყო! — თქვა პავლემ და დაიწყო: — დღეს საქონელი რომ მოვაჯერე,[1] სანიავო გორაზე ავრეკე, სადაც ცოტა ხნის შემდეგ თქვენი საქონელიც ამოვიდა. შუადღე იქნებოდა, კამეჩის საზარელი ყროყინის ხმა რომ გავიგონე.

„ალბათ მეზობელი სოფლის ნახირს ასხლტა სადმე და თავისიანებს ეძებს-მეთქი", — გავიფიქრე.

არ გასულა დიდი დრო, რომ გამაყრუებელი და გულისშემძვრელი ყროყინი ახლა სულ ახლოდან მოისმა და სერზე ფურის მაძებარი ვეება ტანის ბულა კამეჩიც გამოჩნდა. თავი მაღლა ჰქონდა აწეული, ჰაერს ყნოსავდა, თან ყროყი-

1 მოვაჯერე — მოვაძოვე, მოვაბალახე.

ნებდა. ნახირი რომ დაინახა, სერიდან თავდაღუნული გადმოეშვა და დაოთხილი პირდაპირ ჩვენკენ გამოქანდა. ჯავრია გაალმასებული წინ გადაუდგა და შეუტია, მაგრამ, აბა, რას გახდებოდა ძაღლი კამეჩთან. კიდევ კარგი, ფეხით არ გაინადგურა და მისი რქების ანაწერა არ გახდა.

კამეჩი საქონელში რომ შემოვარდა, ნისლა პირდაპირ მისკენ წამოვიდა ქშენითა და ბუბუნით. თან წინა ფეხებით მიწას თხრიდა და ფხოჭნიდა. ნახირი აქეთ-იქით გაიფანტა, თითქოს ხარკამეჩსა და ნისლას საჭიდაო მოედანი გაუთავისუფლესო.

კამეჩთან მიახლოებულმა ნისლამ ერთხელ კიდევ მოგლიჯა ჩლიქით უზარმაზარი ბელტი, დაბრეშილი, გვერდზე მობრუნებული თავი თითქმის მიწამდე დაღუნა, ერთი საზარლად დაიქშინა და კამეჩს დაეტაკა.

ბულების ბევრი ჭიდაობა მინახავს, შევსწრებივარ კამეჩთან მათ შერკინებასაც, მაგრამ, რაც დღეს ჩემი თვალით ვიხილე, ამის მსგავსი არაფერი მინახავს. შუადღიდან საღამომდე თავგანწირვით ერკინებოდა ერთმანეთს ეს ორი გიგანტი. ვერც ერთი სჯაბნიდა, ვერც მეორე. გამარჯვების სასწორი ხან ერთის მხარეზე იხრებოდა, ხან მეორისა, მაგრამ ერთმანეთს ტოლს მაინც არ უდებდნენ, არც უტყდებოდნენ. რა არ ვიღონე, რომ ის სატიალე კამეჩი ნისლასთვის როგორმე მომეშორა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ჯავრიამ ხომ კინაღამ ბარკლები გამოაგლიჯა, გაავებული უყეფდა და ჰკბენდა მას ტანზე და ფეხებზე, მაგრამ კბენა და სისხლი კიდევ უფრო აცოფებდა კამეჩს.

სანიავო გორა და მისი ფერდობი რომ ნახოთ, გადაბარული გეგონებათ, ისეა მოთხრილი იქაურობა. მთელი დღე ოფლში გაცურებული და დაოსებული პირუტყვები ჩასისხლიანებული თვალებით და მიწამდე დახრილი თავებით აწვე-

ბოდნენ ერთმანეთს, რქებს დაშნებივით ხმარობდნენ და საბერვლებივით ქშინავდნენ. ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ კამეჩმა ძლიერი დარტყმით ცალი რქა არ მოამსხვრია ნისლას. მეგონა ჭიდაობას ვეღარ შეძლებდა ბუღა, მაგრამ ამან პირიქით, უფრო გააგიჟა იგი. ზევიდან დაუარა კამეჩს, ბულდოზერივით მიანვა მთელი ძალით და ფერდობზე უკან-უკან სვლით წაიყვანა. კლდეს უახლოვდებოდნენ. შემეშინდა, ზედ არ გადაიჩეხნენ-მეთქი და მეც ქვევითკენ დავეშვი, მაგრამ გვიანღა იყო. სანამ მე მივიდოდი, ახლა კამეჩმა მოუარა ზევიდან ნისლას და კლდისკენ უბიძგა. ნისლამ, როგორც ჩანს, იგრძნო საშიშროება, უკანა ფეხები კლდის პირზე მუხის მარგილებივით ჩაასო და გაქვავდა. ასე იდგნენ ერთხანს, ერთ ადგილზე დაძაგრულები და პირზე დორბლმორეულები. რქებით აწვებოდნენ ერთიმეორეს, მაგრამ ჭიდილი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. კამეჩმა, როგორც იქნა, დაახევინა ნისლას უკან და მოხდა ის, რისაც ასე ძალიან მეშინოდა: საყრდენგამოცლილი კლდის პირი ჩამოინგრა, ნისლა ჰაერში ამოტრიალდა და დაბლა გადაეშვა. კამეჩმაც ძლივს შეიკავა თავი კლდეზე გადაჩეხვისაგან. — დაასრულა ამბის მოყოლა პავლემ.

მე და მამაჩემი ორივენი შეძრწუნებულები და კრიჭაშეკრულები ვისხედით ერთხანს. კარგა ხნის დუმილის შემდეგ მამაჩემმა სინანულით ჩაილაპარაკა:

— ჰაი, დედასა! რა ბუღა დაიღუპა!.. დავბერდი კაცი საქონელში, მაგრამ ასეთი გონიერი და ჯიშიანი პირუტყვი არც მე მყოლია და არც სხვაგან მინახავს სადმე. ერთი ლაპარაკი არ იცოდა იმ დალოცვილმა, თორემ ადამიანივით იყო. ალბათ დაბლამდე სულიც აღარ ჩაჰყვა საცოდავს!..

— საკვირველია, ძია ივანე, მაგრამ ცოცხალი გადარჩა! — ჩვენდა გასაოცრად წარმოთქვა პავლემ.

— ცოცხალი?!. — ორივემ ერთდროულად წამოვიყვირეთ მე და მამაჩემმა.

— ჰო, ცოცხალი!

— რაღაც დაუჯერებელს გვეუბნები, შვილო! — იჭვნეულად შეხედა მამაჩემმა პავლეს. — ის კლდე იმსიმაღლეა, რო დაბლამდე ყორანიც ვერ ჩაფრინდება, არათუ იქიდან გადავარდნილი რამე სულიერი ცოცხალი გადარჩეს.

— გეთანხმები, ძია ივანე, იქითა მხარეს რომ გადავარდნილიყო კი, მართლაც სული არ დაყვებოდა, მაგრამ ნისლა აქეთა მხარეს გადმოვარდა, კლდეს ტყიანი ფლატე რომ აკრავს, იქ!..

— მაშ, ცოცხალია ნისლა?! — იმედმოცემულმა წამოვიძახე სიხარულით.

— ცოცხალია, ნიკო, ცოცხალი, მაგრამ ფეხზე ვერა დგება, ეტყობა ძვლები აქვს ჩამსხვრეული.

— აბა, მაშ რა ეშველება? — მიამიტურად წამოვიძახე და პავლეს მივაჩერდი, იქნება რამე სანუგეშო მითხრას-მეთქი.

— ნისლას ახლა ხანჯლის მეტი ვეღარაფერი უშველის!

— ნისლას ხანჯალს ვინ გაუყრის ყელში, ბიჭო, რას ამბობ! ან იმის ხორცს ვინ ჩაიდებს პირში!

— აბა, იქ ნადირს ხომ არ შეაჭმევთ, ცოდვაა საქონელი!

— ჯავრიაც იქ არის? — იკითხა მამაჩემმა.

— დავიწვი, ძია ივანე, იმ ძაღლის საცოდაობით! — სინანულით თავი გაიქნია პავლემ. — ასეთი რამ არც ზღაპრებში წამიკითხავს და არც სხვისგან მომისმენია. ცხოველების ასეთი ურთიერთსიყვარული და ერთგულება პირდაპირ წარმოუდგენელია. ნეტა ადამიანებს შორის მაინც იყოს ასე!..

ჯერ იყო და მთელი დღე კარგი ვაჟკაცივით იცავდა და ექომაგებოდა ნისლას. გადავარდა კლდეზე და უზის ახლა

გვერდით, მოტეხილ რქასა და სისხლიან თვალებს ულოკავს და საბრალოდ ყმუის.

მეტი მოსმენა ვეღარ შევძელი, ფეხზე წამოვდექი და სამზადისს შევუდექი.

— რას აპირებ? — მკითხა მამაჩემმა.

— უნდა წავიდე! ამაღამ სახლში რა გამაძლებინებს! — გადაწყვეტილად ვთქვი მე.

— ახლა იქ წასვლა და უგზო-უკვლოდ ხეტიალი, შვილო, უაზრობაა, მეტი არაფერი. — დინჯად მითხრა მამაჩემმა. — ჯერ ერთი, შენი წასვლით საქმეს არაფერი ეშველება, მეორეც, უმთვარო ღამეა და ამ სიბნელეში გზას ვერ გაიგნებ. ხომ არ გინდა, შენც კლდეზე გადაიჩეხო?..

— მამაშენი სწორეს გეუბნება! — ჩაერია ჩვენს საუბარში პავლეც. — ამ კუნაპეტ ღამეში ჯერ კლდემდე მისვლაა ძნელი, არათუ სადაც ნისლა გადავარდა. იქ კი მხოლოდ ტყიდან, ქვემოთა მხრიდან შეიძლება მიუდგეს ადამიანი. ესეც არ იყოს, სად წახვალ მარტოკა. უმჯობესია ხვალ, დილაადრიანად მე და შენ ცხენებით წავიდეთ და ისე მოვიქცეთ იქ, როგორც ამას საქმე გვიჩვენებს.

— სწორია! — დაუბეჭდა ნათქვამი მამაჩემმა. — დილით მეც თქვენთან ერთად წამოვალ!

მართალია, აღელვებული ვიყავი, მაგრამ რომ ავწონ-დავწონე, მათი რჩევა ჭკუაში დამიჯდა და შინ დავრჩი. თუმცა ის უძილო ღამე საშინელ წამებაში გავატარე და განთიადს ფეხზე ამდგარი შევხვდი.

* * *

როგორც კი ცამ პირი გახსნა და მტრედისფრად ინათა, მე, პავლემ და მამაჩემმა სანიავო გორისაკენ გავწიეთ. პავ-

ლეს თავისი სანადირო თოფიც თან წამოეღო, რაც არც გაგვკვირვებია, რადგან ამ თოფს ის განუშორებლივ თან ატარებდა.

კლდემდე მისულებიც არ ვიყავით, რომ ჯავრიას გაავებული ყეფა შემოგვესმა.

— ნადირის ხმაზე ყეფს! — თქვა მამაჩემმა.

— შეიძლება მართლა ნადირი იყოს! — კვერი დაუკრა პავლემაც. — იმდენი დათვია წელს, ძია ივანე, რომ ადამიანი ფეხს ვერ აუქცევს.

— მართლაც რაღაცაშია საქმე, ჯავრია ტყუილუბრალოდ არ დაიწყებდა ყეფას! — გამოვთქვი ჩემი ვარაუდი მეც და ფეხს ავუჩქარე.

თითქმის მიახლოებულები ვიყავით კლდეს, როცა ძაღლის ყეფამ კიდევ უფრო იმატა. ყეფას შემდეგ წკმუტუნი მოჰყვა.

— ნადირია! — დაბეჯითებით თქვა ისევ მამაჩემმა.

პავლემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მხრიდან თოფი ჩამოიხსნა, შიგ სადათვე ვაზნები ჩაალაგა, ცხენის აღვირი მამაჩემს მიაჩეჩა და წინ წავიდა.

იმ ადგილს რომ მივადექით, სადაც, პავლეს თქმით, ნისლა გადავარდა, ასეთი სურათი გადაგვეშალა თვალწინ, ბარძაყებჩალეწილი და წელმოწყვეტილი ნისლა, წინა ფეხებზე ოდნავ დაბჯენილი, საბრალოდ ზმუოდა და ცალი რქით კიდევ იგერიებდა უზარმაზარ მხეცს, რომელიც მასზე თავდასასხმელად მიიწევდა, ხოლო ჯავრია არ აძლევდა მასთან მიახლოების საშუალებას. შეუპოვრად ესხმოდა თავს და ჰკბენდა. მაგრამ მისი გასისხლიანებული ტანიდან ჩანდა, რომ ნადირს მაინც მოესწრო ბრჭყალებისა თუ კბილების გაკვრა ჯავრიასათვის.

უთანასწორო ბრძოლა თითქმის მაშინ დამთავრდა, რო-

ცა ჩვენ წავადექით მათ თავზე. იმ დროს, როცა ხახადაღებული დათვი ნისლას დაწვდა და პირუტყვმა საზარლად დაიბღავლა, ჯავრიას დაავიწყდა სიფრთხილე და თავგანწირვით ეძგერა დამშეულ ნადირს, რომელმაც იმავე წამს თავის ტორების ქვეშ მოიქცია და უზარმაზარი ეშვებით მუცელი გაუფატრა. სწორედ ამ დროს დაიქუხა პავლეს თოფმაც და კეფაგახვრეტილი ნადირი უსულოდ დაეცა ჯავრიას გვერდზე.

ამის შემდეგ ქვევითკენ დავეშვით. ტყიან ფერდობს ქვევიდან მოვუარეთ და შემთხვევის ადგილას მივაღწიეთ. მუცელგამოფატრული ჯავრია ოდნავ კიდევ ფეთქავდა. მისი ზორბა სხეული სისხლის გუბეში ცურავდა და სიკვდილს ებრძოდა. დაბლა დავიხარე, სისხლიან თავზე ალერსით გადავუსვი ხელი და მოფერება დავუწყე.

— ჯავრი, ჩემო საბრალო და საყვარელო ჯავრი! მაპატიე, რომ დროზე ვერ მოგეხმარე, ვერ გადაგარჩინე!..

მაგრამ ჯავრიას აღარც ჩემი სიტყვები ესმოდა და ვეღარც ჩემს ჩვეულ მოფერებას გრძნობდა, რადგან მის ცეცხლოვან თვალებში სიცოცხლის შუქი ჩამქრალიყო და მხოლოდ სულიდან გაყრილი სხეულიღა ერკინებოდა სიკვდილს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნაგაზმა ერთი-ორჯერ მძლავრად გაფხოჭნა მიწა, დაიძაგრა, უკანასკნელად გააკანკალა და გაშეშდა. ვიგრძენი, რომ ამ წუთში ჩემმა გულმაც ჯერ გაიბრძოლა და შემდეგ წამიერად ისიც გაშეშდა.

თვალებში ცრემლები მომაწვა.

მხარზე ხელის შეხებამ და პავლეს ხმამ გამომარკვია.

— ჯავრიას სიკვდილი შენზე ნაკლებად არ მეწყინა, ნიკო! არ მომხდარიყო, კარგი იყო, მაგრამ ზედმეტი დარდითა და ჯავრით ამ საქმეს ახლა მაინც არაფერი ეშველება.

გული არ გაიტეხო! ჯავრია თავის სიცოცხლეს თავის ნაშიერებში გააგრძელებს. შენთვის ლეკვის ჩუქებას ისედაც ვაპირებდი, ახლა მითუმეტეს. წამოდი, ძმაო, თარეშას ლაკვებიდან ამოარჩიე ყველაზე თამამი, ჯავრიასნაირი ერთი ხვადი ლეკვი და გაზარდე. სახელადაც ჯავრია დაარქვი. ვფიქრობ, პატარა ჯავრია დიდ ჯავრიაზე დარდს ცოტათი მაინც გაგიქარვებს და შეგიმსუბუქებს.

— გმადლობთ, პავლე! მაგრამ ჯავრიასნაირებსა და ნისლასთანებს გაზრდის კი ეს მთა კიდევ როდისმე?

— გაზრდის, ნიკო! ამაზე უკეთესებსაც გაზრდის! მთავარია ადამიანმა მათ სიყვარული და ყურადღება არ მოაკლოს.

— შეიძლება, მაგრამ ჯავრიასა და ნისლას ადგილი ჩემს გულში ძნელია სხვამ დაიკავოს ამის მერე.

— ეს ახლა გეჩვენება ასე, თორემ, აბა, პატარა ჯავრიაც ისეთივე სიყვარულით გაზარდე, როგორადაც ეს ჯავრია, თუ მასზე მეტი არა, ნაკლები გამოვიდეს.

— ღმერთმა გისმინოს, ჩემო პავლე! — ვთქვი მე და ფეხზე წამოვდექი. შემდეგ იქვე მიბმული ცხენის ხურჯინიდან ცული ამოვიღე და წასასვლელად მოვემზადე.

— რას აპირებ? — მკითხა მამაჩემმა.

— ჯავრიას აქ მხეცების საჯიჯგნად ვერ დავტოვებ, უნდა დავმარხო! მიწას ამ ცულით მაინც ამოვჭრი.

— ჯერ ნისლას მივხედოთ და მერე...

— არა, მამა, არა! მე ნისლას ყელში ხანჯლის გაყრას ვერ ვუყურებ! არ შემიძლია!.. იქნებ თქვენ თვითონ მოახერხოთ როგორმე!..

— ჰო, კარგი შვილო, კარგი!.. — აღარ დაამთავრა სათქმელი მამაჩემმა და პავლეს მიუბრუნდა. მე კი საკმაო მანძილით მოვშორდი იქაურობას და ველის განაპირას, ერთ გან-

მარტოებულ წიფლის ძირას ჯავრიასათვის საფლავის ამოჭრა დავიწყე, მაგრამ, როცა ნისლას სასიკვდილო ბღავილმა გულში მეხივით გამიარა, დამბლადაცემულივით ხელ-ფეხი მომიდუნდა, ანგარიშმიუცემლად ცული გვერდზე მივაგდე და ხის ქვეშ ჩამოვჯექი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯდებოდი ასე უაზროდ გაგონებული, ამ წუთში ფიქრის თავიც კი აღარა მქონდა, რადგან ჩემთვის ესოდენ ძვირფასი და წლობით ნალოლიავები ამ ორი არსების სიცოცხლე ორი ანთებული სანთელივით ჩაქრა. ჩაქრა ერთდროულად, მოულოდნელად, ერთ დღეს, ერთ ადგილას. საოცარი რამ მოხდა მართლაც: სიცოცხლეში განუყრელები სიკვდილშიაც განუყრელები დარჩნენ.

ცოტა რომ დავმშვიდდი, ნადირს რომ არ ამოეთხარა, ჯავრიასათვის საკმაოდ ღრმა ორმო ამოვჭერი და ისე დავმარხე.

დაკლულ ნისლასთვის კი ხელი აღარავის უხლია, რადგან მისი ხორცის სახლში წამოღება არც ერთმა არ ვინდომეთ. მეზობლები გამოიყენებენო, — თქვა მამაჩემმა. მარტო პავლემ გაატყავა მის მიერ მოკლული დათვი, ხორცი აკუწა, ცხენებს აჰკიდა და შუადღე გადასული იქნებოდა, როცა გულდამძიმებულებმა ის არემარე დავტოვეთ.

მართალია, მწუხარებას მინახევრებდა ფიქრი პატარა ჯავრიაზე, რომლის მოცემასაც პავლე შემპირდა, მაგრამ ჩემი სიხარული მაინც იმ მაღალი წიფლის ძირში დაიმარხა, რომელიც თითქოს ჯავრიას საფლავს მისი მეგობრისადმი ერთგულებისა და თავგანწირვის ნიშნად ძეგლივით ედგა თავზე.

მათრახი

ადამიანი უკვდავი რომ არ არის, განა ეს მაშინ არ ვიცოდი, როცა პაპა გარდამეცვალა? მაგრამ მისმა უეცარმა სიკვდილმა ისეთი თავზარი დამცა, რომ თითქმის ორი კვირა გაბრუებული და თავრეტდასხმული დავდიოდი. საშინელ სასოწარკვეთილებაში ვიყავი ჩავარდნილი და ვერაფრით შევგუებოდი იმ აზრს, რომ ჩემთვის ესოდენ საყვარელი ადამიანი უკვე ჩვენს შორის აღარ იქნებოდა.

მათე პაპასაც, სხვა შვილიშვილებთან შედარებით, რატომღაც მე ვუყვარდი გამორჩეულად. ამიტომ იყო, რომ გვერდიდან არასოდეს მიცილებდა და ამ ხნის კაცი ერთთავად ჩემს სიამოვნებაზე იყო გადაყოლილი. გულით ეწადა მასავით პატიოსან და ალალ-მართალ კაცად აღვეზარდე, მაგრამ მუხთალმა წუთისოფელმა სხვას ვის მიაყვანინა ბოლომდე დანყებული საქმე, ვის ათქმევინა სრულად თავისი სათქმელი, რომ პაპაჩემისათვის ეთქმევინებინა?

საოცრად მჭევრმეტყველი, ნათელი გონებისა და არაჩვეულებრივი მეხსიერების კაცი იყო ცხონებული. უყვარდა ხალხური პოეზია, ხოლო ქართველი პოეტებიდან შოთა რუსთაველსა და ვაჟა-ფშაველას აღმერთებდა, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ვაჟა უყვარდა.

— რუსთაველის შემდეგ ქართულ მწერლობაში ვაჟაზე დიდი პოეტი არავინ არისო — იცოდა თქმა მათე პაპამ. მისი ასეთი სიყვარული და მონონება დიდი მგოსნისა კი, ვფიქრობ, მაინც იმ საოცრად თბილი მეგობრობიდან და

ურთიერთობიდან მოდიოდა, რომელიც მათეს მამა დიმიტრისა და ვაჟას შორის ყოფილა ადრე ახალგაზრდობაში.

სანამ პაპა ცოცხალი მყავდა, მახსოვს, ზამთრის გრძელ ღამეებში დამსვამდა ხოლმე ბუხართან, გააწყობდა ყალიონს და დაიწყებდა თავისი ბავშვობისდროინდელი მოგონებების მოყოლას. მე კიდევ წიგნებს ვუკითხავდი. ვიცოდი, უფრო საგმირო ამბები და ვაჟკაცური თავგადასავლები აინტერესებდა. იმ ტკბილად მოსაგონარი საღამოებიდან განსაკუთრებით ერთი მოგონება ჩამრჩა გულში.

ერთ საღამოს, როცა ჩვეულებისამებრ ბუხარს მივუსხედით, პაპამ მითხრა:

— შვილო, შენ გაზრდას, მიდი ვაჟასი რამე წამიკითხე! როცა მის ნაწერებს ვისმენ, ასე მგონია, ცოცხალ ვაჟას ვხედავ-მეთქი.

— მათე პაპა, როგორი კაცი იყო ვაჟა? ან თქვენ საიდან იცნობდით ისე ახლოს ერთიმეორეს? ის ხომ ჩარგალში ცხოვრობდა, თქვენ კიდევ ერწოში? — ბავშვური ცნობისმოყვარეობით ვკითხე მე.

— ჩემმა მამა-ბიძებმა ვაჟა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გაიცნეს, ტოლათსოფელში,[1] მისი მასწავლებლად მუშაობის დროს. — მითხრა პაპამ. — შემდეგ, მოგვიანებით კი, როცა თავისი ქალიშვილი თამარი მაგრანეთში[2] გაათხოვა, სადაც ჩვენა ვცხოვრობდით, მოყვრებში ჩამოსული ვაჟა ისე როგორ წავიდოდა უკან, რომ მამაჩემი არ მაენახულა და მისი ჯალაბი სიყვარულით არ მაეკითხა. ჩემთვი ხო ყოველთვის ჰქონდა ახალუხის ჯიბეში შანახული რამე საჩუქარი ან ტკბილეული, რაც დიდად მახარებდა. ერთხელ პატარა წიგნაკად დაბეჭდილი „ბახტრიონიც" მაჩუქა — დიდი

---

1 ტოლათსოფელი — სოფელია ერწოში, თიანეთის რაიონში.
2 მაგრანეთი — სოფელია ერწოში, თიანეთის რაიონში.

რომ გაიზრდები, მერე წაიკითხე, ძმისწულოო, — მითხრა.

მასრებიან ჩოხაში გამოწყობილი, ხმლითა და ვერცხლის ქამარ-ხანჯლით წელდამშვენებული, ახოვანი ვაჟკაცი ჩემზე მართლაც ზღაპრულ შთაბეჭდილებას ტოვებდა და მისი ახლობლობითა და ნაცნობობით დიდად ვიწონებდი თავს ჩემს თანატოლებში. ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ვაჟა ყორანივით შავ „ნიკორს“ (ასე ეძახდა მგოსანი თავის საყვარელ ცხენს) ჩვენს ეზოში შამააჭენებდა და მჭექარე ხმით დაიძახებდა:

— ჰეი, მასპინძელო! რომელი ხართ სახლში?

და როცა გახარებული მამა სასურველ სტუმარს წინ შაეგებებოდა, ვაჟა სიყვარულით გადაეხვეოდა ნაძმობს, თავის საღ ცალ თვალს ბურღივით გაუყრიდა შიგ და ჰკითხავდა:

— რაო, ვეფხვო, სიბერე ხომ არ გეპარება ან ხომ არავინა გჩაგრავს?

— ღმერთმა შენი თავი და იმედი ნუ მოგვიშალოს, ჩემო ლუკავ! ისე ჯერჯერობით ვერცარას სიბერე მიშვრება და ვერცარას მტერი! — ეტყოდა სიცილით მამაჩემი და სახლში შეიპატიჟებდა.

როცა დრო ჰქონდათ და საქეიფოდ დასხდებოდნენ, იმათ ყურებას და მოსმენას არაფერი სჯობდა. ეხუმრებოდნენ ერთმანეთს, ეკაფიავებოდნენ, ქვეყნის სვე-ბედზე და სატკივარზე ბჭობდნენ. როცა ვაჟა კარგ ხასიათზე იყო, გამხიარულებული ხშირად შაუმღერებდა ხოლმე მამას:

ძმასა ეგეთა ძმა უნდა.
უსუპს რო ბადრი ჰყოლია,
უსუპ კლდეთ გადავარდნილა,
ბადრი თან გადაჰყოლია.
ნეტავი მაგათ დედასა —
რა კარგი ძმობა ჰქონიათ!

ხშირად უყვარდა ამ ლექსის წამძღვარებაც, რომელსაც ზოგჯერ სადღეგრძელოშიც ჩაურთავდა:

მადლობელი ვარ, დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა;
ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ,
მაინც ღმერთს ვმადლობ — ეშმაკს შეჰშურდა.

მართალია, ვაჟას თავის სიღარიბეზე და ხელმოკლეობაზე არ უყვარდა ნუწუნი, მაგრამ მამაჩემთან გულახდილ საუბარში ხშირად დაუჩივლავ, ზოგჯერ ნავთისა და მარილის შესაძენი ფულიც კი არ გამაჩნავო. რა თქმა უნდა, მე მაშინ მიკვირდა, რო ისეთ სახელოვან კაცს, როგორიც ვაჟა-ფშაველა იყო, ნავთისა და მარილის საყიდი ფული როგორ არა აქვო, მაგრამ ჯერ ბალღი ვიყავ და ამ ცხოვრების ავკარგისა არა ვიცოდირა. ამ სიტყვების სიმართლეს უფრო მოგვიანებით მივხვდი, ვაჟას სიკვდილის მემრე! — თქვა მათე პაპამ და ღრმად ჩაფიქრდა. კარგა ხანს იყო ასე გარინდული. რაკი შევატყვე, რომ საუბრის გაგრძელებას აღარ აპირებდა, მისი ფიქრებისათვის აღარც მე შემიშლია ხელი. ცოტა ხნის შემდეგ თაროდან ვაჟას ნაწერები გადმოვიღე, გადავშალე და პაპას ვუთხარ:

— წაგიკითხო, პაპა?

— ჰო, შვილო, წამიკითხე! — გამოერკვა ფიქრებიდან მათე პაპა.

— რა წაგიკითხო, ლექსები, პოემები თუ მოთხრობები?

— წამიკითხე რომელიმე მოთხრობა! კარგა ხანია ვაჟას მოთხრობები აღარ მამისმენავ.

სარჩევი ჩავათვალიერე და ყურადღება მის ერთ პატარა

და საინტერესო მოთხრობაზე შევაჩერე.

— „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“ — გინდა წაგიკითხო ეს მოთხრობა? — ვკითხე პაპას.

— კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა? — გაიმეორა იმან და როგორღაც დაფიქრებულმა შემომხედა. — მგონი არ მახსოვს მაგ მოთხრობის შინაარსი. აბა, წამიკითხე, შვილო! — და მოსასმენად მოემზადა.

დავიწყე კითხვა. მოთხრობა ბოლომდე რომ ჩავათავე, ფიქრებში ჩაძირული მათე პაპა კარგა ხანს იჯდა ჩუმად. მერე ჩემკენ შემობრუნდა და იკითხა:

— რაო, როგორ წერია, რა თქვა კლდემაო?

— გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!

— გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!.. გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი! — ბურანში წასულივით რამდენჯერმე გაიმეორა და ღრმა ფიქრმა წაიღო. — ჰმ! საკვირველია!.. მაშინაც სწორედ ეს სიტყვები თქვა ცხონებულმა!.. კი, ზუსტად, ასე თქვა... კარგად მახსოვს!.. უკვე თავის თავს ელაპარაკებოდა მათე პაპა. თითქმის დავავიწყდი, ამიტომ კარგა ხნის მერე მორიდებულად ვკითხე:

— ვინ რა თქვა, პაპა?..

მოხუცი თითქოს ძილქუშიდან გამოფხიზლდაო, თავი დინჯად ასწია და ჩურჩულით წარმოსთქვა:

— დიდმა ვაჟამ თქვა... იქ... მაგრანეთში, ერთ ქორწილში! მეტად საინტერესო შემთხვევა მოხდა...

— რა შემთხვევა?! — ცნობისმოყვარეობისაგან თითქმის სუნთქვაშეკრულმა ნამოვიძახე მე. — მამიყევი რა, პაპა, შენი ჭირიმე, როგორ იყო?

— ეგ, შვილო, ცოტა გრძელი ამბავია, თუმცა საინტერესო! — ეშმაკურად მოჭუტა თვალები მათე პაპამ.

— პაპილო, თუ გიყვარვარ, მომიყევი რა, ძალიან გეხვე-

ნები, მომიყევი! — აღარ ვეშვებოდი პაპას და თან ყელზე ვეხვეოდი.

— კარგი, შვილო, კარგი! რაკი ასე გაინტერესებს, მოგიყვები! ესაც არ იყოს, თქვენ, მომავალმა თაობამ ისედაც უნდა იცოდეთ, რო ვაჟა დიდი პოეტი კი არ იყო მარტო, იგი კაი ყმა და სახელოვანი კაცი იყო. ხალხს უყვარდა და დიდი ხათრი ჰქონდათ მისი.

მათე პაპამ ბუხარში მუგუზლები გაასწორა, ახალი შეშა დაუმატა და მისთვის ჩვეული სიდინჯით ამბის მოყოლა დაიწყო.

— ცხრა-ათი წლის ბალღი ვიქნებოდი მაშინ, როცა ეს ამბავი მოხდა. ჩვენს სოფელში, ერთ ჩვენს ნათესავს, როგორც იტყვიან, დიდი ფშაური ქორწილი ჰქონდა გამართული. ჩარგლიდან მაიყვანეს პატარძალი. მაშინ ქორწილები დღეს რო არის, ისე კი არა, ორი-სამი დღე გრძელდებოდა, ხან მეტხანსაც. ოჯახზე იყო დამოკიდებული. ქორწილის მეორე დღეს კი ოჯახის ახლო ნათესავებმა და მეზობლებმა ქალის მაყრების გადაპატიჟება და პურ-მარილის გამართვაც იცოდნენ. ხდებოდა ჩხუბიც, რომელიც ზოგჯერ ხანჯლების ტრიალში გადაიზრდებოდა და უსისხლოდ არ თავდებოდა ხოლმე. ამიტომ მასპინძელი ყოველთვის ფხიზლად იყო და წინასწარ იჭერდა თადარიგს, რათა მოსალოდნელი უსიამოვნება თავიდან აეცილებინა. ასე იყო იმ ქორწილშიც, მაგრამ უჩხუბრად არც იქ გადარჩა ოჯახი. ეს კი ქორწილის მეორე დღეს მოხდა, როცა ნეფის ბიძამ მაყრიონი თავის სახლში გადაიპატიჟა. ნაწილი სტუმრებისა ვაჟიაანთას აგრძელებდა ქეიფს, სადაც ახალგაზრდების მხიარულება და სიცილ-კისკისი იქაურობას აყრუებდა. ხარობდა ყველა: დიდი თუ პატარა, სტუმარი თუ მასპინძელი და მაშინ არავინ იფიქრებდა, თუ იქ ვინმეს სამტ-

როდ ენა ან ხელი მაუბრუნდებოდა, მაგრამ, რო იტყვიან, ეშმაკს არ ეძინა და მალე იქ ისეთი ამბავი დატრიალდა, რო თუ არა ვაჟა, ალბათ ეს ჩხუბი დიდი უბედურებით დამთავრდებოდა. თუმცა სჯობია თავიდან მოგიყვე, როგორც მოხდა...

წინა დღეს ვაჟა ქორწილში არ ყოფილა.

მეორე დღეს, სანამ გადაპატიჟებული მაყრიონი უკან დაბრუნდებოდა, მახსოვს ოჯახის უფროსმა თავისთან დამიძახა და დამავალა:

— შვილო, მათე, შენს გაზრდას, გაიქე, ფარდულიდან ცოტა ხმელი შეშები მიუტანე ბიჭებს საქვაბეში.[1] მე არა მცალია!..

ფარდული სახლიდან ცოტა მოშორებით იდგა, სადაც შეშა იყო დაწყობილი. ის იყო შეშის ასაღებად დავიხარე, რო ფიცრის კედლის მეორე მხრიდან ვილაცის ხმა შამამესმა:

— ამაზე უკეთეს დროს ვერა ვნახავთ. ერთი დიმიტრა ვერაფერს გახდება!..

მამაჩემის სახელის გაგონებაზე სუნთქვა გამიჩერდა. ჯერ ვიფიქრე, ხო არ მამეყურა-მეთქი, მაგრამ ნათქომი ისე გარკვევით გავიგონე, რო ამაში ეჭვის შატანა შეუძლებელი იყო. აშკარად მივხვდი, რო ვილაც უცხოები ჩემიდან სულ რაღაც ორი-სამი ნაბიჯის მოშორებით იდგნენ და მამაჩემის წინაალმდეგ რაღაც ბნელ გეგმებს აწყობდნენ. იმის შიშით, რო ჩემი იქ ყოფნა არ გაეგოთ, გულში კანკალი შამიჯდა და ფარდულის კუთხეში მწყერივით გავინაბე. ერთი ხანობა უკან გამოპარვაც კი დავაპირე, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მძლია და ერთ ადგილზე მილურსმული მთლად სმენად ვიქეცი.

---

1 საქვაბე — სპეციალურად მოწყობილი ადგილი, სადაც ქორწილისათვის საჭმელებს ამზადებენ.

— კიდევ კარგი „პაჭიჭიანი“[1] აქ არ არის, თორო იმ დათვს ერთ ლუკმად არ ვეყოფით! არ გახსოვთ ნაქალაქარში[2] რა ამბავი დაატრიალეს მაგათ? — თქვა მეორემ.

— მახსოვს რომელია! იმ არეულობაში, კაცო, მაგ ნადირს კინალამ ხელში შამუაკვდი! მექორწილეებს გარეთ რო ერეკებოდენ, ბეწვზე გადავრჩი, გასასვლელ კარებთან ხელი რო მამკრა, კნუტივით ჰაერში ამიტაცა და გარეთ გამამისროლა. ბედი ჩემი, ხელი არ შამამკრა, თორო ადგილზევე გამძვრებოდა სული! — დაამატა მესამემ.

— მაგის ნიჩაფივით ხელი ჩემს მტერს მახვდეს! — თქვა ისევ პირველმა ხმამ. — იმსიმსხო თითები აქვ, რო ერთხელ ხელადის ყურში ცერი გასჭედვია თურმე.

— ცერისა რა მოგახსენოთ და მაგისი პაჭიჭიდან მე კი ერთი შარვალი გამამივა თავისუფლად, კიდევაც დამრჩება! — იხუმრა რომელიღაცამ.

— წუხელ გათენებამდე ქორწილში იყო. ალბათ სახლში წავიდოდა დასაძინებლად. — გამოთქვა თავისი ვარაუდი მეორემ.

— დასაძინებლად კი არა, პავლემ ქალის მაყრები რო გადაიპატიჟა, იმათ გაჰყვა, მგონი! მე შენ გეტყვი, მაგასაც სასმელი დაათრობდა!

— მაგ დევს პავლე რა სასმელს გააწვდენს. ერთი ქვევრი ღვინო მარტო ემაგას არ ეყოფა!

— ეყოფა თუ არ ეყოფა, სანამ მაყრები უკან დაბრუნდებიან, დიმიტრას კარგა უნდა ამოუნაყოთ ცხვირ-პირი! ექვსი კაცი ერთს ველარა ვცემთ?..

მოსმენილი საუბრიდან ახლა კი აშკარად მივხვდი, რო იმ „ვილაცებს“ მამაჩემზე და ბიძაჩემ ბიოგარზე ჰქონდათ ლა-

---

1 პაჭიჭი — ნაჭრის ან შალის ქსოვილისაგან დამზადებული ნვივზე შემოსაცმელი, რომელსაც მუხლის ქვემოთ თასმით ან ბაწრით შემოიკრავდნენ ხოლმე.
2 ნაქალაქარი — სოფელია ერწოში, თიანეთის რაიონში.

პარაკი და შიშმა უარესად ამიტაცა. „პაჭიჭიანს“ ბიძაჩემს ეძახდნენ, რადგან ზამთარ-ზაფხულ, შინ თუ გარეთ, სიცხეში თუ სიცივეში მუდმივად პაჭიჭს ატარებდა. ხანდახან დაწოლის დროსაც არ იხდიდა. მთასავით უზარმაზარი ტანისა და არაჩვეულებრივი ღონის პატრონი იყო. შეშის მოსატანად საქონელი რაში მჭირდება, იმათ უღელში შამბა თუ გამოშვება ტყუილად დროს დამაკარგვინებსო, იტყოდა ხოლმე. წავიდოდა ტყეში, მასჭრიდა ერთ დიდ ხეს, გადამორავდა და იმხელა ნალოს[1] გაიდებდა მხარზე, რო მისი წაღება უღელ ხარსაც გაუჭირდებოდა.

ადრე, როცა ძველ, მიწურ ქოხში ცხოვრობდნენ, კოჭი ჩამასტეხია თურმე, ბიძაჩემს მხარი მიუცავ და ძმისთვინ უთქომ:

— წადი, დიმიტრავ, ემანდ ტყეში ბოძი რამე გამასჭერ, რო შავუყუდოთ, მანამ მე ამ კოჭს დავიჭერო.

— რას დაიჭერ, კაცო! გინდა ქოხი თავზე დაგეცეს და ქვეშ მოგიყოლოს? გამოეცალე დროზეო! — უყვირავ შაშინებულ მამაჩემს.

— რო გამოეცალო, ისედაც დამეცემა თავზე, გარეთ გასვლას მაინც ვერ მოვასწრებ. ამიტო რასაც გეუბნები, ნადი და ის გააკეთეო! — მშვიდად უთქომ ბიძაჩემს.

მამაჩემს რაღა მეტი გზა ჰქონდა, გაქცეულა ტყეში და სანამ შასაყუდებელ ბოძს მაიტანდა, გატეხილი კოჭი ბიძაჩემს მხრით გაუჩერებავ.

ეს შემთხვევა დიდხანს ყოფილა სალაპარაკო ხალხში.

მამაჩემისაგან განსხვავებით ბიძაჩემი ბოიგარი მეტად უწყინარი, მშვიდი და წყნარი ხასიათის კაცი ყოფილა. ადვილად ვერავინ გამაიყვანდა წონასწორობიდან, მაგრამ გაბრაზებაც მაგარი სცოდნია თურმე. როცა ვინმეს უსა-

---

1 ნალო — ხის გრძელი მორი.

მართლოდ დაჩაგვრას, დაცინვას ან დამცირებას ნახავდა, თორო თვითონ მას ხო ვერავინ ვერაფერს შაჰბედავდა. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა ნაქალაქრელმა „ყოჩმა" ბიჭებმა ერთ-ერთ ქორწილში ძმების მასხრად აგდება და ცემა განიზრახეს, მაგრამ თუ ვინ ვისა სცემა და რით დამთავრდა მაშინ ეს ამბავი იქ, ეს ფარდულის უკან ამოფარებული უცხო პირების საუბრიდანაც კარგად ჩანდა. ძმებმა აყალმაყალის ამტეხი მექორწილეები მაშინ სახლიდან პანტაპუნტით გარეთ გამოყარეს, კარები მიხურეს, დასხდნენ და დაიწყეს ქეიფი. მათი შიშით ვეღარავინ ბედავდა შიგნით შასვლას. მაშინ იყო, როცა ბიძაჩემმა მამაჩემს შაუმღერა თურმე: „წულიანს[1] ვერავინ დაჰკრავს, თუ პაჭიჭიანმ გაიგოო"... ლექსი სრულად აღარ მახსონ...

ბოლოს მასპინძელმა, როცა დიდი მორიდებით სთხოვა, ქორწილს ნუ ჩამიშხამებთ, შამაუშვით ხალხი სახლშიო, ბიძაჩემს წყნარად უთქომ:

— ხალხს ვინ არ უშვებს... ვინ იჭერს, ნუ შამოხვალთო? შამოიდენ და დასხდენ, თუ ჭკვიანად იქნებიან. ჩვენ არავის არაფერს არ ვერჩით! წეღანაც ჩვენთვი თითონ რო არ აეტეხათ ჩხუბი, მაგათ ხმის გამცემი არავინ იყო.

ამის შემდეგ მექორწილეებმა თუმცა შიშით, მაგრამ მაინც ნელ-ნელა დაიწყეს ადგილების დაკავება სუფრაზე და ქორწილმაც მალე თავისი ჩვეულებრივი სახე მიიღო.

ამის შემდეგ ყველა ერიდებოდა ჩემ მამა-ბიძებთან ჩხუბს კი არა მარტო, უბრალო წალაპარაკებასაც კი. მაგრამ ნაქალაქრელ ახალგაზრდებს, როგორც ჩანდა, დღემდე ვერ მაენელა მაშინდელი სირცხვილი და ახლა სამაგიეროს გადახდის ჟინი და შალახული სახელის უკან დაბრუნება აწვალებდა, მაგრამ

---

1 წულიანს — იგულისხმება დიმიტრი, რომელიც თავისი ძმის — ბოიგარისაგან განსხვავებით, პაჭიჭების ნაცვლად წულებს ატარებდა.

ფარდულის უკან ამოფარებულმა ამ ლაჩრებმა ისიც კარგად იცოდნენ, თუ ძმები ერთად იქნებოდნენ, მათ განზრახვას ასრულება არ ეწერა. ამიტო ჩქარობდნენ, სანამ ბიძაჩემი უკან დაბრუნდებოდა, ჯერ მამაჩემისთვი გაესწორა ანგარიში.

ფიქრებიდან რომელიღაცის შიშნარევმა ხმამ გამამარკვია.

— ჩხუბის ამბავს რო გაიგებენ, იმ ნადირს ვინ დაიჭერს, აქ მოგვივარდება და არც ერთი ცოცხალი არ გადავურჩებით!..

— სანამ ის მოა, მანამდე უნდა მოათაოთ ჩვენი საქმე და აქაურობას გავეცალოთ, თორო იმ დევის ხელში ჩემი მტერი ჩავარდეს! ყოველ შემთხვევაში, თადარიგი უნდა დავიჭიროთ და ამის შესახებ ჩვენი ბიჭები გავაფრთხილოთ იქ! — თქვა ისევ პირველმა მოსაუბრემ.

— ჰოდა, მაშინ რაღაზე ვკარგავთ დროს?.. ახლა მთავარია, იმაზე მოილაპარაკოთ, როგორ ავტეხოთ ჩხუბი, რა მოიმიზეზოთ...

დანარჩენი რა ილაპარაკეს, აღარ მოვისმინე. ფრთხილად დავტოვე ფარდული და თავქუდმოგლეჯილმა სახლისაკე მოვკურცხლე. მინდოდა მამაჩემი წინასწარ გამეფრთხილა, მაგრამ სუფრასთან ისეთ ადგილას იჯდა, რო მასთან მისვლა და ჩუმად რაიმე საიდუმლოს თქმა შეუძლებლად მეჩვენა, ამიტომ გადავწყვიტე ოჯახის უფროსისათვინ გამეგებინა ყველაფერი, მაგრამ ჩემს ბედად, ისად ვერა ვნახე. გასულიაო — მითხრეს. დროის დაკარგვა კი არ შაიძლებოდა. ბიძაჩემი ბოიგარი უნდა მენახა.

პავლეს ოჯახში, ვისთანაც ქალის მაყრები იყვნენ გადაპატიჟებული, დიდი ამბავი იყო. როგორც იყო მივაღწიე ბიძაჩემდე და გულამოვარდნილმა მიკიბულ-მოკიბულად მძლივ გავაგებინე, რო მამაჩემს ვილაც უცხო ბიჭები უპირებდნენ ცემას.

— ვინ ბიჭები უპირებენ ცემას, რას მიედებ-მოედები, ბალღო! — შამამიბღვირა ბიძაჩემმა.

— დედას გეფიცები! ჩუმი ყურით მოისმინე იმათ საუბარი შეშის ფარდულის უკან. მგონი ნაქალაქრელები უნდა იყვნენ!

— ზღაპრების მოყოლას თავი გაანებე, ძმისწულო, გირჩევნავ ხინკალი გადმაიღო და სჭამო! — მითხრა მან არხეინად და თან ხონჩიდან ცხენი ხინკალი გადმამიღო. — ნუ გეშინიან, იქ მამაშენის მცემელი არავინ მეგულება, რაღაც მოგეჩვენებოდა!

მე ტირილი მამერია და აცრემლებულმა კიდევ რამდენჯერმე გაუმეორე თხოვნა, მაგრამ შეზარხოშებულმა ბიძაჩემმა ჩემი ცრემლები და მუდარა აინუშშიაც არ ჩააგდო და ქეიფი გააგრძელა.

არ გასულა ნახევარი საათი ჩემი იქ მისვლიდან, რო ვიღაც მეზობლის ბიჭი გულამოვარდნილი მოიჭრა მექორწილეებთან და ნეფეს ამცნო:

— თქვენთან დიდი ჩხუბია! არიქათ, უშველეთ, ჩახოცავენ ერთმანეთს!..

— რა ჩხუბი?!. ვინ ატეხა ჩხუბი? — იკითხა გაფითრებულმა სიძემ და მოსულს მიაჩერდა.

— არ ვიცი, ვილაც უცხო ბიჭები არიან! დიმიტრისა სცემენ.

— დიმიტრისა სცემენ?! — ლომივით დაიბუხუნა ახლა ბიძაჩემმა ბოიგარმა და ფეხზე წამოიჭრა. სახეზე რომ შავხედე, შიშმა ამიტანა. ისეთი განრისხებული ჩემს დღეში არ მენახა.

მის ასეთ გააფთრებას რაც მოჰყვებოდა, ბოლოს ალბათ ყველა მიხვდა, მაგარმ უკვე გვიან იყო. როგორც მთის წვერიდან მოწყვეტილი ზვავის შაჩერება, ისე მრისხანე და საზარელი ბიოგარის დაკავებაც უკვე აღარავის შაეძლო. კა-

რებისაკენ მუქარით დაძრულ ბიძაჩემს როცა რამდენიმე კაცი მაინც გადაეღობა წინ, მან ისინი ერთი ხელის მოსმით მიყარ-მოყარა აქეთ-იქით და კიბეზე დაეშვა.

— დედას ვუტირებ, დედას!.. მე ვაჩვენებ იმათ, როგორ უნდა ცემა! — ჩაილაპარაკა ბრაზით ამოდუღებულმა და ეზოში გაალაჯა.

— არიქათ, ხალხო, დაიჭირეთ როგორმე, თორო ვიღაცა შამააკვდება მაგ ჩემი ცოდვით სავსეს! — დაიძახა აივნიდან შეშფოთებულმა პავლემ.

— თოკი მაიტანეთ, თოკი! — იყვირა ვიღაცამ. — ამ დევს იმით თუ დავაბამთ, თორო ამისი დამჭერი აქ არავინ არი!..

ბედად, იქვე, ბოსლის ბოძზე ჩამოკიდებული თოკი ჩამოხსნეს და სანამ ბიძაჩემი ეზოს გადავიდოდა, ოცამდე ვაშკაცმა მძლივ მაახერხა იმის დაჭერა და ზურგს უკან ხელების გაკვრა, მაგრამ რა გინდათ, გაჩერებით მაინც ვერავინ გააჩერა. თოკებით ხელებშაკონილმა გარსშამოხვეული ჯეილები ჯერ რამდენჯერმე ღონივრად მიბერტ-მობერტყა აქეთ-იქით, შემდეგ თავი დაღუნა და უღელში შაბმული კამეჩივით გაიწია. გაიწია და თოკის ბოლოზე მომბული მაყრები ერთიმეორეზე ბანრით გადაბმული ვარიებივით თან აითრია.

გაოგნებული მექორწილეები ზოგი შიშით, ზოგი აღტაცებითა და გაოცებით უყურებდა ამ სეირს.

— ბიჭებო, ხო ხედავთ, რო ვერ იჭერთ! ემაგ ღობეზე მაინც მიაკარით. დაბმული სადღა გაგექცევათ! — ურჩია ახალგაზრდებს არანაკლებ შაფიქრიანებულმა მასპინძელმა.

მართლაც, ბიძა ბოიგარი, როგორც იყო, იქვე თავბოლოგადამტვრეულ, ასე ხუთი-ექვსი მეტრის სიგრძის წნელის ღობემდე მიიყვანეს და ზურგით იმის მარგილებზე მიაბეს.

— რას შვრებით, ხალხი, ღმერთი აღარა გაქვთ?! რას

მერჩით, რას მემართლებით?! იქ ძმას მიკლავენ და თქვენ აქ ლობეზე მაბამთ?! ერთხელაც იქნება ხო დავზეზდები[1] აქედან და სად წამიხვალთ მერე! — აღშფოთებული ყვირო-და ბიძაჩემი, მაგრამ იმის ყვირილსა და მუქარას უკვე აღა-რავინ უსმენდა, რადგან აქამდე ეზოში გამოფენილი ხალხი ახლა უკვე ჯებირგარღვეული ნიაღვარივით მიღელავდა შარაზე და კისრისტეხით მიიჩქაროდა ნეფის სახლისაკენ ახალი სეირის საყურებლად.

სხვებთან ერთად მეც მივრბოდი იქითკენ და როცა გულა-მოვარდნილი და აფანცქალებული ეზოში შევვარდი, ასეთი სურადი გადამეშალა თვალწინ: ეს ამოდენა, ერთიმეორეში არეული მექორწილე ხალხი ბუდედანგრეულ ჭიანჭველასა-ვით ფუთფუთებდა და ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებოდა. იყო ყურისწამღები ყვირილი, ერთიმეორის ლანძღვა-გინება, ბალღების ტირილი, ქალების წივილ-კივილი, მუშტების, ჯო-ხების, აქა-იქ ხანჯლებისა და ბოთლების ტრიალი. ვინ ვისა სცემდა, ვინ ვის აშველებდა ან ეხმარებოდა თუ ამშვიდებდა, არაფერი გაიგებოდა. ოჯახის უფროსი ხან ერთ მოჩხუბარ ჯგუფთან გაჩნდებოდა, ხან მეორესთან გასაშველებლად, მაგრამ ამაო იყო მისი ყოველგვარი მეცადინეობა. ყველაზე დიდი ჩხუბი სუფრის ზევითა კუთხესთან ჩანდა, სადაც მამა-ჩემი უცნობი მოჩხუბრების წრეში გალიაში მომწყვდეული ლომივით ტრიალებდა. ვიღაც ახალგაზრდამ ხანჯლითაც კი გაიწია მამაჩემზე და თავში ჭრილობა მიაყენა.

განრისხებული მამა სუფრაზე შახტა და იმანაც ხანჯალი იშიშვლა... ვინ იცის რა მაჰყვებოდა მოჩხუბართა ასეთ სამ-კვდრო-სასიცოცხლო შეტაკებას, ამ დროს ხალხიდან ვიღა-ცას რო არ დაეყვირა:

— ვაჟა მოვიდა, ვაჟა!..

---

[1] დავზეზდები — ავეშვები, თავს ავიხსნი.

— ვაჟა?!. ვაჟა?!. — ამ სახელმა ნიავივით რამდენჯერმე ჩაიქროლა და ამოიქროლა მექორწილეებში და აღრიალებული ბრბო ერთი წუთით მიყუჩდა. ყველამ დაინახა ეზოს შემოსასვლელში თავზე შავი, გრძელბეწვიანი ქუდით, ნაბადმოხვეული ვაჟა, გაოფლილ შავ ცხენზე იჯდა და გაქვავებული სახით ამ სურათს უყურებდა. შემდეგ მკვირცხლად ჩამოქვეითდა, ნაბადი უნაგირზე გადაადო, ცხენი იქვე გაჩერებულ ბიჭს მიუგდო და ხელმათრახიანი მექორწილეებისაკენ დაიძრა.

მამაჩემი ისევ მაგიდაზე იდგა გაშიშვლებული ხანჯლით ხელში, როცა ვაჟა მას მიუახლოვდა და ფოლადგარეული ხმით მკაცრად უთხრა:

— დიმიტრი, ჩააგე ქარქაშში ეგ ხანჯალი და ეს მათრახი გამომართვი!..

მამაჩემმა ხანჯალი ჩააგო და მაგიდიდან ჩამოხტა.

ვაჟამ მათრახი გაუწოდა, მამაჩემმა დაიუარა, ვერ გაიგო მათრახს რისთვის სთავაზობდნენ.

— მათრახი რადღა მინდა? — უთხრა ერთგვარად დაბნეულმა თუ დარცხვენილმა მამამ.

— იმად, რომ ქართველ კაცს ხანჯალი თავისი მოძმისა და მოყვასის მოსაკლავად არა აქვს წელზე შებმული. იგი მხოლოდ თავისი ქვეყნის მტრისა და ორგულის სისხლის დასაღვრელად უნდა ამოიღოს ქარქაშიდან! ეს მათრახი კი ასეთი ხანჯლიანი თუ ხანჯლების მოყვარული ჯეილების შესახურებლად გამოგადგება! — და მათრახიანი ხელი წეღანდელი ხანჯლებით მოჩხუბარი ახალგაზრდებისაკენ გაიშვირა, რომლებიც უკვე ხალხში მიმალვას და ქორწილიდან გაპარვას აპირებდნენ.

ვაჟამ მათრახი მამაჩემს მიაჩეჩა და ხალხისკე შამობრუნდა.

— კაცნო, გიყვარდეთ ერთმანეთი!.. გაიგეთ რასაც გეუბნებით?.. გიყვარდეთ! ერთურთს ნუ სჩაგრავთ!.. ერთურთი უნდა გავიტანოთ!..

ამ სიტყვებს რო ამბობდა ვაჟა, მახსენდება, ისიც მართლა იმ კლდესავით პირქუში, წარბშეუხრელი იდგა, როგორადაც მაგ მოთხრობაშია აღწერილი. მემრე თითქო გულიდან ნაღველი გადაეყარაო, შუბლი გახსნა და ღიმილით თქვა:

— ახლა კი დასხედით და ქორწილი გავაგრძელოთ!..

შემდეგ იქვე გაჩერებულ ოჯახის მასპინძელს მიუბრუნდა და მხიარული ხმით შესძახა:

— აზნაურის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო, არ გაგიგონია, ჩემო ივანე?.. რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, კაცო! თუ ჩემი მოსვლა ესე ძალიან გეწყინათ, ერთი ჭიქა ახალყოილთ[1] სადღეგრძელო დამალევინეთ და მერე საიდანაც მოვსულვარ, იქვე წავალ!

— ღმერთმა შენნაირი სტუმარი ჩვენ ოჯახებს ნუ გამოულიოს, ჩემო ლუკავ!.. დაბრძანდი, შენი ჭირიმე, დაბრძანდი! ახლავე ყველაფერი იქნება!.. — დაფაცურდა ივანე და ფეხზე გაჩერებული მექორწილეები სუფრასთან მიიწვია.

მოწვეულმა სტუმრებმა და მაყრებმა ნელ-ნელა დაიწყეს სუფრასთან დასხდომა, მაგრამ სანამ ქორწილი გაგრძელდებოდა, ერთი დაუჯერებელი და საკვირველი შემთხვევის მოწმენი კიდევ გახდნენ.

უცებ ხალხი რაღაცაზე შეჩოჩქოლდა და ყველამ ეზოს შემოსასვლელს მიაპყრო მზერა. ყურებამდე გაღებულ ჭიშკართან ექვსმეტრიანი წნელის ღობით ზურგზე აკიდებული ბიძაჩემი ბოიგარი იდგა. ხალხი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, მაგრამ ფაქტი სახეზე იყო, რო პავლეს ღობეზე მიბმული დევკაცი მიწაში ღრმად ჩარჭობილმა მარგილებმაც

1 ახალყოილნი — ნეფე-დედოფალი.

ვერ დააკავეს და თავის ღობიანად აქ მაიტანა.

ნანახით გაშტერებული მექორწილეები ერთ წამს სულგაკმენდილნი უყურებდნენ, მერე უცებ თითქოს ნაღმი ვიღაცამ ააფეთქაო, მათმა ყიჟინამ და ხარხარმა მთელი სოფელი შააზრიალა.

ვაჟამ საქმის ვითარება არ იცოდა და გაოცებულმა იკითხა:

— კაცო, ეგ ბოიგარი არ არის?

— ის არის, ისა, შენი ჭირიმე! — სიცილით უთხრა მასპინძელმა.

— მერე შეშა გაგითავდათ, რო ეგ ღობე აქ მოაქვს? — იხუმრა ვაჟამ.

— შეშა კი არა, რაკი ვერავინ იჭერდა, წელან ეგ შაჩვენებული ჩემ ეზოში ემაგ ღობეზე მიაბეს, ზურგზე რო ჰკიდია! — ჩაერია საუბარში პავლე.

— რა დააშავა მერე ისეთი, რომ ღობეზე მისაბმელი გახდა? — სერიოზულად დაინტერესდა ვაჟა.

— აქ რო ჩხუბი ატყდა და გაიგო დიმიტრასა სცემენო, მართლა დასამბელი გახდა. შაგვეშინდა, არავინ შამააკვდესო და, რო ვერაფერი ვიღონეთ, თოკებით მაგ ღობეზე მივაბით!

— ჰოო, ახლა კი მივხვდი რაშიცა ყოფილა საქმე! — კარგა ხანს გულიანად იცინოდა ვაჟა. მერე იქ მყოფებს მიუბრუნდა და უთხრა:

— მიდით, ხელები მაინც გაუხსენით, ცოდვაა კაცი!

— ეგ ღობე ჯერ უკან გადამიტანოს, როგორც მაიტანა და მერე გაუხსენით ხელები! ამოდენა შეშას მართლა აქ ხო არ დავსწირავ. ერთ ურემზე არ დაეწყობა! — იხუმრა პავლემ. მის ნათქვამზე ხალხი უარესად ახარხარდა.

დაბნეული ბიძაჩემი კი, რომელსაც ღობე ჯერ ისევ ზურგზე ეკიდა, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. იქ უთხრეს, ჩხუბი-

აო, აქ კი ჩხუბის ნაცვლად სიცილით ჩაბჟირებულ ხალხს მუცლები ხელით ეჭირათ. ვერ გარკვეულიყო, რაში იყო საქმე. გვიან მიხვდა, რო იმაზე იცინოდნენ და უარესად აეშალა ჯაგარი. როცა ხელებიდან თოკები გადაუჭრეს და ტანი აიბერტყა, სახეზე რისხვააგრეხილი მძიმე ნაბიჯით სახლისაკე წამოიდა.

— ანკი ჩხუბიაო! მამატყუეს? — დაიგრგვინა ბიძა ბოიგარმა. — ვინ არის თქვენ მასხარად ასაგდები? — და ხარისოდენა თვალები კინაღამ ბუდიდან გადმასცივდა.

— არ მოგატყუეს, ბოიგარ ძმაო, არა, ნუ სჯავრობ! მაგრამ შეშა კი მოგატანინეს ზურგით! — სიცილით შეხვდა ვაჟა ბიძაჩემს და გადაეხვია.

— რაკი შენ აქა გხედავ, ძმაო ლუკავ, ჩხუბს აქ ვერავინ გაჰბედავდა. ეს დასტურ ვიცი! — შეაგება სიტყვა თავის მხრივ ბიძაჩემმაც და ვაჟა გადაკოცნა.

— „გიშველა ძაღლიკაის ფრანგულმა, თორო ლეკი თავსა გჭრიდაო" — იმ ანდაზისა არ იყოს, შენ სახლიკაცს ვაჟამ უშველა, თორო ნაქალაქრელები მართლა თავის მოჭრას უპირებდნენ! — იხუმრა ვიღაცამ ბოიგარის ზურგს უკან.

— ნაქალაქრელების მოსაჭრელი თავი ჯერ არ ამოგვსვლია მხრებზე, ჩემო ალექსი! — მიუბრუნდა მოსაუბრეს ბიძაჩემი. — მაგ უნიფხოებმა სჯობია ხანჯლებით ისევ თავისი ბალღები შააშინონ! მეტი გული მაგათ არა აქვთ და ვაშკაცობა!..

— ისე შენ და დიმიტრი მართლაც მაგარი სალექსოები ხართ, მე და ჩემმა ღმერთმა! — უთხრა სიცილით ვაჟამ ბრიძაჩემს. — წამოდი, დავსხდეთ, უნდა შეგიმღერო!

— ახლა შამღერება მირჩევნავის მართლა, მემრე შენს პირში ჩავარდნას. ხო ვიცი გაულექსებლებს მაინც არ დაგვწირავ! — სიყვარულით მოხვია თავისი ვეება ტორი ბიძაჩემმა ვაჟას და თან გაჰყვა.

სუფრასთან ვაჟა, ბოიგარი და მამაჩემი ერთად დასხდ-

ნენ. დაიწყო ქეიფი, მექორწილეები დიდი ინტერესით მოელოდნენ, რას შაუმღერებდა ვაჟა ბიძაჩემს. მთელი გულისყური იმათკენ ჰქონდათ მიპყრობილი. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, როცა ვაჟაც კარგ ხასიათზე დადგა, ბოიგარს შაუმღერა:

სად იყავ, ბაჭიჭიანო,
შენ ძმას რო დაჰკრეს წელანა?
რა დააშავა ისეთი,
თავს რო დაეცა ქვეყანა?..

ბოიგარმა ცოტა შაიცადა, ეშმაკურად ჩაიღიმა და ვაჟას კაფია გააგრძელა:

მენც მითხრეს: შენ ძმა დიმიტრი
შასადარ იყო დევთანა,
ჯარასავითა ბრუნავდა
მარტოკა იმთვენ მტერთანა,
მაგრამ მწყინს, ვერავის დავკარ,
თმა შამერია მტვერთანა!

მოწონების ჩურჩულმა გადაუქროლა სუფრას. ჯერი ახლა მგოსანზე იყო, რა პასუხს დაუბრუნებდა ბიძაჩემს და დაძაბულ მოლოდინში ისე გაისუსა ყველა, რო ადამიანი ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდა. ვაჟამ ულვაშებზე გადაისვა ხელი, საღი თვალი ბოიგარს მიაბჯინა და პასუხი არ დაუყოვნა.

რას გახდებოდი დაბმული
ხელშეკონილი ასთანა?
ზურგით ღობეზე მიკრული
თოკებით, ბოსლის კართანა!?

ვაჟას მოსწრებულ პასუხზე სიცილმა თოფის წამალივით იფეთქა სუფრაზე, რომელიც კარგა ხანს არ დამცხრალა.

ბოიგარმა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და პასუხი ხმალივით შააგება:

წინ ვერვინ გადამიდგება,
როცა მივდივარ ძმასთანა,
ამით ვარ, ლუკავ, მართალი,
მიწასთანა და ცასთანა!

ჩანდა ვაჟას პასუხი ძალიან მოეწონა, რადგან ლექსობა აღარ გააგრძელა და აღტაცებული ბიძაჩემს გადაეხვია.

— შენი ჭირიმე, ჩემო ბაჭიჭიანო, შენი! რა კარგადა სთქვი: კაცი მიწასთანაც მართალი უნდა იყოს და ცასთანაცაო. მერე ხალხისკენ შამობრუნდა და გააგრძელა:

— ხალხო, ძმების ერთობა და სიყვარული ციხესიმაგრესა ჰგავს, აუღებელ ციხესიმაგრეს! იგი ერის სიძლიერის და ღონიერების მიმანიშნებელია. ხოლო ძმათაშორის სიძულვილი და მტრობა კი — მისი დამღუპველი! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ძმაო, ძმითა ხარ მაგარი, თორე მტერ მოგერეოდაო" — და მერე როგორ გვჭირდება დღეს ერთობა და ურთიერთსიყვარული!.. საქართველო ხომ ერთი დიდი ოჯახია ჩვენი, ჩვენ კი მისი შვილები — ერთიმეორის დები და ძმები, რომლებსაც ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს. ერთიმეორეს ვიცავდეთ და მტერს არ ვაჩაგვრინებდეთ, როგორც ეს ბოიგარმა თქვა. ჩვენ თუ რამე გადაგვარჩენს, ისევ ერთობა და სიყვარული გადაგვარჩენს, კაცნო, ურთიერთსიყვარული! კარგად დაიხსომეთ ეს! — თქვა ვაჟამ და დაჯდა. მისმა სიტყვებმა მაშინ ბევრი ჩააფიქრა და უფრო მეტი მოწიწებისა და სიყვარულის გრძნობით გამსჭვალა დიდი მგოსნისადმი.

ქორწილი კარგა ხანს გრძელდებოდა.

— ახლა კი ჩემი წასვლის დროა! — თქვა ვაჟამ და წამოდგა. ბევრი ეხვეწნენ, მასპინძელმა ხომ თავი გადააკლა, მაგრამ არ გაჩერდა. ესაც წესად ჰქონდა: სუფრაზე დიდხანს დარჩენა არ უყვარდა, არც ბევრ სასმელს დალევდა, რომ დამთვრალიყო, ხოლო როცა წასასვლელად ადგებოდა,

უკან ვეღარავინ დააბრუნებდა. ვაჟას ასეთი ხასიათი რო იცოდნენ, აღარავინ გაუძალიანდა.

სანამ წავიდოდა, მამამ ვაჟას მათრახი გაუწოდა, ამ დილით ჩხუბის დროს რომ მისცა.

— ეგ მათრახი, დიმიტრი, — უთხრა ვაჟამ მამაჩემს, — შენ დაიტოვე ჩემს სახსოვრად და იმის ნიშნად, რომ ყოველთვის გახსოვდეს: ადამიანს თავისი სიმართლის, პატიოსნებისა და ღირსების დაცვა მათრახითაც შეუძლია! ხოლო კაცის კვლა, ისევე როგორც ბუნების შვილთა თუ ყველა სულდგმულთა სისხლის დაღვრა, დიდი და უმძიმესი ცოდვაა! — თქვა ეს, ერთხელ კიდევ დაგვემშვიდობა, შაჯდა თავის „ნიკორზე“ და გაუდგა ჩარგლისაკენ მიმავალ გზას.

— ასე იყო ეს ამბავი, ჩემო შვილო! — დაამთავრა მათე პაპამ და ალერსით გადამისვა თავზე ხელი.

ნაამბობმა იმდენად დამაინტერესა, რომ კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე. შემდეგ პაპას მივუბრუნდი და ვკითხე:

— კი მაგრამ, ვაჟას მათრახი რაღა იქნა? სადა გაქვს შენახული?

— მათრახი, შვილო, სანამ მამაჩემი იყო ცოცხალი, თვითონა ჰქონდა შანახული, სიკვდილის წინ კი ანდერძად დაგვიტოვა, მუზეუმში ჩააბარეთ, არ დაიკარგოსო. თუმცა მენანებოდა მისი სახლიდან წაღება, მაგრამ ისევ მამის სურვილს დავემორჩილე. — თქვა მათე პაპამ და თავისი ბებრული თვალებით ბუხარს ჩააშტერდა.

ორივენი ვდუმდით. არც ერთს არ გვინდოდა ხმის ამოღება, რადგან ორივეს ფიქრი მაშინ ალბათ ვაჟას დიდებულ აჩრდილს დასტრიალებდა თავზე.

ბუხარში გაძლიერებული ცეცხლი კი დროდადრო ტკაცუნობდა და ოთახის სიჩუმეს აკრთობდა.

სარჩევი

საფლავის საიდუმლო (რომანი)

გველისთავიანი დაშნა 9
ფიცი 33
შეხვედრა 42
მოლოდინი 68
მგელიკა 78
მოსისხლეები 106
საფლავის საიდუმლო 117

მოთხრობები

ლაშარის მთვარე 131
ნაბდის ქუდი 167
ჯავრია 208
მათრახი 239